ეროვნული ბიბლიოთეკა

პრილი

№11 (206) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი ნოემბერი
ფასი 1.50 ლარი

1134
2004

#11 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ARILI

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულმან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
რატი ამაღლობელი
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი
კოორდინაციული დირექტორი -
გიორგი სუბარი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო პაზაზე

№11. ნოემბერი. 2004

პროზა

აკა მორჩილაძე
მოგონებები ჩემი მეგობარი კაი ბიჭის შესახებ 1

მიკა კიკაჩეიშვილი
მარიკა 33

დათო ქარდავა
ნოეს მტრედები 51

პოეზია

ჯუანშერ ტიკარაძე
ლექსები 45

თემურ ჩხეტიანი
ლექსები 64

ზაალ ებანოიძე
ლექსები 67

მედეა კახიძე
ლექსები 69

დიალოგი

ინტერვიუ ელექტრო-ფოსტით ვახუშტი კოტეტიშვილთან 70

ესე

თემურ კობახიძე
სამების გამოცხადება და ბ-ნ ელიოტის
"მეტაფიზიკური" ეძვები 76

ჯონ ბართი
"ყველა ხე მუხაა..." 84

ახალი თარგმანები

ლუის დე ბერნიერსი
დასვენების ერთი დღე მეჯვედ ერგილისათვის 90

ფოტო გარეკანზე ლევან ხერხეულიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკა მორჩილაძე

მოგონებები ჩემი მეგობარი კაი ბიჭის შესახებ

შემთხვევითი ამბავი



დილის თერთმეტის ნახევარზე ჩვენი ქალაქის მთავარ მოედანზე ვიყავი, ქალაქის თავის სასახლის შორიახლოს.

მარცხნივ ერთი ქუჩა ადის და იმ ქუჩაზე მავან ებრაელს, პეტროვიჩს ეჭირა ოფისი.

ამ დროს ძალიან ბევრი ხალხი და მანქანა ტრიალებს ხოლმე იმ ადგილას. მოგეხსენებათ, ქალაქის შუაგულია და იმგვარი გნიასია რომ, ყოველთვის, როცა აქით მოვხვდები, ვცდილობ ჩქარა გავიარო ის ხმაურიანი ადგილი, სადაც ყოველი მხრიდან გიტევენ ხმები და თუ დაფიქრდები, ადამიანებიც.

სამსახურიდან საგანგებოდ დავეთხოვე, ვინაიდან, პეტროვიჩთან უნდა მივსულიყავი და სამას დოლარად ერთი ნახმარი, თუმცაღა კარგ ღონეზე მყოფი ლეპტოპი, ანუ ნოუთბუქი უნდა მეყიდა. საჭირო თანხა სამსახურში გამომიყვეს, ამ ფასად თუ იშოვიო და პეტროვიჩსაც დავუკავშირდი. ადრიდანვე ვიცნობდი, ვიცოდი, რომ ნახმარი ტექნიკით ვაჭრობდა და შეპირებულიც იყო, შინაურულად და იაფად ნორმალურ რაღაცას გაყიდინებო.

ეს სამასი დოლარი საიმედოდ ჩავიკეცე ჯიბეში და პეტროვიჩის ოფისისკენ გავსწიე: როგორც მოგახსენეთ, ქალაქის თავის სასახლის კიდეზე ადიოდა გრძელი ქუჩა და იქ ერთ ეზოში, სრულიად არეულად, პეტროვიჩს ოთახები ეჭირა: ოფისები ჰქონდა სარდაფში, მეორე და მეოთხე სართულებზე.

ადგილს დანიშნულ დროს მივაღწიე, ოღონდაც ერთი ძველი მეგობარი გადამეყარა, რომელიც კარგა ხანი იყო, არ მენახა.

საერთოდ, იშვიათად ვნახულობთ ერთმანეთს, მაგრამ როცა კი შევხვდებით, წამსვე აღდგება ხოლმე ძველი მეგობრობა, რადგან ვერაფერი შეცვლის ბავშვობის გულუბრყვილო დროებას.

აქ კი ის უნდა ვაღიარო, რომ მე თვითონ კაი ბიჭი ვერა ვარ, ის ჩემი მეგობარი კი ერთი განთქმული გარეუბნის მკვიდრი, კაი ბიჭია და კაი ბიჭურადაც ცხოვრობს.

ძმურად გადავეხვიეთ ერთმანეთს.

ადრე, შემოვლა და ძრწოლვისმომგვრელი კაიბიჭური ისტორიების თხრობა, საცხო ცხოვრების განხილვა იცოდა ხოლმე. ბოლო დროს კი დამეკარგა, აღარ გამოჩენილა.

ზედ ქალაქის თავის სასახლის კიდეზე იდგა და აბოლებდა სიგარეტს, კოხტად, კაიბიჭურად ჩაცმული და შესაბამისად მოვლილი. ყველაფერი შავი ეცვა, მხოლოდ პერანგი მოუჩანდა მუქი ნაცრისფერი, გაზაფხულის დღის ამ ადრიან საათს.

მარტო კი არ იყო, ერთი ტანდაბალი, თითქოს რაღაცაზე გაბრაზებული ჯეელი ახლდა, რომელიც არც კი გამაცნო. ჩვენ რომ ხალისიანი მასლააათი გავაბით, ის ტანდაბალი ჯეელი საერთოდაც გაგვერიდა, შორიახლოს დადგა და იმგვარად დამიწყო თვალიერება, რომ მივხვდი, ისიც კაი ბიჭი უნდა ყოფილიყო.

რა უნდა გველაპარაკა, გამოიარე, გამოიარეს ძახილი და თანაც, დიდად რომ არც ხარ მოწადინებული რომ გამოიაროს. გულწრფელად თუ გინდათ, ამგვარი ლაპარაკი სულ ასეა, გამოიარე, ჰაი, ჰუი და არაფერი. აქეთ რა გინდაო და იმ ეზოში საქმეზე მივდივარ-მეთქი. სხვა რა უნდა გველაპარაკა იმ საქალაქო ხმაურში.

უცებ კიდევ ეს ჩემი ძველი მეგობარი კაი ბიჭი მეკითხება, ოქრო, ერთი მითხარი, როგორი ფეხი გაქვსო.

ამდენი წელიწადია ვიცნობ და ჩემი ფეხით არასდროს დაინტერესებულა. აბა, რა ვიცი, როგორი ფეხი მაქვს, თუმცა, მალევე დავიჯერებ, რომ მაინცდამაინც კარგი ფეხი არ მქონია. ჩემთვის, თორემ მისთვის ალბათ კარგი გამოდგა. უფრო სწორად, იმას ცუდი ფეხი ჰქონია ჩემთვის, მე კი კარგი მისთვის. ამის თქმა მეუხერხულება, მაგრამ ასე კი გამოვიდა და რას იზამ?

ამ ზერელე ლაპარაკში რომ ვართ და იმ ტანდაბალმა, შორიახლოს მდგომმა კაი ბიჭმა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

შეუძახა ჩემს მეგობარ კაი ბიჭს, დავაიო და ამანაც კიდევ ერთხელ გადამკოცნა, დავაი, აუცილებლად გნახავო.

ქუჩაზე გადაირბინეს და მეც დავიძარი ნელ-ნელა პეტროვიჩის ოფისისაკენ.

ხო იცი, თვალს რო გააყოლებ კაცს. ქუჩის მეორე მხარეს გადაირბინეს და ის ტანდაბალი კიდეზე მიყენებულ ძველ მანქანაში ჩაჯდა და დაქოქა. ვიფიქრე, ეს ჩემი მეგობარიც მიუჯდება და წავლენ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად.

აი, ამან გამაკვირვა და იმიტომაც შევყოვნდი ზედ პეტროვიჩის ეზოს ალაყაფთან.

მშვენივრად დავინახე ყველაფერი: ჩემი მეგობარი სულ სხვა მანქანას მიიდგა, იმას, რომელიც მისი ტანდაბალი მეგობრის მანქანის უკან იდგა და ის იყო ვიფიქრე, რომ ამ ოხერს რა კარგი მანქანა დაუთრევია-მეთქი, რომ წამსვე გაირკვა: მანქანა კი არ დაუთრევია, არამედ ახლა აპირებს დათრევას და მე კი ამის შემსწრე ვარ.

ჩემმა მეგობარმა რაღაც უცნაური ხელსაწყო დაადრო უბიდან და წინაკარის საკეტთან წამოიწყო ფაციფუცი, ხოლო იმ კარგმა მანქანამ საშინელი წივილ-კივილი ატეხა. ხმაურიანი ადგილი რომ არ ყოფილიყო, ის წივილ-კვილი მთლად შეძრავდა იქაურობას, მაგრამ იმდენ მანქანასა და ხალხში ალბათ იკარგებოდა. ჩემი ანგარიშით, მისი პატრონი ქალაქის თავის სასახლეში უნდა ყოფილიყო რაღაც მეტად მნიშვნელოვან საქმეზე. იქ კი აბა სად და რას გაიგონებდა.

მანქანის კივილის მიუხედავად, ჩემს მეგობარს ფაციფუცი არ შეუწყვეტია, კარი საკმაოდ მალე დაიმორჩილა და სასწრაფოდ ჩახტა მანქანაში.

მანქანა კი კვლავ კიოდა.

და უცებ დადუმდა. რაღაც უეშმაკა ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა.

მშვენივრად იპარავდა მანქანებს. ეს ადრეც ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე პირისპირ შევესწრებოდი.

ვიდექი პირდაღებული და ვუყურებდი.

და უცებ, ქალის ხმა მომესმა, ნახე, ნახე, მანქანას იპარავენ ის ორნიო.

მოვიხედე და ორი ქალი ამომდგომია გვერდით, ერთი ამათგანი კი განსაკუთრებული ეჭვით შემომცქერის.

კაი გვარიანი დეიდა იყო, ფუმფულა, ოღონდაც ზოგადად ბრაზიანები რომ არიან ხოლმე. უფრო ხმამაღლაც დასძახა, მანქანას იპარავენო და მეც შემახურა, კაცი არა ხარ, გაინძერიო.

ამასობაში ჩვენს ჯგუფს ხელჩანთიანი პასიური კაცი და ერთი ყმაწვილი შემოემატენ. კაცს სანაბობა უფრო აინტერესებდა, ყმაწვილი კი ალბათ გამოცდილების შეძენის მიზნით შესცქეროდა ამ მოულოდნელ მოვლენას საქალაქო ხმაურში. ვიფიქრე, ახლა კი გავქრები აქედან, პეტროვიჩის ოფისში ავალ-მეთქი, რაც გამოუცდელობის ბრალი თუ იყო, მაგრამ ადგილიდან ვერ დავიძარი, რადგან სრულიად მოულოდნელად ჩემი მეგობარი კაი ბიჭი მანქანიდან გადმოვიდა და წინა მანქანაში მჯდომი თავისი მეგობარი კაი ბიჭისკენ გაქანდა, რაღაც უთხრა და ისიც მსწრაფულ გადმოხტა, თავისი დაფახფახებული მანქანის საბარგულს ეცა და იქედან ტროსი ამოიღო.

ეტყობა, ჩემმა მეგობარმა გასაბაცებელი მანქანა ვერ დაქოქა და გადაწყვიტეს, ტროსჩაბმული წაეყვანათ. დიდად თავზეხელაღებული ბიჭები იყვნენ. სასახლის წინ, მილეთის ხალხის დასახახად, ტროსს აბამდნენ და ისე მიყავდათ მანქანა. თანაც, ჩქარა ვერ დაიძრებოდნენ, გარშემო სულ მანქანები იყო. მეტი თავზეხელაღებულობა რაღა გინდა.

ტროსი თვალისდახამხამებაში ჩაბეს და ისევ ჩასხდნენ თავთავიანთ ადგილებზე, ჩემი მეგობრის მეგობარმა დაქოქა და ნელა დაძრა.

ჰოდა, სწორედ ამ დროს შეჰკივლა ფუმფულა დეიდამ:

– იპარავენ! ხალხი არა ხართ? მანქანას იპარავენ!...

მოსეირენი უკვე ათი-თორმეტი ვიქნებოდით, ისინი კი ნელა დაიძრნენ ქუჩიდან და ნაკადშიაც ჩადგნენ, ტროსჩაბმულ მანქანას ვინ არ გაატარებდა?

უკვე მოედანზე იქნებოდნენ, როცა პირველი პოლიციელი მოვარდა.

პოლიციელები ყოველთვის დგანან ქალაქის თავის სასახლესთან და ეს ბიჭები ამიტომაც იყვნენ თავზეხელაღებული ბიჭები, რომ სწორედაც რომ ერთი დუჟინი პოლიციელის თვალწინ გაიტაცეს ის საუცხოო მანქანა.

სამასი დოლარი ჯიბეში მაქვს ჩაკეცილი, ფუმფულა დეიდა კი პოლიციელს უკივის.

დანარჩენები ვდუმვართ. სად იყო სად არა და უფორმო პოლიციელებიც მოქანდნენ. ეტყობათ, რომ პოლიციელები არიან, მადიანი ხალხია.

და უეცრად ბრბოდან გამოდის სულ სხვა დეიდა, რომელსაც ხელში მაწვნის ბოთლი უჭირავს და ამბობს:

– ეს იყო.

ჩემზე ამბობს.

– მაღაზიიდან დავინახე იმ ბიჭებს ელაპარაკებოდა, აგე იქ იდგენ. მერე მოიპარეს იმათ შავი მანქანა. ეხლა რო დგას წესივრათ...

ეს გალსტუკიანი კაცი ჩემზე მოიწევს. პატრონი ჩანს, მსუქანა პოლიციელები კი აკავებენ და მე ქეჩოში მავლებენ ხელს, ანუ მეც მაკავებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ სულ სხვანაირად.

ჩაეგდე მანქანაშიო, ამბობენ.

- ეს იყო, ნამდვილად ეს იყო, - ამბობს ქალი, გადაკოცნა და მერე ის ბიჭი მანქანაში ჩაჯდა.

- წამობრძანდი შენც ჩვენთან, - ამბობს ერთი უფორმო პოლიციელი.

- არ წამოვალ, - აღიარებს ქალი - მერე ეს მოვა და ოჯახს ამომწყვიტავს.

საბუთებს მართმევენ, მჩხრეკენ. ესეც უბეში ჩაკეცილი სამასი დოლარი.

ლურჯპერანგიანმა ჩაიდო გულის ჯიბეში. კიდევ კარგი, დავიმახსოვრე ის ლურჯპერანგიანი. სამსახურის ფულია.

რამდენი ხალხი შეგროვდა.

ჩამტენეს მანქანაში.

ეჰ, მე თვითონ ვერა ვარ კაი ბიჭი. ასე კი გამოვიდა, რომ ერთი ძველი მეგობარი მყავს კაი ბიჭი და ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, კაი ბიჭებში მოვხვდები ხოლმე.

ეს პოლიცია რა ყოფილა.

პოლიცია ყოფილა, თუ ყოფილა.

ლურჯპერანგიანი ბოროტად მელაპარაკებოდა, ჭრელპერანგიანი კეთილად. რიგრიგობით. ლურჯპერანგიანმა წამომარტყა კიდეც. სამწუხაროა, როცა აღმოაჩენ, რომ არავინ ხარ.

სასტიკ უარზე გავედი, არაფუ გადამიკოცნია, არც კი შემხვედრია ვინმე-მეთქი. პეტროვიჩი დავასახელე, საერთაშორისო ორგანიზაციის გრძელი სახელიც, იქ ვმუშაობ-მეთქი. ჩემს პრიალა საბუთს კარგახანს ატრიალებდნენ მსუქან თითებში.

გულისმკვლელი ის იყო, რომ მოიყვანეს პეტროვიჩი: დიდი, მსუქანი, ოდნავ დაღლილი, ოფლიანი, კეფაზე ფესით, ცისფერ პერანგსა და თეთრ შარვალში.

გულისმკვლელი სწორედ ეს იყო, რომ პეტროვიჩმა თქვა, ამ კაცს პირველად ვხედავ და საერთოდაც, მოდით და შეაბოწმეთ ჩემი ოფისი, იქ თუ ნახავთ არათუ კომპიუტერს, თუნდაც რადიოსო. თუ ნახავთ კომპიუტერს და რაც გინდათ, ის მიყავითო, ესეც არ დაივიწყოთ, რომ ამ ქალაქში კი დავიბადე და აღვიზარდე, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქე ვარ და ფრთხილად [illegible]ავითო. აქ რომ მოვედი, მხოლოდდამ[illegible]ოდ იმიტომ, რომ პატივსა ვცემ კანონ[illegible]ს და არა იმიტომ, რომ ვალდებული ვ[illegible], რაღაცეები გითხრათო.

ამაზე ლ[illegible]ჯპერანგიანი აღშფოთდა, ველარ გავიგე[illegible]ენი ვინ არიანო, ეს უცხოელი ყოფილ[illegible], ეს უცხოელებზე მუშაობსო, ვინღა ვართ ეს საქართველოო.

თქვენა ხართ-მეთქი. ვთქვი უცებ და უცებვე მივხვდი, რომ სულ ყველაფერი მეტირა.

- ვინ?- ჩამეკითხა ის.

თქვენ-მეთქი. შენ და ის მანქანის გამტაცებლები-მეთქი და ლაწან. მართლა სცოდნია თვალებიდან ვარსკვლავების გამოყრა.

შენო, მე კიდე გამიხსენებო და შევაგდოთო, გამოუცხადა იმ მეორეს, ვითომ კეთილს, გაუყარა პეტროვიჩს ხელკავი, ამას მე დაველაპარაკებიო და გაიყვანა იმ ბინძური ოთახიდან.

ჭრელპერანგიანმა კეთილმა კი ამიხსნა, რომ მართლა მძიმე მდგომარეობაში ვარ. აქამდე არ მეუბნებოდა, მაგრამ მანქანის გამტაცებელები დაჭერილები არიან და ამბობენ, რომ შენც მათთან ერთად იყავი, თუმცა, რახან მანქანის გატაცებაში უშუალოდ არ ჩაბმულხარ, იოლად გამოსვლა შეიძლება და თუ ჩვენებას დამინერ და მათ ვინაობას დაასახელებ, ეგებ იაფად მოგვარდეს საქმეო. სულელურად მელაპარაკებოდა, თუ დაეჭირათ, მე რაღას მეკითხებოდნენ მათ ვინაობას. ეს რომ ვუთხარი, მომიგო, ისინი სამმართველოში სხედან და ჯერ ვინაობა არ მიკითხავს, ახლავე დავრეკავ და თავადაც დარწმუნდები, რომ არ ვტყუოვარო.

რატომღაც არ დაურეკია, თუმცა, ტელეფონი იქვე იყო.

მომცა კალმისტარი და ფურცელი, დაწერე ჩვენებაო. დაგწერე, რომ პეტროვიჩთან მივდიოდი სამსახურის სამასი დოლარით და შემთხვევით შევესწარი მანქანის გატაცებას, რასაც სხვებიც შეესწრენ.

ეწყინა. ჩემი არ გესმისო.

ამასობაში კი იმ საშიშარმა ლურჯპერანგიანმა შემოიხედა, ჰა, როგორ არი საქმეო.

ვითომ კეთილმა კი მითხრა, იოლად [illegible]ველარ გამოხვალ ამ საქმიდანო, აღძრულიაო [illegible] და აღძრულის დახურვას დასჭირდება [illegible]ეო. ანუ თანხები.

დიდად დავიბანჯე. მეტად შემეშინდა.

ფეხი, ფ[illegible]�იო. რა ფეხზე შემხვდა ეს ოხერი და მუდრ[illegible]ი?

ლამის დღე გ[illegible]ულიყო.

იმ კეთილმა, სახლში დარეკეო მირჩია, შეატყობინე, რაცა გჭირსო, რომ დაკავებული ხარო. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ წესიერი ბიჭი ჩანხარ და ადამიანური ლაპარაკი გესმისო. დაურეკე, უთხარი რომ ასეაო, მოვიდეს ვინმეო, ან მამაშენიო, დავილაპარაკებთ და გავარკვევთო. ძალიან ეწყინა, როცა შეიტყო, რომ მამაჩემი გარდაცვლილია. მამამისის • გარდაცვალების ამბავსაც მოჰყვა. მერე წვრილად გამომკითხა, თუ რას საქმიანობს ჩემი სამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე, რაღაც წამლის კოლოფი ამოიღო და მოხმარების წესის გადათარგმნა მთხოვა.

სახლში არ პასუხობდა და ჩემს ცოლს სამსახურში დავურეკე, მანქანას ვიპარავდი და ვზიარ-მეთქი.

სხვა უბნის პოლიციაში კი აღმოვჩნდი, მაგრამ ჩვენი უბანი მაინც ძლიერი უბანია. ამ მხრივ მაინც. წვრილფეხობასთან განსაკუთრებით. ჩვენ უბანს ეს შეუძლია, თუ შეუძლია.

ერთ საათში გამომიშვეს. სამუდამოდ. ლურჯ-პერანგიანი აღარც გამოჩენილა. ალაყაფთან ჩემი ცოლი და ჩვენი უბნის ტაქსისტი მურაზა მელოდნენ. ვითომდა, დეკაბრისტის ცოლი ყოფილიყო. ის კიდევ, იამშჩიკი. მემარხილე, ასე ვთქვათ. ძალიან აგინა მურაზამ პოლიციელებს. რა თქმა უნდა, ჩემთან საუბარში.

გამომიშვეს და ჩემი სამასი დოლარიც გამომატანეს. დიახ. ჩვენს მეზობელს, ერთ კაი კოხტა დეპუტატს ეშველა. ჩვენს უბანში ასეა, მეზობლები სულ დეპუტატები არიან.

პოლიციის უფროსი საგანგებოდ გამომეთხოვა, ვირები უწოდა თავის ხელქვეითებს და გაიქაჩა, ჩემი მანქანით გაგისტუმრებთო.

თუ მთლად მეზობელი არ არის დეპუტატი, ქუჩის გადაღმა მაინც ცხოვრობს. ასევე, მთავარი ექიმი, ანდა მაგალითად, გამოჩენილი ადამიანი.

ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა კი სულაც არ იცის, რომ ასეა.

პეტროვიჩთან აღარ მივსულვარ. კომპიუტერის საკითხში ვიღაც სხვა მიმასწავლეს და საერთოდ, უკეთესად გამოვიდა.

ეჰ, ასე ვცხოვრობდით, ბედნიერად და ტკბილად, ოღონდაც ერთ მშვენიერ დღეს, ამ ამბიდან ბარე ორი თვის შემდეგ, საღამოჟამს შინ პოლიციელები მეწვიენ.

იშვიათი ზრდილობის ხალხი გამოდგა. სხვა ქვეყანაში იმათ[illegible] მასლაათი და კოკტეილის სმაც კი მოხერხდებოდა. ერიი ჩვენს ძველ სავარძელში ძალიან მოკრძალებულად ჩაჯდა. მეორე მელოტი იყო, პოლკოვნიკი. ძველი [illegible]ობის კაცი გაბლდა. საქალალდეც კი გაშალა და [illegible]ალდები გადმოალაგა ჟურნალების მაგიერ[illegible]ზე. ზედ[illegible]ნევნითი კეთილგანწყობით შემახსენეს ის მცირე გაუგებრობა, თავს რომ გადამხდა და კიდევ ერთხელ მოიბოდიშეს, რა სისულელე მომხდარა მაშინო.

ოღონდაც, ერთი ფორმალობა ყოფილიყო მოსაგვარებელი.

სამწუხაროდ, მანქანის ქურდები ვერ დავაკა-**ვეთო, ანუ** მითხრეს. ხდება ხოლმეო, დავიჭერითო. **ოღონდაც,** მცირე რამ უხერხულობა შეიქმნა და ოფიციალურად უნდა დაგვიდასტუროთ თქვენი პოზიცია და სულ ნახევარი საათით წამოგვყვეთ, მიგიყვანთ და მოგიყვანთო, ბატონმა ჯეკალმაც იცისო.

ჯეკალი ჩემი მეზობელი დეპუტატი გახლავთ.

საქმე ის არის, რომ მაშინ, იმ მანქანის გატაცებისას, თქვენს წინააღმდეგ ერთმა ქალმა ჩვენება მისცაო. არიან ამგვარი ადამიანები, ასეთი ქცევით გამორჩენას ელიან და ჩვენი ამოცანაც ეს არის ხოლმე, რომ ნამდვილი და ტყუილი ერთმანეთისგან გამოვარჩიოთო.

ის ქალი, სრულიად მდაბიური მდგომარეობისა, შემთხვევის ადგილიდან შორიახლოს ცხოვრობს და აბა გაიხსენეთ, როგორი გაალმასებით ამბობდა, რომ თქვენ გამტაცებლებს ესაუბრებოდითო.

ქალის სახე ვერ გავიხსენე.

მათ კი განაგრძეს: სწორედ რომ წუხელ დიდად რთული შემთხვევა მოხდაო, ამ ქალის ქმარიო, ორმოცდათორმეტი წლის კაცი ეზოდან გამოიხმო სამმა უცნობმა და სასტიკად სცემაო, იმგვარად სცემა, რომ დილამდე ვეღარ გაირკვა, იოცხლებდა თუ განისვენებდაო. ახლა საავადმყოფოში წევს და ცოლი კი აცხადებს, რომ რახან თქვენს წინააღმდეგ ჩვენება მისცა, თქვენ შური იძიეთ და მისი ქმარი აცემინეთო. ეს, რა თქმა უნდა სისულელეა, რადგან კარგად ვიცით, რა ყაიდის და ოჯახიშვილობის ახალგაზრდა კაცთან მოვედით, ოღონდაც, რახან საბრალო ქმარს ცემისას რამდენჯერმე უთხრეს, ენას ამოგჭრითო, აუცილებლად უნდა მიგიყვანოთ მასთან და მან უნდა დაადასტუროს, რომ თქვენ მის მცემელთა შორის არ ყოფილხართო.

აი, რა უბედურებაა.

საავადმყოფოს დერეფანში ის პატარა ქალი კიოდა, ეს მიკლავდა ქმარსაო. ნათესავებიც მრავლად იყვნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ გადავიხდი და გამშვებენ, ის საბრალო კაცი კი ინვა დაბინტული, დასიებული და მთლად გაუბედურებული. პოლკოვნიკმა ჰკითხა, ცნობ თუ არა ამ კაცსაო და მან იუარა.

დერეფანში კივილ-კივილით და წყევლით მომაცილებდნენ.

შინ მოვედი და ლამის სიკვდილი გადავწყვი-[illegible] აღარც მახსოვს, რას მელაპარაკებოდნენ ტე[illegible]ციანი პოლიციელები და რა ქაღალდებს ზრდილო[illegible]ასაწერად მანქანაში. მჩრიდნენ ხელ[illegible]

კაფედან ჩემმა ცოლ[illegible]ომ დამირეკა: ჩვენი მეგობრები ყოფილიყვნენ იქა და [illegible]ამოდიო. ადგილიდანაც ვერ დავიძარი ამის ოხერი[illegible] და უბედური სულ ყველაფერიც რა ვთქვი.

ჩემთვის მივდიოდი, კომპიუტერი უნდა მეყიდ[illegible] კაი ნახმარი კომპიუტერი იყო. იმ საბრალო ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა სახელი და გვარიც არ ვიცოდი და საიდან მოიტანა, რომ მე ვაცემინე? სისულელე არ იყო? მაგათში თუ ეგრეა, ჩემთვის ნამდვილად არ არის ეგრე.

ერთი ხანობა ისიც ვიფიქრე, ეგებ ამ ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა შეიტყო რაც გადამხდა და შურისძიების მიზნით თავს დაესხა იმ საბრალო და თახსირი ქალის-ოჯახს მეთქი.

კაიბიჭურ ამბავში მთლად საფუძვლიანად ვერ ვერკვევი, ამიტომ არ ვიცოდი, ასეთი საქციელი მათი წესებით მიღებულია, თუ არა. ანუ, კაი ბიჭურად თუ გამოდის ამგვარი შურისძიება დაბეზღებისათვის. ანდა, ეგებ ის მთლად გაუბედურებული ქმარი საქმის ნამდვილ არსს მალავდა და ცოლმაც ეს შემთხვევა გადაიხვია ხელზე. ისევ და ისევ ხელის მოთბობის მიზნით.

მოგეხსენებათ, მე თვითონ კაი ბიჭი ვერა ვარ, მაგრამ ეს ძველი მეგობარი მყავს კაი ბიჭი, ამიტომ, ზოგჯერ კაი ბიჭებშიც აღმოვჩნდები ხოლმე. განა ვერ ვხვდები, რომ კაი ბიჭთან მეგობრობა ძნელია? აგე, რა ამბავში გავეხვივ.

იმ დღესაც ასე მოხდა: დილის თერმომეტრის ნახევარზე ქალაქის თავის სასახლესთან რომ ჩემი მეგობარი კაი ბიჭი შემხვდა და იმ დღესაც, როცა შინ ვბრუნდებოდი და სადარბაზოსთან კი ერთი უბრალო მანქანა დამიხვდა, საიდანაც ჩემი მეგობარი კაი ბიჭი გადმოვიდა და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ, როგორც დიდი ხნის უნახავი კომპანიონები, რადგან მართლა ძალიან დიდხანს, იმ დღის შემდეგ არ გვენახა ერთმანეთი.

იმგვარად ჩამიჭირა, რომ უარი ვერ ვუთხარი. საჭესთანაც კაი ბიჭი იჯდა, ოღონდაც ის კი არა, მოედანზე რომ ახლდა, სხვა. სახლში მოგაკითხე და მხოლოდ დედაშენი იყო შინ, ამიტომ გარეთ ვიცდიდიო, ასე მითხრა და დავიძარით გვარიანი სიშორის ალაგისაკენ, სადაც, ქალაქგარეთა რესტორნის კუჯეში ბარე ოცდახუთი კაი ბიჭი შეკრებილიყო.

ალბათ სირცხვილია, მაგრამ მე არ მახსოვდა, რომ ადრიანი შემოდგომის ამ დღეს ჩემი მეგობარი კაი ბიჭის დაბადების დღეა.

ხოლო სუფრას სულ კაი ბიჭები უსხდნენ და მოგვიანებით კი ორი ქურდიც მოვიდა. ორი სული ქურდი, მგონი ასე უნდა ვთქვა. რახან კაი ბიჭი ვერა ვარ, ზუსტად არ ვიცი და ამიტომაც, თავს ვერ გამოვიდებ.

მოკლედ, ასე მოხერხდა, რომ კაი ბიჭებში ვიჯექი, საუბარი კი ადამიანობას გადასწვდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი კაი ბიჭის წინამძღოლობით, ყველამ აღიარა, რომ პატიოსან ადამიანებთან ურთიერთობას დაეძებენ და რა ბედნიერებაა, როცა პატიოსანი ადამიანი მართლა პატიოსანია და არა ბოზი.

დიახ, სწორედ ასე აღნიშნა ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა და თქვა, რომ ამ სუფრაზე ვზივარ მე, პატიოსანი კაცი, რომელსაც ძმობა არ ეშლება, სხვათა შორის, ბავშვობიდანვე, ანუ იმ დროიდან, როცა ბევრი აზრზე არ არი, მე კი სულ აზრზე ვიყავი და ეს არაერთხელ უნახავს.

საერთოდ კი, გაირკვა, რომ ცხოვრება გამოცდაა და მე ეს გამოცდა არაერთხელ გამივლია, სულ ბოლოს კი გაზაფხულზე, როცა მისი და ფიშტონას გულისთვის სროკზე მივდიოდი.

ის ტანდაბალი და ბრაზიანი ფიშტონა ყოფილა. ყველაფერი სცოდნოდათ. საკვირველიც იქნებოდა სხვანაირად რომ ყოფილიყო.

მე შინაურულად მოვიკითხე ფიშტონა, რომელსაც უკვე ჩაჯდომა მოესწრო. ოღონდაც სულ სხვა საქმეზე.

თანაც, ჩემი მეგობარი კაი ბიჭი დადასტურებით ამბობდა, საქმეზე რომ მიდიხარ, ეს თუ შეგხვდა, იღბალი ზედა გაქვს, ასეთი კაი ფეხის ადამიანი იშვიათად შეგხვედროდეთო.

აჰ, ეს არი ის კაი კაციო, იკითხა უცებ ერთ-ერთმა ქურდმა, რომელსაც ჩემი კაი ფეხის ამბავი გაეგონა.

მე რა ვქნა? მე ხომ კაი ბიჭი არა ვარ.

სიმართლე ითქვას და დავლიე. ოღონდაც, ვფიქრობდი, ემანდ ენის ჭარტალს არ მოვყვეთქი, რადგან გამეგონა, როცა კაი ბიჭებში ზიხარ, ყველაფერს უნდა დაუკვირდეო. არ მოვყოლილვარ ენის ჭარტალს, ვერ ვიყავი ხასიათზე. ვერ ვიყავი და ვერც მოვედი.

ნაშუაღამევს გამომაცილეს. არც ვიცი, სად არის ის რესტორანი. გზა ბნელი იყო და როცა კიდევ ერთხელ გადავეხვიეთ ერომანეთს სადარბაზოსთან, ვერ მოვითმინე და ვკითხე:

- ის კაცი შენ ცემე?

- ვინ?

- ის კაცი... იმ ქალის ქმარი.

- ძმა ხარ, - სწორედ ასე მითხრა და გადამეხვია - ძმა ხარ. დამიკოცნე ცოლ-შვილი... - ჩაჯდა და წავიდნენ.

რა ვქნა?

მე ხომ კაი ბიჭი არა ვარ, რომ ეს ამბავი ფიშტონასავით გადავიტანო?

მხოლოდ ერთი ძველი მეგობარი მყავს, კაი ბიჭი და ისე გამოდის, რომ ზოგჯერ გადავეყრები ხოლმე.

მინდოდა უფრო კოხტად მომეთხრო ეს ამბავი, მაგრამ ჯანდაბას, კოხტად ვერ მოყვები.

ჯანდაბაა, მაშ რა?

პეტროვიჩზე ველარ ვკითხე, ეგებ პეტროვიჩიც დაჯარიმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდუჭირის სამი წარმომადგენელი

აკი მოგახსენეთ, მე კაი ბიჭი ვერა ვარ-მეთქი. ამისა არც თავი მაქვს, არც გამბედაობა და არც ვემხრობი საქმის ასე წაყვანას.

არც მიფიქრია ოდესმე, რომ კაი ბიჭი ვყოფილიყავი. საერთოდ, არ მოვხვედრილვარ ისეთ ამბავში, საიდანაც კაი ბიჭად გახდომა იწყება ხოლმე. რომ მოვხვედრილიყავი, ალბათ გულიც გამისკდებოდა: ვერ მივიდოდი იქამდე, საიდანაც კაი ბიჭობის სურვილი იღვიძებს.

მაგრამ მე ერთი ძველი მეგობარი მყავს, კაი ბიჭი და ისე გამოდის, რომ ხანდახან, ძალიან იშვიათად კაი ბიჭების ცხოვრებასაც გავედები ხოლმე უშნოდ. დაახლოებით ისე, ჯიბის ქურდი რომ გაედება ავტობუსში თავის მსხვერპლს, "უკაცრავად, უკაცრავადო", რომ იტყვის და თანაც საფულეს გააყოლებს ხელს.

ისინი საფულეს გააყოლებენ ხოლმე ხელს, მე ამბავს გამოვაყოლებ.

ეს ამბავი კი ისეთია, რომ სამუდამოდ მამახსოვრდება, ვინაიდან ჩემი მეგობარი კაი ბიჭი არასოდეს იქცევა ისე, რაიმე რომ მიგავიწყოს.

ჩვენი ცხოვრება გამოლმა უბნებში კი ისეთია, რომ ხანდახან მაინც, აუცილებლად გამოგაფხიზლებს და ჩაგაფიქრებს გარეუბნელი კაი ბიჭი: თმა ძველებურად შეუჭრია, სულ უბრალო, შავი ტანსაცმელი აცვია და მეგობრობაც ძალიან მოულოდნელად ესმის. არც რევოლვერი აქვს ისეთი პრიალა და ძვირიანი, როგორიც გამოლმელ მაგარ ბიჭებს და მანქანაც საეროდ არ ჰყავს. თვალები კი მტკიცე და უტეხი: ზადნის არ მივცემო.

მისი მეგობრობა მოულოდნელი და ტვირთიანია და ალღო თუ ვერ აუღე, წახდები. როგორც თავადვე იტყვის, შვიშტოკი შეიქნები. შვიშტოკს ჩემნაირ ახლობელ ვინმეზე იტყვის, თორემ ვინც არ უყვარს, იმას სულ სხვა სიტყვით მოიხსენიებს.

მასთან მეგობრობა, მისი ტერიტორიაა, თუმცა, ამ ტერიტორიაზე შენთვის პატარა ავტონომიაც აქვს, რადგან უყვარხარ. ძალიან პატიოსანი ავტონომიაა, თუმცა შფოთავს, როგორც ყოველი ავტონომია, არ გავითქვიფოო.

საერთოდ, ჩვენ იშვიათად ვნახულობთ ერთმანეთს. ზოგჯერ წელიწადიც გასულა და ვერ შევხვედრივართ. ამის მიუხედავად ვიცი: ის გამოჩნდება, მე კი თავიდან აველილდები, როგორც ყოველი ავტონომია, რომელიც მეტროპოლიის ფათერაკის მონაწილე უნდა შეიქნეს, მაგრამ მალე დავმშვიდდები და ასე გავატარებთ საღამოს, რათა მერე კვლავ გადაიკარგოს.

ზოგჯერ მას საქმე აქვს ხოლმე ჩემთან - მაგალითად მაშინ, როცა ტოტალიზატორი გაიტაცებს. კაი ბიჭს არაფერი ავიწყდება და კარგად ახსოვს, რომ მე კარგახანია გამიტაცა ტოტალიზატორმა. ვიცი, რომ ფეხბურთს იშვათად უყურებს, მაგრამ ტოტალიზატორი კი გაიტაცებს ხოლმე და დამეკითხება, უცებ და მოულოდნელად, ზამორის ქარიან ღამით, ძალიან შორიდან:

- პიაჩენკაზე რა აზრი გაქვს?

მაზავიკური ლაპარაკი შეუსწავლია: ისინი სწორედ ასე გეკითხებიან, რა აზრი გაქვსო.

მე კი წარსულ ზაფხულს ერთი რამ შემეშალა. შევცდი, ასე ვთქვათ.

მშვენიერი სამსახური მაქვს: მიდი, ცოტა საქმეს მიხედე, ცოტა ილაზღანდარე კარგ-ბიჭებთან, ცოტაც, ფული აიღე და იყავი ტკბილად. მეტი რაღა გინდა?

არც არაფერი.

ამის სანაცვლოდ კი ისე გამოვიდა, რომ წარსულ ზაფხულს, სამსახურშივე, ჩემს კომპიუტერზე, რომელსაც ერთგულებისა და ძმობისთვის ადრევე დავარქვი "ბასმაჩა", პიესა დავწერე.

პიესის იდეა წიგნების კითხვამ და საერთაშორისო ვითარებამ გამოიწვია. რახან კარგი სამსახური მაქვს, ისეა, რომ ორ-სამ თვეში ერთხელ მაინც ვყიდულობ წიგნებს და უცნოურ საინფორმაციო არხებსაც მეტი მონდომებით ვუცქერ, ვიდრე ჩვენსას. ეს კი რაღაცას დაგაწერინებს.

განა ასე არ არის?

აგე, რამდენი მწერალია ჩვენში. იმათ ალბათ, წერის თავიანთი მიზეზები აქვთ, მე კი სწორედ წიგნების კითხვამ და სიენენის და ევრონიუსის ცქერამ ჩამრთო ამ საქმეში.

ჰოდა, დავწერე ეს პიესა და ჩემს კლასელს, გვარიანად ცნობილ რეჟისორს მივეცი.

სულ მალე ისე გამოვიდა, რომ პიესა, რომელსაც "დამდნარი შოკოლადის სადგური" ერქვა, იმ ჩემი კლასელი რეჟისორის კურსელმა რეჟისორმა წაიკითხა, ასევე გვარიანად ცნობილმა, მერე კი ჩემს კლასელ რეჟისორს ჩემთან დაარეკინა და მეც ერთ განთქმულ კაფეში დამითქვა შეხვედრა, სადაც გამომიცხადა, უნდა დავდგაო და გვარიანად ცნობილი სცენაც დამისახელა.

ეს რეჟისორი ტყუილად არ იყო გვარიანად ცნობილი, მხოლოდ დადგმა კი არა, ეგრეთ ცნობილი პრომოუშენიც ეხერხებოდა. მე ის გამეხარდა, რომ ჰონორარი ჩამახუტეს, თორემ თეატრისა აბა რა გამეგებოდა.

მოკლედ, რეჟისორმა არა მხოლოდ დადგა ეს პატარა პიესა, არამედ, ამბავიც ასწია. გაზეთი, ჟურნალი და ტელევიზია არ გამოგვიტოვებია, შედეგად კი ანშლაგები მიიღო. ხალხი განსაკუთრებით იმიტომ აწყდებოდა, რომ სპექტაკლისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზის ორივე კარი იღებოდა და იქედან ტერორისტები შემორბოდნენ. ნახევარ წუთს მაინც ვერ გაიგებდი, მსახიობები იყვნენ თუ ტერორისტები. ვინც წინდაწინ იცოდა, ისიც კი შეეჭვდებოდა ხოლმე, მძევლებად ხომ არ აგვიყვანესო. კარგად გამოსდიოდათ იმ მსახიობებს. როგორც მივხვდი, ტერორისტობა იოლია. ძნელი კაი ბიჭობაა.

მთელს ამ საქმეში ის გამოვიდა, გაზაფხულზე გვარიანად განთქმული შევიქენ და საქმე ისე იყო, რომ მეგაზეთე გოგოებს უკვე ვემალებოდი კიდეც. სამსახური არ მიმიტოვებია, იმიტომ, რომ ჩემი სამსახური მირჩევნია ყველანაირ პიესას. ასეთი სამსახური რომ არ მქონოდა, პიესასაც ხომ ვერ დავწერდი?

ჩემმა ცოლმა კი თქვა, ქარბუქმა რომ შარშანწინ ჩვენი აგარაკის ვერანდას ვარდისფერი შიფერი ააგლიჯა, მთლიანად გამოვცვლით, ოღონდაც ახლა ლურჯს ვიყიდიო. ტალავერის რკინებსაც შევადუღებდი და ჭიშკარსაც შევიძენდი, რომელსაც ახლო მეზობელი ჰყიდდა. ეს მეზობელი მაჩქარებდა, დროზე, თორემ სხვა კლიენტიც მყავსო. მეოთხე წელიწადი იყო, რაც ყიდდა. საერთოდ კი პინგ-პონგის მაგიდაც მინდოდა და სარდაფში ფილების დაგებაც, რადგან მიწიდან ამოუცხონი იერის ჭიები მოძვრებოდნენ ხოლმე. რა გინდათ? ქართველი ვარ. სახლი მირჩევნია სამყაროს და არ შეიძლება, რომ ქარბუქისგან გატაცებული შიფერი დავიბრუნო?

სულ კეთილშობილური აზრები იყო, ასე ვთქვათ. ამასთან ერთად, სახლში სკამებიც გვითავდებოდა, ხოლო სავარძელში ჩაჯდომა ლამის ქვესკნელში ჩავარდნას ჰგავდა. რომ ვთქვათ, პიესამ გაამართლა, ერთდაგვარი ჰონორარი გამოჩნდა.

თანაც, გაზაფხული ხომ იმედისმომცემია.

ჩანს, სხვასაც შეემჩნია და გახარებოდა, რომ წარსულ ზაფხულს პიესა დავწერე. ჩემს მეგობარ კაი ბიჭს ეს ამბავი არ გაუგია, იმიტომ, რომ იმ დროში ორჯერ დამირეკა და სულაც არ უხსენებია ანშლაგები და ფულები. ისე კი, მართლა ბევრი ამხანაგი მირეკავდა და მაქებდა, ზოგს ნანახი ჰქონდა და ზოგიც მეუბნებოდა, ორი ბილეთი არ მერგებაო?

ერთხელაც, სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ვიღაც უცნობმა დამირეკა და ბაასი გამიბა. მამათქვენის ძველი მეგობარი ვარ, გავიგე თქვენი ამბავი, გაზეთი და გადაცემა არ დარჩენილა, რომ არ შეექეთ და მეც მიხარია, რომ კვიცი გვარზე ხტისო (სწორედ ასე გამოთქვა). არც შეიძლება, რომ მამათქვენის, ამ საოცარი, კეთილი და დიდი კაცის შვილი სხვანაირი იყოსო.

საბრალო მამაჩემი: ამ ლაპარაკისას უკვე ვიფიქრე, რომ ამ ვიღაც კაცის შვილებს ბილეთები უნდათ და რახან კეთილმოსურნე იყო, რომელიც რატომღაც ბატონობით მებაასებოდა, თავის ვინაობას კი არ მიმხელდა, ვკითხე, ეგებ თქვენი სახელი და გვარი მაჩუქოთ-მეთქი. ეჰო, რა მნიშვნელობა აქვს ჩემს სახელსა და გვარსო, რომ გითხრათ, მაინც ვერაფერს შეგმატებთო: ამას კი მოგახსენებთ, რომ პროვინციაში ვცხოვრობ, ვერ აეწყო ჩემი ყოფა ისე, როგორც მინდოდა, თორემ, მამათქვენს ჩემზე ისეთი ამაგი აქვს, ყოველ კვირას ძღვენით ხელდამშვენებული უნდა მოვდიოდეო.

ძღვენმა შეშაშინა, მძულს ძღვენეულობა.

ისეთი სადღეგრძელოები გააბა, რომ მივხვდი, მთლად ბილეთი არ ენდომებოდა, რადგან ბილეთზე ამგვარად დახარჯვა უბრალოდ წარმოუდგენელია. ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი: ერთი პატარა საქმე მაქვს თქვენთანო, თუ მიმიღებთ, თქვენი მლოცველი ვიქნებიო. კარგი, ხვალ შემოიარეთ-მეთქი, საღამოსკენ.

აჰ, სამწუხაროდო, ამელამ მივყვები ჩემი შორეული რაიონის მატარებელს და ეგებ ახლავე მიმიღოთო. რა მექნა? მისამართი არც უკითხავს, შესწავლილი ვყავდი.

უკვე ვიცოდი, რომ მამაჩემი თვალითაც არ უნახავს ოდესმე.

თხუთმეტ წუთში მოვიდა. დაბალზე ოდნავ მაღალი, სწრაფი, ცქიფინა, მიზანდასახული და წარმოუდგენლად მორიდებული, კეთილი და საბრალო თვალებით.

ოღონდაც, ყველაფერი დაათვალიერა.

ფეხსაცმელებზე რომ არ გაყიდულიყო, ბანკის თანამშრომელი მეგონებოდა.

ილაპარაკა მამაჩემზე, რომლის სურათსაც ორჯერ ჰკიდა თვალი და ისიც ვერ თქვა, ეჰ რა კაცი იყოო, რადგან არ გარისკა. უბიდან რაღაც სია ამოიღო, მათ გასწვრივ ჩაწერილი ციფრებით და მითხრა, ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ბოლო ხანს ხელი გამიმართეს და იცოდეთ, არაფერს დავივიწყებო. მოჰყვა გრძელსა და ჩემი აზრით, ნამდვილ ისტორიას თავისი ძმისშვილისას. ძმა ავარიაში დაღუპულიყო, ძმისშვილი მძიმე სენით დაავადებულიყო, ძმისცოლი ლოგინად ჩავარდნილიყო, ხოლო ბებიას ასევე რაღაც დამართნოდა. ამ ამბისა დღემდე მჯერა, ამდენის მომგონ კაცს არ ჰგავდა. მთელს ამ ისტორიაში ყალბი ის ჩანდა, რომ მამაჩემს იცნობდა და ჩვენი მისამართი წინასწარ გამოეჩხრიკა. ისე ლაპარაკობდა, რომ ას ლარზე ნაკლებს ვერ მიწცემდი. მქონდა ეს ასი ლარი და მივეცი, პიესამდე რომ მოსულიყო, სირცხვილს ვჭამდი. თუმცა, პიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამდე არც მოვიდოდა.

წავიდა იმგვარი ლოცვა-კურთხევით, როგორიც იშვიათად გაგეგონებათ. სულ აშენებული, დამშვენებული და ბედნიერი მენახეთო. სახლმა აშკარად ვერ მოახდინა შთაბეჭდილება, მგონი რაღაც უფრო ბურჟუაზიულს ელოდა. თანაც, საგვარძელში რომ ჩაჯდებოდა, ბევრ რამეს მიხვდებოდა.

ცოლმა მირჩია, დიდხანს არ იფიქრო ამ ამბავზეო. ბოლოს და ბოლოს, ცუდი ხომ არაფერი ჩაგიდენია, მიეხმარეო. დედაჩემი კი სასტიკად გაბრაზდა. შვილი დამცინოდა, დაგახიეს ფულებიო.

ეს ამბავი, ცხადია მალე დამავიწყდა, მხოლოდ საკვირველი ის იყო, რომ ასე ორ კვირაში, ცოლმა დილაუთენია წამომაგდო, ვიღაც გალსტუკიანი კაცი გკითხულობს, ბაბონობით მოგიხსენიებს და არ შემოდის, კართან იცდისო.

ჰოი საკვირველებავ: ქაჩალი კაცი გამოდგა, საკმაოდ შესანები პიჯაკით. იფიქრებდი, სახლმმართველობაში თუ მსახურობს-თქო, ოღონდაც, ფეხსაცმელებით იყიდებოდა.

დაბალზე ოდნავ მაღალი იყო, ცქიფინა და ხმელი, ვითომ მორიდებული, ოღონდაც ყველაფერს ათვალიერებდა, გამორთულ ტელევიზორსაც კი მიაშტერდა. რატომ, არ ვიცი.

მისი ფრაზები ტევადი იყო და სწრაფი. მასწავლებელი გამოდგა, ერთი შორეული რაიონიდან. მგონი პირდაპირ ჩემთან ჩამოვიდა. დაიწყო ლაპარაკი სექტებზე, რომლებიც მის რაიონს მოეძალენ და იმაზე, თუ როგორ ჭირს მათთან ბრძოლა. დიდად გამოცდილი და ნამდვილი მწერალი ვეგონე, რომელიც ამის გამო აღშფოთდებოდა და გაიფიქრებდა, ეს რა კარგი ვინმე მოსულა, თავის შორეულ რაიონში ჩუმად და პატიოსნად აკეთებს საქმეს, სექტებს ებრძვისო. კედელზე ვენეციის ფოტოს შეხედა და თქვა, მეც მაქვს სახლში გოიას ნახატებიო.

საქმე კი იქეთ წასულიყო, რომ რატომღაც შუამდგომლობას მთხოვდა, ეგებ ვინმეს დაურეკოთ და ერთდღიანი სამუშაო მაშოვნინოთო. სრული სისულელე იყო, ოღონდაც ეს სამუშაო ისეც და ისეგ წამლისთვის სჭირდებოდა, წამალზე აკლდებოდა სულ რაღაც ოცდაექვსი ლარი და მე პირდაპირ მივუგე, სამუშაო მე სად უნდა გიშოვოთ, ოცი ლარი კი შემძინდია-მეთქი. გავედი, ამოვიღე ცოლის ჩანთიდან და მივეცი. რომ გამომართვა, მერეღა თქვა, ეს რაღაა, ისე გამოვიდა, თითქოს ფულისთვის მოვედიო, გეგონებათ, სხვა რაბისთვის ყოფილიყო მოსული. პირველი კაცი რომ არ ყოფილიყო, ამ მეორე კაცს ნამდვილად ბოლომდე დავუჯერებდი აუცილებლად საყიდელი წამლის ამბავს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი კაცის ნაამბობისა ახლაც მჯერა, ამ მეორეს მაინც ვეღარ დავუჯერე. ზრდილობიანად აღნიშნა, გონებრივი სფეროს ხალხს უჭირსო. მნახა, რაღა, გონებრივი სფერო. ბიოური მნახა.

მე კაი ბიჭი ვერა ვარ. ალბათ ამიტომ ეძახიან კაი ბიჭები ჩემნაირ ხალხს არიფებს.

სადარბაზოდან ხალისიანი სახით ამომძახა:

– თქვენ ძალიან კეთილი კაცი ხართ... თქვენი წიგნები სულ ზეპირად ვიცი!!!

რა დასამალია და ერთადერთი პიესა დავწერე.

მისამართი ამასაც გაეგო.

დედაჩემისთვის აღარ მითქვამს, განვაგრძეთ ცხოვრება.

რაღა ბევრი გავაგრძელო და საოცარი გაზაფხული იყო: ერთ მშვენიერ სალამოს, ფეხით ამოვუყეკი ჩვენს ქუჩას.

მიყვარს გაზაფხულის საღამოები, მიყვარს ჩენი სახლის დღისით ბნელ და გრილ სადარბაზოში რომ შევაბიჯებ და თანაც, ის მიხარია, რომ მალე ზაფხული მოვა და ჩვენი აგარაკისკენ გავწევთ. ეს კარგია, ოღონდაც, სადარბაზოს კართან ვიღაც კაცი იდგა და მობინადრეთა სიას ათვალიერებდა, როგორც დავატყვე, გამორჩეული ყურადღებით.

ძალიან კეთილი, მორიდებული და საბრალო კაცი გამოდგა. შეძლებისდაგვარად მოვლილად ეცვა, იყო დაბალზე ოდნავ მაღალი, უკვე თმაშეთხელებულ-შევეცხლილი, შესამჩნევად პატიოსანი და ხმადაბლა მოლაპარაკე. ოღონდაც, ფეხსაცმელზე იყიდებოდა, სხვა შემთხვევაში ეგებ მართლაც ჰგვანებოდა რომელიმე ეკონომიკური სამსახურის მოხელეს. ჩემი ტელეფონის ნომერი კი სცოდნოდა, ოღონდაც მოკრძალების გამო ვერაფერით დაერეკა. საბრალო მამაჩემს ადრე რამდენჯერმე შეხვედროდა და მისგან მხოლოდ კარგი ახსოვდა. მძიმე დღეში ჩავარდნილიყო, მასა და მის ოჯახს ერთ შორეულ რაიონში ადგილობრივი ბობოლა მოხელე გადაჰკიდებოდა მიწის ნაკვეთის გამო და იმდენი ექნა, რომ ეს ოჯახიანად აყრილიყო და დედაქალაქს წამოსულიყო, რაც იმიტომაც მომხდარიყო, რომ მეუღლეს მძიმე სენი შეჰყროდა და აქ მკურნალობა უჯობდა. მკურნალობაში ამ კაცს ბევრი კეთილი ადამიანი ეხმარებოდა და ამირიდან, მეც ამათ სიაში ჩავწერე: რაღაც ძალიან რთულ წამალზე რომ ფული აკლდებოდა, დაუნანებლად მივეცი.

ჯიბეში ჩვიდმეტი ლარი აღმომაჩნდა. ეს საბრალო კაცი კი იმდენად მორიდებული იყო, რომ არაფრით ამომყვა ბინაზე. ავირბინე და ჩამოვუტანე, რაც იყო და როგორც იყო. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს-მეთქი, გავიფიქრე და წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, მე ვერაგი კაცი ვარ და შინ რომ ავბრუნდი, აივნიდან დავინახე, რომ ამ საბრალო კაცს ხელში რაღაც ქაღალდი უჭირავს, დასცქერის და ჩვენი უბნის ტაქსისტს მურაზას ელაპარაკება. რახან, ვერაგობას მართლაც არა აქვს საზღვარი, რამდენიმე წუთში მეც დავეკითხე მურაზას, იმ კაცს რა უნდოდა-მეთქი და, თურმე ორი ქუჩის მიგნების გზები აინტერესებდა. ტაქსისტზე უკეთ აბა ვინ ასწავლიდა.

სიაში ვიყავი, დიახ.

ოღონდაც, ამას მაინც არ მივაქცევდი ყურადღებას, თანდათან რომ არ წარმოჩენილიყო, რომ არათუ დედაჩემი, ჩემი ცოლიც ამგვარი ქველმოქმედების წინააღმდეგია.

საქმეც ეს არის, რომ ვერანდის სახურავი გამოსაცვლელია, ჭიშკრის კაცი გაყიდვით იმუქრება, დედაჩემს რაღაც ყვავილები მოსწონებია ბაღის გასამშვენიერებლად, სკამები ისევ არ გვიყიდია, ბაკიდან წყალი წვეთავს, სავარძელში ჩაჯდომა კი კვლავაც ქვესკნელში ჩავარდნას ნიშნავს. ამ დროს კი სეზონი დაიხურა და როგორც გაირკვა, სპექტაკლის ჰონორარებზე გადაჭარბებული წარმოდგენა გვქონია ჩვენც, მას- მედიასაც და შეჭირვებულ ადამიანებსაც.

აი, რა არის ცხოვრება.

ისინი შემოივლიან ხოლმე. თანაც, თითქოს საგანგებოდ ისეთ დროს, როცა ოჯახის ქალები შინ არ არიან, რათა ან საკადრისი, ანაც მშვიდობიანი პასუხი გასცენ.

პირველი შეჭირვებული ზღურბლს არც გადმოდის, ჩახრის თავს და რაღაცეებს ბურტყუნებს მისი გვარის ოდინდელ დიდებასა და მაამჩემის გამორჩეულობაზე, რასაც კვალად ჩემი გამორჩეულობა და სხვანაირი ხასიათიც მოსდევს. მისი საჭიროებანი ოცდან სამოცდათ ლარს შორის მერყეობს, გამოჩენის დრო კი ორ-სამ კვირას შორის.

ვითარება იმგვარია, რომ მე მისგან დასახელებულ თანხებს ველარ ვწვდები, მაგრამ იგი ყოველგვარ კუპიურაზე თანახმაა. იშვიათი, წრფელი, მორიდებული, კაცის გამაწითლებელი დალოცვა იცის.

მის ორ-სამ კვირას შუა თავისი ორი სამი კვირა მოუხერხებია მეორე შეჭირვებულს, სექტებთან მებრძოლ კაცს, რომელიც მე ამათ შორის ყველაზე ნაკლებად მომწონს, ვინაიდან დილით შემოვლა უყვარს და იმ დილითვე, სასწრაფოდაა წასასვლელი თავის რაიონში, სადაც ავადმყოფს უნდა მიხედოს და თან ყრუ-მუნჯთა სკოლის შვილასაც ეცადოს სექტებთან ბრძოლის პარალელურად.

რას იზამ?

ის ჩემს არარსებულ რომანებს აქებდა, ოღონდაც უფრო გულცივი კაცი ჩანდა და ძნელად რომ ჩემი დიდბუნებოვნება იმგვარი სიალალით შეექო, როგორც ეს პირველ შეჭირვებულს გამოსდიოდა. არ იცოდა, რომ საწყალი მამაჩემის გვარზე ვხტივარ. სამაგიეროდ, უცნაური სიტყვების თქმა გამოსდიოდა: მაგალითად, დამპირდა, რომ საოცარ ბალზამს მომიტანდა, რომელიც ყოველგვარ მალამოს სჯობს. ამ ბალზამის სახელი ვერ დავიმახსოვრე.

საქმე კი ისე წავიდა, რომ უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც მოდიოდა თავისი რაიონიდან ბოროტი მოხელის მიერ დევნილი კაცი, რომელიც ერთხელ ძლივს წამოვაყენე ჩვენი სავარძლიდან და ამის გამო გაწითლდა კიდეც, თუმცა, საჭიროება და ჩვენი საზიზღარი ცხოვრება მოითხოვდა, რომ წასაღები მაინც წაეღო.

ისინი არა მხოლოდ მოდიოდნენ, არამედ შემორეკავდნენ კიდეც. ეს თავად შევთავაზე, ვინაიდან ჩემი ცოლიც აღარ იყო ჩემს მხარეს და სამივეს ცალ-ცალკე ვურჩიე, წინდაწინ დამირეკეთ, თუკი შემოვლას აპირებთ-მეთქი.იმ დროს დავუთქვამდი, როცა ჩვენები შინ არ იყვნენ, თუმცაღა ისიც სათქმელია, რომ შემორეკვით დიდად თავს არ იწუხებდნენ.

ასე მივაღწიეთ ზაფხულის ბოლო თვის პირველ რიცხვებამდე.

უკვე კარგახნის ასულები ვიყავით აგარაკზე, ოღონდაც, მე მაინც სამსახურში მიწევდა სიარული და აგარაკისკენ მხოლოდ პარასკევ საღამოს თუ გავწევდი ხოლმე. შიფერი ვერ გამოვცვალეთ, ჭიშკარში კი ბე გადავიხადეთ.

დედაჩემმა თქვა, რომ მის პირად დანაზოგს, უჯრაში რომ უდევს, მთელი ორმოცი ლარი აკლია და საერთოდაც, ჩემი შვილი ცუდად იქცევა, რაღაცეების აწაპნვას დაეჩვია. მე უკანასკნელი ნაძირალის ყაიდაზე გავიტრუნე, თუმცა, ცოლს გამოვუტყდი, რომ ფული ჩემი აღებულია. მან მომიგო, რომ იდიოტი ვარ და საკუთარი ღირსების დაცვა არ შემიძლია; რომ თვალსა და ხლს შუა მატყუებენ, მე კი თავი ისე მიჭირავს, თითქოს ამაზე მაღლა ვდგავარ; თუმცა, არ ვდგავარ ამაზე მაღლა, რადგან ვწუწუნებ და ამ კაცებთან შეხვედრის შემდეგ ვნერვიულობ, ხოლო სავარძელი საშინელია, დივანზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იმ დღეს კი აიტიდანაც დარეკეს, ჩავჭრითო.

ჭკვიანია ჩემი ცოლი: მოვლენებისთვის ნათლის მოფენა ეხერხება და თანაც ამის ხმამაღლა თქმა, სააშკარაოზე გამოტანა, რის შემდეგაც კონფლიქტი სულ სხვაგვარად გაცხადდება ხოლმე. ზნეობრივ პლანში, რასაკვირველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ, მე რომ მიმიშვა ბოლომდე ჩავყვები.

რა ვქნა, ვერა ვარ კაი ბიჭი. სიცხადე ჩემი მთავარი მტერია.

ამასობაში კი ზაფხული იყო, საუკეთესო დრო ჩვენს ქალაქში, მე თუ მკითხავთ.

კვლავ კარგ ხასიათზე ამოვიარე ჩვენი აღმართი და შინ რომ მოვედი, დივანზე ისე მივეგდე, რომ შუქი არც ამინთია. კაი სიცხეებში სიესტის ამბავი დატრიალდება ხოლმე, მოგეხსენებათ.

მაგრამ მალევე, ასე უთქმელად და გაუფრთხილებლად, სტუმარი მეწვია.

ეჰ, რამდენი ხანი იყო, არ გვენახა ერთმანეთი.

კარი გავაღე და ჩემი მეგობარი კაი ბიჭი არ ვიხილე? იდგა, ფეხებს შუა ბარე ათკილოიანი საზამთრო ედო, ხელებში კი სამი ბოთლი არაყი და ხილეულით ჩარჩილებული პარკები ეჭირა.

ეჰე, რა სჯობია ძველი მეგობრის ნახვას ასეთ ვითარებაში.

მართლა რომ დიდი ხანია არ გინახავს და თანაც ...

საზამთრო მაცივარში შევაგორეთ, არაყი მთლად საყინულეში, ხილეული კი ონკანს შევუდგით.

მეტად მოვნატრებოდი და ჩემს ცოლსაც ახსენებდა მალიმალ, მოიკითხავდა სიყვარულით და თანაც იმიტომ, რომ ის უკეთ მიხედავდა ნუგბარ რამეებს სამზარეულოში.

პროვინციის შეცივების მოლოდინში მე კვლავ დივანზე მივეგდე, ის კი ისე გამგებიანად ჩაეშვა ჩვენს სავარძელში, რომ არც კი შეტყობია, რომ ამ სავარძელში ჩაჯდომა ქვესკნელში ჩავარდნას ნიშნავდა. მართლა რა არის კაი ბიჭური და სერვისისა და ცხოვრების პირობების გამო არასოდეს დაიჩივლებენ. კარგი და მოხერხებული მოსწონთ, ოღონდაც თუ არ არის, არ გაგჭორავენ.

დავინწყეთ საუბარი, ამ მთისა და იმ მთისა.

მე თვითონ ვერა ვარ კაი ბიჭი, მაგრამ კაი ბიჭების სმენა შემძლია. დაძაბული, თითქოსდა წინასაოფორმო ვითარება ყოფილიყო საქართველოს ზონებში. მავანნი თურმე ქურდობასაც კი იბრალებდნენ და ამის ნიადაგზე ბრძოლები წარმოიშობოდა. ასევე: მავან ქურდს ერთ ზონაში წამალი აეკრძალა, რაც ჩემი მეგობრის აღშფოთებას იწვევდა, რადგან იქ მისი მეგობრები ისხდნენ. ოღონდაც, ქურდს კი არ აკრიტიკებდა, ისე ამბობდა, გულისტკივილით, ძალიან მკაცრად ექცევა კაი ბიჭებსო.

ნაირგვარ ამბებს მომითხრობდა კაი ბიჭების ცხოვრებიდან, უფრო კი თავისი ცხოვრებიდან და ამასობაში არაყი მაგრად გაცივდა, საზამთრო კი, ისე რა. მივყევით ხილით და ტელევიზორიც ჩავრთეთ.

კვლავ ქურდებზე ლაპარაკობდა, ერთ საოცარ ამბავს მოჰყვა, თუ როგორ მოუდა ჩხები ერთი ქურდის ქორწილში, სადაც სულ ქურდები და კაი ბიჭები იყვნენ.

რომ აგიხსნათ, ესენი ის ქურდები და კაი ბიჭები არ იყვნენ, ვის შესახებაც წარამარა ლაპარაკობენ ტელევიზორში, არამედ გარეუბნელები. ამიტომაც...

მაგრამ ვინ დაგაცალა: აწკრიალდა ტელეფონი და ჰოი კიდევ ერთო საკვირველებავ: თქვენთან მოსვლა მინდოდაო, ძალიან კი მერიდება, მაგრამ ამ დუხჭირ ცხოვრებაში კაცი ყოველგვარ ნამუსზე და სირცხვილზე აიღებს ხელს და მეც აღებული მაქვს, მხოლოდღა თქვენი სიკეთის იმედად ვარო, თუ შეგიძლიათ, სულ რაღაც ოცი ლარი მაკლდება წამალზეო, მთელი დღე განამებული დავრბივარ და ვერსად ვიშოვეო. უკვე ორჯერ დაგირეკეთ და ვლოცულობდი, რომ დასასვენებლად არ ყოფილიყავით წასული და ჰა, ამისრულა ღმერთმაო.

მოდით-მეთქი, ამოვიოხრე და დავკიდე.

კაი ბიჭი კი რის კაი ბიჭია, ჩემი ბუნდოვანი და მიკნავებული პასუხებისთვის ყურადღება რომ არ მიექცია.

აბა, რა ხდებაო, ხო მშვიდობააო.

მე კი ზუსტად სამი რომ არ მჭონოდა გადაკრული, არც ვეტყოდი. ერთი საბრალო კაცია, ფული სჭირდება, წამლის ფული არა აქვს და მთხოვა-მეთქი.

წამლის ფული მეც არა მაქო, ჩაიცინა ალაღად, ბევრი გაქ, რო აძლევო?

ბევრი არა მაქვს და არც უნდა-მეთქი. ერთი კი არ არის, სხვებიც არიან, უჭირთ, ზოგი რას მთხოვს და ზოგი რას-მეთქი და ამაზე კი გაიოცა, შენ რას გთხოვენ, შევარდნაძე ხო არა ხარო.

არა-მეთქი, მაგრამ, ხო იცი, როგორც არის, ხალხი გაზეთში წაიკითხავს რაღაცას და მერე ჭგონიათ, რომ მდიდარი ხარ, ამიტომაც, ნამდვილ მდიდართან იმათ არავინ მიუშვებს და ჩემნაირებთან მოდიან-მეთქი.

ჩემს შეხედულებაზე სიტყვაც არ მითქვამს, არც რაიმე მომიყოლია წვრილად, არც მიმინიშნებია, ვინაიდან იმდენს კი ვხვდები, რომ კაი ბიჭებს ამას რომ ეუბნები, დახმარებას სთხოვ, იმათი დახმარება კი, მტერს, რა თქმა უნდა, ჩვენს განედებზე.

- გაზეთებში რა გინდოდა? - მკითხა და საზამთროც გამოვაგორეთ.

ვუამბე პიესის ამბავი, რამაც გაახარა, თუმცა დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. არ არის ხელოვნების ტრფიალი, პატიოსანი კაცის ტრფიალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზამთრო გამოდგა. კაი ბიჭმა თქვა, არ გამოდგებოდა და კანიანად ვაჭმევდიო. გამყოდველს, რასაკვირველია.

განვაგრძეთ ტკბილი საუბარი. ჩემს წინაშე გადაიშალა ჯადოსნური სამყარო კაი ბიჭების ცხოვრებისა. როცა არაყს სვამ, ეგებ იფიქრო კიდეც, რა ქნან ამ საწყალმა კაი ბიჭებმა, მათი ხვედრი ასეთიაო.

მითუმეტეს, როცა გარეუბნელი კაი ბიჭის მეგობარი ხარ და იცი, რომ ის ვერასოდეს გამოსჭედს ჩვენს ქალაქში მართლა დიდი საქმეების საკეთებელ იარაღს, მაღალი საზოგადოების ნაცნობ-მეგობრობას.

სხვა საკითხია, რომ ჩემი მეგობარი იმგვარი კარგი ბიჭი იყო, ამგვარ კაი ბიჭობას რომ არა სცნობს და „ქსიენანებს", ანუ ძალის მქონე საბუთიანებს უწოდებს. ის უპატიოსნესი კაი ბიჭია და ეტყობა, პატიოსან კაცს კაი ბიჭებშიაც უჭირს.

განსჯანი ამაზე შორს წაგვიყვანდა, სუპერმორიდებული დამლოცავი რომ არ მოსულიყო წილის წასაღებად. ხარჯი ხარჯია და ერთ კარგ წიგნში, რომელსაც "აკრძალული ქალაქის გზამკვლევი" ერქვა, სამი ცალი ხუთლარიანი ადრევე მქონდა ჩაკეცილი, ვიფიქრე, ამ კაცს უცებ მოვიშორებ თავიდან-მეთქი. ზარი რომ გაისმა, ფულები წიგნიდან გამოვაცურე და კარი გავაღე.

ბევრად იოლი იქნებოდა, ტექსტები რომ არ ყოფილიყო, პირდაპირ მიმეცა და წასულიყო თავის გზაზე. მოკლე ტექსტს, მეორე, სექტებთან მებრძოლი შეჭირვებული უკეთ ახერხებდა. ის ნამდვილი, ბურჟუაზიული ურთიერთობების ტრფიალი გახლდათ. თითქოს საქმიანი შეთანხმება დაედო ჩემთან. ეს საბრალო პირველი შეჭირვებული კი ტრადიციული კაცი გახლდათ, ქართველობის სხვანაირად მიმდევარი და ამიტომ, ჯერ სიდუხჭირეზე, მერე ცხოვრების დრამაზე, მერე ოჯახის, ვითარცა ქვეყნის ბურჯზე, მერე კი მამაჩემზე უნდა ელაპარაკა. დაინწყო ეს ლაპარაკი და წავილუღლუღე, არ გინდათ, არ გინდათ-მეთქი. მუჭში ჩავუტენე ის სამი ხუთლარიანი, ამჯერად, მეტი არა მაქვს-მეთქი და სწორედ ამ დროს ჰოლში კაი ბიჭი არ გამობრძანდა?

- ერთი, მოდი აქ, დაგვლოცეო, - უსალმოდ უთხრა საბრალო კაცს, რომლის მონათხრობის მთავარი ამბისა ახლაც მჯერა, ვინაიდან, არ ჰგავდა ამდენის გამომგონებელ კაცს.

პირველმა შეჭირვებულმა შორს დაიჭირა, აჰ, რასა ბრძანებთ, როგორ გავბედავო.

- უარესებს ბედავენ, - თქვა ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა და მივხვდი, რომ ჩარხი აღმა დატრიალდებოდა - მოდი, ჰა, დალოცავზე მეუბნები უარს?

კაი ბიჭებს ეგრე ვერ შეეწინააღმდეგები. შეჭირვებულსაც რაღა ექნა, მიხვდა, რომ ჩემი ტერიტორიიდან იტაცებდნენ და ჩათრევას ჩაყოლა თუ ამჯობინა.

პირველმა შეჭირვებულმა ჭიქა ჩამომართვა და აჰა, აქ მოჰყვა, თუ მოჰყვა. მიათითა მამაჩემის სურათს, რომელიც ალბათ უკვე დანამდვილებით ამოიცნო და აჰაო, რას წარმოვიდგენდიო, თუ ამ დიდი კაცის ოჯახში მომიწევდა ჭიქის აწევაო, სხვაგან კი აგვეწია ერთადო, მაგრამ მის ოჯახში, რას წარმოვიდგენდიო. ამგვარი წრფელი, თუმცაღა ფრთხილი დალოცვა არც კი მომისმენია, მანამდე თვითონაც არ გამოსვლია ასეთი საოცარი ხოტბა. ეტყობა შიშისა იყო, ანაც იმისა, ჩვენებური ჭიქას რომ ხელს მოჰკიდებს და ტვინში ყოველივე ფინი სამოთხის კარად რომ გარდაუკეთდება.

გადაჰკრა ასევე მორიდებულად, არ მისწვდა დასაყოლებელს და თქვა, დიდი ბოდიშებით დაგტოვებთ, ღმერთმა გახაროთო.

და სწორედ ამ წამს, კაი ბიჭმა კი ჩახედა თვალებში მტკიცედ, ურყევად და ალბათ საშინლად და უთხრა, ერთად გავდივართო.

- სად გადიხარ, ახლა არ მოხვედი? - აბა სხვაგვარად როგორ შევაკავებდი.

- ერთათ გავალთ, - გაიმეორა კაი ბიჭმა - ერთი უნდა ვნახო, ვის რა ავატყოფები გყავთ...

ამ სიტყვებზე კი მოავლო ხელი მკლავში მთლად გადაფითრებულ შეჭირვებულს და წაიჩიჩიქა ჰოლისკენ.

შეჭირვებულს კი თითქოს ფეხები მოეკვეთაო, ბავშვი რომ დედას უძალიანდება ისე, და ჩაწვა, ჩაიღვენთა იატაკზე.

- წამო შენიო, - სახელოთი წაითრია კაი ბიჭმა და წიხლიც მიაყოლა.

ვეცი კაი ბიჭს, გავაშვებინე ხელი, მან კი გაიმეორა:

- წამო, ერთი რა შე ბოზიშვილო, შენთან მივიდეთ სახში. რაც მომეწონება წამოვიღებ და ეგრე ვიაროთ ყველამ ერომანეთთან და წამოვიღოთ რაც გვჭირდება... ვინა ხარ? კაი ბიჭი ხარ? ფული გევასება?

- გაჩუმდი! გაჩუმდი! გაჩუმდი!-ასე ვყვიროდი.

- მე კიდე შენისთანების ტყვნა მევასება, გაიგე ბიჭო? ეხლა წავალთ და რაც აქედან წაგიღია, ლიჩნათ მე ჩამაბარეფ, გაიგე?

ის საბრალო კაცი კი თითქოს იქ აღარც იყო. ერთი კი სცადა წამოწყება უცნაური ლაპარაკისა, სადაც სიმართლე ფიგურირებდა, მაგრამ დადუმდა და იჯდა ასე, იატაკზე, თავჩაქინდრული.

კაი ბიჭს ვეღობებოდი, ის კი ჩემს მხარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოდან დასისინებდა საბრალოს:

– ყველას რაც წაუღია, ლიჩნათ მე ჩამაბარეფ, გაიგე? ნაბოზარს უყურე...

– ვინ ყველას? ვინ ყველას? – ქშინავდა პირველი შეჭირვებული.

როგორც იყო, კაი ბიჭი ოთახში შევათრიე და ჩვენს ქვესკნელა სავარძელში ჩავაგდე. მერე ჰოლში გამოვვარდი, მთლად წამხდარი წამოვაყენე და კარისაკენ წავაჩიქჩიქე.

ის იყო, კარი გავაღე, რომ კაი ბიჭი უკნიდან მოგვწვდა და ლლლლან! პირდაპირ კეფაში ჩაეფარა ჩემს ალალ დამლოცველს:

– წესიერი კაცის და ნაბოზრის გარჩევა არ უნდა იცოდე, შენი დედა მოვტყან? –ასეთი იყო მისი შეკითხვა – თუ წესიერი როა იმიტო წოვ? მე შენ გაწოვინე□ბ...

პირველმა შეჭირვებულმა კი გაასწრო, დაეშვა კიბეზე თავქუდმოგლეჯით.

– აფერისტია, ტო, ვერ ხედავ?–კვლავ სავარძელში ჩაეფლო ჩემი მეგობარი – თავს აწენიე, ტო?

მე მივუგე სრულიად ფარისევლურად:

– ალექსანდრიაში იყო ერთი მღვდელი. აფერისტებისთვის ცალკე ქისა ჰქონდა, წესიერ მათხოვრებს ოქროს აძლევდა, აფერისტებს სპილენძს.

კაი ბიჭებს ვერ მოუგებ.

– მერე შენ მღვდელი ხარ, ტო? – და გადაჰკრა და საზამთროც მადიანად მიაყოლა –ჩემთან გამოუშვი ეგეთები, – ჩაიცინა ხალისიანად – ძმაკაცი მყავსთქო, ის მოგცემთოქო. კაკრაზ თქვენისთანები უნდათქო...

დავლიეთ.

ნაშუაღამეცს წავიდა.

მე კი წავხდი, გავთავდი, გავფუჭდი. თანდათან, იმ კაცის გაქცევის შემდეგ. თან შემრცხვა და თან კიდევ... დავუწყე საკუთარ თავს ლაპარაკი იმის თაობაზე, განგებ ვუამბე ჩემს მეგობარ კაი ბიჭს შეჭირვებულთა ამბავი, თუ შემთხვევით? თუ განგებ და შემთხვევითობით შევნიღბე? თუ შემთხვევით, და განგებ კი გამოვიდა, რადგან ჩემი ცოლისა არ იყოს, გარკვეულობა მაშფოთებს და კვალის დაფარვა მიყვარს?

ეს არაყიც ნელა და საზარლად გამოდიოდა, საზამთრო თბებოდა და ბლის კურკები კი ხმებოდა.

ასე ჩამეძინა.

ეჰ, მე თვითონ ვერა ვარ კაი ბიჭი. თუმცა, ზოგჯერ მოხდება, რომ ჩემი მეგობარი, ერთი გაღმელი კაი ბიჭი შემომივლის. დანარჩენი მისი ტერიტორიაა, მე კი ჭკუა ვერ ვისწავლე, რომ ენა არ ვაჭარტალო.

კაი ბიჭი მეუბნება ხოლმე, რომ მთავარი ჩუმად ყოფნაა. ლაპარაკი მაშინ არის აუცილებელი, როცა აუცილებელია. ჩემი შეცდომა ისიც იყო, რომ პიესა დავწერე და გამომივიდა, თორემ მერე ეგრე ჩანს: ისინი მისამართებს იგებენ. მეც გავიგებდი მათ მისამართებს, სახელები და გვარები რომ ვიცოდე.

ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ აღარცერთი შეჭირვებული არ გამოჩენილა.

არც სექტებთან მებრძოლი, არც რაიონიდან დევნილი და არც ესა, მამაჩემის მცნობი. თუმცა, მე მჯერა, რომ მას მართლა უჭირდა.

საკვირველია, არა?

ახლა ვფიქრობ, რომ კაი ბიჭისთვის ეს ამბავი არ უნდა მომეყოლა, რადგან შიფერი მაინც ვერ გამოვცვალეთ და სავარძელში რომ ჩაჯდები, კვლავაც გგონია ქვესკნელში ჩავარდი.

კაი ბიჭი კი ძალიან დიდხანს აღარ გამოჩენილა.

გჯეროდეს ადამიანების ჩვენს დროში, ძნელი ჩანს. კაი ბიჭის ცხოვრებაც ამას ამტკიცებს.

ისღა შემიძლია დავუმატო, რომ კაი ბიჭი არცა ვარ და ვერცა ვარ: არიფულ ამბავში, თუ იქაც არსებობს კაი ბიჭობა.

სახელისა და ღირსების გადასარჩენად

მოგეხსენებათ, კაი ბიჭი ვერა ვარ.

სრულიად გადასარევი სამსახური მაქვს: დავდივარ იქა და ვაკაკუნებ კომპიუტერის კლავიშებზე.

მაგრამ ისე ხდება, რომ კაი ბიჭებში მოვხვდები ხოლმე. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთი ძველი მეგობარი მყავს, ყველაზე მაგარი კარგი ბიჭი, რომელიც ზოგჯერ წლობით დაიკარგება, ზოგჯერ კი წუთითაც არ მოგცემს გასაქანს.

დამნაშავე ამ საქმეში ჩემი ბავშვობაა. ისე გამოვიდა, რომ სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა და მე ბავშვი ვიყავი, მამაჩემი აფრიკაში წავიდა სამუშაოდ და მას რასაკვირველია დედაჩემიც წაჰყყა. ამიტომ მე გაღმა უბანში ვიზრდებოდი, სადაც ბებიაჩემს სახლი და ვარდებიანი ეზო ჰქონდა.

ჩვენ მაშინ დავმეგობრდით.

ჩემები რომ დაბრუნდნენ, ბებიასთან იშვიათად მივდიოდი ხოლმე, უფრო ის მოდიოდა ჩვენთან და იქაურ ამხანაგებს აბა კარგად სადღა ვნახავდი, თუმცა მან, რომელიც მერე კარგი ბიჭი გახდა, თავად მომძებნა და სკოლის პირობაზე გვარრანად მაკითხავდა.

ეს ამბავი გრძელი სალაპარაკოა, მეგობრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვიყავით, მაშინ გამოჩნდა, როცა ბებიაჩემი გარდაიცვალა.

მაშინ ოცი წლისა ვიყავი და იმ დაკრძალვის დღეებში თითქოს ხელახლა დავმეგობრდით. წუთითაც არ გასულა ჩვენი ეზოდან: თვითონ თუ გამოიდებდა თავს, დამასაქმეთ, სადმე გამგზავნეთო, თორემ ისე, იდგა და აბოლებდა სიგარეტს. განა არ ვიცი? ალალი მეგობრობის გამო აკეთებდა ამას, თორემ, ბიჭი იყავი და ისე გაგეგზავნა სადმე. უკვე პირობითი სასჯელი დაეკისრებინათ მანქანიდან მაგნიტოფონის მოპარვისათვის და წარამარა ამოწმებდნენ. ეს პირობითი სასჯელიც დიდი ჭაპანწყვეტისა და საქმეების ჩანყობის შემდეგ მიეღო, რადგან მოსამართლეს შინაურულად ეთქვა, პირნავარდნილი რეციდივისტი იზრდებაო. სხვა მხრივ კი უხაროდა კიდეც, ამ სასჯელმა ჯარისაგან გადამარჩინა, ჯარში მაინც არ წავიდოდი და დეზერტირობაზე ჩამაჯენდნენ, ასე კი ბევრად იოლად გამოვიდა ყველაფერიო.

ჯარში მართლაც არაფრით წავიდოდა, ფიქრობდა, ეგებ ოდესმე ქურდადაც წამომაყენონ, ეს ამბავი დავიმსახურო და ჯარში, პაგონდანაკერებს, ამ ოცნებაზე სამუდამოდ მომიწევს უარის თქმაო.

ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო და იმ დღეს, კაი ბიჭებში ვიჯექი, ხოლო საუბარი სიცილიურ მაფიას და ამ მაფიის სილამაზეს გადასწვდა.

ეს ამბავი დიდმარხვისას იყო, ბებიაჩემის გაღმა უბნიდან დედაჩემს შეატყობინეს, რომ ერთი პატიოსანი მეზობლის ქალი გარდაცვლილიყო და აიტეხა, აუცილებლად უნდა წამიყვანო დაკრძალვაზე, სრულიად წარმოუდგენელია, რომ მე იქ არ მივიდეო. საქმეც ეს იყო, რომ დედაჩემი მარტო ვეღარ დადის ქუჩაში, თავისა არ ეიმედება და ამიტომაც წავყევი.

იქ კი ისე გამოვიდა, რომ მთელი საგასვენებო გეგმები დამეგრა. ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა და დედაჩემსაც ვთხოვე, მოდი, ვითომ შეუძლოდა ხარ, იმიტომ რომ მართლა შეუძლოდა ხარ და დაკრძალვაზე არ წავიდეთ-მეთქი. არ დამიჯერა და ისე კი გამოვიდა, რომ დედაჩემი მალევე გამოვისტუმრეთ შინ ერთი იქაური ბიჭის მანქანით, მე კი სასაფლაოზეც გავყევი მიცვალებულს და ქელეხიდანაც ვეღარ გამოვიპარე.

ამ საქმის მომწყობი, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი გახლდათ. კაი ბიჭია და კაი ბიჭებს კი იოლად ვერ დაელაპარაკები, ვერც მოატყუებ და ხელიდანაც ვერ დაუძვრები, იმათთან არიფული მიზეზები ნაკლებად ჭრის. დრო და ცხოვრება იმათთვის სხვა რამეა.

ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ ქელეხში კაი ბიჭებში ვიჯექი და რახანაც დიდმარხვის დრო იყო, ლობიოს ვსინჯავდი.

ერთი ხუთი წასულისა რომ შეისვა, ჩემი მეგობარი კი ბიჭი სიცილიური მაფიის საკითხს გადასწვდა. ჩემგან ხელმარცხნივ მჯდომ ორ კაი ბიჭს, რომლების კაი ბიჭობაც თავიდან არ ვიცოდი და მათ დუმილზე და პაპიროსის წევაზე მივხვდი, რომ უთუოდ კაი ბიჭები უნდა ყოფილიყვნენ, უთხრა: აი, ჩვენ რო სიცილიურ მაფიაზე ვლაპარაკობდით, ამას ეცოდინებიო.

მე რატომ უნდა მცოდნოდა, არ ვიცი, მაგრამ ისე კი გამოვიდა, რომ ვიცოდი.

ცოტა ხნის წინათ მეგობრული კამათი მოსულოდათ, ამერიკაში რომ მაფიოზები არიან, ისინი ყველანი სიცილიელები გახლავან, თუ არაო. ჩემი მეგობარი კაი ბიჭი ამტკიცებდა, უეჭველად ასეაო, მაფიის ოჯახში ისე არ მიგიღებენ, თუ სიცილიელი არა ხარო, იმათ კიდევ ეთქვათ, ეგეთი რამე შეუძლებელი ჩანსო.

ჩემი მეგობარი კარგი ბიჭი თავის აზრის კინოფილმებით ამაგრებდა. მათი სათაურები არ ახსოვდა, მაგრამ კი ყვებოდა რაღაცეებს და რასაც ყვებოდა, მარტინ სკორსეზეს ფილმებიდან უნდა ყოფილიყო.

სადღეგრძელოზე წამოვდგებოდით და მერე ისევ გავაგრძელებდით ლაპარაკს სიცილიური მაფიის გამორჩეულობის თემაზე. ჩემს მეგობარს სადღაც დანახული ამ მაფიის ესთეტიკა მოსწონდა, ოღონდაც ამას ვერაფრით ხსნიდა, რადგან ეს ოხერი სიტყვა არ იცოდა.

მეცხრე ჭიქაზე უკვე შეზარხოშებული ვიყავი, რახან მხოლოდ ორი სადღეგრძელო გამოვტოვეთ ამ წრეში გამოვაცხადე, სიცილია თავისებური მხარეა, იქ ფორთოხლის წვენიც კი სისხლისფერია-მეთქი. მწერალი რომ ვყოფილიყავი, უეჭველად რომელიმე წიგნში შევიტანდი ამ ნათქვამს. ჩვენთან, სუპერმარკეტში ვნახე "სანტალის" წვენი, რომელსაც ნამდვილი რომანის სათაური ეწერა კოლოფზე: "წითელი სიცილიური ფორთოხლები. "

ჩემი ეს გამოთქმა ქელეხის იმ ჟამს დაემთხვა, როცა ჭირის სუფროსნები ჩუმჩუმად თამადას ასწრებენ და მცირე რამ ჯგუფებად შეკრულნი თავ-თავიანთი გულის სადღეგრძელოებს სვამენ. ჩვენც, რაღა თქმა უნდა, კაი ბიჭების სადღეგრძელო შევსვით მურაადს თამადობით. მურადა, თურმე იჯდა და აბა მე რა ვიცოდი, რომ ჩემი მეგობარიც უნდა ჩამჯდარიყო.

კაი ბიჭებთან ლაპარაკი საერთოდაც ძნელია, იმიტომ, რომ მათ მხოლოდ თავიანთი ენა ესმით და სანამ შენ იმათ ენას ისწავლი, ბევრჯერ წაიმტვრევ ცხვირს. ისინი სხვა ენას არ აღიარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ ქელეხი გასრულდა, ერთი უბრალო წაკამათებაც მოუვიდათ ერთმანეთში; რაც შეიძლებოდა სერიოზულ ამბავშიაც გადაზრდილიყო, რადგან ერთმანეთს კაი ბიჭები, თუმცაღა ერთმანეთის მეგობრები, ეკამათებოდნენ.

ჩემი მეგობარი კაი ბიჭი უცნაური კაცი გახლდათ. რატომღაც მოქოქილიყო ამ სიცილიურ მაფიაზე და სიცილიურ ხატებას ყოველგვარი საშუალებით იცავდა. ამ ნიადაგზე სრულიად გაათახსირა ის განთქმული ფილმი, "ერთხელ ამერიკაში", როგორ შეიძლება რომელიმე მაგათგანი, მაიკლ კორლეონეს შეედაროსო. შეუძლებელიაო, ეგენი მაფია კი არა, ვაჭრები არიანო. სულ ბარგები ეძახა ჯეიმს ვუდსს და რობერტ დე ნიროს, ამის საპირისპიროდ კი ალ პაჩინო წამოსწია, არა მარტო მაიკლს, არამედ კარლიტოსაც დიდებულად ასახიერებს და ლიცო სა შრამამსაცო. ვფიქრობ, ალ პაჩინო შეცბებოდა მისი ამ კუთხით დღეგრძელობა რომ მოესმინა.

უკვე საკმაოდ შემთვრალი ვიყავი და რაღა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად ავყევი, ვიმეორებდი, ალ პაჩინო დიდებული მსახიობია-მეთქი. იმ ორ კაი ბიჭს პირდაპირ ვერაფრით ვეტყოდი, ჩემი მეგობარი კაი ბიჭის მხარეს ვარ-მეთქი. კაი ბიჭებში რომ ზიხარ, სიმართლის მხარეს უნდა იყო. ოღონდაც ეს სიმართლე ისეთი უნდა იყოს, რომ კაი ბიჭები აღიარებდნენ.

თუ დაახლოებით იცი, როგორ სიმართლეს აღიარებენ კაი ბიჭები, მაშინ აღარ გაგიჭირდება, ოღონდაც, სმის ჟამს მაინც ფრთხილად უნდა იყო, ვინაიდან, შენ თუ ღვინის მიღებისას დუნდები, კაი ბიჭები კიდევ უფრო მკაცრნი და დაკვირვებულნი შეიქნებიან ხოლმე, ვინაიდან თრობა მათთვის სულაც არ არის თრობა და განცხრომა. ჩემის დაკვირვებით, თრობა მათთვის უფრო ბასრად ფიქრისა და მოქმედების საშუალებაა. მითუმეტეს, თუკი ქელეხში ხარ, სადაც განცხრომა სირცხვილიც კია და სადაც მთავარი ზრდილობისა და გულის წუხილის გამოხატვაა.

ქელეხი რომ აიშალა და დარბაზის ჰოლში გამომშვიდობებანი ატყდა, ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა მითხრა, რა ხშირად ჩვენა ვხვდებით ერთმანეთს, აი, უყურე, ჯერ მხოლოდ ექვსის ნახევარია, თუ ერთი ორი საათი გცალია, წამო გავატრაკოთო. ცხადია, გავატრაკოთ, სმის გაგრძელებას და ზედ მოყოლილ სასახელო თავგადასავლებს ნიშნავდა.

საერთოდ, ჩემი უბედურება ის არის, რომ უარის თქმა მიჭირს, თანაც მაშინ, როცა ძველ მეგობარს შეეხვდები ხოლმე.

- წავიდეთ, გავატრაკოთ, - თქვა ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა - მერე ჩვენც არ გვცალია, საქმეზე ვართ წასასვლელები.

მე ვიფიქრე, რომ საქმე უბრალოდ საქმე კი არ არის, არამედ ის, რასაც კაი ბიჭები საქმეს ეძახიან, მაგრამ დიდად არ შემშინებია, რადგან კაი ბიჭებს მართლა კაი ისა აქვთ, რომ თავიანთ საქმეში ჩემისთანა არიფ ამხანაგებს არ გარევენ ხოლმე.

საქმე კი ისე მოტრიალდა, რომ ამ ქელეხის ღვინოს ლუდი და არაყი უნდა მოჰყოლოდა, ოღონდაც, როგორც გამოირკვა, აბანოში, სადაც მეძავი გოგოები იკრიბებიან. იმ ორ კაი ბიჭს დიდად არ ეტყობოდათ, რომ იმ ღამით მეძავების გარეშე ვერ დაიძინებდნენ, მაგრამ ჩემს მეგობარს აღარ შეეწინააღმდეგენ და მეც თამამად ვუთხარი, შენ იმასაქენი და ჩვენ კი დაგელოდებით-მეთქი.

იმ აბანოში იმიტომ მივედით, რომ ჩემს მეგობარ კაი ბიჭს, იქ ნაჩვევი მეძავი ჰყოლოდა და საერთოდაც, შინაურებად ვჩანდით იმ ვითარებაში. ისე კი, მეძავ გოგოებთან ლაპარაკიც ძნელია, ვინაიდან გამოდის, რომ ყოველი მეძავი გოგო ერთი მიზეზის გამო მეძავობს, სხვა სამუშაო ვერ უშოვნია, ქმარი ციხეში ჰყავს და შვილები კი როგორმე უნდა დაზარდოს. იშვიათად, რომ რომელიმე იმათგანი ამ ბიოგრაფიას გადავიდეს. ნორმალურ კაცს ამ ნათხრობზე გული უნდა მოუკვდეს, მაგრამ ასე არ ხდება და ამიტომ ამ საქმეში გრძნობები არ არის, იმდენია, რამდენიც დახეულ წინდებში.

ჩემი მეგობრის მეძავი შავად თმაშეღებილი და ამპარტავნული იერის გოგო გამოდგა, "ელემ ლაითს" ეწოდა. იმის ამხანაგები არანაკლებნი ჩანდნენ, ოღონდაც საქმე ისე წავიდა, რომ იმათთანაც წაკამათება მოგვიხდა. ჩემი მეგობრის ერთმა მეგობარმა გაახურა, ვილნიუსი ესტონეთის დედაქალაქიაო. ამ ლაპარაკის მიზეზი ის იყო, რომ მეძავებს ერთი პალტიისპირელი გოგო შემატებოდათ, ჩვენს მხარეში იმგვარი გაჭირვებით მოხვედრილი, რომ ეს ამბავი ნამდვილი რომ ყოფილიყო, ვერც მოისმენდი, ისე გაგისკდებოდა გული. ისიც ქმარს, ციხეს და ამგვარ რამეებს ახსენებდა.

ჰოდა, ამ კაი ბიჭმა უთხრა, ვილნიუსში ნამყოფი ვარ, ესტონეთში ნამყოფი ვარო. გოგომ აუხსნა, ეგ სხვადასხვააო, რაზეც ჩემი მეგობრის მეგობარი გაბრაზდა, ერთიდაიგივეა, პრინციპალტიკა ჰქვიაო და გოგომ რომ აღარ დაუთმო, ხელიც ჰკრა და სკამიდანაც გადაადგო, რაზეც ძალიან ცუდად გავხდი და ერთგვარი დუმილის შემდეგ, ავწყარდი, უნდა წავიდე-მეთქი.

ჩემმა მეგობარმა კი, რა იცი, კიდევ როდის განახავო და არაფრით გამომიშვა, სულაც არ ჩქა-

რობდა იმ თავის გოგოსთან განმარტოებას.

ამის ნიადაგზე არყის სმას დავეძალე, ვიფიქრე, საბოლოოდ დავთვრები და შინ გავწევ-მეთქი.

მაგრამ რახან ისე იყო, რომ კაი ბიჭებში ვიჯექი, საუბარი კვლავ გადასწვდა სიცილიურ მაფიას და ამის გამო კვლავ ჩემი მეგობარი ალაპარაკდა. სრულიად მოულოდნელად მიაწვა, იმათ ლამაზად მოქცევა იციანო და ერთ კინოფილმს მოჰყვა, რომლის სათაურიც აღარ ახსოვდა, მაგრამ ეპიზოდი კი სამუდამოდ ჩაბეჭდვოდა გონებაში.

თურმე, ერთი პატარა სიცილიური ქალაქის მოედანზე ისე გათენებულიყო, რომ იქ გამოჩენილ პირველ გამვლელებს და მერე მთელს ქალაქსაც ასეთი სურათი ეხილათ:

შუა მოედანზე სავარძელში კაცი იჯდა და ეძინა. მაგრამ უფრო ახლოს რომ მივიდნენ, მიხვდნენ, რომ მოკლული იყო, პირში კი თეთრი ვარდი ედო.

ამ კაცს რაღაც მიექარა მაფიის ამბავში და რომ მოეკლათ, შუა მოედანზე სავარძელში დაეტრძანებინათ მთელი ქალაქის სამაგალითოდ, ჩამშვებებს ასე დაემართებათო. ის თეთრი ვარდი რომ ედო პირში, თურმე რაღაცას ნიშნავდა, ანუ ამ თეთრი ვარდით ამბობდნენ, ესა და ეს დააშავაო.

სამწუხაროდ, ჩემს მეგობარს აღარ ახსოვდა, რას ნიშნავდა ეს თეთრი ვარდი და არც ამ ფილმს წაწყდომოდა სადმე მეორედ, რომ ზუსტად დაედგინა, რა ხდებოდა. ის ახსოვდა, სიცილიელები რომ მკვდარ თევზს გაუგზავნიან ვინმეს, აფრთხილებენ, სიკვდილი ახლოაო, მაგრამ თეთრი ვარდისა კი აღარ ახსოვდა.

ისეთი ლამაზი სანახავი იყო, პატარა მოედანზე, სავარძელში რომ მკვდარი კაცი ზის ახალ გათენებულზე და პირში ვარდი უდევს, მეტი არ შეიძლებაო, ამბობდა.

მე კვლავ გავიმეორე, რომ სიცილია ის ადგილია, სადაც ფორთოხლის წვენიც კი სისხლისფერია, რაც მეძავებმა არ დაიჯერეს, ფორთოხლის წვენი წითელი ვერ იქნებაო, ამან კი ჩემი მეგობრის მეგობარი კვლავ გააბრაზა, წითელი ფორთოხლებია და წვენიც იმიტომ აქვს წითელიო. ერთი გოგო მაინც ვერ დაშოშმინდა, ამან ისე თქვაო, ჩემზე მოათითა, თითქოს ჩვეულებრივ ფორთოხალს ქონდეს წითელი წვენიო. ანუ ამან მოიტყუაო, რაზეც ჩემმა მეგობარმა მიუგო, რომ მისი ძმაკაცი ვარ და მისი ძმაკაცები სიაბანდები და მატყუარები არ არიან, რომ ამ გოგოების და ზოგადად, ბოზების წონა წიგნები წამიკითხავს.

სანამ ჩემი მეგობრის მეგობარი ახლა ამ გოგოს კრავდა ხელს და სკამიდან გადააგდებდა, სასწრაფოდ ჩავერიე და გოგოებს ვუთხარი, ეს ყველაფერი მეტაფორა იყო-მეთქი.

რა ვქნა, კაი ბიჭებში ვიჯექი და იმათი გოგოებიც გამეცადინებული ვინმეები ჩანდნენ.

მეტაფორაზე კარგახანს ვილაპარაკე და საბოლოოდ კი განვუმარტე, უბრალოდ ლამაზი გამოთქმაა და ამიტომ მოგახსენეთ-მეთქი. ანუ ეს გამოთქმა სულ სხვა რამეს ნიშნავს და არა მაინცდამაინც იმას, რომ ფორთოხლის წვენი მაინცდამაინც წითელია-მეთქი.

- ეს ნიშნავს, რომ სიცილიაში მაფია სისხლს ღვრიდა, - ასე მოვახსენე მეძავ გოგოებს.

აი, მაგალითად, ამან რომ მოედანზე დამჯდარი კაცის ამბავი მოგითხროთ, იქ ხომ თავიდან ყველას ეგონა, რომ ის კაცი სავარძელში იჯდა და ეძინა, სინამდვილეში კი მკვდარი იყო და მაფიოზებმა ამით მთელს ქალაქს მიანიშნეს, მოღალატეს ასეთი ბედი ელის. მართლაცდა, ბინა-ბინა ხომ არ ჩამოივლიდნენ და ყველას ხომ არ ეტყოდნენ, ესა და ეს კაცი ღალატისთვის მოვკალით და თქვენც იგივე გელითო. მოედანზე დასვეს და ყველას ყველაფერი იოლად გააგებინეს მეთქი.

- მაგარია ჩემი ძმაკაცი, - თქვა ჩემმა მეგობარმა - ყველაფრის აზზეა, თქვენ კიდე ტუჩებში მოგარტყამთ.

ეს ვიუარე და გოგოებთან ბაასი განვაგრძე. რას არ ილაპარაკებს კაცი, რომელსაც წასვლა უნდა და იცის, რომ ვერსად წავა, სანამ არ გაუშვებენ. თანაც, გვარიანად მთვრალი თუ ბრძანდება. მოვყევი და მოვყევი. ისიც კი გამომეპარა, როგორ განმარტოვდნენ ჩემი მეგობარი და მისი გოგო.

ამ ჩემს ლაპარაკში, ჩემი მეგობრის ორი მეგობრიდან ერთ-ერთი ეტყობა მეტად მოიქანცა და იმანაც განმარტოება გადაწყვიტა.

როდესაც მივდექი იმ ამბავს, სადაც ბაირონისა და შელის ერთი ტბისპირა თავგადასავალი უნდა აღმეწერა, აღმოვაჩინე, რომ შვიდი მეძავი და ორიც დაცვის პატიოსანი მუშაკი მისმენს, ჩემი თანამეინახენი კი არ ჩანან: თურმე იმ მესამესაც უღალატია ჩემთვის და ნომრად განმარტოებულა სხვა მანდილოსანთან ერთად.

მთელი ამ ამბის სიკეთე ის იყო, რომ უკვე მერე, როდესაც ოთხივენი იმ კოხტა ადგილს ვტოვებდით, ერთი გოგო მომადგა და გამოგვიცხადა, მე ლექსებს ვწერო. ამან დიდად გამახარა და ის გოგო მთელი გულწრფელობით დაეკოცნე, რაც მოგვიანებით გვარიან ფასად დამიჯდა.

მან კი, ამ გოგომ, საიდანღაც უშველებელი, ნიკელის საკეტებით გაწყობილი ჩანთა მოიტანა და იქედან პატარა წიგნი ამოაძვრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა, რომელსაც, ნუ მიწყენთ და "ჩემი გრძნობები" ერქვა. წიგნაკის უკანა ყდაზე ამ გოგოს ფოტოც იყო, ოღონდაც ამავე გოგოს დიდად არ ჰგავდა. სკოლაშია გადაღებულიო, ასე მითხრა, სხვა ფოტო არ მქონდაო.

მოკლედ, სამახსოვრო წარწერაც არ დაინანა და ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა თქვა, სწორედ ეს არის ის, რის გამოც შენთან მეგობრობა მწადია, ვინაიდან გულში მეც ისეთი ვარ, რომ წესიერი კაცები მიყვარს და მათკენ მივილტვიო. მე კი გოგოს საკუთარი ტელეფონის ნომერი მივეცი და გამოვუცხადე, გამომცემლობაში ვმუშაობ და შენს წიგნს ან სულ მოქეთად, ან იაფად გამოვაცემინებ მეთქი. მგონი ისიც მოვახსენე, წიგნის სახლშიაც კი გავამართვინებ შენი ლექსების კითხვას, იქ ნაცნობები მყავს-მეთქი. ამაზე, როგორც მახსოვს, დაირცხვინა.

მაგრამ ეს მერე იყო, როცა უკვე გამოვდიოდით და მეც აღელვებული გახლდით, რომ აქაურობას ვშორდებოდი და შინისაკენ მივდიოდი, სადაც ჩემები მელოდებოდნენ.

ახ რა კარგად წამოვგორდები დივანზე და ფეხბურთის ყურებაში ჩამეძინება-მეთქი: სწორედ ასე ვფიქრობდი.

მანამდე კი თავის ყორნისფერთმიანთან განმარტოებული ჩემი მეგობარი და მისი ორი მეგობარი ჩვენს სუფრას დაუბრუნდნენ და ჩემმა მეგობარმა კვლავ სილამაზეზე ჩამოაგდო სიტყვა, მისი მეგობრები კი მდუმარედ და ღირსების შეგრძნებით ეთანხმებოდნენ და მალიმალ მობილურ ტელეფონსაც ჩაჰკირკიტებდნენ.

სიცილიური მაფიის და სილამაზის საკითხი მთელი სიმწვავით დადგა.

როგორლაც აკავშირებდა ერთმანეთთან ამ ორ გოლიათს. ამბობდა, რომ ძალიან მაგარია, როცა ვიტო კორლეონე სიცილიური სახლის აივანზე ბებერ დონს, დონ ჩიჩოს დანით ჰკლავს, ეს ყველაფერი ნამდვილია და ამიტომაც ლამაზიო. მე და მეძავები ვერაფერში ვეხმარებოდით, მაგრამ თვითონაც იოლად გადიოდა ფონს.

რატომღაც ვიფიქრე, რომ მთელი კვირის განმავლობაში განგსტერული ფილმების ყურების მეტი არაფერი უკეთებია.

საბედნიეროდ, ლუდს არ ვაყოლებდი. არ მიყვარს ასეთი ლუდი.

კაი ბიჭებს კი რას გაუგებ? უგონოდ არ თვრებიან.

გოგოებს დავპირდი, რომ აუცილებლად მოვალ, თუმცა, ის კი არ ვიცოდი, როდისღა მოვხვდებოდი გალმა. აქვე ვიტყვი, რომ იმ საღამოდან ამდენი დრო გავიდა და იქეთ აღარც მოვხვედრილვარ. რომ გითხრა, ვერც მივაგნებ იმ აბანოს.

გარეთ გამოვედით და მონდომებითა და დაწყობილი ღიმილით გავუწოდე ხელი ჩემს მეგობარს, აბა, კარგად იყავი-მეთქი. იმ სიბნელეში რას დაინახავდა ჩემს ყოვლად ქლესურ ღიმილს.

მოიცაო, გაგიყვანთ, ჩვენც გაღმა მოვდივართო, საქმე გვაქვსო. მისი ერთ-ერთი მეგობარი კი ქოქავდა უკვე. ვიუარე. ჩემმა მეგობარმა საათი დაგაზუსტა და ათი ხდებოდა. კარგია, ყველაფერს მოვასწრებთო, თქვა ავად და გადამეხვია. ძალიან მაგრად გადამეხვია. სიმართლე გითხრათ, ვიგრძენი, რომ ისე ალალად, ისე მწველად, ისე გულიანად გადამეხვია, რომ იცოდა, აბა როდისღა მნახავდა?

საერთოდ, ცუდი სიმთვრალე მაქვს. სწორედ იმ მხრივ, რომ გზნებით გადახვევა არ შემძლია. ალალად ვეცადე, იმის ნახევარი მაინც გამეღო, რაც მან გაიღო და რა გამომივიდა, არ ვიცი.

- მაგრა იყავი, - მითხრა შესამჩნევი, წრფელი ბრაზით - მე რო გამეხარდება ისე. მაგრა...ხო, გაიგე?

როგორ ვერ გავიგე.

ასე დამთავრდა ის ამბავი და მართლა ჩამეძინა ფეხბურთის ყურებაში. მეტი არც არაფერი მინდოდა.

ოღონდაც, მთავარი მერე დაიწყო.

ერთი ორი დღის თავზე შინ რომ მივედი, ცოლი მეტად გაბრაზებული დამიხვდა.

ჰოი საკვირველებავ.

ვიღაც გოგოს დაერეკა და თანაც არაერთხელ. ჩემი მეგობრის სახელი ეთქვა, იმისგან ვიცნობო, იმ დღეს ჩვენთან იყოო და დამპირდა წიგნის გამოცემაში დაგეხმარებიო. ჩემი ცოლი უფრო იმიტომ იყო გაბრაზებული, რომ იმ გოგოს ლამის შეეჭამა, რადგან ბოლო დარეკვაზე ჩემს ცოლს ეთქვა, თქვენი სახელი მითხარით, ტელეფონის ნომერი დატოვეთ და თვითონ დაგიკავშირდებათო. რაზეც გოგოს სიტყვასიტყვით მიეგო, დავტოვო არა ისაო, მეტი არაფერი გინდაო. ეს პროფესიული ანერვიულება თუ იყო. ნერვიული საკითხის მოუწესრიგებლობა ლექსებსაც ეტყობოდა. იმათ ავტორს სიტყვები არ ჰყოფნიდა და ამიტომ ნერვიულობდა. ჩემს ცოლსაც ასე ავუხსენი. სიმართლე ითქვას და ამასაც გვარიანად შემოლანძღვოდა. მე შევეცადე დამეფარა, რომ გოგო აბანოში, სხვანაირად კი ბორდელში გავიცან, როცა დედა-ჩემმა ძალით წამიყვანა დაკრძალვაზე. ეს ამბავი დავმალე და ვერც დავმალე, ვინაიდან წესი არ არის შენს ძვირფას ადამიანს ბოლომდე აუხსნა, რომ არის რაღაცეები, რასაც ძალით აკეთებ. მე იმაში შევცდი, რომ იმ გოგოს ტელეფონის ნომერი მივეცი. ჯიქურ მკითხა და მეც უკან აღარ დავიხიე. ნეტავ სამსახურისა მიმეცა. თანაც, გამომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემლობაში არ ვმუშაობ.

ჩემი ცოლი ძალიან ნაწყენი იყო. ძალიან.

ერთი ესა ვთხოვე, რომ თუ კიდევ დარეკავდა, სამსახურის ნომერი მიეცა. იმის მიჯნურია-მეთქი, ჩემს მეგობარზე ვუთხარი და რაღაც ლექსებს წერს-მეთქი. მისი წიგნაკი კურტკის ჯიბეში მედო და მარშრუტკაში ვკითხულობდი.

არც არის გასაკვირი, რომ ჩემი ცოლი დიდად ვერ ეგუება ჩემს მეგობარს. ასეა, კაი ბიჭების თუ არ გესმის, სულაც არ გევალება მათთან მეგობრობა.

ჰოდა, ავდექით მე და ჩემი ცოლი და კაფეში წავედით. გვიანობამდე ვიჯექით იქ, ჩვენს ამხანაგებთან ერთად და ძირითადად, ჩემს მეგობარ კაი ბიჭზე ვყვებოდი, რაღა თქმა უნდა, ძალიან სასაცილოდ. აშკარაა, რომ ეს ვერაგი საქციელია, მაგრამ მხოლოდ კარგი ბიჭები ხომ არ მყავს მეგობრებად? იმათში გამომცემელიც ურევია და ვიფიქრე, იმ მეძავ გოგოს ეგება მართლა გამოუცენ ასი ცალი წიგნაკი, მადლიანი საქმეა- მეთქი. იაფად გამოიყვანდნენ, რომ ვთხოვდი.

ის გოგო კიდევ მეძავი იყო და იმათ ეშმაკობა ეხერხებათ. სულ სხვას დაარეკინა, მეტად ზრდილობიანად და ჩემმა ცოლმაც აღარ გაართულა საქმე, ჩემი სამსახურის ნომერი მისცა.

რაც იყოს, იყოს:

ჰოდა მოვიდა ის პოეტი გოგო ჩვენთან, სამსახურში.

უნდა გენახათ, რა სადღესასწაულოდ გამოწყობილიყო. იმის ხილვას არაფერი სჯობდა- მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ საინტერესო კი ჩანდა: ბეწვის მოკლე ქურქი ეცვა იმ დიდმარხვის დროს, როცა ნამდვილად აღარ იყო ქურქის ამინდი. მანიკურებიც სულ ცინცხლად ეტყობოდა. მგონი, პირდაპირ სალონიდან მოდიოდა, სადაც მთელი დილა გაეტარებინა, ვინაიდან ოცდახუთლარიანი ვარცხნილობა მაინც დაელაჟოლიებინა, თუ ორმოციანი არა.

რა თქმა უნდა, ჩემი ცოლისთვის არ მიამბნია.

გოგომაც ისეთი დაიჭირა, თითქოს მათ შორის სატელეფონო შეხლა არც მომხდარიყოს.

ჩვეულებრივ, ჩემი ცოლი ასე იტყოდა: რა ხალხში გაქ საქმეო, რითაც ჩემი სხვა მეგობრის ნათქვამს გაიმეორებდა. მეც, ჩვეულებრივ მივუგებდი, ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდიოვართ-მეთქი.

იდეური გოგო ჩანდა, თორემ იქავ რომ გამეხმაურებინა მისი ამბავი, ორ სამ კლიენტს მსწრაფლ ვუშოვნიდი და კაი ბიჭთან ამხანაგობა სუტენიორადაც გადამაქცევდა. ეს ნამდვილად ბურჟუაზიული იქნებოდა, გოგო უცბად იშოვნიდა წიგნაკის გამოსაცემ ფულს. ერთი კარგი მეს-ტამბე ამხანაგის ნომერი მივეცი, ის წინდაწინვე მყავდა გაფრთხილებული და იაფად გაუკეთებდა მის კარიერაში მეორე კრებულს. ოღონდაც მისთვის არ მითქვამს, რომ ეს გოგო მეძავი იყო. თუ ითანამშრომლებდნენ და თანდათან გაირკვეოდა, ბარტერი იქნებოდა, თუ სხვა რამ.

სტამბის მისამართი რომ კარგად ავუხსენი, გოგო მადლიერებით გამომეთხოვა, თვალიც კი ჩამიკრა, რაც იმას თუ ნიშნავდა, ჩემზედ იყოსო და სხვათა შორის მკითხა, სასამართლო როდის არისო.

რა სასამართლო-მეთქი და აქ კი გავიყიდე.

ჩემს მეგობარ კაი ბიჭზე მითხრა, იმისი სასამართლოო.

მშვიდობა შენდა, ღმერთო, როდის მოასწრო ეგ ამბავი, იმ დღის მერე არ შევხმიანებივარ-მეთქი.

იმავე ღამესო.

"თქვენო", თქვენობითზე იყო გადასული, რახან მესტამბეთა ამხანაგი ვიყავი და ჩვენს სამსახურშიაც ჩინებული რემონტია, იმ დღის ამბავი არ იცოდითო? მეც არ ვიცოდი, მაგრამ საბრინამ მიამბოო.

საბრინა ის შავთმიანი მეძავი ყოფილიყო, ჩემი მეგობარი კაი ბიჭი რომ დაჩვეოდა.

კვლავ ჩამოჯდა და დაიწყო თხრობა:

საქმე კი ისეა, რომ თავანი წმინდაა.

კაი ბიჭისთვის, თორემ არიფისთვის რა აზრი აქვს, გაფუფლოვდება, თუ არა?

ჩემ მეგობარ კაი ბიჭს საქმე ისე წასვლოდა, რომ ბურა ეთამაშათ. ორნი იყვნენო, არაქალაქელებიო, თეთრი საროჩკებით და შავი ტუფლებითო. ჩემი მეგობრის ახლობელთან ეთამაშათ, როგორც მივხვდი იმასთან, ბალტიისპირეთის ერთიანობისა რომ სწამდა. დიდი თამაში გახურებულიყო, აქედან ჩემი მეგობარი უყურებდა, იქედან იმათგან ერთ-ერთი.

ეთამაშათ კარგახანს და ჩვიდმეტი ათასი კი წაეგოთ. ამდგარიყვნენ ის თეთრსაროჩკიანები და ნასულიყვნენ, ეთქვათ, თავანზე დაგვიკავშირდითო. თარიღი ხომ ცხადია, წინდაწინ იქნებოდა დათქმული. ჩემ მეგობარს დიდ დამცირებად მიეჩნია ამათთან ამდენი ფულის წაგება და ეთქვა, მაგათ ფული როგორ მივცე, მაგათ მისაცემს ქურდს ჩავუტან, აი, რას ვუზამ მაგათო. ამ შემთხვევაში წმინდა თავანი მაინც გადახდილად ჩაითვლებოდა, ჩემი მეგობარი კაი ბიჭი კი იმ ჩაუქ იგროკებს მიანიშნებდა, ვინც არიან და რაც არიან. მერე ეთქვა, საერთოდაც მივცემ და იქავე წავართმევო. მოკლედ, ცუდ ხასიათზე დამდგარიყო და ჩანს, ეს ყოველივე სწრაფად ეთქვა, რადგან თავისი მეგობრისთვის მოეწოდე-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინა, დავაი, დავეწიოთ, გვეთამაშონ, ეხლა მე დავუჯდები და ნაღდად მოვუგებო. ხმა ესმა რაღაც იდუმალი, თუ რა იყო, არ ვიცი.

მართლაც დაწეოდნენ, მარშრუტკას ელოდებოდნენო. ჯერ რა ხალხი ყოფილიყო, რომ ჩვიდმეტი ათასი მოეგოთ და მარშრუტკას ელოდებოდნენ. ავიდეთ, კიდე ვითამაშოთო, შეეთავაზებინა ჩემს მეგობარს და ისინიც, ჰოი საკვირველებავ, დათანხმებულყვნენ.

ჩემს მეგობარ კაი ბიჭს კი არ მოსწონდა ეს ორი თეორსაროჩკიანი, მაგრამ, ეტყობა მართლა მაგარი მოთამაშენი იყვნენ: მარშრუტკას კი ელოდებოდნენ, მაგრამ უცებ დაჰყაბულდნენ ჩვიდმეტი ათასის უკან წაგებას.

ამობრუნებულან და ახლა ჩემი მეგობარი დაჯდომია. ჰოი, დაჯდომია და კიდევ ორმოცდაორი ათასი წაუგია. ხომ ხედავ, რა გაბრაზებული ყოფილა. ისეთი გაბრაზებული ყოფილა, რომ ჯაბურად ორმოცდაცხრამეტი ათასი წაუგია. დოლარებზეა ლაპარაკი, დიახ. თარიღიც დათქმულია. ამ წაგების შემდეგ, ჩემს მეგობარს უთქვამს, მაგათ მაინც არ მივცემ, ნაღდად ქურდს მივცემო.

თავანი, მოგეხსენებათ, წმინდაა. უნდა ჩაბარდეს, თუ გსურს, რომ კვლავ კაი ბიჭი იყო. თუ არა და ვეღარ იქნები კაი ბიჭი.

ვადა სამი კვირა ჰქონიათ და გვარიანადაც უწვალიათ. საქმეზეც ყოფილან, ორი ბინაც გაუყიდიათ და წართმეევა, სესხება და ასეთი რამეებიც გაუხერხებიათ, ოღონდაც ნახევრამდე ვერ ასულან.

ასეა, როცა ჩვეულებრივი კარგი ბიჭი ხარ. ორმოცდაცხრამეტი ათასი დიდი ფულია.

თავანის ჩაბარების თარიღამდე ოთხი-ხუთი დღე ყოფილა დარჩენილი, როცა ჩემს მეგობარ კაი ბიჭს გადაუწყვეტია, დავჯდებიო. ანუ ჩავჯდებიო.

რა თქმა უნდა, არის ასეთი გამოსავალი. ვინაიდან კაი ბიჭურ ცხოვრებაში, არსებობს წესი, რომელიც ჯერ კიდევ ძველი ქურდებისგან მომდინარეობს: თუ თავანი გაქვს ჩასაბარებელი, ამ დროს კი დაგიჭირეს, შენი თავანი ციხეში ყოფნაზე აღარ ვრცელდება, მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ უნდა გადაიხადო. ამიტომაც, ხდება ხოლმე, რომ ვერგადამხდელს ურჩევნია, რაიმე საქმეზე ჩაჯდეს და ამით თავანი გადაავადოს. ოღონდაც, საქმის მცოდნენი იოლად მიუხვდებიან, რომ ეს განგებ გააკეთა და მის კაი ბიჭის სახელს წყალი შეუდგება. ამიტომ, საქმე ნამდვილი და სერიოზული უნდა იყოს და არა თითიდან გამოწოვილი. აბა სად თქმულა, ვთქვათ, ოცი ათასი ჩასატანი გქონდეს, შენ კი მაღაზიის ვიტრინა ჩატეხო და ამით თავანი, ეს წმინდა რამ გადაადგადო?

საქმე ნამდვილი უნდა იყოს. კაი ბიჭებში ყველაფერი იციან. ანუ, ხვდებიან რა გულით და სიწრფელით წახვედი იმ საქმეზე, რომელზედაც დაგიჭერენ და რომელიც თავანს გადაავადებს. მოკლედ, ეშმაკური მომენტია: თუ აშკარად აჭერინებ თავს, ეს უხეში გაქნილობა არ გიშველის. შენი კაი ბიჭობა სადღა დარჩება?

ჰოდა, ჩემს მეგობარ კაი ბიჭს უთქვამს თავისი ორი მეგობრისთვის დავჯდებიო, ოღონდაც თავანისთვის ფულის საშოვნელ საქმეზე წავალო. ახლა საინტერესო ეს არის, რომ მას არ უთქვამს დავჯდებიო. ეს მე გეუბნებით თქვენ, რომ მან თქვა, დავჯდებიო, იმიტომ, რომ მე არიფი ვარ და მხოლოდ ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ კაი ბიჭებში მოვხვდები. ისიც იმიტომ, რომ მეგობარი მყავს კაი ბიჭი.

მან კი ეს იგულისხმა. თუნდაც მეგობრებში ვერარაფრით იტყოდა, დავჯდებიო. მან თქვა:

– საქმეზე წავალ, ფულს ავიღებო.

ეს გასაგებია. მეგობრებიც მიუხვდნენ, მაგრამ რაც არ თქმულა, არ თქმულა. რაც ითქვა, ის ითქვა. კაცი საქმეზე მიდის. იმათ იციან, რომ დღეს თავი უნდა დააჭერინოს, მაგრამ რაც არ თქმულა, არ თქმულა.

და ჰოი საოცრებავ, ჩემი ბედი რა არის? თავანი სწორედ იმ დღეს უნდა ჩაბარდეს, როცა ის ბებიაჩემის ძველი მეზობელი გავასვენეთ.

აბა, მე რა ვიცოდი?

არა, მიხმარებით ვერაფერს მივეხმარებოდი, მაგრამ ის საღამო ჩემთვის სულ სხვა იერს მიიღებდა. თავანის ამბავი კი ასეთია: თორმეტ საათამდე უნდა ჩაბარდეს. ანუ შუაღამისას ახალი დღე იწყება და ის თეთრსაროჩკიანებიც ელოდებიან იქამდე. მერე კი შეუძლიათ იმოქმედონ. ხშირად, მათ მოქმედებაც არ უნდათ. ქურდთან თუ მივლენ, ეს თავანის გვარიანი ნაწილის დაკარგვასაც გულისხმობს, ვინაიდან, ფულის ვერჩამომტანი ქურდმა უნდა წაახდინოს და ფული კი ადრე თუ გვიან, მაინც ჩაბარდება და იქედან ქურდს რამდენი შეხვდება, მგონი ქურდზევეა დამოკიდებული. ამიტომ, მოგებულებს ურჩევნიათ, რომ რახან ვერჩამომტანი უკვე ფუფლოდ, წამბდარ კაცად ითვლება, ისევ მასთან დაიჭირონ საქმე და იმ თავისი მოგებული ფულის ნაწილი გამოსთხოვონ, ანდა ნაწილ-ნაწილ გამოჰქაჩონ მოგებული.

ოღონდაც ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა წაგებულს იმდენი მარიფათი, ხასიათი და სულიერი სიძლიერე ვერ გამოადგება, რომ თავისი კაი ბიჭის სახელი დაინარჩუნოს და სხვანაირად რომ ვთქვათ, სუსტი არსება გამოდგება.

და განა ჩემი მეგობარი კაი ბიჭი ასეთი იყო? არა და არა.

იმ თეთრსაროჩკინებს ეგებ ერჩივნათ კიდეც, რომ მოგებულის ნახევარი, ან სულაც მესამედი ნაღდი ფული აეღოთ, ჩემი მეგობრის წახდომა არ გაეხმაურებინათ და ამით სამუდამოდ ანკესზე ჰყოლოდათ, როგორც ფუფლოდ მყოფი ვინმე, მაგრამ განა პატიოსანი კაცი ამას დაუშვებდა? ის ყველანაირად შეეცდებოდა, რომ ამ საქმიდან ყველაზე ღირსეული გზით გამომძვრალიყო. თავანი წმინდაა, მაგრამ თუ კაცს შეუძლია უფრო მეტი გაიღოს, ვთქვათ, თავისუფლება, თავანი მარცხდება.

დია, დიდებული ამბები იცოდა ამ გოგომ.

არ მეგულება სხვა პოეტი ქალი დედამიწის ზურგზე, ასეთი ამბები რომ იცოდეს და ასე ერკვეოდეს კი ბიჭების ცხოვრებაში.

ესე იგი, ჩემი მეგობარი მთელი სიწრფელითა და განცდით მეთხოვებოდა, ოღონდაც, არც კი მიამბო, რომ ასეთ ამბავში იყო გახვეული.

საკვირველია, იმიტომ, რომ გრძნობათა გამჟღავნება უყვარდა. როგორღაც, მინიშნებებით და ხისტად აკეთებდა ამას, მაგრამ აკეთებდა. უყვარდა გულის გადაშლა. ირიბად გადაშლიდა ხოლმე, მაგრამ ეტყობოდა, რომ უყვარდა.

მე გამომეთხოვა და საკვირველებაც მერე იწყება.

პოეტმა გოგომ უცნაური რამ მკითხა. ჩვეულებრივ, გოგოები გარეუბნების აბანოებიდან, თუნდაც პოეტები, არ გეკითხებიან ასეთ რამეებს: თუ იცი, სუში რა არისო.

სუში ხო საჭმელია-მეთქი, იაპონური. თევზის თხელ ნაჭერში ნაირგვარი რამეებია ჩახვეული, ჩაჰკრავ ჩხირს და გააქანებ პირში. საჭმელია, ამხანაგო. მგონი, თბილისში სულ ორი ადგილია, სადაც სუშის შემოგთავაზებენ.

არ გაგეცინოს, ამხანაგო. წასულან ჩემი მეგობარი კაი ბიჭი და მისი მეგობარი კაი ბიჭები იაპონურ რესტორანში.

მისულან და დამსხდარან. შეუკვეთიათ არაყი და ზაკუსკეული.

ეს რა სცენა იქნებოდა, დავათვალიერებდი: რომ გაღმელი კაი ბიჭები გამოღმა იაპონურ რესტორანში სხედან. რა თქმა უნდა, ეს ცოდვა არ არის, მაგრამ მაინც. თუმცა, საქმეზე ყოფილან. ეს ყველაფერი ჩემს მეგობარს აშკარად წინდაწინ ჰქონია მოფიქრებული. არც ნაკოლი სჭირდებოდა და არც რამე. ხომ ვამბობ, გონიერი კაცია-მეთქი?

ეგ რესტორანი ისეთი ადგილია, რომ ნაირგვარი მდიდარი ხალხი, ან მდიდარ ხალხის ცოლები, ანაც მათი მიჯნურები ღამიანად ვახშმობენ ხოლმე.

ერთი ბოთლი არაყი რომ დაუცლიათ (ეს ამბავი რესტორნის ოფიციანტ გოგოს უამბნია საბრინასთვის, რახანც ნაცნობები ყოფილან), ჩემი მეგობრის ორი მეგობარი წამომდგარა და გარეთ გასულან.

ჩემი მეგობარი კი თურმე ერთხანს იჯდა, მერე კი მიმტან გოგოს უხმო და ერთ შორიახლოს მჯდომ ჩამრგვალებულ კაცზე მიანიშნა გადამეტებული ზრდილობიანობით, ეგებ იმ კაცს სთხოვოთ, რომ მასთან ერთი წუთის საქმე მაქვს, გნებავთ, მაგიდაზე გადავუჯდები, გნებავთ, აგერ, ბარის კიდესთან გამესაუბროსო.

საბრინას ნაცნობ ოფიციანტ გოგოს ამბავი მალევე მოუტანია, არ გიცნობთ, მაგრამ სტუმარი ღვთისააო. ის ჩამრგვალებული კაცი პირმშვენიერ ქალთან ერთად ყოფილა. როგორც მივხვდი, სწორედ ისეთ ქალთან, არც ჩემს მეგობარს და არც მე რომ არ მოგვწონს.

ჩემი მეგობარიც გადამჯდარა იმ კაცთან და გადამჯდარა, თუ არა, მსწრაფლ უთქვამს, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი, მაგრამ ქალბატონი ამ ორი სიტყვის მოსმენას ვერაფრით დაესწრებაო.

იმ ჩამრგვალებულ კაცს, რომლის სახელსაც ახლა არ დავასახელებ, ეს ამბავი არ მოსწონებია, დაუტყვია კი, რომ ჩემი მეგობარი წმინდა სულის არ არის და წამომდგარა. ჩემს მეგობარს სახელოზე დაუჭაჩავს და დაუსვია, დაეგდეო, ორი სიტყვა მაქვსო, ქალისთვის კი უბრძანებია, დავაი ეხლა ყურები დახუჭეო. კაცს ქალისთვის თვალი უქნია და ქალიც გასცლიათ, ბარისკენ წასულა.

წყნარად და მშვიდადო, ვიცი, ვინცა ხარო, უთქვამს ჩემს მეგობარს, ისიც ვიცი, რომ ის ორი კაცი შენი დაცვის ხალხია, მაგრამ მსროლელი ვარო, ოცდაათი ათასი დოლარი მჭირდება სასწრაფოდო, ეხლა დარეკეო, მოიტანონ და ჩემ გზაზე წავალო. არა და ვისვრიო, ზადნი ხოდი არა მაქვსო, თერთმეტი სრულდებაო, თორმეტის ნახევარზე ფული უნდა მქონდესო.

თვითონ რომ ეამბნა ჩემთვის ეს შემთხვევა, აუცილებლად იტყოდა, როგორი მუსიკა უკრავდა და იმ ჩამრგვალებულ ბიზნესმენს რა ფერი ედო. აუცილებლად იტყოდა, ხმადაბლა და შემყვანად ველაპარაკებოდიო, ზუსტად გამოვთქვამდი აზრებსო. ეგებ ისიც ეთქვა, ყველაფერი ისე იყო, როგორც სიცილიურ კინოებშიო.

საკვირველია, მაგრამ მიმტან გოგოს თურმე ყველაფერი ესმოდა.

ერთ წუთს გაძლევო, ამას უთქვამს და მაგიდის ქვეშიდან რევოლვერიც მიუჭერია. ცხადია, ერთ წუთს უცებ გაურბენია. ჰოდა, ამ ჩემს მეგობარს უთქვამს, ეს რა საჭმელიაო. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭმელი სუშიაო, უპასუხია ჩამრგვალებულს. ეხლა აიღე ეგ ერთი ცალი სუში და ცხვირში შეიტენე, რო აზრზე მოხვიდეო. რა საშინელებაა. თუ ძალიან მოინდომებ, ეგებ შეიტენო კიდეც სუში ცხვირში. ეს კიდევ, ალბათ აჭერს იარაღს ფეხებს შუა. ერთი, შეიტენე, რო აზრზე მოხვიდე, გამკეთებელი ვარო.

იმანაც აიღო თურმე საბრალობლად სუში ხელით და ცდილობს ნესტოში შეიტენოს, კაი ბიჭი კი ამბობს, ჩხირი მიახმარეო და საჭმელ ჩხირს მიუგდებს. ისიც აწვება.

გარშემო ხალხი ვახშმობს. ხომ წარმოგიდგენია.

- დარეკე, და მოიტანონ...

იმას კიდევ ცხვირში სუში აქვს, როგორც მოკრივეს ბამბა. გვერდიდან თითქოს არაფერი ჩანს. მცველებიც დიდად ვერ ატყობენ. ვიღაც გადაჯდა, მაგრამ რას გაუგებ. ეტყობა იმ რესტორანში ისეთი გამოჩენილი ხალხი დადის, რომ ყველა ერთმანეთს გადაუჯდება ხოლმე. მცველები ბითურები არიან. ისევ ქალი გამოდგა ჭკვიანი, მაგიდასთან მობრუნდა. საბრინას ნაცნობი მიმტანი გოგო კი, სამ ნაბიჯში ზურგით დგას, ვითომ არაფერიაო.

ქალი მივიდა, და ხედავს, მის კავალერს ცხვირში სუში აქვს.

რას მეტყვი, ოქრო?

- დავაი, ქალო აქედან, - ასეთი იყო ჩემი მეგობრის სიტყვები.

ქალმა კი პასუხად დაჰკივლა.

ხოლო ჩემმა მეგობარმა მაგიდის ქვეშ, იმ ღიპიან კაცზე მიბჯენილი რევოლვერი არ ისროლა, იძრო და ტარით შუბლში დაჰკრა ამ იაპონური სამზრეულოს მოყვარულს.

აქ კი იფხიზლა დაცვამ და საყოველთაო წივილ-კივილში ცეცხლი მაინც ვერ გახსნა.

ეს ამბავი რომ თავად მას ეამბნა, აუცილებლად იტყოდა, ზუსტად ისე ვიდექით, როგორც ამა და ამ ფილმში, ერთმანეთს ვუმიზნებდით და არ ვესროდითო. მაგრამ ამ ამბავს, მეძავი გოგო ყვებოდა, რომელსაც პატარა ნიგნაკიც გამოეცა თავისი ხარჯიან, ამ წიგნაკს კი სახელად "ჩემი გრძნობები" ერქვა.

მთავარი ამ საქმეში რესტორნიდან გაღწევა იყო და მშვიდობიანად გაუღწევია. თუმცა, ზედ კართან დაუჭერიათ. რაზეც ალბათ ოცნებობდა კიდეც. სასაცილო ის იქნებოდა, გარეთ რომ პოლიცია არ დახვედროდა.

რაღა უნდა ექნა, როცა თავანის გადახდამდე ერთი საათი თუღა რჩებოდა?

ეჰ, ძმიმე ცხოვრება აქვთ კაი ბიჭებს, უნდა შებრუნებულიყო და ან ესროლა, ან რაღაც არანაკლები უარესობისა მოეფიქრებინა, მანამდე, სანამ ან არ დაიჭერდნენ, ან ტყვია მოხვედროდა, რაც იგივე დაჭერას, ანუ თავანისგან გათავისუფლებას ნიშნავდა.

ჩემი აზრით, ეს წაუგებელი ოპერაცია იყო.

თუმცა, სუში ნესტოში მაინც ნამეტანია. მთელი საღამო სიცილიერ მაფიაზე ლაპარაკობდა, მაიკლ კორლეონეს აქებდა, თეთრ ვარდს ახსენებდა, წითელი ფორთოხლის წვენითაც დავეხმარე, მოქცევით კი მგონი ისე მოიქცა, ჰონგკონგურ ფილმებში რომ იქცევიან ჯონ ვუს მსროლელები, და თუ ავმაღლდებით, ტაკეში კიტანას მანიაკი იაკუზები.

ეს ცხვირში სუშის შეტენვა რაღა ჯანდაბა იყო. მგონი სიცილიერი მაფიის ფილმებს ჩემი იქ ყოფნის გამო აქებდა. ეტყობა იფიქრა, რომ მეც ასე შევაქებდი. ხომ იცით, მეგობრობა რამსიღრმეა. თავში კი თურმე აზიური მაფია უტრიალებდა. მე ისიც კი მგონია, რომ პოლიციაშიც ვიღაცეებმა იცოდნენ, რა უნდა ექნა და აშორიახლოს მორიგეობდნენ. რესტორნიდან კი დარეკავდნენ, მაგრამ ასე უცბად ვინ მოვარდებოდა.

ასეა, როცა კაი ბიჭი ხარ და გინდა, რომ კვლავაც კაი ბიჭი იყო.

ჩემმა ცოლმა კი თქვა:

- მგონი დავისვენეთ.

მან ნააღდგომევს დარეკა:

- ბუღბული ვარ მეხუთე იზოლატორიდან. ეხლა პრაგულკებში ავდივარ და ვიფიქრე დაურეკავთქო... რავა ხარ?

- შენ?

- მაგრა.

- მაზეგ სასამართლოა, თუ მოხვალ მნახავ. რა სანახავი მე ვარ, მარა მაინც...

მივედი და ვნახე. ვიცინეთ რაღაცეები. სულ ხუთ წუთს. ჩემმა ცოლმა მობილურის ბარათი უყიდა და მივეცი.

- რა გული აქ, - თქვა ჩემმა მეგობარმა.

მე თვითონ კაი ბიჭი ვერა ვარ, მაგრამ მეგობარი მყავს კაი ბიჭი.

ზის. გამოვა.

ეს პრაგულკები რაღა ჯანდაბაა?

ალბათ, სასეირნო ადგილი.

სამუდამო კგილეგი

რა თქმა უნდა, კაი ბიჭი არა ვარ, მაგრამ ისე გამოვა ხოლმე, რომ კაი ბიჭებში მოვხვდები.

ეს კაი ბიჭები სულაც არ არიან ელიტარული კაი ბიჭები, ანუ ისინი, ვინც თან კაი ბიჭები არიან და თანაც მტკვარგამოღმა საზოგადოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი წარმომადგენლები, სხვანაირად კი ისინი, ვისთანაც ჩვენი უბნის ბომონდი გაშინაურებული, რახანლა ერთად დავზრდილვართ.

მე უფრო გალმა უბნელ კაი ბიჭებთან მოვხვდები ხოლმე. ანუ საზოგადოებისთვის უცნობ, ჩვეულებრივ კაი ბიჭებთან. ამის მიზეზი ისაა, რომ გალმაუბნის ერთ გარეუბანში ჩემი ძველი მეგობარი ცხოვრობს, რომელიც, რა დასამალია და კაი ბიჭი გახლავთ, მთელი აქედან გამომდინარე ურჩხულობებით.

ისე გამოდის, რომ შემიძლია ვთქვა, ეს კაი ბიჭი ჩემი მეგობარი სულაც არ არის-მეთქი, რადგან წლები გავა და ერთმანეთს ვერ ვნახავთ ხოლმე, მაგრამ უბრალოდ ნაცნობი და ამხანაგიც ნამდვილად არ არის, იმიტომ, რომ ნამდვილი მეგობარია.

ჰოდა, ყოველთვის ვიცი, რომ ჩემი მეგობარი კაი ბიჭი, ახოვანი, წარმოსადეგი და შავ სამოსში გამოწყობილი, მომძებნის.

მოენატრება ჩვენი ბავშვობა, რომელიც რატომ დავმალო და მეც მომენატრება ხოლმე და ამიტომაც, მოვხვდები გარეუბნელ კაი ბიჭებში, რომელთაგან მონასმენი საშინელი ამბავნი და გულისთქმანიც სამუდამოდ მამახსოვრდება და დავფიქრდები:

აჰ, რა მრავალფეროვანია ცხოვრება ჩვენს ქალაქში.

სწორედაც რომ ისეთი რამ არის, დიდი მწერლები და კლასიკოსები რომ ხიდჩატეხილობის ამბავს ეტყვიან.

სხვაფრივ, მე კარგი სამსახური მაქვს და კაი ბიჭებზე არცა ვფიქრობ ხოლმე, უფრო საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაზე, რაც მევალება კიდეც იმ ჩემს სამსახურში.

მაგრამ, გამოვა ისე, რომ ჩემი მეგობარი კაი ბიჭი შემოივლის და მთელი ამხელა საერთაშორისო პოლიტიკა და სხვა ამგვარი რამეები შორეულ და სახალისო ამბად ჩანს იმასთან, რაც გათამაშდება ხოლმე წყალგაღმა უბნის გარეუბნის ერთ შეუმჩნევ ადგილას, სადაც კანონსგარეთა, თუ კანონსქვეშა საზოგადოება ცხოვრობს და იბრძვის.

იმ დღესაც, შემოიარა ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა.

დიდი ხნის უნახავი ვყავდი და შემოიარა.

ტკბილად მოვიკითხეთ ერთმანეთი და მანაც ერთიორჯერ დააბრიალა თვალები, ვინაიდან ასე იცის, როცა რაღაც უნდა. მე ის გამიკვირდა, რომ პიჯაკი ჩაეცვა და ერთგვარად ელეგანტური იერიც კი დასდებოდა, რადგან კაი ბიჭი რომ არ იყოს, მსახიობადაც გამოდგებოდა. თვით ჯორჯ კლონისა ჰგავს. განსაკუთრებით პიჯაკში.

თმას უკვე ეტყობა მსუბუქად გადატარებული თეთრი მტვერი.

გაჭაღარავდა კაი ბიჭობაშიო, სწორედ ამაზე იტყვიან.

მას ჩემს ცოლთან გასაუბრება სწყუროდა. საკონსულტაციოდ იყო მოსული.

ამდენ ვაებასა და ომში მთლად წახდენოდა კბილები. კლუნის მერე უფრო დაემსგავსა, კბილები რომ გაიკეთა. გაცინებისაც კი მერიდებაო, თქვა, თითქოს სულ სიცილ-ხარხარში იყო. მერე ხმადაბლა დაუმატა, წამალმა იცის კბილების გაფუჭებაო.

ჩემს ცოლს ჰკითხა, ამ თქვენს უბანში რამდენიმე კარგი კლინიკაა და საუკეთესო ამირჩიე, ანუ ისეთი, კბილების გამოცვლის ოსტატებთან ნაცნობობით რომ მივიდეო. ხომ იცით ჩვენი ქალაქი, სადმე ალაბედზე მისვლა არავის უნდა.

მე ეგრევე შევშინდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ფულს არ გადაიხდიდა. რის კაი ბიჭი იყო, ფული რომ ეხადა ვიღაც ექიმისთვის. ამას ალბათ ჩემი ცოლიც მიხვდა, რადგან ნაცნობთა კლინიკის საპოვნელად რეკვას რომ მოჰყვა, აშკარად შემოვლით ელაპარაკებოდა თავის ამხანაგებს.

რა მიხვედრა უნდოდა, ერთი მაგარი კლინიკა გადაღმა ქუჩაზე იყო და იქ კაი ნაცნობებიც ეგულებოდა. და თითქოს ამის პასუხად ჩემმა მეგობარმა თქვა, ფული გავჭერი და მინდა, ადამიანს დავემსგავსოო, რამაც მიმახვედრა, რომ ნახევარს მაინც გადაიხდის.

მოკლედ, კლინიკაც ვუპოვნეთ და გასაღიმებელი კბილების კეთებასაც შეუდგა; ჩვენთან სიარულს კი მოუხშირა, რადგან სამკურნალო სეანსსიდან აქეთ მოუწევედა გული.

დიდად ტანჯული გახლდათ ამ საშინელი საქმით, ოღონდაც კაი ბიჭი იყო და ტკივილსა და სხვა ოხრობებზე არ ლაპარაკობდა. თუმცა, გვარიანად გამხდარი იყო, რადგან საჭმელს ხეირიანად ვერც ჭამდა: თითქმის ყველა კბილი ამოუღეს, დანარჩენები კი ისე გაუქლიბეს, რომ ერთ დაუძლურებულ ვამპირს ჰგავდა. პირზე ყოველთვის სათუთად დაკეცილი ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული და ხმადაბლა ბზუოდა რაღაცეებს.

გამხდარ-ჩამომდნარობის გამო თვითონაც ხუმრობდა, ერთი საქმით ორ ამბავს ვაგვარებ, თან კბილებს ვიკეთებ, თან კიდევ დიეტაზე ვარო.

საერთოდაც, გამოღმა უბანში სიარულმა ერთგვარი კვალი დაატყო.

ერთი რომ სულ პიჯაკით დადიოდა და თუ რატომ, ვერ გაიგებდი. უხდებოდა, დიახ, მაგრამ როდის იყო, კაი ბიჭი მოხდენას აწვეებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. მეორეც, ეს დიეტაო და სხვა რამეები.

ვის გაუგონია, რომ კაი ბიჭი დიეტას და მსგავს ქალაჩუნობებს ახსენებდეს?

სხვა სიტყვებიც იყო, რომელთა ჩამოთვლაც დამეზარება. მაგალითად, ფლექსიბალ. ფლექსიბალ ღრძილები მაქვსო, ერთხელ თქვა. როგორ დაიმახსოვრა? ფლექსიბალ, ანუ დრეკადი, მოქნილი, ალბათ ამგანის მნიშვნელობით.

ერთ საღამოს კი შემოიარა გაცინებულმა, ახალი კბილებით. დაიჩივლა, "რ"-ს ჯერჯჯერობით კარგად ვერ ვამბობო და ჩემს ცოლს კვლავ გამოკითხვა დაუწყო, ერთი მასწავლე საუკეთესო საშაქარლამო ამ თქვენს უბანში რომელია და იმ საშაქარლამოში კი ამ უბანში სახელგანთქმული ნამცხვრები, რომელიო. მთლად ფრანგული, ანდა შვეიცარიული ნამცხვრები უნდოდა. მისი არმცნობი კაცი იფიქრებდა, სურს კბილის ექიმს მიუძღვნას საჩუქრად, ალბათ, ბოლოჯერ უნდა მივიდეს და ამიტომაც ნამცხვარს მიაწვა-მეთქი, თორემ, კაი ბიჭი და ნამცხვრები რა უბედურებაა? ნამდვილ, გაღმელ კაი ბიჭსა ვგულისხმობ, თორემ რაც კაი ბიჭები საშაქარლამოებში სხედან ჩვენს უბანში, ვინ მოსთვლის?

ჩემი ანგარიშით, კბილის ექიმი ქალი უნდა ყოფილიყო. კაცისთვის ვისკის შეარჩევდა, მკითხავდა ყველაზე მაგარი რომელიაო.

ათასი დოლარი დამიჯდა კბილებიო, ყოველგვარი დანანების გარეშე თქვა და მივხვდი, რომ გადაიხადა და არც დანანებია და არც კაიბიჭურად უფიქრია, გასაწაწი უნდა გაიწეწოსო.

ჩემმა ცოლმა ასწავლა და ისიც გაუჩინარდა. ეჰ, რამდენ ხანს აღარ გამოჩენილა.

მე კი ვიფიქრე, რომ ამ საქმიდან ხეირი არ იქნება.

ასე ვიფიქრე და რა ვქნა?

ხომ ვიცნობ ჩემს მეგობარ კაი ბიჭს?

ხეირი არ იქნებოდა და ჩემს ცოლს შევუჩნდი, ერთი კარგად ამიხსენი, სად დადიოდა, ვისთან დაიარებოდა და ნამცხვრები რად უნდოდა-მეთქი. რა ვქნა, სულით მზვერავი ვარ, ჯაშუში. ჯეიმს ბონდი კი არა, სხვანაირი ჯაშუში, ნამდვილადაც უჩინარი ფრონტის მსახური. მართალია, ეს ბევრმა არავინ იცის, რადგან კარგი სამსახური მაქვს და იქ მზვერავობა არაფერში გამომადგება, მაგრამ სულიერი ჰობის პირობაზე მზვერავი ნამდვილად დამერქმევა.

ჰოდა, ამიტომ შევუჩნდი ჩემს ცოლს. თუმცა, რაც მიამბო, ხეირიანად ვერ დავიმახსოვრე, კბილის ექიმი, დიდი ამბავი. კლინიკაც ბევრი არაფერი. კბილის ექიმი ვისი ვინ არის, ვერ დავიმახსოვრე. ასეთ რამეებს მხოლოდ ქალები იმახსოვრებენ. ვიღაცის ქმრის ბიძაშვილი, თუ რაღაცა. მოკლედ, არ გამოვიდა მზვერავობა და გარკვევა, ხოლო რახან ჩემი მეგობარი აღარ გამოჩნდა, მის კბილებზე ფიქრს ხომ არ გადავყვებოდი.

წავიდა და გადაიკარგა.

ის მოვიდა ჩვენთან ბარე ნახევარი წლის შემდეგ, შემოდგომის ქარიან ღამით, სანადიროდ გასული კაცის იერით, რომელზეც ნადირობენ. ზუსტად ასეთი იყო. სწორედ რომ ერთ დეტექტივს ვკითხულობდი და ცალი თვალით ტელევიზორს ვუცქერდი და იქ ეწერა ასეთი წინადადება, კლაპანს სანადიროდ გასული კაცის იერი ჰქონდა და იცოდა, რომ მასზეც ნადირობენ. საკვირველია, მაგრამ სწორედ ამ წინადადებას ვკითხულობდი, ზარი რომ დარეკა.

ორს უკლდა ოცი წუთი.

კურტკა არ გაუხდია, მანქანა მელოდება და ძალიან შორს მივდივარ, ეგებ ვეღარც კი განახოო, ჩამოვლაზე ვარ, ვინც მართლა მყავს გულში, იმათ ვემშვიდობებიო. გამოკითხვას ხომ არ დავუწყებდი, ამ სანადირო ამბავში. გადაფითრებული კი იყო, რაღაცნაირი, ფოლადისფერი იერი დასდებოდა. გავეხუმრე, სად მოუსვლელში მიდიხარ-მეთქი.

ყოფილა, რომ ხალისი გადაურბენდა სახეზე და ამიტომაც ვეხუმრე, ჩემი ხუმრობა უყვარდა ხოლმე. ჯოჯოხეთის კართან ათი ეშმაკი მელოდებიო, მითხრა. ერთს ცელი უჭირავსო, მეორეს მუგუზალიო, მესამეს კიდევ რაღაცაო და ასე მიჰყვა ბოლომდე, რომელ ეშმაკს რა ეჭირა ხელში. მაგათ უნდა დავუძვრეო. აღარ გაუგრძელებია, დამიკოცნე ცოლ-შვილიო და გადავეხვიეთ ერთმანეთს. სადარბაზოში ჩავყევი და ზღურბლზე კიდევ ერთხელ გადავეხვიეთ.

ქუჩა გადაირბინა და რაღაც დაფახფახებულ მანქანაში ჩაჯდა.

კაი ბნელი ღამე იყო, კატები რომ გადარბიან ხოლმე ქუჩაზე და მეტი არაფერი. თან სიცივე, რა არი ეს ნოემბრის ბოლოს სიცივეები.

წავიდა ის მანქანა. წავიდნენ სადღაც, რას გაუგებ, მისი რევოლვერი შავია და მისი ქუჩაც შავი. კარგი რომ არაფერი იქნებოდა, ცხადია.

- შენი ძმა აღარ გამოჩენილა? - აი, რა მკითხა მეორე საღამოს ჩემმა ცოლმა. მე ხომ არ მითქვამს, რომ წინა ღამით შემოიარა. ვერ მოვასწარი ამის თქმა. ჩემი ცოლი ასე ეძახის ჩემს მეგობარ კაი ბიჭს, შენი ძმაო, იმიტომ, რომ თუ ეს უკანასკნელი შემთვრალი შემოგვივლის ხოლმე, ჩემს ძმასთან მოვედიო, ამბობს.

სწორედაც წუხელ შემოიარა-მეთქი და მთელი შემაშფოთებლობით აღვუწერე მისი შემოვლის ვითარება.

კარგი, ეგრე ვეტყვიო, ჩაილაპარაკა ჩემმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლმა.

ვისთვის უნდა ეთქვა, ვერ მივხვდი.

- მე ვეტყვი, რომ გაზაფხულის მერე აღარ გინახავს, - თქვა ჩემმა ცოლმა.

ერთ გოგოს დაერეკა მისთვის, ცხადია ახლობელს და ასეთი საკვირველება ეკითხა, სად არის ხომ არ იციო, ეგებ შემოგვეხმიანოსო, შემოგვეხმიანოს, პრობლემა არ იქნებაო.

საკვირველებაც ეს იყო: იმ გოგოს როგორ უნდა შეხმიანებოდა ეს გარეუბნელი კაი ბიჭი? ანდა, რა პრობლემა არ იქნებოდა.

ჰოდა, ჩემს ცოლს აუცილებლად უნდა მოეყოლა რაღაც.

ორიოდ სიტყვით რომ მოგახსენოთ ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი, ასე გამოვა, რომ, ჩემს მეგობარ კაი ბიჭს გვარიანად გატკბობია ჩვენი უბნის ყოფა-ცხოვრება და ნამდვილ თავგადასავლებშიც გახლართულა.

პირდაპირ წარმოუდგენელი იყო, როგორ მიიტკბო მავანმა ბანოვანებმა ეს ჩემი მეგობარი, გაღმა და გარეუბნელი კაი ბიჭი.

ალბათ იმიტომ, რომ შორიდან იყო, აქეთ არავინ იცნობდა და შესაბჭნევიც არ გახლდათ.

სჯობს ამბავს მოვყვეთ, რომელიც სულ ერთი ბეწოა და სამუდამო და კაცის გამახალგაზრდავებელი კბილებიდან იწყება, მაგრამ ამავე კბილების ღრჭიალით მთავრდება, თუ რა თქმა უნდა, მხოლოდ გაღრჭიალებით გადავრჩებით.

არა, ამხანაგებო, ეგებ რაღაც უფრო მეტი და გამანადგურებელიც იყოს, ვიდრე, თუნდაც ათასდოლარიანი კბილები, გაპრანჭული ნამცხვრები და ფლექსიბალ ღრძილები. ფლექსიბალ, ანუ დრეკადი, ამ შემთხვევაში კი ალბათ დამყოლი.

მოკლედ, ღრძილების დამყოლობისა არაფერი ვიცი, მაგრამ სულ განთქმულ ალმოდოვარელებს მოეწადინებოდათ თავიანთი ფილმებისთვის ის მძაფრი კადრები, გაღმელი კაი ბიჭისა და საშვილიშვილო კბილების ელიტარულ ოსტატ მანდილოსანს შუა ჩასახულმა რომანმა რომ შვა. ეს რომანი მაინცდამაინც სიყვარული არ იქნებოდა, მხოლოდ სასიყვარულო ფათერაკი, მაგრამ აჰ, რაგვარი ვნება უნდა ხლებოდა თანა, რაგვარი რამ უნდა ჩასახულიყო იმ შემაძრწუნებელი საკბილო ხელსაწყოების მოხმარებით შობილ რომანში, რომე გაღმელ კაი ბიჭსა და ელიტარულ კბილის ოსტატ ქალს შუა გაჩენილიყო, უკაცრავად და მწველი სექსი.

ეს ყოფილა თავგადასავალი და ჩემი სადარდღიც ეს ყოფილიყო, რა ჩვენი საქმეა სხვათა რომანები? ეტყობა მაჩო დაინახეს ჩემს მეგობარ კაი ბიჭში. საერთოდ კი დავასკვნი, რომ მაჩოები აქეთ უბანში ჭირს და თუ არ ჭირს კიდევ, თუნდაც ყველაზე მაგარი კლინიკის პატრონი ბანოვანიც კი აგრე იოლად ვერ ისაჩუქრებს მაჩოსთან თავგადასავალს.

აკი მოგახსენეთ, ჩემი მეგობარი კაი ბიჭი ჯორჯ კლუნისა ჰგავს- მეთქი.

საძრახისი, აბა რა არის ამგვარ რომანში. საჭორაო დიახაც შეიქნებოდა, მაგრამ საძრახისი სრულიად არაფერი, ვინაიდან, როგორც შევიტყვე, კბილების ქალი მარტოხელა ყოფილიყო და მეტიც, ქალიშვილიც უკვე სტუდენტი ჰყოლოდა.

როგორც გაღმა უბნებში იტყვიან, ტოტა ქალი ბრძანებულიყო, ოღონდაც ზეფორმაში მყოფი და სრულიადაც გოგოური აგებულებისა.

საიდუმლოდ დარჩება, თუ რით მოხიბლა ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა.

ალბათ იშვიათობით. თორემ, ფლექსიბალ ღრძილებზე დანოლა ღიმილისმომგვრელია. ეს თავგადასავალი ეგებ ცალკე წიგნის თემაც შექნილიყო, ოღონდაც ჩვენი უბნური ცხოვრება იმგვარად გაერია, რომ ძნელი საწიგნე შეიქნა.

მოკლედ, რომ მოგახსენოთ, ჩემი მეგობარი კაი ბიჭი კბილის ელიტარული ექიმის ნახევრადფიციალური საყვარელი შეიქნა და თურმე, ნუ იტყვით და აქა-იქ, ნაირგვარ წვეულებებში, ანდა მოდურ კაფეთა ვითარებებში მის გვერდითაც გაკრთებოდა ხოლმე.

არც ამაში იყო რაიმე საძრახისი, რადგან გაღმეიზიანებლად არავისთვის წარუდგენიათ და მისი კაი ბიჭური ოქროს დუმილიც თუ გაგვახსენდება, მათი ერთად მნახველისთვის ძალიან ძნელი ამოსაცნობი იქნებოდა, თუ ვის გადაჰკიდებია კბილის ექიმი. ვგონებ, კბილის ექიმისთვისაც გვარიანად ძნელი ამოსაცნობი იქნებოდა ჩემი კაი ბიჭის ხასიათი. ვერ გეტყვით, რამდენად გამოუმჟღავნა ჩემმა მეგობარმა თავისი რაობა და განსაკუთრებული შეხედულებები ცხოვრებაზე.

ჩემის ანგარიშით კბილის ექიმისთვის ეს უკანასკნელი ეროტიკული ზაფხული უნდა ყოფილიყო, ანდა უკანასკნელის წინა. საერთოდ არ მინახავს ის ქალი და ამიტომ, დაჯერებით ვერ გამოვაცხადებ, რა იყო და როგორ.

ოღონდაც, ჩემი ცოლის მოწმობით, ამ თავგადასავალს ერთგვარი სირთულეები და უხერხულობანი მაინც ხლებია თან, რისი დამადასტურებელი საბუთებიც დაჯერებით არ მოიპოვება, მაგრამ ბოროტ ენათა წყალობით, ჩემს მეგობარ კაი ბიჭს თავისებურები მაინც უნდა გამოერია. კბილის ექიმს ქალიშვილი ჰყოლია-მეთქი, მოგახსენეთ.

სტუდენტური ასაკისა, თუ ნასტუდენტარი, ვერ ჩავუღრმავდი, მაგრამ დედაზე ოდენ ოცი წლით უმცროსი ყოფილიყო. მეგობარი ბიჭიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყოლოდა, რომელსაც რაღა დაგიმალოთ და ვიცნობდი, რახანლა ჩემი ამხანაგის უმცროსი ძმა გამომდგარიყო. ყოველად კარგი ყრმა, მინდა გითხრათ და თანაც, სრული დემოკრატი.

აი, აქ შემოდის სწორედაც რომ პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი და სურვილი ქვეყნის განახლებისა. ოღონდაც, ესე ყოველი ჩემს მეგობარ კაი ბიჭს ცხადია, არ აინტერესებდა.

სივერაგე ამ ამბისა ის ყოფილა (ბოროტ ენათა კვლავდაკვლავ მოწმობით), რომ კაი ბიჭს ეგეებ კბილის ექიმის ქალიშვილისთვისაც დაედგა თვალი. ამისა დაჯერებით არ მჯერა, ვინაიდან, რაც გინდა თქვი და ჩემი მეგობარი კაი ბიჭი არ არის იმ ყაიდის კაცი, რომ ამგვარ რამეში საკუთარი მონდომებითა და გრძნობათა მოუთოკავობით გახვეულიყო.

იმათ არ იციან, თუ რა კაცია ჩემი მეგობარი კაი ბიჭი. თავგადასავალზე უკან არ დაიხევს, გამოუვალი შემთხვევისას უკან არ დაიხევს, მაგრამ ისე, რომ თავად იმგვარად აუჩქარდეს გული, რომ, აჰაიდი დედა კი გვერდით მყავს, მაგრამ აგერ მისი შვილიცაო, ამის მქნელი არ არის. თუ რამე იქნებოდა, და შემთხვევითობით. ანდა, ჯანი გავარდეს, გავწიროთ გოგო და ეგებ იმასაც ჩაუბრუნდა გონებაში რაღაც.

ახოვანი კი არის, ჩემი მეგობარი კაი ბიჭი. გაღმელია და ჯოორჯ კლუნისა ჰგავს.

ოღონდაც, არ დაგავიწყდეთ, კაი ბიჭია.

ეს კიდევ ერთ რამეს ნიშნავს. როგორც ბერი არ გადავა თავის წესს უდაბნოში, ისევე კაი ბიჭი, რაგინდარა ბრჭყვიალა უბანში.

თუმც, რაღაცეები კი შეიცვალა მის არსებაში. ჯერ მარტო ნამცხვართა შერჩევა რად ღირს. აჰ, რა დათმო თავის გაგებასთან, რომ ნამცხვართა ვარდისფერი ყუთით მივიდა სადღაც. ჩანს, ღირდა.

ოღონდაც, ამგვარი განსჯა შორს წაგვიყვანს და ჩემი ცოლის მოწმობით, ერთი შეკრებულობისას ამბავი მომხდარა. რაღაც საუბარი ყოფილა და იმ საუბრის შემდგომად, ჩემს მეგობარ კაი ბიჭს ძალიან შორი უბნიდან, სადარბაზოში გაუყვანია კბილის ექიმის ქალიშვილის მიჯნური ვაჟი.

იქ რა ლაპარაკი ყოფილა, უცნობია, იმის არსი ვერც ამ ვაჟს გაუგია, მაგრამ მთლად მკვდრისფერი კი მობრუნებულა და ძლივს დაუწყნარებიათ. კაი ბიჭი კი წასულა, წვეულებაზე აღარ შებრუნებულა.

ასე დაბადებულა აზრი, რომ კაი ბიჭს უს მიჯნური ვაჟი თვალში არ მოსდის. მიზეზები ძნელია. ერთი, რომ თითქოს, რახანლა ამ ვაჟის სასიდედროს კაცი გახლავთ, რაღაც წესზე მიუთითა, მეორე კი და უფრო ხალხისთვის საინტერესო, რომ კბილის ექიმის ქალიშვილი თავადაც გულში ჰყოლია და ამადაც მიუზაგრავს მისი მეგობარი ბიჭი. ბოროტ ენებს, ცხადია, ეს ვერსია უფრო მოსწონებიათ. უფრო ამორალურია და იმიტომ.

კაი ბიჭს კი რას გაუგებ.

კბილის ექიმთან რომანი კი გაუგრძელებია, მაგრამ ნაკლები სიხშირეებით. მხოლოდ ასე განუმარტავს ის გაყვანა, საჭირო იყო და წაეცხეო. ხოლო კბილის ექიმ ქალს რომ მისთვის დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მოეთხოვნა, რა გინდა, რისთვის იღვწიო, მას ერთი ლაზათიანი კაი ბიჭურით უგინებია და გამქრალა კიდეც.

ამ ამბავში ისეთიც არაფერი იქნებოდა, საქმეში ნამდვილი საქმე რომ არ გარეულიყო.

დემოკრატ ბიჭს შემთხვევისთვის გაგრძელება არ მიუნიჭებია, მაგრამ ეგრეც ვერ გაეგო, რა ეწყინა ჩემგანო. იმ საუბრისას მისთვის არც კი მიმმართავსო. რაღაც საზოგადო საქმეზე ლაპარაკობდა, თურმე.

აქ აბა რა იქნებოდა საკვირველი. მოვიდა გარეუბნელი კაი ბიჭი და ზუსტად იმდენხანს გაგრძელდა სასიყვარულო ფათერაკი, რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ აი, ბოროტი ენების დამოწმებული: სადღაც დაულანდავთ, კბილის ექიმის ქალიშვილთან ერთადო.

აბა, მეტი რა გინდა ვეჟო?

ზნეობრივი საკითხების განხილვა მივანდოთ სხვას, ჩვენ კი ისევაც ცოლის მოტანილ ამბავს მივყვეთ, რადგან, გვინდოდა თუ არა, ყოველად უხერხულად ჩვენც გავეხიდეთ ამ ამბავში, თანაც გვარიანად.

ჩემს ცოლს რომ დაურეკეს და იმის ასავალ-დასავალი მოიკითხეს, სწორედ იმ ღამეს ერთმა ჩემმა ამხანაგმა დამირეკა და მეწვია კიდეც. განა ძნელი მისახვედრია, რომ ეს ჩემი ამხანაგი იმ ყმაწვილის უფროსი ძმა გახლდათ, ვინც კბილის ექიმის ქალიშვილის მიჯნურად იყო?

არ არის ბრაზიანი კაცი, მაგრამ სალაპარაკო კი მძიმე ჰქონდა. ერთი ანიტერესებდა, შენ რას იტყვი, მე რო ეგ შენი მეგობარი კაი ბიჭი სრულიადაც გავაუბედურო და მოვსპო ვითარცა არსებაო. საიდან მოეხეტა, რა უნდა, როგორ იქცევა და საერთოდაც, სად გადაეყარეო.

მე არ მეამა, რომ თურმე, ერთგვარად მაინც, ჩემს ხელშია მისი სიცოცხლე.

მე ვუთხარი, რომ ეს იდიოტური ნებართვაა.

მაგრამ აბა ერთი იმისთვისაც გესმინა.

ვერ გაეგოთ რა უნდოდა. გოგო მტკიცედ უარყოფდა მასთან რომანს. ამის ნიადაგზე გაბუტკვოდა კიდეც თავის ბიჭს. იმასაც უარყოფდა, რომ იმ შემთხვევის შემდეგ სადმე შეხვედროდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდა ტელეფონით მაინც დალაპარაკებოდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, მისი მიჯნური ყმაწვილის თავზე ღრუბლები იქუფრებოდა. არათუ ყმაწვილის, არამედ მთელი მათი ოჯახის თავზე.

ერთი, რომ მანქანა წაიყვანათ. მამამათისა. ჩვეულებრივი, საშუალო მანქანა. დემოკრატები გახლდნენ და მაგარი მანქანა არ ეყოლებოდათ იმხანად. წაიყვანათ მანქანა, გაეტაცნათ და ამ ჩემს ამხანაგსაც რაღა ექნა, დატრიალებულიყო. ჩვენივე უბნის თანშეზრდილი ბიჭების, ძველი მეთოფეების წყალობით, ჩვენსავე უბნელ ქურდამდის მიეღწია, ჩემი მანქანისა, ან ჰო მითხარით, ან არაო. არც კი ვიცოდი, თუ ჩვენს უბანში ქურდი ცხოვრობდა, მაგრამ აჰა, ყოფილა და მანქანაზე კი უთქვამს, აღარ არი მანქანაო. აზრი აღარ აქვსო. ერთი ესეც მოთვალეთ, როგორი იქნებოდა ნამდვილი დემოკრატისთვის ამგვარ საქმეებში გახიდვა. რაოდენ დაიმსხვრეოდა მისთვის საოცნებო რაღაცეები.

ეს კიდევ არაფერი და მოგეხსენებათ, ჩვენი უბნის ამბავი. ამ ჩემი ამხანაგისთვის მის ძველ კალსელებს, ნახსენებ ძველ მეთოფეებს დაურეკავთ, დალაპარაკება გვინდაო და გვერდში დაგიდგებით ბოლომდეო. ამას კი წესიერი და გაურკვეველი კაცის პირობაზე დაბნეულს, შეუტყვია, რომ მისი აგარაკი პირწმინდად გაუძარცვავთ და ცხადია, ნივთების დაბრუნება აღარ მოხერხდა, მაგრამ მავან ქურდთან მაინც მიუყვანიათ, იმას კი მიუგია, დაგვინებულიაო.

ძალიან გამწარებული იყო.

სწორედ ამ მეორე შემთხვევის შემდეგ გამორკვეულა, რომ ყოველივე ამას ეს ჩემი მეგობარი კაი ბიჭი აკეთებს და შესაბამის ნებართვებსაც იღებს ქურდებში, რომელთაც წესისამებრ მოახსენებს საქმეს და მერეღა აკეთებს.

თუ რატომ, ამოუცნობია და ათასი ეჭვიც იბადება. თუმცა, ამ კარგ ამხანაგს და შესაბამისად მის კლასელებსაც ყოველგვარი საშუალება ჩაურთავთ და იპოვნიან, ხოლო როგორც კი იპოვნიან, მტერს და ავს. ჩვენს ძველ მეთოფეებს სამტრო საქმეში მტერი გადაეკიდა, კაფეში კი იცოცხლე, ტკბილად შეეყრები.

ეჭვიც არ მეპარებოდა: მტერს და ავს. ვერაფერს გასწვდებოდა თავისი გარეუბნული გავლენით და გამავლობა-გაგებით, ვინაიდან ჩვენს მიწაზე ის არავინ იყო.

ამ გამორკვევებისას გამოკვეთილა, რომ თავის დროზე კბილის კლინიკაში რეკომენდაცია ჩვენ გაგვიწევია და ამიტომაც, ეგებ ჩვენი ახლო ნაცნობიც გამომდგარიყო.

მოკლედ, ასე უნდოდა. ჩვენი უბნელებისგან ძებნას და პოვნას, უჯოს, მოლაპარაკებაზე მოვიდეს, მე და ერთ ძველ მეთოფეს გველაპარაკოს, გვითხრას რატომ ამოგვიჩემა და ნაპარავი ან ფულად დაუბრუნოს, ანაც ნივთიერად და თავს დავანებებთო. მე თუ მკითხავო, ეს დაბრუნება არც მინდა, გამაგებინოს რა უნდა ჩვენგანო.

ეჰ, არ იცნობდა ჩემი მეგობარი კაი ბიჭი ჩვენს უბანს. ნამცხვრები ეგონა.

მე კი რაღა მეკნა. ავდექი და ვუამბე, რატომ, როგორ და როდიდან მყავს მეგობარი კაი ბიჭი ერთი შორეული გარეუბნიდან. სულ ბოლოს კი ისიც ვუთხარი, რომ ვერანაირად მივწვდები, ჩემზე უკეთ მათი კბილის ექიმი მიწვდება და საერთოდაც, კბილის ექიმებს მეტი სიფრთხილე მოეთხოვებათ, რადგან ჩემს მეგობარს ეგებ ღრძილები კი აქვს ფლექსიბალ, მაგრამ თავად სულაც არ არის ფლექსიბალ, ანუ დრეკადი. ნამდვილი, ღარიბი, იდეური კაი ბიჭია-მეთქი ვუთხარი. რაცა გავახსენდები შემოივლის-მეთქი და ისიც დაგურთე, წუხელ მოვიდა, და მგონი სამუდამოდ გამომეთხოვა-მეთქი.

ესე იგი, იცოდა, რომ ჩვენი ძველი მეთოფეები ხეირს არ დაყრიდნენ. იმათთვის ეს ძველებური კაი ბიჭობის იდეები სულაც არ არის საფრთხილო. იმათ თავიანთი კაი ბიჭობა აქვთ.

ამ პატიოსანმა ამხანაგმა კი დაიჩემა. ჯობია დამთავრდეს ეს ამბავი, ის ხომ მაინც უნდა ვიცოდე, რატომ ხდება ეს ყველაფერიო. კბილის ექიმის გოგო მარილა კი გოგოა, უბრალოდ, მეორე მხრიდანაც მსურს გავიგონო, რომ ამ საქმეში რაიმე საზიზღრობა არ არისო.

მეტი რაღა გინდა? უშიშროებასაც კი დაჰკითხვოდნენ, დემოკრატობის გამო ხომ არ გვავიწროვებთო. შინაურ ხალხს ეთქვა, როგორ გეკადრებათო. მეთოფეებს ყველაფერი შეეტყოთ, მაგრამ ვერ აგნებდნენ. მივაგნებთო კი იჩემებდნენ.

რაღა ბევრი გავაგრძელო და ეგრეც ვერ იპოვეს.

მეც, იმის შემდეგ აღარ მინახავს ჩემი მეგობარი კაი ბიჭი.

ამიტომ, აღარ ვიცი, ეგ ამბავი როგორ დამთავრდა. თუმცა, ის კი ვიცი, რატომ გადაეკიდა მათ ოჯახობას ჩემი მეგობარი კაი ბიჭი.

შეუძლებელია, რომ კაი ბიჭი იმგვარად გაიხლართოს სიყვარულებში, რომ საქმე ქალად ულირდეს. ეს ზუსტად ვიცი. თანაც, მე ხომ ვიცნობ ჩემს მეგობარ კაი ბიჭს? ნამცხვრები. ნამცხვრები დროებითი დათმობა იყო.

ამიტომაც დავეკითხე, ამხანაგს, ზუსტად მითხარი, შენს ძმას რა უთხრა-მეთქი.

ჩემი ძმა მოულოდნელობისგან ისე აღელდა, რომ ხეირიანად ვერც ამბობსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავად შენი ძმა რაზე ლაპარაკობდა, როცა კაი ბიჭმა განზე გაიხმო– მეთქი? ეგ მეც წვრილად გამოვკითხე და ისეთზეც არაფერზეო, დაახლოებით ხელოვნებასა და ლიტერატურაზეო. ძლიერ ჩავეძიე და ხეირიანად თვითონაც არ იცოდა.

გავიყარეთ ამ კეთილ საქმეზე და მაინც დაჯერებით ვუთხარ, რაიმე დიდსა და საზიზღარზე ნუ იფიქრებ, საზიზღარი ისედაც გვარიანად მოგროვილა ამ საქმეში, გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ იმას ექნება, თუ შენი ძმა რაზე ლაპარაკობდა-მეთქი. ვიცნობ ჩემს მეგობარ კაი ბიჭს და იმიტომ. მაგით გამოვარკვევთ ბევრ რამეს-მეთქი.

ასეთი ვინმეა ეს ჩემი ამხანაგი. ნაშუაღამევს დამირეკა და ველაპარაკე ჩემს ძმასო.

იმ შეკრებულობისას ეს დემოკრატი ყმაწვილი კაცი, თურმე იქ მყოფ ბანოვანთ სრულიად კეთილ განზრახვით და თანამედროვე შეხედულებათა მოხმობით უხსნიდა, თუ რას ნიშნავს დედა ბიჭის ცხოვრებაში. ცხადია ფსიქოანალიზებსაც გამოურევდა, ისე როგორ იქნებოდა. ბერიკაც ზიგმუნდსაც მოიხმობდა. ინტელექტსაც აამუშავებდა. ასე იციან ხოლმე, მოჰყვებიან ლექციას, რომ დედა, მხოლოდ დედა არ არის, დედა არის რომ, და ასე შემდეგ და ასე დაუსრულებლად. მოგეხსენებათ, ასე იტყოდა, ბიჭო, დედაში ხედავს ამას და ამასო, მამაში კიდევ ამას და ამასო. ამიტომო, მამის წინააღმდეგი გახლავსო და რა ვიცი, კიდევ ათასი ამბავიც იქნებოდა, რომ ეს რას ნიშნავს და ის რას ნიშნავს.

ნასწავლი ხალხია ჩვენს უბანში.

სადარბაზოს ლაპარაკი კი ამ ყმაწვილს არ ახსოვდა, მეტად ენერვიული. ეს ახსოვდა დაჯერებით, რომ ერთი ალიყული მოხვედროდა.

ჭეშმარიტად ხიდჩატეხილობის ამბავია. ოღონდაც, რაები იფიქრა ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა, ახლა ვერ ჩამოვყვები. ამ ბიჭისა და მისი ოჯახობის გაძარცვა კი ალბათ, სწორედ ამის გამო გადაწყვიტა. დააჯარიმა, როგორც კაი ბიჭებში იტყვიან ხოლმე.

თავისებურ, კაი ბიჭურად მტყუანი არაფერში გამოვიდოდა და მეტი იმას არც უნდოდა რამე.

ოღონდაც, ეტყობა ძალიან შეავიწროვეს ჩვენმა უბნელმა მეთოფეებმა და იმათი გამკლავება გაუჭირდებოდა. იმათ ხომ დიდად არ ანაღვლებთ მისებური წესები და ქურდებთან გამართლება. ის კი ერთი ჩვეულებრივი კაი ბიჭია, მანქანაც კი არა ჰყავს. შორიდანაა და ჩვენი უბნისა ბევრი არაფერი გაეგება. მხოლოდ დიეტა და ნამცხვრები რომ იყოს, რა უჭირდა.

ხიდჩატეხილობა.

რას იზამ? ამიტომაც გადაიხვეწა.

მე თვითონ ვერა ვარ კაი ბიჭი, მაგრამ ერთი ძველი მეგობარი მყავს კაი ბიჭი და ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე.

ახალი, სამუდამო კბილებიც გაიკეთა, თუმცა, მგონია, რომ ასეთ კაი კაი ბიჭებს, არ სჭირდებათ ასეთი კბილები.

KAIBICHISTSXOVREBA@HOTMAIL.COM

ერთხელ კაი ბიჭებში ვიჯექი. მე თვითონ ვერა ვარ კაი ბიჭი, მაგრამ ასე მოხდა, რომ ვიჯექი. მე ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, ანუ პატიოსანი ბიჭი, თუ მაკადრებთ, არიფიც, ამიტომ, შესაძლებელია, რომ ერთიორჯერ კაი ბიჭებთანაც მოვხვდე ხოლმე.

ისე, რო ვთქვათ, მე კი არ მოვხვდი იმათთან, ისინი მოხვდნენ ჩემთან. ერთმა კაი ბიჭმა მოკითხვის ამბავში შემომიარა და თანაც ორი კაი ბიჭი ახლდა. იმ ორს არ ვიცნობდი, ეს კი ჩემი ძველი ნაცნობი იყო, თუმცა ნაცნობი არც ეთქმის. ნაცნობი კი არა, ბევრი დრო გაგვიტარებია ერთად ბავშვობაში.

საადარაკო დრო იყო და აგარაკზე ვიყავით, ჰოდა კაი ბიჭებმაც იქ შემოიარეს. გალმელი კაი ბიჭები იყვნენ, აქედანვე რომ იცოდეთ და არ იფიქროთ, რომ ფართე საზოგადოებისთვის ნაცნობი კაი ბიჭები იყვნენ.

თან საზამთრო და რამდენიმე ბოთლი არაყიც ესაგზლათ, რათა მოკითხვა- წამუსაიფება უკეთ გამოსულიყო და აივანზე დავსხედით.

როგორც წესია, ძირითადად მე და ჩემი მეგობარი კაი ბიჭი ვლაპარაკობდით, ის ორი ახლადგაცნობილი კაი ბიჭი კიდევ ჩუმად იყო და ჩემს მეგობარს ეთანხმებოდა ხოლმე.

საუბარი ინტერნეტს გადასწვდა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ კაი ბიჭებს ტოტალიზატორზე თამაში ჰყვარებიდათ და ჩემს მეგობარს შეეტყო, რომ, თურმე, ინტერნეტშიაც არსებობს ტოტალიზატორები. აქაურებთან თამაშს, არ ჯობია იმათ ვეთამაშოო, ამბობდა და მეკითხებოდა, როგორ მოხერხდებოდა ინტერნეტით თამაში.

აღმოჩნდა, რომ იმ ორმა კაი ბიჭმა არ იცოდა რა არის ინტერნეტი.

თქვენ თუ გიკვთი, მე არ გამკვირვებია, იმიტომ, რომ აღარაფერი მიკვირს და საერთოდაც, ოცი წლის წინათ ჩვენი მთვრალი მეზობელი მეუბნებოდა, ჯინა ლოლობრიჯიდა გაიმასქნილი მყავსო. კვირა დღე იყო, ტელევიზორში "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს" უჩვენებდენ, ის კი შემოეხეტა მთვრალი იმის იმედით, რომ მამაჩემი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსვდებოდა და ჭიქას შესთავაზებდა. შინ მარტო ვიყავი, ამიტომაც ლოლობრიჯიდას გადასწვდა. სისულელეა, მაგრამ ერთი წამით მაინც დავიჯერე. ასაკი მქონდა ასეთი და თანაც, რას გაიგებ? საბჭოთა კავშირი იყო მაინც, კვირა დღე, სკოლის მონაფე და... რა გასაკვირი ის არის, რომ ორმა კაი ბიჭმა ინტერნეტის შესახებ არაფერი იცოდეს?

იმათ ხომ თავისი საქმეებიც თავზე საყრელად აქვთ?

ჩემმა ნათქვამმა, რომ ინტერნეტი არის მსოფლიო საინფორმაციო ქსელი, ვერაფერი გაარკვია. რაც შემეძლო გასაგებად ავხსენი, მაგრამ, ამ ამბიდან დარჩა მხოლოდ ის, რომ რაღაც არის კომპიუტერში.

თანაც, შევატყვე, რომ დიდად არ ესიამოვნათ, მე რომ რაღაც გამეგება და ვუხსნი.

ჩემმა მეგობარმა კაი ბიჭმა დაატყო, რომ რამდენიც არ უნდა მელაპარაკა, ისინი მე ვერ მომისმენდნენ, რადგან უფრო იმას ფიქრობდნენ, ამან რა უნდა გვასწავლოსო და სრულიად გენიალურად აუხსნა რა არის ინტერნეტი:

- მე შენ ეს და ეს ვთამაშობთ პოკერს (პოკერი, როგორც საერთაშორისო თამაში ისე თუ აირჩია, იმიტომ რომ მსოფლიოში ბურას ბევრი არავინ თამაშობს. ის კი სწორედ ოციოდ წუთის წინ მიამბობდა, როგორ წააგეს მან და ამ სამიდან ერთ-ერთმა ბურაში თვრამეტი ათასი ვიღაცეებთან) . დარიგდა. მე ვარ თბილისში, შენ ხარ მოსკოვში, ეს არი პარიზში, ეს კიდე სადღაცას (მეოთხე უცებ სახსენებელი ქალაქი, ვთქვათ ნიუიორკი, ენაზე აღარ მოადგა) . დარიგდა. და ვთამაშობთ. მე შემოვდივარ ჩიპს, მერე შენ შემოდიხარ, მერე კარტებს ვცვლით. ვთამაშობთ, კაროჩე...

- მერე თავანი?-იკითხა ერთ-ერთმა.

- რა თავანი?-გაუკვირდა ჩემ მეგობარს.

- თავანი როგორ ჩააქეთ?

მთლად სულელი გამოდგა. მაგას რა მიხვედრა უნდოდა. თავისი მასტერკარდის ბარათის ნომერს და წაგებულ თანხას საჭირო ადგილზე ჩაბეჭდავენ და მიდიიი□.. თანხას ჩაბეჭდვა არც უნდა, თვითონ მოჭრის საჭირო პროგრამა. ეს უკვე მე მოვიფიქრე.

ეს ამბავი დიდად არ მოეწონათ, ესე იგი, თუ ბანკში ფული არა გაქვს, ვერ ითამაშებო.

ამან ჩემი მეგობარიც დააფიქრა. მერე კი თქვა:

- იასნია, თუ მაგ დონეზე თამაშობ, ბანკშიც ფული გაქ...

- ფუფლო აღარ ყოფილა. რო უნდოდეს, მაინც არ გამოუვა, დაასკვნეს იმათ -მილიანერები ყოფილან. ეგ მარტო ფაშისტებს შეულიათ.

- იმენნა სერიოზულ იგროკებს, - განუმარტა ჩემმა მეგობარმა.

ამ ლაპარაკიდან მაინც ვერ გაიგებდი მოეწონათ თუ არა ინტერნეტი. მე ვცადე ელექტროფოსტის ამბავი ამეხსნა.

გაირკვა, რომ ფოსტა არ ჭირდებოდათ, მაგრამ მაინც მიხვდნენ, რომ ეს ყველაფერი ელექტრონით ხდება.

- ესე იგი, შუქი თუ არ არი, ეგეც არ არი.

მობილური ამჯობინეს, შუქი თუ არ არი ერთხანს მაინც მუშაობს და უკვე რეზბალნიცაზეც არი მობილურებიო. ინტერნეტი კი აბა როდის იქნებოდა რეზბალნიცაზე?

მთლიანად რომ მოვთვალოთ, კარგი, გულთბილი საღამო გავატარეთ. უკვე პნელდებოდა, როდესაც თავიანთ გახუნებულ მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ, მე კიდევ საზამთროს კანები ჩავალაგე პარკში და მეზობლის ღორებს გადავუტანე.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩემმა ცოლმა ყოველად მოხერხებულად დაიძვრინა თავი კაი ბიჭების მიღებისგან. როდესაც ამ ჩემმა მეგობარმა დარეკა მის ტელეფონზე, ჩემმა ცოლმა უთხრა, სახლიდან შორს ვარ, დაქალის აგარაკზე, მაგრამ ჩემი ქმარი სახლშია და სიამოვნებით დაგიხვდებათო. ამის შემდეგ, მართლაც წაასხა ბავშვები თავის დაქალთან და მეც არ მივმალებივარ, აბა, ქალისთვის რა საინტერესოა, როცა ოდდარვაჯერ ეტყვიან, ჩემო დაიკოო და თანაც, ქურდების ცხოვრების შესახებ უამბობენ.

ეს ამბავი იყო და ღამით ისევ არ დარეკა ამ ჩემმა მეგობარმა კარგმა ბიჭმა ჩემი ცოლის ტელეფონზე? მისახვედრი ქათინაურების და თბილი მოკითხვის შემდეგ, ცხადია, მე მომითხოვა.

კარგად შემთვრალი იყო, უფრო მეტად, ვიდრე აქედან გავისტუმრე. ანაც, რაიმე სხვა დაემატებინა, იმიტომ, რომ ხმა და სიტყვები თავის ნებაზე მიეშვა, რაც კაი ბიჭებში არცთუ გავრცელებული რამ არის.

საერთოდ კი, ის გამოირჩეოდა კაი ბიჭებისგან. კაი ბიჭი რომ არ ყოფილიყო, მართლა კარგი ბიჭი იქნებოდა, იმდენად წესიერი და ერთგული კაი ბიჭი იყო. კაი ბიჭობის აუცილებელ კანონად რომ მძიმე მარხვა შემოეღოთ, ერთხელაც არ გასტეხდა, რომელიმე შახსეი-ვახსეი რომ შექნილიყო საჭირო, იმასაც მოიმოქმედებდა. ჩიოდა ხოლმე, რომ კაი ბიჭობა უკვე სხვანაირად ესმით და გარშემო ყველაფერი იცვლება, ანუ ცუდისკენ მიექანება.

ჭკუაში დაჯდომოდა ინტერნეტის საკითხი. ბიჭო, აი, ეხლა რო წარმოვიდგინე, მაგარი რამე უნდა იყოსო. მოკლედ, ეგებ როგორმე

მართლა გამარკვიო რა არი, მარტო სათამაშოდ და ტოტალიზატორისთვის ხო არ მოიგონებდნენ ამხელა რაღაცასო. როგორც მივხვდი, წარმოედგინა, რომ მთელი მსოფლიო ბოჭკოვანი კაბელებითაა დატოტვილი და ისიც წარმოედგინა, რომ ეს კაბელები ისეთივე რამაა, როგორც სისხლძარღვები ადამიანის სხეულზე. ისე, კაცს რო ტყავი გააძრო და უყუროო, მითხრა. ეტყობა, თვალწინ სულ ამ კაბელებში გამოხვეული დედამიწა ედგა და ხედავდა მილიონობით ერთმანეთში გადაბღანდულ კაბელს. ამ ლაპარაკზე მივხვდი, არაყისთვის რა დაემატებინა და ამ საუბარში ჩავყევი, რადგან არ მინდოდა მისი ხილვები დამეწყვიტა. რაღაც წარღვნისეულ სურათს ხედავდა იმ წუთში და სიმარილე ვთქვა, ვიცი ამ სურათების ფასი. თუ შიში, სხვანაირად კი იზმენა არ აეკიდებოდა, უსიამოვნო არაფერი ჩაუჯდებოდა თავში. ის უსაზღვრო ძალას გრძნობდა, ამ ბოჭკოვანი კაბელების იმედი ჰქონდა, თითქოს ამათ კალაპოტებში უნაპირო სიკეთე და იმედი მოედინებოდა.

სოფლად არც კომპიუტერი იყო და არც მოდემი, არც სხვა რაიმე ასეთი. ჩვენს სოფელში არ იყო ინტერნეტ კაფე, მხოლოდ კომპიუტერული თამაშების ფარდული მუშაობდა და ისიც ზაფხულობით. ამიტომ, ვუთხარი, ქალაქს რომ ჩამოვალ, დაგირეკავ და გაგარკვევ-მეთქი.

აგარაკზე პარასკევობით ამოვდიოდი ხოლმე, ორშაბათ დილით კი ისევ სამსახურისკენ, ანუ ქალაქისკენ გავწევდი, როგორც თბილისელი კაცების წესია. მთელ კვირას ქალაქში ვიყავი, მაგრამ, ცხადია, არ დამირეკია, ან სად უნდა დამერეკა, ან რატომ უნდა დამერეკა.

პარასკევ დილით სამსახურში მომაკითხა, შენს ცოლს დავურეკე და მომასწავლა ეს ადგილიო. მცირედ დააბნია ჩვენი ოფის-მენეჯერი, რომელიც სულ არ იყო ნაზიარები კაი ბიჭობის სიტყვა-პასუხს და იმ ყაიდის ოფის მენეჯერი გახლდათ, ცხოვრებისეული გამოცდილებით კი არა, უცხოეთში მიღებული სწავლით რომ ცდილობენ შიდასაოფისე საქმეების მოგვარებას.

გვერდით მოვისვი და ახსნა დავუწყე. ან რა იყო ისეთი ასახსნელი, რომ დიდი სიბრძნე სჭირდებოდა. მცირე ზოგადი განმარტებების შემდეგ ვუთხარი, აი, ამ ცისფერ ე-ს დაჭკრავ ისარს და გამოვარდება ფანჯარა, სხვანაირად კი ვინდოუ, რომელსაც ეწერება ან "გუგლი," ან "ალტავისტა," ან "იაჰუ," ან კიდევ რამე სხვა, იქ შიგნით პატარა ფორტოჩკა იქნება და იქ ჩაწერ რაიმე სიტყვას ან ცნებას, მერე გვერდით დაჭკრავ ისარს და წავიდა მეთქი. ფორტოჩკაში "ლას ვეგასი" ჩავწერე და პრაქტიკულად ავუხსენი ყველაფერი. მივყევი და მივყევი, მისამართების ამბავიც ვუთხარი, ფავორიტებისაც, წაშლის და ახალი ფანჯრების იქვე გახსნისას.

მოკლედ, ყველაფერი ვუამბე და დაიმახსოვრა კიდეც, თუმცა, ოდნავ შემცბარი ჩანდა, აქ ყველაფერი ინგლისურად ყოფილა და მე მაინც ვერაფერში გამოვიყენებო. რუსული საიტებიც ვაჩვენე, მაგრამ არ მოეწონა, მთავარი, ესე იგი, ინგლისური ყოფილაო.

ვიფიქრე გავართო-მეთქი და ი-მეილის გახსნა ვასწავლე, თავადაც გავუკვირე მისამართი, თუმცა, საეჭვო იყო, რამეში დასჭირვებოდა.

kaibichistsxovreba@hotmail.com დავარქვით, ფასვორდის ამბავში კი თავად მოიგონა სიტყვა, განაბი, და ის ჩაწერეთ. დიდად გაახალისა ამ ამბავმა და რამდენიმეჯერ შევიდა და გამოვიდა თავის ყუთში. მერე, საჩვენებლად წერილიც გავუგზავნე, საპასუხო წერილის მოწერაც ვასწავლე და კლავიატურასთან გაშინაურებაც კი სცადა. აკრიფა, "რავა ხარ" და ჩემს მისამართზე გამოგზავნა.

მეცადინეობა ამით დასრულდა და ის კმაყოფილი, თუმცა ოდნავ დაბნეული წავიდა. მერე კარგახანს აღარ გამოჩენილა, მიმავიწყდა კიდეც, იმიტომ რომ თვეობით არ ჩანდა, მხოლოდ ზაფხულში უხშირებდა ხოლმე შემოვლას.

უკვე აციებული იყო, ნოემბრის ბოლო, თუ რაღაც ამგვარი და შებნელებულზე სახლში მოვედი. იქ დამიხვდა, ყავისფერ ჯეკმპრში ჩაცმული და ულვაშებდამშვენებული, ცდილობდა ჩემს ქალიშვილთან ეთამაშა, მაგრამ ეს უკანასკნელი ორ სამ ნაბიჯზე ახლოს არ მიდიოდა, მას კი წამოდგომა ეზარებოდა, რომ დაეჭირა. საერთოდ, ბავშვები უყვარდა, მაგრამ სიმკაცრეს ემხრობოდა, ტყუილად ხომ არ იყო კარგი ბიჭი. ჩემს ვაჟს, მაგალითად, სულ უბღვერდა და ჭკუას ასწავლიდა. რა თქმა უნდა მეგობრულად, ოღონდ კაიბიჭური მეგობრობის ხერხებით და შეხედულებებით.

ჩემმა ცოლმა ჰოლშივე მითხრა, რომ ერთი საათის მოსულია და მელოდება, რადგან რაღაც საქმე აქვს. ცოტა დაელია და ჩვეულ ღლაბუცის ხასიათზე იყო, კარგი ხუმრობა იცოდა, ოღონდ იშვიათად ხუმრობდა, ახლა კი სასაცილოდ ყვებოდა კაიბიჭურ ამბებს.

ეგ რა ულვაში დაგიყენებია მეთქი, მეც ვკითხე, რადგან არ უხდებოდა ულვაშები და საერთოდაც სხვა, მეტად უბრალო ვინმეს ჰგავდა. საქმის ამბავიაო, ის თქვა, მივხვდი, არ ახალი გაძარცვული ჰყავდა ვინმე, ან დღე-დღეზე უნდა გაეძარცვა. ალბათ უკვე გაძარცვული ჰყავდა, რადგან ულვაშს სულ ახლად ამოკკრეფილობა ეტყობოდა. ამ ულვაშმა მაფიქრებინა, რომ ან ჩვენთან უნდა დასახლდეს რამდენიმე დღით, ან სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც საშიშარ ამბავში უნდა გავეხვიო. ისე, როგორც ერთხელ მოხდა, როცა ვიღაცეებთან გამატანა ორი სიტყვა, იმათ კიდევ წვრილად გამოკითხვა დამიწყეს, სად ცხოვრობო, ვინ ხარო და ასე დაუსრულებლად.

სამი წლის წინათ იყო ეს ამბავი და კინაღამ წაგხდი. აბა, ეგეთი ლაპარაკისა რა გამეგება?

ახლაც რაღაც ასეთი უნდა ყოფილიყო და მისი ლაპარაკი არც კი მესმოდა, იმას ვფიქრობდი, რა მომელოდა. ის კიდევ ყვებოდა რაღაცეებს და სხვათა შორის, როცა ზრდილობის გულისთვის მოვიკითხე ის ორი კაი ბიჭი, ზაფხულში რომ მაწვია, ერთი იმათიცაო, იმათთან ყველაფერი გაგაიასნეო, არაკაცობაში ვამხილე და საკადრისიც მივუზღე ქურდის წინაშეო. წაიბურტყუნა, ეგ ბოზებიო და აღარ გაუგრძელებია, რამაც კიდევ უფრო დამამწუხრა.

სათქმელს კი არ ამბობდა, თითქოს განგებ მაწვალებდა და მეც გულგაწვრილებული ველოდებოდი. ჩემი ცოლის სამგზის შეთავაზებაზე ეთქვა უარი, ვერ ვივახშმებ, მეჩქარება და არცა მშიაო. მე მეოთხედ შევთავაზე და გამომიტყდა, სიმართლე გითხრა, ძალიან მეჩქარება, ქვემოთ, მანქანაში ერთი კაი ბიჭი მელოდება და წასასვლელები ვართო. მე, როგორც წესია, საათნახევარი მანქანაში მჯდომის ამოპატიჟება მოვითხოვე, მაგრამ ესეც იუარა, შენთან მაქ საქმე, იმასთან კი არაო. ჩემი ცოლი მიხვდა, ქალიშვილს ხელი მოაკლო და ოთახიდან გაიყვანა.

გავიდნენ თუ არა, მან შესაკლისა და მომზადების გარეშე მომახალა, ინგლისურის სწავლა მინდა და კაი მასწავლებელი მიშოვნეო. ამ ამბავმა იმდენად გამახარა, რომ ველარ გამოოცა. რაღაც საშინელებას ველოდი და იმიტომ.

ოღონდ ეგ ამბავი საერთოდ არავინ არ უნდა იცოდესო, საერთოდ არავინო.

აბა, რაღა რჩებოდა მისი გაღმური კაი ბიჭობიდან, ვინმეს რომ შეეტყო, "ჰედვეის" რვეულებით დარბის აქეთ-იქით და დროებსა და ზმნებს იზუთხავსო.

მე დახმარება აღვუთქვი, სამსახურში გავიკითხავ-მეთქი. ერთადერთ რამეს ითხოვდა, მასწავლებელი ქალი იყოს, სრულიად არ არის აუცილებელი, რომ ახალგაზრდა და ისეთი, მე რომ იოლად გადავიხვევ ხელზეო. რა თქმა უნდა, მივხვდი, რაც უნდოდა, მაგრამ იმანაც დამაფიქრა, იმ მასწავლებელს რა დაემართებოდა, ეს რომ წარუდგებოდა პირველ გაკვეთილზე. არ იფიქრო, რომ გადავაგდებ, თუ უნდა, ნახევარი წლის ფულს წინდაწინ მივცემო.

დამიბარა, ორ დღეში სამსახურში გამოგივლიო და დაუმშვიდობებლად წავიდა.

ის კაი ბიჭი იყო, მე კიდევ ცუდი ადამიანი ვარ. წავიდა თუ არა, ჩემი ცოლი შემოვარდა ოთახში, მომეცი, მე დავმალავ, ბავშვმა არ ნახოს სადმეო. ახსოგდა, ერთხელ რომ პისტოლეტი მომაბარა შესანახად. მე პირდაპირ ვუთხარი, რომ ინგლისურზე უნდა სიარული მეთქი. მეგონა ჩემი ცოლი გახალისდებოდა და იმიტომ ვუთხარი, მაგრამ სახე რომ მოეღრუბლა, ფიცება დავუწყე, არსად წამოგცდეს-მეთქი. სად უნდა წამომცდესო, კიდევ უფრო შეწუხდა, რატომ მოისურვა ინგლისურზე სიარულიო.

ეს ამბავი უცებ ვერ დავაკავშირე ინტერნეტთან და ახლაც მგონია, რომ ინტერნეტის გამო არ გადაეწყვიტა ინგლისურის სწავლა. რაღაც უნდოდა და ეს ინტერნეტიც და ინგლისურიც იქედან თუ გამომდინარეობდა.

მასწავლებელი კი იოლად ვუშოვნეთ. რა უნდა თბილისში ინგლისურის მასწავლებლის შოვნასა? არც მთლად თანამედროვე იყო და არც ძველი ხერხების მიმდეკარი. ყოველ მოთხოვნას დაჰყაბულდა, ჯგუფში ეს არ ივლიდა და მე თვითონ მოვიფიქრე, რომ ცალკე მეცადინეობა მომეთხოვა მისთვის. ქალი დაჰყაბულდა, ჩემი თანამშრომელი ელაპარაკა ტელეფონით და ყველაფერი მშვენივრად აეწყო. ორ დღეში შემომიარა და ამ მასწავლებლის ტელეფონი დავახვედრე. დავრეკავო, თქვა სერიოზული სახით და წავიდა. ეჩქარებოდა, მანქანაში ერთი კაი ბიჭი მელოდებაო.

იმის შემდეგ აგე რამდენი დრო გავიდა და აღარ მინახავს.

საერთოდ აღარ მინახავს, შუა ზაფხულია უკვე და არც აგარაკზე გამოჩენილა რომელიმე თანმხლებ კაი ბიჭთან ერთად, რათა ნაირგვარ საკითხებზე მოგვესაუბრა.

ერთ დღესაც აგარაკიდან წამოსული პირდაპირ სამსახურში მივედი და ჩვენმა მდივანმა მითხრა, უკვე ორჯერ დაგირეკა ვიღაც ქალმა და ბოლოს ტელეფონის ნომერიც დამიტოვა, როგორც კი მოვა, დამიკავშირდესო. გვარი და სახელი მეცნო, სწორედ ის ქალი უნდა ყოფილიყო, ეს ჩემი მეგობარი რომ მივაბარეთ ინგლისურის სასწავლად. სანამ დავრეკავდი, ვიფიქრე, რომ გადაადგო და ახლა ეს ქალი თავისი ჰონორარის მოპოვებას ცდილობს. ჩემს თანამშრომელს გამოვკითხე და მითხრა, კიო, შენ დაგეძებს ჩემი ნაცნობი ის ინგლისურის მასწავლებელი, შარშან რომ ვიღაც გავუგზავნეთო. ნომერს რომ ვკრეფდი, ვფიქრობდი, რომ ინგლისურის მასწავლებლის მეზობლის ბინა შეათვალიერა და ერთ ღამესაც განმრნდეს მან და რომელიმე კაი ბიჭმა, ან სულაც შეცვივდნენ და სახლის პატრონები გაკოჭეს. ამიტომ, ვცდილობდი, ყველაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვის მზად ვყოფილიყავი და უკვე საჭირო პასუხებს ვალაგებდი თავში. თუმცა, როგორ იქნები ყველაფრისთვის მზად?

ქალს სასიამოვნო, იდუმალი ხმა ჰქონდა. ჩემის გამოთვლით, ორმოცდათორმეტი წლის იქნებოდა. შინაურულად, ისე მელაპარაკებოდა, ბევრი რამ რომ უნახავთ და განუცდიათ ცხოვრებაში, მაგრამ ოცნებებს რომ ვერ გადაჩვევინან. საქმე ჩვენს საერთო მეგობარს ეხებაო, ყოველგვარი ავი ინტონაციის და ნიშნისმოგების გარეშე მითხრა და შეხვედრა დამითქვა, სამწუხაროდ სატელეფონო საუბარი არ არის და უნდა შეგაწუხოო. რა შენწუხებაა-მეთქი, დავიღვარე, ოღონდ კარგი მაინც ცოტა ჩანდა ამ ამბავში, ამ ქალის ხმის გარდა, არაფერი იყო სანდო და საიმედო.

ზაფხული იყო და ქალაქში მყუდროება შეიგრძნობოდა, ვიკის პარკის თაღებთან შევხვდი. დიდად კულტურული ქალი იყო, რომ მოგეწონებათ ისეთი. სამ წუთში შევიტყვე, რომ ერთი შვილი ამერიკაში ჰყავს, მეორე ინგლისში. სხვაგვარს არც ველოდი, "მონტე კარლოს" ეწეოდა და ძალიან ლამაზი, ძველი ჩანთა მოეგდო მხარზე, იქედან კი საქაღალდეები მოჩანდა.

გადამკოცნა, ბოდიში, რომ გამოგიყვანე, მაგრამ სამსახურში მოსვლა არ მინდოდაო. რასა ბრძანებთ-მეთქი, უკვე დრო მოდიოდა ეთქვა, შენმა მეგობარმა ფული არ გადამიხადაო.

- უბედურება. რა არის იცი, ჩემო კარგო? შეიძლება ადამიანს უნდოდეს, რომ კარგი იყოს, მაგრამ არაფერი გამოუვიდეს. გარემოს ვერ მოერიოს. ძალიან მწყინს ეს ამბავი. ორი დღეა ვფიქრობ და თავიდან ვერ ამოვიგდე, - ასეთი რამ მითხრა - დღეს უკვე გაზეთებშიც წერია.

მოკლედ ეს ჩემი მეგობარი და ინგლისურის მასწავლებელი დიდად დამეგობრებულიყვნენ. როგორც ვხვდები, მასწავლებელს ის მოეხერხებინა, რაც მე არც კი მიცდია ოდესმე და კაი ბიჭი, კარგი ბიჭობისკენ გადმოექაჩა. როგორც დავატყვე, ეს ამბავი თანდათანობით მომზდარიყო, რადგან ამ კარგ დეიდას თანდათანობით დაეტყო რა შვილიცა ბრძანდებოდა მისი მოწაფე და ასევე თანდათანობით მისდგომოდა მისი ციხე-სიმაგრეების ნგრევას. ერთი დროც ჩამომდგარიყო და გულახდილ საუბარზეც გამოეწვია ეს ჩვენი კაი ბიჭი. ძალიან კარგი დეიდა იყო, ისიც კი მითხრა, სულ იმას ვფიქრობდი, ეს ურთიერთობა, რომელიც ამ ნადირთან წამოვიწყე, რაიმე უხამს ისტორიაში არ გადაიზარდოსო. უხაროდა, რომ ბეწვის ხიდზე გაიარა და ბიჭს არა მხოლოდ ინგლისურს ასწავლიდა, არამედ მართლა ასწავლიდა რაღაცეებს.

ნებისმიერ დროს შეეძლო მოსვლა, ღამღამობით სრულიად გონებადაბინდული მირეკავდა და ლამის ფსიქოთერაპევტად ვიქეციო, ესეც მითხრა. ეგ ეხერხება-მეთქი, მივუგე. არ ვნანობო, რადგან მართლაც ძალიან გულიანი და ალალი ბიჭი გახლავსო, ღმერთო, რა იქნებოდა, ვინმეს რომ ადრიდანვე მიეხედა მისთვისო. კარგი დედა ჰყავდა მეთქი, მახსოვდა დედამისი, ბავშვობისას რამდენჯერ ვყოფილვარ მათთან, ეზოში.

ეს რომ ვთქვი, ძალიან ნანყენმა შემომხედა, ეტყობოდა, ჩემზე მეტი იცოდა მისი თავგადასავლისა.

მთავარი კი რა მომხდარიყო: ორი დღის წინათ დაერეკა მასწავლებლისთვის და ეთქვა, სამწუხაროდ, ვეღარ ვივლი თქვენთანო და ამ თვის ფულს მერე როგორმე მოგაწვდით, ოღონდ ძველი პირობა დაიმახსოვრეთ, არავის უთხრათ რომ თქვენთან დავდიოდიო. ქალი ცხადია მიმხვდარა, რომ რაღაც ცუდი ამბავია და უკითხავს, ხომ არ დაუპატიმრებიხარ, რამე ხომ არ ჩაგიდენია, თუ ასეა, იცოდე, რომ ყველანაირად დაგეხმარებიო. არაო, უპასუხია, არავის დავუპატიმრებივარ, მაგრამ შეიძლება დამპატიმრონ, რადგან კაცი მოვკალი. კაცი კი არა, არაკაციო და მეტს ვეღარ დავრეკავო.

მასწავლებელს გულს შემოყრია ეს ამბავი და მეც, რაღა დაგიმალოთ, შევცბი. ერთი-ორჯერ კი გამეგონა მისგან, ვიღაცაზე ნათქვამი, თუ ასე მოქცევას გააგრძელებს, გავხვრიტავო, მაგრამ ეს იმდენი ხნის ამბავი იყო, რომ წელიწადი ვერც კი გავიხსენე. ერთი იმის მეშინოდა, რომ ძარცვისას არ მოეკლა ვინმე, ან აკივლებული ქალი, ან შემოსწრებული მეზობელი.

მასწავლებელმა დაკეცილი გაზეთი მოძებნა ჩანთაში და იქ პირდაპირ ეწერა ყველაფერი, სახელებიც და გვარებიც. სწორედ ის თავისი დოსტი მოეკლა, მანქანაში რომ ელოდებოდა ხოლმე. გაზეთში წესიერად რას განგიმარტავენ, კრიმინალური გარჩევა იყოო და მანქანაში ისხდნენ ეს ორნი და ერთი მეძავიო. თუ კრიმინალური გარჩევა იყო, მეძავს რაღა უნდოდა მანქანაში.

მოკლედ, ლაპარაკი მოსვლიათ, ამას დაუხლია ექვსი ტყვია, გადმოსულა მანქანიდან და მიმალულა. ცოტ-ცოტა რაღაცეები კი გამეგებოდა ამ ისტორიისა, მაგრამ კეთილშობილ დეიდას ხომ ვერ მოვუყვებოდი. რაღაცნაირი ძმაკაცობა ჰქონდათ, იმას თითქოს რაღაც შურდა ამისა, ეს კიდევ არ იმჩნევდა და მანამდე იცდიდა, სანამ ის საბოლოოდ არ გასკდებოდა. მე მგონია, რომ მოკვლას ის უფრო დაუპირებდა, მაგრამ ეს ჭკვიანი იყო და დაასწრებდა, ხოლო მეძავი გოგოს იქ ყოფნა იმას თუ ნიშნავდა, რომ ყველაფერი უცებ მოხდა.

ცხადია, მე მასწავლებელს ვერ გადავარწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდი: სჯეროდა, თითქოს ყველაფერი იმიტომ მომხდარიყო, რომ ეს საბრალო ბიჭი (ასე თქვა) სწავლას დაეწაფა. მასში ცვლილება შეამჩნიეს, გაუგეს და იმათებურად ანგარიშის გასწორებაც დაუპირეს, რასაც ის, როგორც მამაცი, მაგრად დაუხვდა და იძულებით შეიქნა მკვლელი. ანუ, რასაც უნდოდათ, მიაღწიესო.

ჩემს დუმილს, ამ ამბის დაუჯერებლობა რომ დაატყო, შემომიტია, როგორ, ჯერ მარტო წიგნებს რომ უპოვნიდნენ სახლში, ხომ მიხვდებოდნენო. მალკოლმ ბრედბერის წიგნს ვაკითხებდი უკვე და ვათარგმნინებდიო.

ეს მაინც იყო სანუგეშო, რომ თურმე ინგლისურს დიდი მონდომებით სწავლობდა და საერთოდ, ნიჭიც გამოსჩენოდა ენების დაუფლების საკითხში.

ძალიან უყვარდა ამ ქალს თავისი კაი ბიჭი მოწაფე, მაგრამ აბა რა შეგვეძლო? დავიშალეთ დარდიანად და მე სამსახურისკენ წამოვედი, ის კი თავისი ინსტიტუტისკენ წავიდა.

ძალიან კულტურული მოსიარულე იყო, უკნიდანაც.

და საერთოდ, მგონი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მართლა წუხდა მისი ბედის გამო. მეც ვწუხდი, მაგრამ რა მექნა? ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან რაღაცას მოახდენდა.

ის ქალბატონი კი ამის შემდეგ აღარ მინახავს, არც ის ვიცი, დაუბრუნა თუ არა მალკოლმ ბრედბერის წიგნი. საიდან დაუბრუნებდა. არც ის ქალბატონი მინახავს და არც თვითონ ის. არადა, სულ ვფიქრობდი მის შესახებ, ასავალ დასავალს ვერაფრით შევიტყობდი, რადგან მისი ბოლო მისამართი არ ვიცოდი. მთელი თეორია ავაგე, რადგან უზარმაზარი ზღაპარი შევაკოწიწე ადამიანის შესახებ, რომელმაც საშინელი, ათასტაბუიანი სამყაროდან კარი გამოიჯახუნა. დიდ ტრაგიკულ გმირად შევრაცხე ეს ჩემი მეგობარი, რომელმაც რაღაც საქმეზე თავისი მეგობარი მოკლა და ეს მკვლელობა განთავისუფლების სისხლიან სიმბოლოდ წარმოვიდგინე, ლამის რიტუალურ მკვლელობად, მსხვერპლშეწირვად დავსახე. ის რომ გცნობოდათ, სხვანაირს ვერც თქვენ წარმოიდგენდით რამეს. თავიდან ბოლომდე მითებით გაჯერებული კაცი იყო, მეტად სჯეროდა თავისი კერპებისა. ურყევი იყო, უშიშო და უხორცო. ჯოჯოხეთის კარზე შინაურულად მიაკაკუნებდა.

უცნაური კი ის იყო, რომ ინგლისურის მასწავლებელთან შეხვედრიდან ერთი თვის თავზე სამსახურში ერთი გოგო მომდგა. ტყავის შარვალი, ტყავის კურტკა ეცვა და ოცი წლის იქნებოდა. შარვალი, ისევე როგორც მძიმექუსლებიანი ფეხსაცმელი, შავი ეცვა, კურტკა კი ისეთივე შავი შეერჩია, როგორიც თმის საღებავი. ხელში შავი ცელოფანი ეჭირა და მხარზეც შავი ჩანთა მოეგდო. უპეებიც კი ჩაშავებული ჰქონდა, ხოლო მანიკური მუქი შინდისფერი. საერთოდ ვერ მივხვდი ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამაგებინა, რომ სწორედ ის ბოლო ქალი გახლავთ, ვისთანაც ჩემი მეგობარი ცხოვრობდა.

მე, რა თქმა უნდა, ყავაზე დავპატიჟე, ბოლოსდაბოლოს მეგობრის ცოლი იყო. ცოლი თუ არა, მეგობრის მეგობარი და დიდად ნაწვალები გოგოც ჩანდა, რაღაცნაირად მოდუნებული და მოძრაობაშენელებული. მრავლობით-მხოლობითს თავისებურად ურევდა, ადრევე გვინდოდა მოსვლა, მაგრამ ვერ მოვახერხეო. კაფეში ჩასვლაზე კი უარი მითხრა, ძალლები (სწორედ ასე თქვა) მიყურებენ (სწორედ ასე თქვა) ხოლმე და თუ ახლაც მიყურებენ, შარი რათ გინდაო. შენ იმას ძალიან უყვარხარ და ეგრე დამიბარა ფრთხილად მიდიო.

ყავა მაინც დალიე-მეთქი არ მოვიშალე და ოფისში დავტრიალდი, მადუღარაც მოვართვი და დაფქული ყავაც. თვითონ მოადუღა, ოღონდ მხოლოდ ჩემთვის და ბრწყინვალედაც გამოუვიდა. იმის გემო ახლაც მახსოვს. რა თქმა უნდა, არ იცოდა სად იყო ჩემი მეგობარი, თუმცა მანამდე რაც მომხდარიყო, ყველაფერი იცოდა. სწორედ ის მჯდარიყო მანქანაში, როცა კაი ბიჭებს ლაპარაკი და სროლა მოუხდათ ერთმანეთში.

ამას რომ არ მოეკლა ის მოკლავდაო, ასე ამიხსნა. იმ დღეს თუ არა, მეორე დღესო. თურმე იმ მოკლულს მოუხერხებია და ეს ჩემი მეგობარი ძალიან სწრაფად შესძულებია ციხიდან გამოსვლის შემდეგ, რადგანაც ამას მისთვის ნაირგვარ საქმეებში მხარი არ დაუჭერია. გარეგნულად მაინც ერთობას უჩვენებდნენ უბნის ხალხს, რადგან იმათ არ შეეტყოთ, რომ ჩემმა მეგობარმა თავისი მეგობარი აღარ მოიწონა. ამასაც ჩემი მეგობარი აკეთებდა თურმე, რადგან მისი სახელი დიდად შველოდა იმ ციხიდან ახლადგამოსულს, რომელიც ასევე ყველას შესძულებოდა და ერთი სული ჰქონდათ, სანამ რამეში გამოიჭერდნენ, მაგრამ რახან ჩემი მეგობარი ედგა გვერდში, ითმენდნენ. ის კიდევ თავზეხელაღებული ბიჭი ყოფილიყო და ეს სურათი ეუკადრისა. ამიტომ, ჩემი მეგობრისადმი ბრაზი სიმთვრალეში გამოაჩნდებოდა ხოლმე და ძმურ ლაპარაკში მეტისმეტს ეტყოდა. ამიტომ ნაირგვარ შემოწმებებს გაუმართავდა ხოლმე ჩემს მეგობარს.

მაგალითად ეტყოდა, ძმაო-ჯან, ხო ვარ პაპა რიმსკიო. ანუ პირველი ხო ვარო. ეს კი ასევე არ იყო დამთმობი და უპასუხებდა, პაპა რიმსკის რა ვთქვი, ძმები ვართ და კაი ბიჭე-

ბი, მთავარიც ეს არისო. იმას კიდევ ამგვარი პასუხები გულზე ხეთქავდა, მაგრამ ითმენდა.

იმ ღამეს, მთვრალი ყოფილა და მანქანაში უთქვამს, ქურდი ვარო. თქვენთვის და ჩემთვის არაფერი, მაგრამ გოგომ ამიხსნა, რომ ამ ბოლო დროს ასეთი თქმები გახშირდა, რაიც გაუგებრობებს და მთქმელი თვითმარქვიების წახდენას იწვევს ხოლმე. ჩემს მეგობარს მიუგია, მთვრალი ხარ და ეგ აღარ გაიმეორორო. იმას კიდევ, მოგკლავო, თუ არ მოგკლა ნახეო. ქურდი ვარ ბიჭოო. ის უიარაღოთ ყოფილა, მაგრამ ისეთები უთქვამს, რომ ამას ამოუღია და პირდაპირ მანქანაშივე უსვრია. ყველაზე ცუდი ის გამოდგაო, ამ გოგომ თქვა, რომ ეს მოკლულიო, თურმე მართლა სიტყვას ელოდებოდაო, ხუთი წუთიღა აკლდა ქურდობამდეო და გასვენებაში ითქვაო, რო ქურდათ იმარხებაო.

ამის მერე ვინ გამოდიოდა ჩემი მეგობარი, სიტყვას აღარ გავაგრძელებ. აბა, ქალს ხომ არ ალაპარაკებდნენ იქ, მოკლული უტრაბახებელს ტრაბახობდაო.

ამეებს მიამბობდა ეს გოგო და სულ ბოლოს გადმომიდო მაგიდაზე ის შავი ცელოფნის პარკი, აი, ესო, ამისთვისა ვარ მოსულიო. სულ ერთხელ დამირეკა რაც გაქცეულიაო და მითხრაო, შავი პარკი რო დევს, ის ამადაამ ჩემ ძმას წაუღე და იმან იცის რასაც უბამსო.

პარკში გამოდგა ჩალაგებული: "ჰედვეის" სახელმძღვანელოები (სულ მთლად შევსებული გაუწაფავი კალიგრაფიით), ემილი ბრონტეს "ქუხილიანი უღელტეხილი" (ინგლისურ ენაზე, პირველ თვრამეტ გვერდზე უცხო სიტყვები, ვარდისფერი მარკერით გადაჭრელებული და ზედვე დაწერილი ქართული მნიშვნელობები) და "გარიბალდის ცხოვრება" რომელიღაც რუსი ავტორისა (ქართულ ენაზე) .

იმწამსვე მივხვდი, რომ ეს ყველაფერი გოგოს თანდასწრებით არ უნდა ამომელაგებინა, რადგან მან არაფერი იცოდა ჩემი მეგობრის გატაცებებისა და მეცადინეობებისა.

ო, ო, ეს ჩემი წიგნებია, ერთხელ მანქანაში დამრჩა მეფქი მაგათთან, ასე წამოვიძახე და მის ქებას მოვყევი, რა კაცია, ასეთ დღეში მყოფს ეს როგორლა გაახსენდა-მეთქი. გოგომ ისე შემომხედა, რომ ქალს ვერაფერს გამოაპარებო და თქვა: შენ იცი, ეგ იმას გავს, რო შენ მომპარავობა დაიწყოო.

სხვანაირი ბიჭია-მეთქი, წავიბურტყუნე.

ხო, სხვანაირი გახდაო.

აღარ გაუგრძელებია, ეტყობოდა იცოდა, რომ ის რაღაც არაკაიბიჭურს საქმიანობდა. მხოლოდ ეს თქვა, ფეხმძიმედ ვარო და ადრე სულ ვიკეთებდი აბორტს, ახლა კიდე აღარ გავიკეთებო.

ჩამწყდა სული, გული და ყველაფერი, რაც შეიძლება ჩაწყდეს კაცს. ან სად მოასწრო ამდენი აბორტები. თუ მშვიდობა იქნა, ხო მომინათლავო, თქვა, შეისწორა ჩანთა მხარზე და წავიდა.

აგე, რამდენი დრო გავიდა იმის შემდეგ, იმ გოგოს ასავალ-დასავალი კი ვერ დავადგინე. მხოლოდ ამ შობას, ი-მეილის ყუთი გავხსენი და იქ წერილი დამიხვდა: "მერი ქრისტმას, ფრენდ."

მისამართი ნაცნობი იყო:

kaibichistsxovreba@hotmail.com

მე ამ მისამართის ფასვორდიც მახსოვდა, თუმცა სხვის ყუთში ტრიალი პატიოსან ბიჭს არ შეშვენის. ბოლომდე სიმართლე რომ ვთქვა, ფასვორდი შეეცვალა, "განაბი"-ზე კარი არ იღებოდა. შეცვლიდა. ყველაფერი შეცვალა და ფასვორდს აღარ შეცვლიდა? ძალიან შემრცხვა, რომ მის საფოსტო ყუთში შეღწევას ვლამობდი, მაგრამ ასე მეტს შევიტყობდი ჩემი მეგობრის შესახებ.

წიგნები ინგლისურის მასწავლებლისთვის არ დამიბრუნებია. მქონდეს სახსოვრად.

აი, ასეთი ამბავი იყო და ამიტომაც სულ მახსოვს, რომ ერთხელ კაი ბიჭებში ვიჯექი. მე თვითონ ვერა ვარ კაი ბიჭი, მაგრამ ისე მოხდა, რომ მყავდა ასეთი მეგობარი, რომელიც კაი ბიჭი იყო.

საუბარი კი ინტერნეტს გადაწვდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიკა კიკაჩეიშვილი

მარიკა

ელისო მარიკას უფროსი დაიკოა. ჭკვიანი დაიკო. ძალიან ჭკვიანი. ელისომ ყველაფერი იცის. სულ ყველაფერი. მერე იცით როგორი კეთილია? თუ რამე შენიშვნას მისცემს მარიკას, ისევ მარიკას სასიკეთოდ, თორემ ხომ არ ეხალისება ელისოს შენიშვნების მიცემა და კიდევ, ელისო ერთია, მარიკას ერთადერთი დაიკოა.

მარიკა კი თავისი მშობლების გვიანი შვილია. არავინ ელოდებოდა, ისე გაჩნდა. დაიბნენ, არ ეგონათ, არ იცოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ვადები გადაუცდათ და მარიკაც გაჩნდა. მამამ მარიკას დაბადებამდე დალია სული. არც არავის გაკვირვებია, ისეთ ასაკში იყო ცხონებული. ფოტოსურათიდან იცნობს მამას მარიკა. აი, იმ ფოტოსურათიდან, მისაღებ ოთახში რომ კიდია. სათვალიანი კაცი კმაყოფილი სახით ვიღაცას ყურიმის. შლაპა ახურავს და პირში "პაპიროსი" აქვს გაჩრილი. მარიკამ იცის, რომ მამა რეჟისორი იყო. თუმცა ადრე სიტყვა რეჟისორს ვერ ამბობდა. ჰოდა, სტუმრები რომ მოვიდოდნენ, პატარა მარიკა ფოტოს ქვეშ დადგებოდა, საჩვენებელ თითს ზე აღმართავდა და შლაპიან კაცს საზეიმოდ წარადგენდა - "ჟისორი მამა".

ექვს წლამდე ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ შეამჩნევდით მარიკას. ექვსი წლის რომ შესრულდა, განა რა? არც არაფერი. უბრალოდ, ამას იქით ზრდა აღარ ინდომა. გაჯიუტდა თითქოს, არა, არა, სხეულით ჩვეულებრივ ვითარდებოდა. ტანითაც, ფერ-ხორცითაც. სხვა მხრივ არ ინდომა ზრდა. სკოლაში მაინც მიიყვანეს. ფორმაც ჩააცვეს, ბაფთაც შეაბეს ნაწნავზე. პირველ კლასში დასვეს. გაიხარა მარიკამაც, ამდენი სხვადასხვანაირი ბავშვი რომ დაინახა. აცქერდა, აკისკისდა თავისებურად. მერე საკლასო ოთახში პატარა ტანის ქალი შემოვიდა, პრინციპული სახით, აკოკოლავებული თმებით, "შპილკა" ქუსლებზე შეკოხილი და სსსსსუ-ო თქვა. გაჩუმდნენ ბავშვები, მარიკას კისკისი ისმოდა მხოლოდ. მასწავლებელმა შეუბღვირა, ხმას აუწია, შეუყვირა კიდეც. მარიკა კი დარწმუნებული იყო, რომ ეთამაშებოდა პატარა ზომის ქალი, ჰოდა, უმატა და უმატა კისკისს. ამის მერე სკოლაში აღარ წაუყვანიათ.

ისე, სახლშიც არ უჩიოდა ბედს. ეს იყო, რომ ელისოს "უნივერსიტეტში" (როგორც თვითონ უწოდებდა) წასვლას ვერ გუობდა. წუწუნს დილიდანვე იწყებდა - ელისოოო, ელისუნაა, ელისიკოო დღეს არ წახვიდე რაა! მტკივა მე ყველაფერი მტკივა, ცხვირიც, თვალებიც, კბილებიც. ელისო ამ დროს თან სიგარეტს ეწეოდა, თან მურაბაინ ჩაის სვამდა, თან აჩქარებით იცვამდა, დაპირებებსაც იძლეოდა შიგადაშიგ:

- "ჰო, კარგი, კარგი, წამოგიღებ დათუნია კამფეტებს".
- ნუგეს, მომპასებს?
- ჰო, ჰო ნუგეესაც.
- ბატიბუტებს?
- ჰო, ჰო, იმასაც, წავედი ახლა, გავიქეცი.

მერე ელისოს დაბრუნებამდე მოწყენილობა და ასაკოვანი "დედუკას" გაუთავებელი ძახილი - მარიკა, მარიკااა! მოდი დედიკო, აქ დამიჯექი. ვლელავ დედიკო, მოუსვენარი ხარ, რამე არ მოწიო თავს, ქსოვს ან კერავს ასაკოვანი "დედუკა" და მარიკას თავის ბებიების, ბაბუების, ახლობელი და შორებელი ნათესავების სასიყვარულო ისტორიებს უამბობს. დროდადრო დიდ საოჯახო ფოტოალბომს გადმოიღებს და მარიკა ინტერესით უცქერს წვერულვაშგაფურჩქნილ ოფიცრებს, თეთრშლიაპიან ქალებს. მდელოზე წამოგორებულ მოქეიფე ვაჟბატონებს. დრო კი ნელა მიიზლაზნება ელისოს მოსვლამდე.

ელისოს მოსვლას აღტაცებული შეძახილებით ხვდება მარიკა. ჯერ ერთი, მოუტანა თუ არა ელისომ ყველაფერი, რასაც დაპირდა და მერე დღეს რა უნდა გააკეთონ? ცეკვის რეპეტიცია არ უნდა ჩაატარონ? უნდა ჩაატარონ, აუცილებლად უნდა ჩაატარონ. სულ ცოტა ხანში ელისო ტანსაცმელს გამოიცვლის, საცეკვაოდ გაემზადება და -პამ-პა-რამ-პა-რამ-პა-პა ხშირ-ხშირად იმეორებს ელისო და აზიპირებინებს მარიკას სხვადასხვა საინტერესო და უფრო საინტერე-

სო საცეკვაო ილეთებს. პამ-პა-რამ-პა-რამ-პა-პა ეპასუხება მარიკა და ცდილობს ზუსტად გაიმეოროს ელისოს ნაჩვენები მოძრაობები. იმ კვირის ბოლოს სტუმრებს ელოდებიან, ჰოდა, მათ წინაშე უნდა იცეკვოს მარიკამ. ცეკვის გარდა მარიკა სხვა რაღაცებსაც აკეთებს. ბაძავს მარიკა. დიახ, დიახ. ბაძავს. ყველას და ყველაფერს ბაძავს, "დედუკას" ბაძავს, მეზობელ ჟანას, ელისოს მეგობრებს, თვითონ ელისოს. საგნებსაც ბაძავს მარიკა, კალმისტარს, უთოს, ონკანს, გაფუჭებულ, მოშლილ ონკანს ბაძავს. კონცერტის დღეს კარადას გადმოაქოთებენ, ელისო და მარიკა ათასგვარი, ათასფერი ნაჭრების ნარჩენებისაგან მარიკასთვის კოსტიუმს შეთხზავენ. მერე თვალებს უხატავს ელისო მარიკას. კოსტიუმთან შესაფერ "პრიჩოსკას" დაუყენებს. სხვადასხვანაირი ზიზილ-პიპილოებითაც მორთავს. ისე, რომ ცეკვის დროს გვარიანად ინკარუნოს მარიკამ. ამასობაში მაყურებელიც აფუთფუთდება მისაღებ ოთახში - "დედუკა", მეზობელი ჟანა, ელისოს მეგობრები, ერთი-ორი "დედუკას" მეგობარი მოხუცი, დარბაისელი ქალბატონი. ელისო აცხადებს: "ახლა გამოვაჯა"... ამ დროს მარიკა მისაღები ოთახის უკან, პატარა საძინებელში დგას და ღელავს. დამფრთხალია მარიკა. რამე არ შეეშალოს, ელისო არ გააწბილოს, ელისო ხომ, ელისო მარიკას უფროსი დაიკოა, ჭკვიანი დაიკო და... და ელისო ხომ ერთია, ერთადერთი. "ყველაზე ლამაზი, ყველაზე ცნობილი, ყველანაირ პრემიათა და ჯილდოთა", ისმის მისაღებ ოთახიდან "მარრრიკაააა!" აპლოდისმენტები მეგობრები! გამეტებით უკრავენ ტაშს დამსწრენი. იწყება მუსიკა და მარიკაც გამოდის ცეკვა-ცეკვით. თავიდან სიცილია, მერე მარიკა ცდილობს, გაფაციცებულია, რომ არ შეეშალოს. დრო და დრო ახსენდება ელისოს სიტყვები, რომ ცეკვის დროს უნდა გაიღიმოს და იღიმება, თუმცა იქვე ავიწყდება და ისევ გაფაციცებული უბრუნდება საცეკვაო ილეთებს. ბოლოს მუსიკის დამაგვირგვინებელი აკორდი, მარიკას პოზა და ისევ ტაში, შიგადაშიგ ელისოს მეგობრების შეძახილები - რა ნიჭიერია მარიკა, რა საყვარელია, რა ლამაზია, მერე ლოყაზე ჩქმეტა, მოფერება, კოცნა. უხარია მარიკას, ძალიან უხარია, გალიმებული, აღფრთოვანებული მირბი-მორბის და "პაკლონებს" "პაკლონებზე" აკეთებს. "პაკლონების" შემდეგ მარიკა შუაგულ ოთახში დადგება. ცოტა ხანს გაჩუმდება, კარგა გამოცდილი არტისტივით მილულავს თვალებს და დაიწყებს რომელიმე სტუმრის მიბაძვა-გაჯავრებას. აქ კი მართლა გააჩუმებს მარიკა დამსწრეებს. უცნაური გუმანით ირეკლავს უცნაური ბავშვი-გოგო ოჯახის ნაცნობ-მეგობართა თავისებურებებს. ხშირ-ხშირად ჩაიფხუკუნებენ, ჩაიცირქლიანებენ, ჩაიხითხითებენ დამსწრენი. ხშირ-ხშირად წამოისვრიან შორისდებულებს - ვაჰ! ეეე! ჰოოო! ბოლოს კი ტაშს დაუკრავენ, მხოლოდ ამჯერად მართლა გაოცებულები, მართლა კმაყოფილები. მარიკა ელისოს შესცქერის. ელისოს სახეს, ელისოს ნაკვთებს. მთავარი ელისოა. მთავარია ელისომ შეაქოს მარიკა. ანდაც სულაც ნუ შეაქებს, უბრალოდ, კმაყოფილი სახე ჰქონდეს. ელისოს სახე, ელისო, ელისუნა, ელისიკო, ელისო-მელისო. ყველაფერი დანარჩენი მის მიღმაა. ელისოს სახის მიღმა. საათობით უჭვრეტს მარიკა ამ სახეს, როცა ელისო საწერ მაგიდასთან ზის და ქაღალდებს ჩაჰკირკიტებს. განაბული ზის და თვალგაშტერებული უჭვრეტს, ელოდება ისიც, ელისოც რომ ამოხედავს და გაუღიმებს, რომ მარიკა დარწმუნდეს, ელისო მშვენიერ გუნებაზეა. რომ მარიკა კარგი გოგოა, რომ ელისოს ძალიან უყვარს მარიკა. ხმას კი არ გაიღებს. იცის, რომ არ შეიძლება, ელისო მუშაობს. ელისო ხომ, ელისო ძალიან ჭკვიანია. ელისო მარიკას უფროსი დაიკოა.

ეზოში ბავშვები არ ეთამაშებიან მარიკას. ამბობენ, რომ მარიკამ თამაში არ იცის, რომ ბურთს გაიტაცებს და გარბის. კიდევ ის, რომ კისკისებს, სულ კისკისებს. ვერ იოკებს კისკისს და რომ ეშინიათ მარიკას კისკისის. თავის მხრივ, არც მარიკას სურს ეზოს ბავშვებთან თამაში. ამბობს, რომ საპნის ბუშტებთან თამაში ჯობს. იმიტომ, რომ ისინი (საპნის ბუშტები) "ულამაზესებია". აქ უკვე ცნობენ გამვლელ-გამომვლელები, ფანჯრიდან გადმოყუდებულ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონას, ჩამოშლილი ქერა თმებით და გარშემო ალივლივებული საპნის ბუშტებით.

იმ დღეს ჩვეულებრივზე გვიან გაეღვიძა მარიკას. ელისო აღარ დახვდა. იმ დღეს ადრე გასულიყო - რატომ არ გამაღვიძეთო, აბუზღუნდა. "დედუკას" აუბუზღუნდა. რაღაც-რაღაცები უნდა დამებარებინა ელისოსთვისო. ადგა, ჩაიცვა, ჭინჭყლონა და ბუზღუნი არ შეუწყვეტია. ცოტათი რომ დაშოშმინდა, მაშინღა შეამჩნია, რომ "დედუკა" არ გამოეპასუხა. მივიდა საწოლთან, დახედა. ჩვეულებრივ ეძინა ასაკოვან დედას. მხარზე შეახო ხელი, შეანჯღრია. გულაღმა გადმოტრიალდა დედა, თვალები გაახილა, ხმა კი წელანდელივით არ გაიღო. მარიკამ იფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქრა, რომ "დედუკა" განაწყენდა და შერიგების ნიშნად თმებზე მოეფერა. მერე სამზარეულოში გავარდა, ჩაი მოადუღა, "დედუკას" საყვარელი თეთრი ბლის მურაბა გადმოიღო და საწოლში მიართვა. იქნებ ასე მაინც მოიგოს "დედუკას" გული. ჩაის კოვზით მიჰქონდა მურაბა ჩალურჯებულ ბაგეებთან და გაბმულად ეხვეწებოდა - მაპატიე რააა, გეხვეწები რააა... მერე იფიქრა, რომ დედა აღარასდროს აპატიებდა და ატირდა. ისიც გაიფიქრა, რომ ელისო რომ დაბრუნდება, შეიძლება ისიც გაჯავრდეს და "დედუკასავით" დადუმდესო.

იმ დღეებში ბევრი ხალხი ირეოდა სახლში, მარიკამ იცოდა, გაფერთხილებული იყო, რომ სტუმრები არ უნდა შეეწუხებინა. ბევრი კითხვა არ უნდა დაესვა და კიდევ არ უნდა ეკიკისა. დროდადრო ამ ორივე პირობას არღვევდა. ელისოს მეგობარმა ღილებითა და ბრჭყვიალებით გაწყობილი შავი კაბა მოუტანა მარიკას. მარიკამ წამსვე გადაიცვა. ცოტათი პატარა მოუვიდა. თუმცა დამსწრეებმა თქვეს, რომ ძალიან უხდება მარიკას ქერა თმებზე შავი ფერი. ცოტა ხანში დედის გადიდებული ფოტო მოიტანეს და მამის ფოტოს გვერდით დაკიდეს. ეს ფოტო ორჯერ დიდი მაინც იქნებოდა მამის ფოტოზე. მარიკამ ელისოს უთხრა, რომ "დედუკას" ფოტო გაიზარდა, მამის კი ძველებურად პატარა დარჩა. საღამოს, როცა სტუმრები და მეზობლები თავ-თავიანთ სახლებში გაიკრიფებოდნენ, მარიკა ელისოსგან დამალულად თმებზე გაუბედავად ეფერებოდა "დედუკას", თან ენის მოჩნელქით, მხოლოდ ძალიან ჩუმად - დედუკა ცააცა, ცააცა. და კიდევ უფრო ჩუმად - მაპატიე რააა, გთხოვ რააა?! დაკრძალვის დღეს ცალკე იჯდა მარიკა მობუზული, შეშინებული. საქმიანი იერით მიდიმოდიოდნენ ელისოს მეგობრები. მეზობელმა კაცებმა ელისოს და ყველა იქ მყოფ ქალს ოთახის დატოვება მოსთხოვეს. გაიკრიფნენ ქალები. მარიკა დარჩა. არ გაჰყვა გამსვლელებს, გარს შემოეხვინენენ კაცები "დედუკას". სასახლიანად ასწიეს და შენაცვლება-შენაცვლებით წაიღეს კარებისაკენ. ზარიკით გაისმა მარიკას კივილი. შედგნენ მხრებზე სასახლეგადებული კაცები. შემოცვივდნენ ქალები. სკამიდან იატაკზე ჩაცურებული მარიკა მთელი სხეულით ცახცახებდა. წამოაყენეს, დამშვიდება დაუწყეს. მარიკა კი ელისოს ეძებდა დამფრთხალი, ფართოდ გახელილი თვალებით - ელისოო, არ მაპატია ელისოო, არ მაპატია, არაა. გაბმულად მოთქმით შესტირიოდა ელისოს.

ელისომ საძინებელ ოთახში შეიყვანა. მოეფერა, უთხრა, რომ ხვალიდან ყველაფერი ისევე იქნება, როგორც უწინ, რომ ახლა მარიკა უნდა დამშვიდდეს და დაელოდოს ელისოს დაბრუნებას.

ელისო მართლაც მალე დაბრუნდა. დაკრძალვის შემდეგ, მთელი ერთი კვირა მარტო არ დაუტოვებია მარიკა. დილიდან დავალებებს აძლევდა. აქედან მოყოლებული ერთად უნდა გაილვიძონ ელისომ და მარიკამ.

ადგნენ, ლოგინები დაალაგონ, ხელ-პირი დაიბანონ, ისაუზმონ. მერე ელისო "უნივერსიტეტში" წავა. მარიკა კი ჭურჭელს დარეცხავს, მტვერს გადაწმენდს, გამოხვეტს, სარეცხს ჩაალბობს. ელისოს დაბრუნებამდე დიასახლისობას მარიკა გაწევს. პატარა ხომ აღარ არის მარიკა. უკვე ჰა და ჰა ოცდაათხი წლის შესრულდება, ჰოდა უნდა შეძლოს მარიკამ, უნდა მოახერხოს.

ერთი კვირის შემდეგ სამსახურში გავიდა ელისო, უკან დაბრუნებულმა ყურადღებით მიათვალიერ-მოათვალიერა მილაგებული ოთახები, აივანზე გაფენილი სარეცხი, კოხტად დალაგებული ჭურჭელი, მერე გაიღიმა და ხელჩანთიდან ბანანი ამოიღო. დიდი, ყვითელი და სურნელოვანი ბანანი. გაეხარდა მარიკას, ძალიან გაეხარდა. აკისკისდა სიხარულისაგან. ფრთხილად ფცქვნიდა ბანანს, ჭამითაც ნელა ჭამდა, სვენებსვენებით, სიამოვნების გაგრძელებით. შემდგომ შაბათსაც მიიღო საჩუქრად ბანანი, მომდევნო შაბათებსაც. ჰოდა ამის შემდეგ, შაბათ დღეს, საკმეს მოჩრეზოდა თუ არა, გამოიპრანჭებოდა და ისე ელოდებოდა ელისოს დაბრუნებას. დასაჩუქრების დროს კი ამაყი იყო, უსაზღვროდ კმაყოფილი, არა, აშკარაა, რომ პატარა აღარ არის მარიკა. უკვე ელისოც სხვანაირად უყურებს, როგორც მის მეგობარს, როგორც მის თანატოლს, ისე. გაწყრომითაც იშვიათად უწყრება. ბოლო დროს ელისოს მეგობრებიც ხშირ-ხშირად ესაუბრებიან მარიკას. რაღაც-რაღაცებს ეკითხებიან სარეცხ ფხვნილებზე, ჯაგრისებზე, მტვერსასრუტზე და ისეთ რაღაცებზე, რაც მარიკამ იცის, უეჭველად იცის. ის კი არადა, მაღაზიიდან სურსათის მოტანასაც გაართვა მარიკამ თავი. სიას ელისო ადგენდა, რა და რა უნდა ეყიდა, ფასებსაც გვერდით მიაწერდა, როცა ნოქარი ხურდას დაუბრუნებდა, მხოლოდ იქ გაჭირდებოდა ხოლმე საქმე. ხურდის დათვლა უძნელდებოდა მარიკას. უძნელდებოდა და უგრძელდებოდა. ითვლიდა ნელა, ტუჩების ცმაცუნით. ამ დროს თუ რიგი იდგა, ხალხი აჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჩქოლდებოდა. აქეთ-იქიდან შეუძახებდნენ, ამ შეძახილებზე უარესად დაიბნეოდა და თავიდან იწყებდა ხურდების თვლას, ისევე ტუჩების ცმაცუნით და თითების მოშველიებით. ერთხელ მაღაზიიდან გამოსულ მარიკას ახალგაზრდა კაცი გაეცნო - "თუ შეიძლება თქვენი სახელით დამასაჩუქრეთ ქალიშვილოოო" - "მარიკაااა" გაგრძელებით, გაპრანჭულად წარმოთქვა თავისი სახელი მარიკამ. სახლამდე გაჰყვა ის კაცი. მთელი გზა ქათინაურებით ამკობდა. თქვენნაირი მშვენიერი გოგო რა ხანია არ შემხვედრია. დედაჩემს მინდა გავაცნო თქვენი თავიო. რა მშვენიერი ქერა თმები გაქვთო. მარიკა ჩუმად მიდიოდა და იღიმოდა თავისებურად. ბავშვურად, ცოტათი ეშმაკურად. თანაც აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. უნდოდა მეზობლებსაც დაენახათ - ნახონ ბატონო, რომ პატარა აღარ არის მარიკა, ნახონ, როგორ მიაცილებს სახლამდე უცხო, უცნობი მამაკაცი.

- "ხვალ ჩემი მეგობრის დაბადების დღეა და თუ ნებას დამრთავთ, თქვენთან ერთად მინდა ვეწვიოო".

ეს შემოთავაზება ახალგაზრდა კაცმა მაშინ გააკეთა, როცა თითქმის მიადგნენ მარიკას ეზოს. ცოტა ხნით ჩაფიქრდა მარიკა. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ჭოჭმანობდა. მერე დაბლა დაუკრა თავი ახალგაზრდა კაცს და გააგრძელა თავისებურად - "გმაადლოოობთ". მხოლოდ ამის შემდეგ შეაღო ჭიშკარი.

მეორე დღეს, მოსაღამოვებულს ზარი დაირეკა. კარი ელისომ გააღო. გამოწკეპილი ახალგაზრდა კაცი იდგა, ყვავილების თაიგულით ხელში - "მარიკა თუ შეიძლებაო". ელისომ შემოიპატიჟა სტუმარი. თვითონ მაგიდას მიუჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ისე, სასხვათაშორისოდ შეავლო თვალი ახალგაზრდა კაცის საგულდაგულოდ გადაგლესილ თმებს და შემოჭერილ ჰალსტუხს. მარიკას დაძახება არ დასჭირდა, თავისით შემოვიდა. გამოცოცხლდა ახალგაზრდა კაცი: - "რა კარგია, რომ სახლში დამხვდი, ამასობაში დედაშენი გავიცანიო". თაიგული გადასცა მარიკას, ხელზე აკოცა. ჩუმად იდგა მარიკა, დაბნეული, შემცბარი. ელისოს გახედა. რა ქნას, როგორ მოიქცეს, როგორ იქცევიან ხოლმე ასეთ დროს, ან ამ თაიგულს რა მოუხერხოს? იქნებ ელისომ უკარნახოს რამე. ელისო სიგარეტს ეწევა და ძალიან სერიოზული სახე აქვს, თუმცა მარიკა ატყობს, რომ ცოტაც და სიცილად დაიღვრება ელისო, ცოტაც და... პამ-პარამ-პა-რამ-პა-პა წაიმღერა მარიკამ. წაიმღერა მელოდია მათი, მარიკას და ელისოს საცეკვაო რეპერტუარიდან. ტანიც ააყოლა თავისსავე წამღერებულს. პამ-პა-რამ-პა-რამ-პა-პა. თაიგული გულში ჩაიკრა, ცეკვა-ცეკვით, არტისტული პრანჭვით წაგოგმანდა ელისოსკენ. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, თაიგული ელისოს გაუწოდა და "ნება მიბოძეთ ჩემო ფერიავ, თაყვანისცემის ნიშნად" - ამდაგვარი ფრაზები უხვად ჭქონდა გაგონილი "დედუკას" ნაამბობი სასიყვარულო ისტორიებიდან. ჩარგო სახე ხელისგულებში ელისომ, ჩარგო და აცახცახდა სიცილისაგან, მარიკაც აკისკისდა თავისებურად, გაგრძელებით, აი ბავშვებში რომ შიშს იწვევდა, ისე, ერთმანეთს უყურებდნენ და იცინოდნენ, იცინოდნენ და იცინოდნენ, ვერც კი შეამჩნიეს, როდის და როგორ წავიდა გამონკეპილი ვაჟბატონი. თაიგული ლარნაკში ჩადო ელისომ. მერე დაჭანა ის თაიგული. ელისომ კი არ გადაადგო. ისევე ჩატოვა ლარნაკში.

იმ დილით ადრე ადგნენ ელისო და მარიკა. როგორც ყოველთვის, ისე. ელისო ჩქარობდა. ყველაფერს ერთდროულად ახერხებდა, როგორც ყოველთვის. ტანსაცმელს იცვამდა, სიგარეტს ეწეოდა, პირს იბანდა, ყავას შეექცეოდა, რჩევა-დარიგებებს აძლევდა მარიკას. გასასვლელში ერთი წამით შედგა. თავი ჩახარა, ჩაფიქრდა, მერე მარიკას გამოხედა, გაუღიმა და კარებისაკენ წავიდა. აქ ისევ შედგა და ისევ გამოხედა მარიკას. უცბად მოწყვეტილივით, მთელი სხეულით დაენარცხა იატაკს. მარიკა ვერ მიხვდა, რა მოუვიდა ელისოს. ერთადერთი, რაც მოიაზრა, მივარდა და ნჯღრევა დაუწყო. ნჯღრევა და ხმამაღლა ძახილი - ელისო, ელისოოო! რამდენიმე წუთში გაახილა ელისომ თვალები. წყალი მოითხოვა. ნელ-ნელა წამოიწია, სკამზე დაყრდნობით ჩამოჯდა. ცოტა ხანს ასე იყო თავჩახრილი. სახეზე კი თეთრი იყო, მთლად თეთრი. ძალიან დაფრთხა მარიკა, ძალიან შეშფოთდა. ელისომ წყალი მოსვა და თანდათან ფერზე მოვიდა. მარიკას შეშინებულ ფართოდ გახელილ თვალებს შეხედა და გაუღიმა. ელისოს ღიმილმა თითქოს დაამშვიდა მარიკა, თუმცა ერთ ხანს მაინც აფორიაქებული იყო, ელისოს "უნივერსიტეტი" წასვლის შემდეგ. ერთ კვირაში იგივე განმეორდა, მხოლოდ ამჯერად სადარბაზოში. მეზობელმა ამოიყვანა ელისო. სართულსა და სართულს შორის იწვა თურმე. სახე კი ისეთივე თეთრი ჰქონდა, როგორც მაშინ. სკამზე ჩამოსვეს. მარიკა დიდ ხანს უცქერდა ელისოს სახეს. მერე კი ჩუმად უთხრა, საიდუმლოდ - ელისოოო, დაპატარავდი ელისოო, სახე პატარა გაქვს, ცხვირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვალები კი დიიიდი. ელისომ თავის ექიმ მეგობარს დაურეკა, ლიანას. ცოტა ხანში ლიანა მოვიდა და ლიანა და ელისო წავიდნენ. ექვს საათს გადაცდა. მარიკამ სარეცხი ხელმეორედ ჩაალბო და ამორეცხა. მერე ისევ. ამასობაში ჩამობნელდა და მარიკას შეეშინდა, ადრეც დარჩენილა საღამოობით მარტო, მაგრამ მაშინ არ შეშინებია. ახლა კი შეეშინდა, გაცხარებით ალბობდა და წურავდა სარეცხს. ცხრა საათისათვის დაბრუნდა ელისო. ლიანაც მოყვა. მარიკას არ დალაპარაკებიან, ელისოს კაბინეტში შეიკეტნენ. ცხვირწინ მიუხურეს მარიკას კარები. იქიდან კი ცალკეული ფრაზები ესმოდა მარიკას. ერთ-ერთმა ნათქვამმა ძალზე დააფიქრა - "მაგას თავს არ შევაჭმევინებ ნელ-ნელაო". ელისომ თქვა "თავს არ შევაჭმევინებო". მარიკამ ცოტა ხანს იფიქრა, მერე კი ფრთხილად მიაკაკუნა. კარი ლიანამ გააღო. შესვლა ვერ გაბედა მარიკამ. ასე იდგა ერთ ხანს. მერე კი ჩუმად იკითხა, ძალიან ჩუმად. იფიქრა, თუ ჩუმად იკითხავდა, ელისო ნაკლებად გაჯავრდებოდა - "ვინ უნდა შეგჭამოს ელისოოო?" სახეზე წამოწითლდა ელისო. ორივე მუშტი დააბრახუნა მაგიდაზე, მთელი ზმით იკივლა, გაეთრია აქედან, გაეთრია იდიოტკა, ხმა ვეღარ ამომიმღია ამის შიშით, გაეთრია, გაეთრია"! სირბილით გამოვარდა მარიკა. თავის საწოლში ჩაემხო, ატირდა, მხოლოდ ჩუმად, ჩუმად ატირდა, მეტად აღარ გაჯავრდეს ელისო, მეტად აღარ უყვიროს, თორემ, თორემ მეტს ვეღარ გაუძლებს მარიკა, მეტს ვეღარ აიტანს და... და...

ლიანა რომ წავიდა, მერეღა გამოვიდა ელისო კაბინეტიდან. გვერდით მიუწვა მარიკას, ფერება დაუწყო, პატიებას თხოვდა და კოცნიდა. იმ ღამეს ერთად დაიძინეს დებმა. ერთმანეთს მიტმასნილებმა, ჩახუტებულებმა, უფრო სწორად მარიკამ დაიძინა. ელისოს კი არ ძინებია, გათენებას ელოდებოდა ელისო.

დილით "მალე მოვალ, საქმეს მიხედეო", გასასვლელიდან გამოსძახა. კარი გაიხურა და წავიდა. მარიკამ ფანჯრებს შეავლო თვალი. დილის მზე ასხივებდა ხავერდის ფარდებს. ონავარ ბავშვსავით იჭვრიტებოდა ფარდების კიდეებიდან, ნასვრეტებიდან, გაცრცილი წერტილებიდან. არ ჩქარობდა მარიკა ადგომას. იწვა დილის მოთეთნილოლობას მინებებული და გაღიმებული უმზერდა ოთახში შემოჭრილ სხივებს. მერე ერთბაშად წამოხტა, ფარდები გაწი-გამოწია. ფანჯრები გამოაღო და მხოლოდ ბავშვთათვის ბოძებული ნეტარების განცდით მიიღო დილის ნიავის პირველი ტალღა. მერე გაახსენდა, რომ წუხელ ელისო ეფერებოდა, კოცნიდა და გულში იხუტებდა. ნამით იფიქრა, რომ ესიზმრა, რადგან ელისო ჯერ არ მოფერებია ასე. ელისო კი რამდენიმე საათში დაბრუნდა. კარებში შემოსულს ხელჩანთა გაეხსნა, იქიდან კი უამრავი პატარ-პატარა საგნები გადმოცვივდა, იატაკზე მიმოიფანტა. წამითაც არ შეყოვნებულა ელისო, ჩუმად შეიკეტა თავის კაბინეტში. მარიკა კაბინეტის კარებთან იდგა შორიახლოს. ამჯერად ვეღარ გაბედა მიკაკუნება. მერე ჩუმად, ძალიან ჩუმად კრეფდა იატაკზე მიმოფანტულ პომადის ფლაკონებს. პატარ-პატარა ქაღალდის ნაგლეჯებს, სიგარეტის ღერებს, სანთებელას, სავარცხელს. მოგვიანებით ელისოს სტუდენტები მოვიდნენ, ბიჭი და გოგო. კარები მარიკამ გაუღო. სტუდენტები თვითნებურად მიადგნენ ელისოს კაბინეტს. მიაკაკუნეს და კარები შეაღეს. ელისო საწერ მაგიდასთან იჯდა. ხელში მოყვითალო აბებით გატენილი ფლაკონი ეჭირა. სტუდენტების დანახვაზე წამლის ფლაკონი მაგიდის უჯრაში შეაგდო. წამოდგა და მოუბოდიშა.

- "დაკავებული ვარ და დღევანდელი მეცადინეობა არ ჩაგვიტარდებაო".

- როდის მოვიდეთო? - იკითხა ბიჭმა.

პასუხი დაუგვიანა ელისომ. ცოტა ხანს სტუდენტებისკენ იყურა. მერე კი ჩაქინდრა თავი. ჩაქინდრა და გააქნია აქეთ-იქით უარყოფის ნიშნად. როდის მოვიდეთო - გადაეკითხა ბიჭი. ელისო კი იდგა და აკანტურებდა თავს აქეთ-იქით, აქეთ-იქით. თანდათან უფრო და უფრო მკვეთრი, სასტიკი, დაუზოგავი გახდა ეს უცნაური თავის ქნევა. აქეთ-იქით, აქეთ-იქით. მერე მოწყვეტილი ჩავარდა სავარძელში. ატონალური, სიზმრისეული კვნესა აღმოსდა ელისოს. გაგრძელებული, გაუთავებელი კვნესა. შეშინდა მარიკა, ძალიან შეშინდა, ყვირილი მოუნდა შიშისგან, მაგრამ არ იყვირა. ელისოს მოეხვია, მიეტმასნა, ფერება დაუწყო. სტუდენტებისკენ კი უნდობლად იყურებოდა, თითქოს ამათგან, ამ ორისგან სჭირდებოდა ელისოს დაცვა. ხშირ-ხშირად იმეორებდა ელისოს სახელს, გაბმულად ჩურჩულებდა, ელისო, ელისიკო, ჩემი ელისიკო, ჩემი ელისუნა, ჩუ ელისო, ჩუ, ჩუ...

ცოტა ხანში მართლაც დამშვიდდა ელისო. უფრო სწორად კი დაიცალა, დაინრიტა, დაპატარავდა. ბავშვივით იყო მინდობილი მარიკას ხელებს. მარიკას კისერში თავჩარგული დაემშვიდობა სტუდენტებს. ხელიხელჩაკიდებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი იდგნენ სტუდენტები. გაფითრებულები, გაოგნებულები. მერეც, გარეთ რომ გავიდნენ კარგა ხანს არ გაუღიათ ხმა. ჩუმად მიუყვებოდნენ, ისევე ხელიხელჩაკიდებულები.

დილით მარიკამ რომ გაიღვიძა, ელისო ჩაცმული დახვდა. იქვე იჯდა ტახტზე. საოჯახო ფოტო-ალბომი ჰქონდა გადმოღებული. ადექით, მარიკას უთხრა. დახმარება დამჭირდებაო. თავის სურათებს ჩაჰკირკიტებდა ელისო. არჩევდა, ახარისხებდა. ფრთხილად აძრობდა ალბომიდან. ზოგს საქაღალდე დანით. ზოგსაც ისე, უბრალოდ ამოაცურებდა. ჩააცქერდებოდა, თვალს გაუშტერებდა. მერე გადადებდა ან აქეთ, ან იქით. მარიკა წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, ჩაიცვა და გვერდით მიუჯდა დას.

დღეს ელისო ჩვეულებრივი ელისო იყო. ისეთი, როგორც უწინ, როგორც საერთოდ. საქმიანი, ცოტათი მკაცრი, სიტყვაძუნწი. გაეხარდა მარიკას, თუმცა არაფერი უთქვამს, ჩუმად გაეხარდა, გაინაბა, ყურადღებად იქცა. იქნებ რამე თხოვოს ელისომ და მარიკას საშუალება მიეცეს თხოვნა შეუსრულოს. ოღონდაც კი, ოღონდაც გუშინდელი არ განმეორდეს.

ცოტა ხანში გადარჩეული ფოტოების კედლებზე აკვრა დაიწყეს დებმა. მარიკა გახალისდა. მირბი-მორბოდა. ხან ჭიკარტებს მოარბენინებდა, ხან ფოტოებს, ხან სკამს დაუჭერდა ელისოს. ააჭრელეს ბინის კედლები ელისოს ფოტოებით, სამზარეულოში, საძინებელში, შემოსასვლელში, ყველა მხრიდან ელისო გიყურებდა. თანაც სულ სხვადასხვანაირი ელისოები. ზოგან უფრო ახალგაზრდა, ზოგან თმაშეღებილი, ზოგან მოღუშული, მომღიმარე კი უფრო ხშირად. სასტუმრო ოთახში "დედუკას" და "ჟისორი" მამის ფოტოების გვერდით, ყველაზე მოზრდილი ფოტო გააკრეს. ამ ფოტოზე იღიმებოდა ელისო. ბაგშვური, ცუღლუტი ღიმილით იღიმებოდა. გაღიმებულ ტუჩებთან, ცოტათი გვერდით წითელი ფლომასტერით მიაწერა ელისომ - როგორ ხარ ჩემო მარიკუნა? დაიწინწკლენ სხვადასხვა ფერის წარწერებით დანარჩენი ფოტოებიც. სამზარეულოს კედლებიდან გადმომზირალი ელისოები შენიშვნებს აძლევდნენ მარიკას, აფრთხილებდნენ, რომ დილით საუზმეზე ჩაის მიყოლება არ დაიზაროს;

ჭურჭელი ჭამის შემდეგ დროზე გარეცხოს;

საუზმის ან სადილის წინ არავითარ შემთხვევაში არ მიეძალოს ნუგეს;

ონკანი არ დარჩეს მოშვებული;

ქილას თავსახური აუცილებლად დაახუროს, თორემ ბუზები ჩაფრინდებიან.

შემოსასვლელში დერეფანში შეშფოთებული ელისო კატეგორიულად მოითხოვდა მარიკასაგან, კარების საკეტზე დაკეტვას, რომ სანამ კარს გააღებს, უნდა იკითხოს ვინ არის,

რომ სახლიდან გასვლისას შეამოწმოს, შუქი ხომ არ რჩება,

რომ გაზი ხომ არ რჩება,

დარაბები ხომ არ რჩება ღია.

მოსაღამოვდა. დაიღალნენ დები. ჩაი მოადუღეს. მაგიდას მიუსხდნენ. კარგად იყო მარიკა, ძალიან კარგად. ბევრს ლაპარაკობდა, ბევრს კისკისებდა, ელისოც მშვიდი იყო. რბილი. მასაც უღიმოდა სახე. მხოლოდ მოგვიანებით გაუმკაცრდა. გაუმკაცრდა თუ გაიმკცრა. - "შენ ხვალ არ იტირებ". ჩუმად უთხრა ელისომ, ჩუმად, მაგრამ მკაცრად, დაჟინებით. მარიკა ვერ მიხვდა, ხმა კი გაკმინდა, მაგრამ ვერ მიხვდა, რა უნდა ელისოს?

არ იტირებ! არ იტირებ! არ იტირებ! მკაცრად, ერთფეროვნად იმეორებს ელისო, დაფრთხა მარიკა. ასე არასდროს მიუმართავს ელისოს. არც სახე ჰქონია ასე კუშტი, დაძაბული. ან სიტყვები - "არ იტირებ, არ იტირებ. რატომ უნდა იტიროს მარიკამ?" რა უნდა ელისოს?

- არ იტირებ, არ იტირებ!

- არ ვიტირებ?

- არ იტირებ!

- ჰო, ელისო, არ ვიტირებ, არ ვიტირებ!

- არავინ, არავინ არ უნდა იცოდეს, გესმის? ახლა უკვე ჩუმად, იდუმალი იერით ეუბნებოდა უფროსი დაიკო.

- მე არ მიგატოვებ. ხვალიდან სამსახურში აღარ წავალ. სულ აქ ვიქნები, შენს გვერდით. აწი სულ ერთად ვიქნებით მარიკა.

ერთად? ნუთუ მართალს ამბობს ელისო. ნუთუ მარიკა ისე გაიზარდა, ისე შეიცვალა, რომ აწი ელისოსთვის მხოლოდ ის, მარიკა გახდება ერთადერთი, ისევე როგორც ელისოა მარიკასათვის. ნუთუ გაუცხადდა, აუსრულდა მარიკას ეს იდუმალი ნატვრა, რომ ელისო საერთოდ, არცერთი წუთით, არც ერთი წამით არ მოცილებოდა მარიკას.

- სულ აქ იქნები ელისოო? "უნივერსიტეტიც" აღარ წახვალ?

- სულ, მარიკა, სულ აქ ვიქნები ჩემო მარიკუნა.

გაეღიმა მარიკას, სიამაყისგან გაეღიმა, სიხარულისგან გაეღიმა.

- სხვებს არ ეცოდინებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთამაშესავით აღტკინებული, აღგზნებული აგრძელებდა ელისო - ისინი ისევე მოიქცევიან, როგორც ადრე, აი, "დედუკა" რომ გაასვენეს, მეც ისევე გამიტანენ სახლიდან. შენ კი არ უნდა გათქვა, რომ მე აქ ვარ, აქ, ამ სურათებში. ჩუმად უნდა იყო, არაფრით, არაფერით არ უნდა გათქვა.

- არაფრით, არაფრით, გაიმეორა მარიკამ. ისეთივე იდუმალი იერით - არაფრით, არაფრით.

- რამდენიმე დღე იტრიალებენ. მერე კი წავლენ, დაგვტოვებენ. იფიქრებენ რომ მე აქ აღარ ვარ. ჩვენ კი ვიცინოთ და ვიცინოთ მერე. ვიცინოთ და ვიცინოთ. აქ მართლა წასკდა სიცილი ელისოს. შეუჯავებელი ავადმყოფური სიცილი. მარიკამაც ააყოლა თავისებური კისკისი, გაგრძელებული, გაუთავებელი.

- ახლა მაკოცე და წადი შენს ოთახში. დროა დაიძინო. ეს ძველებურად მკაცრად უთხრა ელისომ. უსიტყვოდ წამოდგა მარიკა. ხუთოსან მოწაფესავით, გაზომილი ნაბიჯებით გაემართა თავის საძინებლისკენ. დროა დაიძინოს მარიკამ. დროა დაიძინოს.

დილით ხალხის ფუსფუსმა გააღვიძა მარიკა. ელისოს მეგობრები ფეხაკრეფით დააბიჯებდნენ ოთახიდან ოთახში.

ლიანამ ტანსაცმელი დაულაგა საწოლთან.

- ჩაიცვი და გამოდიო, უთხრა. ოთახიდან გამოსული მარიკა ოთახის შუაში, ტახტზე დანვენილ ელისოს წაანყდა თვალებით. არ შეყოვნდა. არ დააკვირდა. ერთმანეთთან გვერდი-გვერდ მსხდომ ელისოს მეგობრებთან მივიდა. ისინი (ელისოს მეგობრები) ქვითინებდნენ და სიბრალულის გამომხატველი მზერით უყურებდნენ მარიკას. ელისოს ფოტოს ახედა მარიკამ, ყველაზე მოზრდილ ფოტოს. აი, ცუღლუტი ღიმილი რომ დასთამაშებდა ელისოს სახეზე იმ ფოტოს.

- როგორ ხარ, ჩემი [illegible] მარიკუხა-ო, მინაწერი რომ ჰქონდა, იმ ფოტოს აჰხედა.

ჰმ, როგორ იყურება ელისო, ცოტაც და ჩაიხითხითებს. "არ უნდა გათქვა, რომ აქ ვარ, ამ სურათებში, მერე კი, მერე ვიცინოთ და ვიცინოთ. უნებლიედ გაეღიმა მარიკას ამ გახსენებაზე. მერე ელისოს მეგობრებზე შეაჩერა თავისი ღიმილი. ჩაი მოვადულოოოო!? გაგრძელებინი იკითხა, ხმის წაწვრილებით. გაირინდნენ ელისოს მეგობრები, დაიზაფრნენ. იფიქრეს, რომ მთლად შეურაცხადი გახდა მარიკა. ლიანა შეყვა სამზარეულოში.

ცოტა ხანს ჩუმად იყო ლიანა. თანმიმდევრობას ალაგებდა, რით უნდა დაეწყო საუბარი.

ლ. - მარიკა, ელისო აღარ არის (დუმილი).

მ. - (ღიმილი).

ლ. - (ცრემლნარევი ხმით) შენ არ უნდა გაიცინო ელისო. არ უნდა გაიცინო!

მ. - (ისევე ღიმილი).

ლ. - ელისომ ყველაფერზე იზრუნა, შენს არსებობაზე, შენს პენსიაზე. მისი სამსახურიდან ყოველთვიურად მიიღებ თანხას. უნდა აპატიო ელისოს (აქ ტირილი წასკდა). ეს, ეს თვითმკვლელობა არ იყო. ელისო დაავადდა, ორ თვეზე მეტს ვერ იცოცხლებდა. უნდა აპატიო! უნდა აპატიო!

სამზარეულოს კედელზე, იქვე ონკანთან მიკრული ფოტოს ახედა მარიკამ. აქაც ღიმება ელისო. მინაწერი კი ასეთია - მარიკა, დინჯად ჭამე, არავინ მოგდევს". მერე ისევ ლიანას შეხედა და შეეცოდა ლიანა. არ იცის ლიანამ, რომ ელისო არსადაც არ წასულა. ერთი წამით ისიც გაიფიქრა, რომ ეტყოდა, მაგრამ იქვე დამუნა სათქმელად გაღებული პირი. მერე ლიანას ფრთხილად გადაუსვა თმაზე ხელი, გაუღიმა და ჩუმად კითხა - "ლიანა გინდა კეკსიიი?"

იმ დღეებში ელისოს მეგობრები ჩასახლდნენ მარიკასთან. ღამეც რჩებოდნენ. მარიკა სულ სამზარეულოში იჯდა. დაღალა ნათესავ-მეზობლების მიმოსვლამ. სიბრალულის გამომხატველმა მზერამ. დიდ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, არ შედიოდა. ის (მიცვალებული) ელისო არ იყო. ეს ცხადი იყო მარიკასათვის. გასვენების დღეს სკამი ეზოში გაიტანა და იქ დაჯდა, ერთი სული ჰქონდა მალე გახვეტილიყვნენ სახლიდან. არ გაუგონია როდის გავიდნენ. მხოლოდ ეზოდან მოკრა თვალი ქუჩაში მიმავალ პროცესიას. სახლის კარი ჩუმად შეაღო. სიჩუმემ გააოცა. მძიმე სუნი იდგა. ერთმანეთში შეზავებული სუნამოების, ბალიშების, სიგარეტის და კიდევ რაღაცის. სასწრაფოდ გამოაღო ფანჯრები. რახა-რუხით უცვლიდა ადგილებს სკამებს. ეჭიდავებოდა მიწეულ-მოწეულ კარადებს. დაღლა არ უგრძვნია, ისე იყო ატაცებული ყველაფრის პირვანდელ მდგომარეობაში მოქცევის სურვილით. ერთმანეთს უნაცვლებდა ცოცხს და სველ ჯაგრისს. ბოლოს სკამზე ჩამოჯდა და თვალი შეავლო, ახლა უკვე მწყობრში მოყვანილ ოთახს. გაეღიმა. ელისოს ფოტოს გახედა და შესწუწუნა:

- ელისო, დავიღალე ელისოო!

მერე გასვენებაზე მოსულ ნათესავ-მეგობრებზე წაეჭორავა. - ტატა ბიცოლა უფრო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მაგრად გასუქდა ელისოო. - ნანი და ეკა მგონი ისევ არ ელაპარაკებიან ერთმანეთს. - აჩიკო ბიძია უარესად ქოშინებს. აი, ასე ქოშინებს ელისო, აი ასე... და მარიკამ გამოაჯავრა აჩიკო ბიძიას. ამ გამოჯავრებამ გაახალისა მარიკა. ჩაი მოიდუღა, ივახშმა. ამასობაში ძილის დროც დადგა. ჰოდა მარიკამ საწოლის თავთან მიკიდულ ელისოს პატარა ფოტოს ღამე მშვიდობისა უსურვა, აკოცა და დაიძინა.

დილით ადრე ადგა. ხელ-პირი დაიბანა და თავის საქმიანობას შეუდგა. დღეს ელისო სამსახურში არ მიდის. ჰოდა მარიკა დროდადრო პატარა-პატარა თხოვნებით მიმართავს ელისოს. - "მოდი რა ელისო, მოდი რაა თაროებს არ გადაგწმინდავ, გუშინ ხომ გადავუსვი სველი ტილო ჰაა ელისოო". შუადღისას ლიანამ მოაკითხა. თმები ზედმიწევნით კოხტად ჰქონდა დალაგებული მარიკას, თეთრ გახამებულ პერანგზე შინდისფერი ჟილეტი შემოეცვა. ერთობ მოკრეფილი და მშვიდი ეჩვენა იმ დღეს ლიანას მარიკა. გაუკვირდა, მაგრამ არ შეიმჩნია. პორტმანიდან ერთი თვის სამყოფი ფული ამოიღო და მარიკას გაუწოდა. მარიკამ კომოდის უჯრაში შეინახა ფული. იქ, სადაც ელისო ინახავდა. იცოდა მარიკამ რამდენის დახარჯვის უფლება ჰქონდა ერთი დღის მანძილზე. ისიც იცოდა, რამდენი უნდა გადაენახა, რომ შაბათ დღეს ბანანით დასაჩუქრებინა თავის თავი. ამჯერად კი ლიანას გაუღიმა და ზრდილობიანად დაემშვიდობა.

ერთ კვირაში ლიანამ გაიმეორა თავისი ვიზიტი. ისევე სუფთად და მოწესერიგებულად ჩაცმული დაუხვდა მარიკა. გაეხარდა ლიანას დანახვა. ჩაით გაუმასპინძლდა. ოთახები და თაროები სუფთად იყო დაწმენდილ-დალაგებული. მარიკას ლოყები გავარდისფერებოდა. ჩანს ცოტათი დაღლილი იყო. ლიანას უყურებდა და უღიმოდა. თუმცა დროდადრო საათსაც გახედავდა. დიდ ხანს ვერ მოცდებოდა მარიკა. საღამომდე ბევრი უნდა მოესწრო კიდევ. ლიანას კითხვაზე, ხომ არაფერი სჭირდება მარიკას, პასუხად ჩვეული ღიმილი და გაგრძელებული, წამლერებით "აარა" იყო. ცოტა დაფიქრების შემდეგ კი - "ხანდახან გამოიარეთ, ელისოს გაეხარდება"-ო. ლიანამ კარგად ვერ გაიგო გაეხარდება თქვა მარიკამ, თუ გაეხარდებოდა. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა მარიკა კმაყოფილი ჩანდა, სასიამოვნოდ დაღლილი. არადა ყველა, ლიანაც, ელისოს სხვა მეგობრებიც, მეზობლებიც ელოდნენ, რომ ელისოს გარეშე მალე მოუხდებოდათ მარიკას სათნოების სახლში ჩაბარება. აქ კი ნურას უკაცრავად. თითქმის ყოველ დღე, ერთსა და იმავე დროს, სუფთად ჩაცმული, მომღიმარე მარიკა, სასურსათო მაღაზიაში მიმავალი, თავაზიანად ესალმებოდა მეზობლებს, დასმულ კითხვებზეც პასუხობდა. თუმცა დიდ ხანს არ გაუჩერდებოდა. თავაზიანად დაუკრავდა თავს და გააგრძელებდა თავის სვლას.

ელისოს გარდაცვალებიდან ორი თვის თავზე მარიკას ესიზმრა, რომ ცეკვავდა. ელისო, "დედუკა" და ელისოს მეგობრები ესწრებოდნენ მარიკას ცეკვას. კარგად ცეკვავდა მარიკა, ძალიან კარგად. საკუთარ წონას ვერ გრძნობდა, თითქოს უძვლო ჰქონდა სხეული. ჯერ კიდევ ცეკვის დროს ალტაციებისაგან ყვიროდნენ ელისოს მეგობრები. იძახდნენ, რომ მარიკას ჯერ არ უცეკვია ასე, რომ ნეტავ დიდხანს გაგრძელდეს ეს წუთები და მარიკამ სულ იცეკვოს და იცეკვოს. მერე სამწუხაროდ გაეღვიძა მარიკას. ლოგინზე წამოჯდა, ელისოს ფოტოს შეხედა და ცოტა ფიქრის შემდეგ უთხრა - კარგი, ელისო, კარგი.

იმ დღეს გაორმაგებული ენერგიით ასუფთავებდა ოთახებს, დღეს უნდა იცეკვოს მარიკამ, აუცილებლად უნდა იცეკვოს, აკი დილით შეჰპირდა ელისოს.

საღამოს სუფრა გაწყობილი იყო. კექსი დაჭრილი. თეფშები და ჭიქები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ჩამწკრივებული. კოსტიუმმა ცოტათი აწვალა მარიკა. ელისოს გარეშე გაუჭირდა. მთლად ისე ვერ მოირგო, როგორც სურდა. მაგრამ ბოლო ვარიანტს არაუშავდა. ყოველ შემთხვევაში, სარკეში კარგა ხანს ყურების შემდეგ, ელისოს შეედავა, ცოტა ხმამაღლადაც მოუვიდა - "კარგი რა ელისო, კარგი რა�ა! ამას არა უშავს, ასე შეიძლება". მერე ერთი წამით გაჩუმდა, ცალი თვალით, იქვე მიკიდულ ელისოს ფოტოს გახედა და უკვე ჩუმად ჰკითხა, ცოტათი ეშმაკურად - "შეიძლება ხომ?" [illegible] როლიც თვითონ უნდა ეკისრა მარიკას. ამან ცოტა არ იყოს ააღელვა, ააფორიაქა. თუმცა მერე თავს ძალა დაატანა და გავიდა მისაღებ ოთახში. ერთი წამით შედგა. მიმოიხედა. მაყურებელთა დარბაზი სავსე იყო. ყველა მხრიდან უცქერდნენ ახლობელთა სახეები, შეძლებისდაგვარად ხმამაღლა დაიწყო მარიკამ - ახლა გამოვაააა, ყველანაირ ჯილდოთა და პრემიათა ლაურეატიიი, ყველაზე, ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე ლამაზი და ყველაზე ხალასიიიი, მარიკაააა. აპლოდისმენტები მეგობრებო! მერე სირბილით შებრუნდა, ფირსაკრავი ჩართო და დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჭოჭოოოო! როგორ მონატრებია ცეკვა მარიკას. როგორ ემორჩილებოდა სხეული. თითქმის ისევე, როგორც სიზმარში. მუსიკა დამთავრდა, ფირსაკრავი მიჩუმდა. მარიკა კი ცეკვავდა და ცეკვავდა. ბოლოს დაიღალა და მაგიდას მიუჯდა. კმაყოფილი იყო. არა უფრო მეტიც, ბედნიერი, ბედნიერი იყო. დანამდვილებით იცოდა, რომ ელისოსაც ძალიან მოეწონა მარიკას ცეკვა. ახლა ჩაის დაისხამს მარიკა, ისევე როგორც ადრე. კეკსის მოზრდილ ნაჭერსაც გადაიღებს, ისევე როგორც ადრე, ისევე როგორც ადრე.

იმ საღამოს პირველად გაიფხაკუნა ბატონმა ვახვახიშვილმა. თუმცაღა სანამ ამ ფხაკუნზე რამეს ვიტყოდე, უნდა გიამბოთ თუ ვინ იყო თვითონ ბატონი ვახვახიშვილი.

"ეისორი" მამის გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდა. "დედუკას" და ელისოს გაეცნო. მამის ახალგაზრდობის მეგობარი ვარო, ტანმორჩილი კაცი იყო, ჩამრგვალებული, სამოცდაათ წელს მიღწეული. მოსაღამოებულს გამოჩნდებოდა ხოლმე. ხმაურს სადარბაზოდანვე ატეხდა. უჭირდა ბატონ ვახვახიშვილს ვიწრო, მირყეულ-მორყეულ ხის კიბეზე მძიმე სხეულის ანიკვა, ჰოდა მოყვებოდა სახლმმართველის და მთელი სამომსახურეო სისტემის ლანძღვა-თათხვას. შემოსვლისთანავე ჭიქა ჩაის მოითხოვდა. მერე მაგიდასთან გვერდულად მიჯდებოდა და ლაპარაკს იწყებდა. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ყველაზე და ყველაფერზე. თანაც ყველაფერზე ერთდროულად. მხოლოდ თეფშების და ჭიქების წკარუნზე დადუმდებოდა. იმაზე თუ დაფიქრდებოდა - ნეტავ რა აქვთ ამ საღამოს ვახშმადო. გული აუკანკალდებოდა მოლოდინში და ხელებიც. თუმცა წუნია არ იყო, პირიქით, ყველაფერს უსაშველოდ აქებდა. - "უჰ, რა ხასხასა ტყემალია გენაცვალე"-ო, ანდაც - "აგაშენა ღმერთმა, მჭადი ასეთი უნდა, თხელი, კაფანდარა. ლეკურის მოცეკვავესავით უნდა შეხტეს, რომ გაგივარდება ხელიდან. აპა ცომს რომ დაგიწეპებენ მაგიდაზე, ეგ არის საქმე"?! მერე ელისოს გაკეთებულ "ნალიკას" მონრუპავდა - ელისო ეს ის "ნალიკაა", ამას წინაზე რომ გამასინჯეთ? კაიაა, კაი, გადასარევია. მეც რომ გთხოვოთ, არ მასწავლით რეცეპტს? რას ამბობთ, დრო რომ გადაბრუნდეს და ამის დამზადება-გაყიდვას მიჰყო ხელი, აშენდებით, აშენდებით.

ცოტათი რომ შეთვრებოდა, სასაცილო ამბების მოყოლა იცოდა. თავის მონაყოლზე თვითონვე იცინოდა. იცინოდა აღტაცებით, შეუფერებლად, ახალგაზრდულად, ბავშვურად. აყვებოდნენ ელისო და დედუკაც სიცილში. აყვებოდნენ კი არა, მგონი გადაუსწრებდნენ კიდეც. მარიკას რაღა შეაკავებდა ამათ შემხედვარეს. აკისკისდებოდა პატარა მარიკაც თავისებურად. ჰოდა ასლა ოთხივენი ერთად იცინოდნენ. უკვე აღარ ახსოვდათ რაზე, ბატონი ვახვახიშვილის ნაამბობზე თუ თვითონ ბატონ ვახვახიშვილზე. ღაპა-ღუპით სდიოდათ ცრემლები ამ აულაგმავი სიცილისაგან. სიცილს არაფრით არ გაანელებდა ბატონი ვახვახიშვილი. ცოტა ხანში ხელებს მაგიდაზე დააბრაგუნებდა და შეუძახებდა მარიკას - მარიკელა, აჰა ცეკვა გოგო, ტაში-ფოფო შენებურად, ტაში-ფოფო.

ფოფო, ფოფო, ჩქარა-ჩქარა იმეორებდა მარიკა, ლეკურის მოცეკვავე ბიჭივით მოხრიდა მარჯვენა მკლავს და ხტოდა ფეხის წვერებზე. ფოფო-ფოფო, ფოფო-ფოფო. ბოლოს გააბოლებდა ბატონი ვახვახიშვილი და ცოტა ხანში ხვრინვას ამოუშვებდა. გამოიღვიძებდა უეცრად, რატომღაც შეშინებული, თვალებს მიმოავლებდა იქაურობას, იხსენებდა სად არის, რამდენი ხანია რაც ძინავს, იქნებ დაათენდა კიდეც თავზე. მერე გაპარვას შეეცდებოდა. ჭურჭრად წასვლას. თუ გამოუვიდოდა ხომ კარგი, უფრო ხშირად კი ან ელისოს შეეჩეხებოდა, ან დედუკას, ან ყველას ერთად. აქ კი სახეს იცვლიდა ბატონი ვახვახიშვილი. უცნაურად მორცხვი ხდებოდა, დამნაშავე ბავშვს ემსგავსებოდა. წამდაუწუმ შლაპაზე იკიდებდა ხელს, ვითომდა უკაცრავადო, შეგაწუხეთო, ნამეტანი მომივიდაო... ბოდიშითო... მარტოხელა კაცი იყო ბატონი ვახვახიშვილი.

იმ საღამოს ცეკვისგან სასიამოვნოდ დაღლილმა მარიკამ ჩაი დაისხა და კეკსის ნაჭერი გადაიღო. ამ დროს ვიღაცამ თუ რაღაცამ გაიფხაკუნა. ყური მიუგდო, ეუცნაურა, ბუფეტის მხრიდან გაისმა ფხაკუნი, შემდეგ შეწყდა. ცოტა ხანში ისევ განმეორდა. ამჯერად ბუფეტის უკნიდან გაურკვეველი არსების ჩრდილი დალანდა მარიკამ. ჭამა შეწყვიტა და დააკვირდა. ჩრდილი ჯერ გადიდდა, მერე სულ უფრო და უფრო დაპატარავდა, ბოლოს საშუალოზე მომცრო ზომის ვირთხა გამოძვრა. ჯერ შედგა, ცხვირი გაიცმაცუნა. მერე მაგიდისკენ წამოვიდა აუჩქარებლად. შიშით არ შეშინებია მარიკას. ვირთხები ბევრი ჰყავდა ნანახი ეზოში. თუმცა მოეჩვენა, რომ ეს სხვანაირი ვირთხა იყო, უფრო... უფრო სიმპათიური, უფრო კარგად აღზრდილი ვირთხა. მარიკას ფეხთან აფუსფუსდა პატარა ცხოველი, ჩანს სასუსნავს ეძებდა. კეკსის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭერს კუთხე წაატეხა მარიკამ და თავის ფეხთან დაფშვნა. ვირთხა დაურიდებლად მიცუცქდა მარიკას ფეხთან და ნამცხვარი შესანსლა. წასვლაზე არც უფიქრია, იქვე დარჩა. ცოტა ფიქრის შემდეგ პატარა ლამბაქზე, დაშაქრული ჩაი დაასხა მარიკამ, ქვევით ჩადგა, ვირთხას მიუჩოჩა. ლამბაქიდან პირი იბრუნა ვირთხამ. სხვა მხარეს წავიდა. კოხტად დალაგებულ გაზეთების დასტას მიადგა. ქაღალდები ააშმაშუნა. მარიკამ ტახტზე გადაინაცვლა. მიწვა. აქედან უკეთ ჩანდა ახლად მოვლენილი სტუმარი. თუმცა დიდ ხანს ვერ შეძლო მისი ცქერა. მალე ძილბურანში ჩაიძირა მოძრავი რუხი ლაქა, გაზეთების აბურდული დასტა და მაგიდის ქვეშ ჩადგმული ლამბაქი. ღილით იფიქრა, რომ ესიზმრა. მერე მაგიდის ქვეშ კეკლის ნაფშვენებს და ლამბაქს მოკრა თვალი. გაელიმა. ელისოს ფოტოს გახედა. თვალებში შეკითხვა ჰქონდა - როგორ მოსწონს ელისოს ახალი სტუმარი. თვითონ სტუმარი როგორც ჩანს, უწუმრად წავიდა, გაიპარა. მარიკამ ისევ გახედა ელისოს ფოტოს და უცბად სიცილი წასკდა, ჰა-ჰა-ჰა ელისოოო, ელისო, ბატონი ვახვახიშვილი გვეწვია ჰა-ჰა-ჰა... ბატონი ვახვახიშვილი ელისო, ბატონი ვახვახიშვილი. სიცილით რომ გული იჯერა, ბინის დასუფთავებას მიჰყო ხელი. ახლადმოვლენილი ბატონი ვახვახიშვილი კი არ ავიწყდებოდა. აინტერესებდა დღესაც გამოჩნდებოდა თუ არა. იმავე დროს თუ გამოჩნდებოდა. თუ გამოჩნდებოდა, კეკლით გამასპინძლებოდა თუ სხვა რამე მოეფიქრებინა. მოსაღამოვებულს ჩაის მზადებას შეუდგა. მაგიდაზე თეფშები და ჭიქები ისეთივე თანმიმდევრობით ჩაამწკრივა, როგორც გუშინ. საცეკვაო კოსტიუმის ჩაცმა შეეზარა, თუმცა პერანგი გამოიცვალა. თეთრი პერანგი ჩაიცვა, ფირსაკრავი ჩართო, ჩაი დაისხა, მაგიდას მიუჯდა. გაინაბა მოლოდინში, ბუფეტისკენ იყურებოდა. ფხაკუნის ხმაზე გული აუჩქარდა მარიკას, გაელიმა. ბატონი ვახვახიშვილი ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე წამოგოგმანდა მაგიდისაკენ. წინანდებურად მარიკას ფეხთან მიცუცქდა და ცხვირი ააცმაცუნა. მარიკამ არ დააყოვნა და უკვე გამზადებული, ლამბაქზე პატარ-პატარა ნაჭრებად კოხტად დანწყობილი ნამცხვარი ქვემოთ ჩადგა. ჩაიც, რა თქმა უნდა, დაშაქრული ჩაიც. მერე თავჩახრილი აკვირდებოდა როგორ ვახშმობდა ბატონი ვახვახიშვილი. დროდადრო აკისკისდებოდა ხოლმე. მერე ხულიგნურმა იდეამ გაკრა თავში. რა მოხდება ხელით რომ შეეხოს, ხელით არა, ხელით ნუ იქნება, თითით, თითით რომ შეეხოს ბატონ ვახვახიშვილს. თითით რომ მოეფერო? ელისოს ფოტოს ახედა. ამ საღამოს პირველად ახედა. გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იქნებ ელისომ უკარნახოს რამე. აქ, ამ ფოტოზე ელისოს ისეთი სახე აქვს, რომ უარს არავითარ შემთხვევაში არ ეტყვის მარიკას. ჰოდა ფრთხილად, ოდნავ აკანკალებული თითით ეხება, ეფერება ბატონ ვახვახიშვილს. ის კი, ბატონი ვახვახიშვილი, ისევე აგრძელებს ჭამას ცხვირის ცმაცუნით, თითქოს არაფერი, თითქოს ყოველდღე ეფერებოდნენ თითით ზურგზე. მგონი მარიკას ახალი მეგობარი ჰყავს. ახალი მეგობარი ვარდისფერი ფეხებით და ცმაცუნა ულვაშებით. თანაც როგორ გადაადგილ-გადმოადგილდება. მხოლოდ ფეხები მოძრაობენ ჩქარა-ჩქარა. ტანი არ ირხევა, თითქოს ცურავს ბატონი ვახვახიშვილი... და მარიკა დაუყოვნებლივ ცდილობს გამოაჯავროს სიარულში და ცხვირის ცმაცუნში ახალ მეგობარს. მგონი ახერხებს კიდეც. ეცინება მარიკას. ახალისებს ახლად წამოწყებული თამაში. ცოტა ხანში დასაძინებლად დაწვება. ბატონი ვახვახიშვილი კი წინანდებურად გაზეთების დასტას მიადგება. აშმაშუნდებიან ქაღალდები. ღილით კი მარიკა მაგიდის ქვეშ ჩადგმულ ლამბაქს და ნამცხვრის ნაფშვენს ხედავს იმის დასტურად, რომ წუხელ ნამდვილად იყო ბატონი ვახვახიშვილი. ყოველ საღამოს ერთსა და იმავე დროს გამოჩნდებოდა ხოლმე ახალი მეგობარი. მარიკა კი ელის, რა თქმა უნდა, ელის. ხშირად ახალ-ახალი კერძებითაც უმასპინძლდება. დანაყრების შემდეგ ოთახში დაბორიალობს ბატონი ვახვახიშვილი. ხანდახან მარიკას წინ გაჩერდება, გაინაბება და ააცმაცუნებს ცხვირს და ულვაშებს. ამ დროს განსაკუთრებით ხალისობს მარიკა. სახე გაებადრება და მოფერებითი, წაწვრილებული ხმით ეკითხება - რა გინდა რააა? რა გინდა?

შაბათი დღე დადგა. მარიკას დღე. მარიკას ბანაანთ დაჯილდოვების დღე. საჭირო რაოდენობა ხურდების, რაღა თქმა უნდა გადანახულია. მარიკა მშვენიერ გუნებაზეა. თავის საუკეთესო ტანსაცმელს იცვამს. ელისოს ფოტოს ესაუბრება. ეუბნება, რომ დღეს ბანაანი უნდა შეიძინოს და საღამოს შესაძლოა ბატონ ვახვახიშვილსაც გაუმასპინძლდეს, რომ კარგი დღეა. ბევრი მზეა და ბევრი ხალხია ქუჩაში, რომ ძალიან უნდა მარიკას როგორმე, რამენაირად თვალი შეასწროს დილით, როგორ მიიპარება ბატონი ვახვახიშვილი, მაგრამ ვერ ახერხებს. ჰო, კიდევ ლიანამ დარეკა და ხვალ გამოვჩნდებიო. აი, უკვე ჩაიც-

ვა მარიკამ. შეუძლია გავიდეს. თუმცა ჯერ უნდა მიმოიხედოს, ნათურა ხომ არ რჩება ანთებული. არა, არა, ყველაფერი რიგზეა. სარკეშიაც გადაამოწმა თავი და აი უკვე მაღაზიებისკენ მიემართება მარიკა. ლაღად მიდის, ენერგიულად. მეზობლებს ხმამაღლა ესალმება. ნოქრები ღიმილით პასუხობენ მარიკას ღიმილს. ხილ-ბოსტნის განყოფილებაში ვიღაც სხვა კაცი დგას, იმაზე ხნიერი, ადრე რომ იყო და კიდევ ხშირი ულვაშები აქვს. მარიკამ ჰალვა და ხუთი ცალი ნუგა იყიდა. დაბრუნებული ხურდები კარგა ხანს ითვალა და ხილ-ბოსტნის განყოფილებასთან მდგარ რიგში გადაინაცვლა. ნელა მიდის რიგი. ხშირულვაშებიან კაცს წარბებიც ხშირი აქვს, ერთმანეთზე გადაბმული. დაბღვერილი იყურება ხშირი წარბების ქვეშმოდან. მარიკას მოუწია რიგმა, გულღიად გაულიმა მარიკამ ნოქარს, მერე ხმას გაუწვრილა, როგორც ჩვეოდა გაბრანჭვის დროს და გაგრძელებით თქვა - ბანაააინი. ერთხანს დაბანია ნოქარი მარიკას ინტონაციამ. მერე ბანანი მოგლიჯა დანარჩენებს და სასწორზე დადო. მარიკამ იგივე სასწორზე ბლომად ხურდა ფული დააჩრიალა. მერე დაიხარა, სასწორს ცხვირი მიუახლოვა და სათითაოდ დაიწყო ხურდების თვლა. ითვლიდა ჩუმად, ტუჩების მოძრაობით. დროდადრო დაფიქრდებოდა ხოლმე. ნოქარს სახე მოეღრუბლა, ცოტა ხანს უყურა, მერე კი - დროზე ქალო-ო უთხრა, - შენ ხომ არ გიყურებ მთელი დღე-ო. ამ დროს მარიკა ცალ ხელში იგროვებდა გადათვლილ მონეტებს, მეორე ხელის საჩვენებელი თითით ერთმანეთისაგან აცალკევებდა ხუთიანებს, ათიანებს და ოციანებს. თუმცა მას რომ მიმართეს, მიხვდა. ჰოდა ახედა ნოქარს, ახედა და გაუღიმა. - რას მიცინი ქალო, დროზე ქენი-მეთქი, ვერ ხედავ, ხალხი გელოდება. ხელით მიანიშნა რიგში მდგომ ხალხზე. ახლა რიგში მდგომებსაც მიხედა მარიკამ და მათაც აჩუქა თავისი ღიმილი. მერეღა დაუბრუნდა უკვე გადათვლილ თუ გადაუთვლელ ხურდებს და მიხვდა, რომ ანგარიში აერია. ხელმეორედ ააჩრიალა ხურდები სასწორზე. თუმცა ამჯერად უფრო ნელა, უფრო გულმოდგინედ დაიწყო თვლა. ნოქარი წამოწითლდა სახეზე - შენ გეუბნები ქალო, არ გესმის?! არა, არ ესმის მარიკას, სანამ ბოლომდე არ გადათვლის ყველა მონეტას, მანამდე არ ესმის.

- ეეე, მასხრად მიგდებს მე ამის... ხმას აუწია ნოქარმა. არც ამჯერად არ აუხედია მარიკას.

- ეეე, ამას უყურეთ და აიქნია ნოქარმა ხელი, ზრიალით ავარდა სასწორის თეფში, თან აყვნენ ბანანიც და ხურდებიც. მერე წვიმასავით წამოვიდნენ ზემოდან. წკრიალ-წკრიალით მოეფინენ იქაურობას. მჭახე გამჭოლი ხმით ჭახ-ჭახეადა ნოქარი - გამაცილეთ აქედან ეს ოხრიშვილი. გადი აქედან, გადი შენი...

ხალხი აფუსფუსდა მარიკას გარშემო. ზოგი ხურდას კრეფდა, ზოგი ნოქარს ამშვიდებდა, ცოტა ხანს ვერაფერს მიხვდა მარიკა. გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით. ვიღაც ქალი იატაკიდან დასწვდა ბანანს და მარიკას გაუწოდა. ნოქარი არ ჩერდებოდა, ყვიროდა და ყვიროდა. უეცრად იგრძნო მარიკამ, რომ მის გამო ატყდა ეს აყალმაყალი, რომ მას, მარიკას უყვიროდნენ. იგრძნო და დაეპრანჭა სახე ტირილისაგან. ძირს დაყარა უკვე ნაყიდი ხალვა და ნუგები, სირბილით გავარდა მაღაზიიდან. გზაში ვიღაც ბიჭი წამოეწია. ცდილობდა იატაკიდან აგროვებული ხურდები დაებრუნებინა მარიკასათვის. არა, არ გაჩერდება მარიკა, სახლში, სახლში უნდა შეასწროს, თავის სახლში. ელისო, ელისო, ელისოს უნდა უთხრას, ელისოს უნდა მოუყვეს რა გადახდა, როგორ უყვირეს მარიკას. ელისო დაა, მარიკას უფროსი დაიკოა, ჭკვიანი დაიკო. ჰოდა, მას, ელისოს უნდა შესჩივლოს, ელისოს... ელისოს...

- იცი ელისო როგორი სახე ჰქონდა იმ კაცს? ზლუქუნ-ზლუქუნით ლუღლუღებდა მარიკა სასტუმრო ოთახში. ელისოს ფოტოს წინ, იმ ფოტოს წინ, ცუღლუტი ღიმილი რომ დასთამაშებდა ელისოს სახეზე.

- "აი სულ ბევრი ულვაშები და ბევრი წარბები და... და... იყურებოდა და იყურებოდა ნაგაზივით, სულ ნაგაზივიით". და ისევ წასკდებოდა ტირილი, მერე ისევ თავიდან ინყებდა. ბოლოს დაიღალა ლაპარაკისა და ტირილისაგან და გაჩუმდა. თვალგაშტერებით მისჩერებოდა ელისოს ფოტოს. მგონი სჯეროდა, რომ ახლა მაინც ამოიღებდა ელისო ხმას. ეტყოდა, რომ დამშვიდდეს მარიკა, რომ არაფერი ისეთი არ მომხდარა, რომ მთელი ეს ხანი ძალიან კარგად იქცევა მარიკა, ბევჯითად იქცევა და საერთოდ ძალიან გალამაზდა. ამ ცოტა ხნის წინ კი ისე იცეკვა, ისე იცეკვა, რომ გააოცა და უსაზღვროდ გაახარა თავისი უფროსი დაიკო და რომ ელისო აქამდე არ აგონებდა თავის ხმას, მაგრამ ძალიან, ძალიან უყვარს მარიკა. ის კაცი კი, კაცი არც იყო. ის ვიღაც საძაგელი ძაღლი იყო. მყეფარა და ავი ძაღლი და რომ არ ღირს ამ საძაგელ ძაღლზე გულის მოსვლა.

- როგორ ხარ ჩემო მარიკუნა? მინაწერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წააწყდა თვალებით მარიკა. შეცბა. გაიოცა. თითქოს პირველად წაეკითხოს. რაღაც არ ესიამოვნა. თვალი აარიდა. მერე ოთახიდან გავიდა. ონკანს მიადგა, ონკანის ზემოთ მომცრო ფოტოდან მკაცრად იყურებოდა ელისო. მკაცრად აფრთხილებდა მარიკას, რომ - ჭურჭელი დროზე უნდა გარეცხოს, თორემ დაუგროვდება, იქვე ახლოს მოგრძო ფოტოზე დიდი ასოებით ეწერა - სარეცხი კარგად განწურე და ისე გაიტანე აივანზე, თორემ მეზობლებს დაეწუწებათ. ისევ შებრუნდა მისაღებ ოთახში. მშვიდი, ჩამქრალი ღიმილით იყურება "დედუკა", "ფისორი" მამა კი ძველებურად უღიმის ვიღაცას, სადღაც, პროფილში, პირში პაპიროს გაჩრილი. სკამი მოიჩოჩა. ოთახის შუაგულში დაჯდა. ტირილით აღარ ეტირებოდა. შიში დაეუფლა მარიკას, მისთვის აქამდე უცხო, უცნობი შიში. ხმა გაეკმინდა, შებორკა ამ შიშმა. ოთახში შემოფრენილი ჩიტივით, თავგანწირვით რომ აწყდება უკვე მიხურულ სარკმელს, ეხლებოდა მისი დამფრთხალი, გაბნეული მზერა კედლებზე მიმოპენტილ ფოტოებს, მინაწერებს, ლარნაკებს, საფერფლეებს. ჩამქრალიყვნენ აქეთ-იქედან გადმომზირალი ელისოები. ნაცნობ, მშობლიურ საგნებსაც ეცვალათ სახე. ცალკე იყვნენ თავისთვის განაბულები. თავის მხრივ ისინიც დამწუხრებულები, მარიკაზე დამდურებულები.

გარეთ ჩამობნელდა. ქუჩის ხმაური მიჩუმდა. ვახშმობის დრო დადგა, ჩაის მოდუღების დრო. მარიკა კი სიბნელეში ზის. გარინდული, კისერწაგრძელებული, თვალებმილულული, ყინულის ქანდაკად ქცეული. სახლთან და სხეულთან გაუცხოებული, ზის და უფრთხის ყოველგვარ მოძრაობას, სხეულის ოდნავ გატოკებასაც კი. დროა წამოდგეს მარიკა. დროა შუქი აანთოს, ჩაი მოადუღოს, ელისოს კი უთხრას... ელისოს... ელისოს, და ემალება მარიკა, ემალება უკვე გაცხადებულს, მაგრამ ჯერ კიდევ ფერმკრთალ სისასტიკეს. თვალებს ლულავს, რომ აღარ, რომ ვეღარ დაინახოს ახლა უკვე ჩამქრალი, გამოფიტული ფოტოები.

უცხო, უცნობი შიში განახლებული ძალით დაუვლის მის სხეულს, განახლებული ძალით შებორკავს. - დროა დაიძინოს მარიკამ, დროა დაიძინოს, ხვალ დილით კი ელისოს მოუყვეს, ელისოს... ელისოს, ელისოს... და უარესად იძაბება, მილულულ თვალებს კი ხუჭავს, ტკივილამდე ჭმუხნის, იქნებ ტკივილს ტკივილითვე შეხედოს. ელისო... ელისო... ელისო... ელისო.

ამ სალამოს პირველად, ნაცნობ ფხაკუნზე მოატრიალა თავი მარიკამ. პირველად გაახილა სრულად თვალები. დამდუღრულივით წამოხტა. შუქი აანთო და ბუფეტისკენ გაიხედა. ბატონი ვახვახიშვილი თავისებურად აცმაცუნებს ულვაშებს. ადგილიდან არ იძვრის. უკვირს, უკმაყოფილო ჩანს. რაგომ არის სიბნელე ოთახში, რატომ არ ზის მარიკა მაგიდასთან და რატომ არ შეექცევა ჩაის. ჯერჯერობით მისთვის, ბატონი ვახვახიშვილისთვის განკუთვნილ კექსის ნატეხებსაც ვერ ამჩნევს და მგონი საერთოდაც არ ელოდებოდნენ აქ ბატონ ვახვახიშვილს. აღელდა მარიკა, აფორიაქდა, დაფაცურდა.

- ნუ, ნუ გაჯავრდება ბატონი ვახვახიშვილი. ნუ გაუწყრება მარიკას. ახლავე, ამ წუთში ყველაფერი იქნება. მარიკას ჩაიც აქვს, კექსიც და სხვადასხვანაირი მურაბებიც. ამ წუთში ბატონო, ამ წუთში.

- "იცი იმ კაცს როგორი თვალები ჰქონდაა? ბრაზიანი, ძალიან ბრაზიანი და დიდი ულვაშებიანი და დიიიდი წარბები... და იყურებოდა და იყურებოდა... და..." და მარიკა ახლა უკვე მშვიდად, დალაგებულად უყვება ბატონ ვახვახიშვილს თავს გადამხდარ ამბავს. ბატონი ვახვახიშვილი კი მშვიდად შეექცევა თავის ულუფას. დროდადრო ჭამას თავს ანებებს. ამ დროს ულვაშებს აცმაცუნებს და განსაკუთრებული ყურადღებით უგდებს ყურს მარიკას მონაყოლს. მარიკა კი განაგრძობს - ჰოდა... ჰოდა ყვიროდა, ყვიროდა და ყვიროდა ის კაციჭ, გესმიის?

ესმის ბატონ ვახვახიშვილს, ესმის. ესმის და თანაუგრძნობს კიდეც მარიკას. თანაუგრძნობს აბა რა? უეჭველად თანაუგრძნობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუანშერ ბიქარაძე

* * *

მოსაღამოვდა.
მოხუცმა მათხოვარმა წამოხვეტა თავისი ავლადიდება
და წაფლატუნდა,
შეერია მარადისობიდან ჩამოწოლილ ბინდს.
ხვალ დილით მას მხოლოდ ეს ნესტიანი კედელი მოისაკლისებს.
მოსაღამოვდა.
სულ ერთი წამით -
ვიდრე სახლები თავიანთ ბინებში შუქს აანთებდნენ -
სულ ერთი წამით გარინდდა მთელი ქალაქი
და გამვლელებმაც წამით იგრძნეს უხილავი სასწაულის სიახლოვე...
როგორც დავიწყებული სიზმრიდან გამოყოლილი სასოწარკვეთა;
როგორც უძღები შვილის მხრებზე შემოხვეული მამის ხელები;
როგორც მომკვდავისთვის დახლილი ტყვია.
მოსაღამოვდა.

ყულფი

უცნაურია, როგორ ვიწროვდება წრე:
მთელი სამყაროდან
(რომლის გაოცებაც გინდოდა) -
საკუთარ ლოგინამდე,
რომელზეც მიწვები
და ზურგით მიუბრუნდები იმ სამყაროს.

* * *

ეს მოხდა ზღვაზე.
ეს მოხდა ქობულეთში.
მე მაშინ 16 წლის ვიყავი.
ჩემი უფროსი დეიდაშვილი დგება
და თავის ქალს წელზე ჰხვევს ხელს
და შეჰყავს ოთახში.
მე აკანკალებული თითებით ვუკიდებ სიგარეტს
(მაშინ, მგონი, სულ ახალი დაწყებული მქონდა)
და ხარბად ვეწაწები.
მეზობელი ოთახიდან ჯერ ქალის კისკისი ისმის,
მერე ცოტა ხანი სიჩუმეა,
მერე რკინის საწოლი იწყებს ჭრიალს.
მე კიდევ უფრო ხარბად ვეწაწავ სიგარეტს.
ჩემს წინ,
დივანზე,
ზის, ასე, 32-35 წლის
შილიფად ჩაცმული ჯიშიანი რუსის ქალი.
არა, არ ზის.
დივანის სახელურს ხელით ეყრდნობა
და ქერა თავი უდევს მაჯაზე
და გრძელი ფეხები მოკეცილი უწყვია დივანზე,
მეორე ხელი კი მუხლებს შორის შეუცურებია
და ფეხის თითებსაც ნელა-ნელა ხრის და შლის,
ხრის და შლის,
ხრის და შლის.
დამორგუნველად ნელა.
მე ვცდილობ, არ ვუყურო
და ხარბად ვეწაწავ სიგარეტს.
მერე მკვეთრი მოძრაობით
(თითქოს საბედისწერო გადაწყვეტილება მივიღეო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასრეს ნამწვავს საფერფლეს
და...
მაშინვე ახალ ღერს ვუკიდებ.
მე ვიცი, რომ ახლა უნდა ავდგე,
მაგრამ ვერ ვდგები
და ვზიავარ ასე (სიგარეტისგანაც) დარეტიანებული.
ის კი ისევ იდაყვით ეყრდნობა დივანის სახელურს
და ფეხის თითებსაც ისევ ხრის და შლის,
ისევ ხრის და შლის,
ისევ ხრის და შლის...
მერე უცებ თავს უკან აგდებს
და მთელი ტანით იზმორება
და ფეხებს აწყობს იატაკზე
და წელში იმართება
და ხელებს იცურებს თმებში
და გაშლილი თმები შიშველ მხრებზე ეყრება
და თვითონ დგება,
თვითონ მოდის ჩემთან,
თვითონ მკიდებს ხელს,
თვითონ შევყავარ მეორე ოთახში,
თვითონ მხდის და იხდის,
თვითონ მკოცნის
და თვითონ მიშვება ყველაფერს.
მე ჩემით მხოლოდ სიგარეტს ვუკიდებ იმ ყველაფრის მერე.
მე უკვე კაცი ვარ,
მაგრამ ჯერ ესეც არ ვიცი.

მოზაიკიდან ჩამოცვენილი კენჭები

კენჭი პირველი

მე რომ მყოლოდა დუბლიორი,
დროდადრო შევუშვებდი ხოლმე ცხოვრებაში.
დიდი ამბავი,
ცოტა ხანს მასაც ეთამაშა.

კენჭი მეორე

(ზაკმაოდ დაზიანებული)

...დედამიწა -
სიცოცხლემისჯილთა კოლონია...

კენჭი მესამე

- თუ შეიძლება,
გადამიკიდეთ ცოტაოდენი შინაგანი ცეცხლი,
ფიქრებს შევყევი
და ჩამიქრა.
- ინებეთ.
- გმადლობთ.

კენჭი მეოთხე

(შესაძლოა, სულ სხვა მოზაიკიდან ჩამოვარდნილი)

ჩემს ზოოპარკში ცხოვრობენ მოთვინიერებული სიტყვები.
მათი გალიები საკმაოდ კომფორტულია
და არც საჭმელ-სასმელი აკლიათ.
ისინი კუდის ქიცინით მხვდებიან
და ხელებსაც მილოკავენ,
როცა ვეფერები.
მაგრამ ღამღამობით მაინც შეჰყმუიან სავსე მთვარეს
და იყნოსავენ ქალაქიდან მონაბერ ჰაერს
და მთელ სამყაროს შეჩვენებით ემუქრებიან.

* * *

რას ველოდები?
სასწაული აღარ მოხდება.
ისევ გაიზმორება ქალაქი ქვისა და ცოდვების სარეცელზე,
მანქანებიც ისევ დააფრთხობენ
მეხსიერების სარდაფებში შეყუჟულ სიზმრებს
და ბავშვებიც ისევ აიკლებენ ეზოებს ყიჟინით
და ვარსკვლავებიც ისევ იწინასწარმეტყველებენ აუზდენელ იმედებს.
მეც ისევ ვიდგები
შესაცნობლისა და შეუცნობლის გზაგასაყარზე
და ცის გახსნას დაველოდები -
იქ და იმ წამს,
სადაც და როდესაც ჯერ კიდევ გძინავს და უკვე აღარ გძინავს,
სადაც და როდესაც ჯერ კიდევ არ გღვიძავს და უკვე გღვიძავს...
მაგრამ სასწაული აღარ მოხდება.
შეახოხდება,
როგორც გველი სამოთხის ხის ტოტს,
ქალაქის ჩონჩხს - სმოგის საცეცი
და სამარეში ჩაიფშვნება აღთქმული ბედნიერება.
სულ ტყუილია,
სულ ტყუილია,
რასაც შემპირდი!
ან
მე შევპირდი ჩემს თავს სარკის წინ
და შევაფიზიზლე ბედისწერის აბლაბუდებში გატრუნული ძველთაძველი შეჩვენება,
ძველთაძველი და გარდაუვალი,
გარდაუვალი და აბსურდული,
იმაზე უფრო აბსურდული,
ვიდრე შუაღამის უკაცრიელ ქუჩაში
შუქნიშანთან გაჩერებული მორჩილი მანქანა...
მაშ, რაღას დგახარ, რას ელოდები?
წადი,
მშვიდად განაგრძე გზა სიკვდილისკენ.
სასწაული ხომ აღარ მოხდება.

* * *

ერთი წამის წინ
მე ვიყავი სამყაროს მეფე...
ახლა აქა ვარ
და დაბნეული ვათვალიერებ
საკუთარი ოთახის საპყრობილეს.

* * *

"ძაკ, ყაბახი, სამშობლო შენი..."
ნ. ბარათაშვილი

მატარებელი ჩამოვიდა დილის ათის ნახევარზე.
ვაგზალი და მისი მიმდებარე ტერიტორია სავსე იყო მოშლოდინე ადამიანებით.
როდესაც ვაგონიდან გადმოასვენეს კუბო,
ყველამ ერთად მოიდრიკა მუხლი
და წუთით ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა,
რომ ისმოდა,
როგორ ათობდა ჰაერს დილის მზის სხივები.
შემდეგ ჩამოჰკრეს ზარი
და ხალხი ლიტანიით დაიძრა დიდუბისკენ.
კუბო გადადიოდა ხელიდან ხელში
და ქალებიც კი ცდილობდნენ,
რამდენიმე ნაბიჯზე მაინც შეეშველებინათ მხარი.
დედებს გამოეყვანათ პატარა შვილები

პიროსმანაშვილი

და აჩოქებდნენ კუბოს წინ
და თაყვანს სცემდნენ მას,
როგორც მოწამის ნეშტს.
იდგა აპრილის 25,
1893 წელი,
გაზაფხული.

. . . . . .

მას კი
(ვიდრე სადღაც განჯაში ყაჩაღებს დაედევნებოდა
და გაოფლილზე ქარი დაჰკრავდა
და ლოგინად ჩააგდებდა),
სულ ერთადერთი ადამიანი სჭირდებოდა,
ვინც ჩასჭიდებდა ხელს
და გაიყვანდა გაშლილ ადგილას,
სადაც თავისუფლად და დაუყვედრებლად ამოისუნთქავდა.

* * *

მე ვთხრი გვირაბს ჩემი საკნის მარცხენა კედელში.
მე ყოველ ღამე 5 მილიმეტრით წინ მივიწევ.
მე უკვე მთელი 76 მეტრი,
44 სანტიმეტრი
და 5 მილიმეტრი მაქვს გათხრილი.
მე, ასე, 58-63 წელიწადში თავისუფალი ვიქნები.
თუ, რა თქმა უნდა, სწორად გავიანგარიშე მიმართულება.
თუ არადა,
რომელიმე პატიმრის საკანში აღმოვჩნდები.
ან -
სეირი მაშინ ნახე -
თავი ციხის უფროსის კაბინეტში თუ ამოვყავი.
თუმცა, ამაზე დიდად არ ვინაღვლებ.
უბრალოდ, ახალ საკანში გამომამწყვდევენ.
მაგრამ იქაც ხომ იქნება კედლები.
იქაც ხომ დაღამდება.
რა ღმერთი გამიწყრება,
5 მილიმეტრს 5 მილიმეტრი ყოველ ღამე იქაც ვერ მივუმატო.
მთავარია, გწამდეს.
მთავარია, არ დარჩე მარტო საკუთარ თავთან.
შენი ყველაზე დიდი მტერი აქ - შენივე თავია,
რომელიც გეუბნება შენ:
"მომხედე მე.
შემოდი ჩემში.
თავი დაანებე კედელს."
შენი მტერია ეჭვი,
რომელიც იბადება შენი მეორე "მე"-ს წარმოსახვაში
და რომელიც გარწმუნებს,
რომ ციხის კედლებს იქით არაფერია;
რომ მილიონი წლებიც რომ თხარო,
მაინც ამ საკანში შემობრუნდები,
ოღონდ მარჯვენა კედლიდან.
მაგრამ მე ამას ვერ ვიჯერებ.
ან როგორ უნდა დავიჯერო!
არა, არა,
არ მინდა, ეს სისულელე მჯეროდეს.
მე მწამს,
რომ ციხის კედლებს იქით არსებობს რაღაც.
მე მწამს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იქ ბედნიერი ვიქნები.
ზოგჯერ მინდება,
ჩამოვჯდე იატაკზე,
მხრებით მივეყრდნო კედელს,
თვალები დავხუჭო
და ვიოცნებო,
იქ როგორ ვიცხოვრებ.
მაგრამ მე ხომ არ ვიცი,
არც - როგორია იქაურობა,
არც - რა უნდა ვაკეთო იქ,
არც - რას ნიშნავს ეს სიტყვა -
ბედნიერება...
და, საერთოდაც, არც ოცნებისთვის არ მცალია.
ღამეში 5 მილიმეტრი -
აი, ჩემი დევიზი.

* * *

მე გავასწარი საკუთარ ჩრდილს
და საკუთარი ფეხისცემაც უკან მოვიტოვე,
მაგრამ საკუთარ თავს მაინც ვერ გავექეცი.

ვრუგელი. "დემონი"

მე ვზიავარ მუხლებზე ხელებჩამოწყობილი.
მე ვისუნთქავ ქალაქიდან წამოსულ ავდარს.
მე მესმის ქალაქიდან მონაბერი თითოეული ჩქამი.
მე ველოდები,
როდის განადგურდება ეს ქალაქი.
და ჩადის მზე.
და ამოდის მთვარე.
და ადგილიდან არ იძვრის მარადისობა.
არ მართლდება შეპირებული ბედისწერა.
ყველაფერი გრძელდება ძველებურად -
განუხორციელებელი ოცნების მიჯნაზე,
დასიზმრებული სინამდვილის მიჯნაზე,
ცოცხალი სიკვდილის მიჯნაზე.

აგვისტო

აუშვა წვიმის სუნი ასფალტმა.
მე მოვსვი ლუდი
და შევიმალე გადაფარებულში.
წავიდა,
მაღლა-მაღლა წავიდა ქუჩიდან აკრეფილი ოხშივარი
და გამოღებულ ფანჯრებში ფარდები შეარხია
და გადაიგრუხუნა ელვამ კორპუსების თავზე
და ყვითელმა ნიაღვარმა ჩაატარა პირველი ყვითელი ფოთლები.
გადმოირბინეს ატკარცალებულმა გოგოებმა გადასასვლელი,
აბუზულები შეჟივჟივდნენ მეზობელი ხის ტოტებქვეშ,
თან დროდადრო ჩეშკენ ჩუმად თვალს აპარებდნენ.
გადაგრილდა.
მე ვიდექი გადაფარებულში
და ნება-ნება ვწრუპავდი ლუდს
და შსიამოვნებდა ლუდი
და შსიამოვნებდა სიგრილე
და შსიამოვნებდა ჩემსკენ ჩუმად გამოპარებული თვალები.
მერე კიდევ უფრო ძალუმად წამოუშინა,
თხილისოდენა წვეთები დააყარა აქოჩრილ ქუჩას
და ტოტებშუა გამოატანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩამონაცრისფერდა ერთბაშად
და ძველი,
შავ-თეთრი კინოს კადრები გააცოცხლა მახსოვრობაში
და მეც ერთბაშად მოვიყუდე,
ერთბაშად ჩავცალე ჩარჩენილი სასმელი,
ცარიელი ბოთლი ხის ძირთან მივაგდე
და გავედი,
გავაბოტე კოჭებამდე ნიაღვარში,
თითქოს ისევ 18 წლის ბიჭი ვიყავი.



* * *

- ავსტრალია!
- ვარ.
- აზია!
- ვარ.
- ამერიკა!
- მეც ვარ, მასწ.
- ანტარქტიდა!
- გახლავართ.
- ატლანტიდა!
- რა ხანია ჩაიძირა, მასწავლებელო!
- ჰმ... რას მეუბნები?!.. მართლა?
სამწუხაროა,
მუყაითი მოწაფე იყო...
გასაგებია.
ესე იგი, სხვა სკოლაში გადავიდა და სიიდანაც უნდა...
- შეიძლება, მასწავლებელო?
- შემოდი, აფრიკა, შე უბედურო!
შენ სულ როგორ უნდა იგვიანებდე!
- არა, მასწავლებელო, მე...
- ახლა თავის მართლება არ დაიწყო!
- არა, მასწ, გეფიცებით,
ჩემთვის მოვდიოდი და ინდოეთის ოკეანემ უცებ ტალღები დამიშინა და...
- კარგი, კარგი, დაჯექი.
და აღარ დაიგვიანო!
- გმადლობთ, მასწ.
- ესეც ასე, აფრიკაც არის.
და - ევროპა!
- ვარ.
- ძალიან კარგი.
დღეს,
მიცვალებულთა ეკოლოგიის შემდეგ,
ჩაგიტარდებათ დამატებითი გაკვეთილი ირმის ნახტომის გეოგრაფიაში.
სიჩუმე კლასში!
ჩვენი დღევანდელი საუბრის თემაა
გადაშენებული ორგანიზმების ზეგავლენა შავი ხვრელების ენერგეტიკაზე
და მთვარის ფაზების როლი მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ მომენტებში.
იქამდე კი გავიმეოროთ ნასწავლი მასალა.
აბა, აზია, ადექი და მიპასუხე,
როგორ უნდა დავიცვათ თავი მეტეორების წვიმისგან?

* * *

ქუჩაში რომ შეიძლებოდეს იმის პოვნა,
რასაც მე დავეძებ...
ანდა
რომ ვიცოდე, რას დავეძებ,
ეგებ ქუჩაშიც კი მეპოვნა.

დავით ქარდაკა

ნოეს მტრედები

იმედებისგან მოსავენებული,
დღიურ ზრუნვისგან თავისუფალი
ჩვენ სასოებით და გულმხურვალედ
ღმერთებს მადლობას აღვუვლენთ ცაში,
რომ სიცოცხლესაც ბოლო ჰქონია,
რომ მკვდარი ვეღარ აღსდგება მკვდრეთით,
რომ ნაკადულიც, რბენით დაღლილი,
ზღვას მინებდება და მოისვენებს.
ელდერონ ჯარლზ სუინბერნი



მე მტრედი ვარ, ზურიკოც, გიორგაც... ბევრნი აღარ დავრჩით, მაგრამ რაც ვართ, ისინიც ვეღარ ვნახულობთ ერთმანეთს ხშირად. სხვებთან ისედაც არა გვაქვს საქმე. იმ დღეს ზურიკოს დედასაც არ გავუღეთ კარი. გიჟები ვგონივართ, ვეცოდებით, საჭმელს გვაწვდის და სულ ტირის. მტრედები კი სულ სხვა ხალხი ვართ. მთელი დღე რომ გეჯდეთ გვერდზე, ერთს არ შეგაწუხებთ, დიდი-დიდი ჭიქა მოგიჭახუნოთ და ზედმეტი თუ მოგვივიდა, ცხვირსახოცი გთხოვოთ ცრემლების მოსაწმენდად... ნოეს მტრედებს დიდი თავპატიჟი არ სჭირდებათ - თავისთან მოდიან, ცოტახანი იღუღუნებენ და სანამ თავს შეგაწყენენ, წავლენ, გაფრინდებიან... არა, ზურიკოს დედას არ დაუჯეროთ, გიჟები ნამდვილად არა ვართ! ისიც ვიცი, რომ მტრედებისგან განსხვავებით, ფრენა მხოლოდ ერთი მიმართულებით შეგვიძლია... მე რისი თქმა მინდა, ჩვეულებრივი ჩიჩახვიანი ფრინველები არ ვართ, ნოეს მტრედები ვართ!..

ნოეს მტრედები - ეს ზედმეტსახელი ერთმა ქვეშაფსია ბერიკაცმა შეგვარქვა. რკინიგზის სადგურში აეკიდა ზურიკოს. კარი რომ გავაღე, ზურგზე ხელი ძმაბიჭურად დაცხო და შინ შემოაგდო. გაიცანი, ეს პროფესორი ტყეშელაშვილიაო, თვალი ჩამიკრა და პალტოს ჯიბიდან ბოთლი ამოიღო. ტყეშელაშვილი ისედაც ფეხზე ძლივს იდგა და სამმა ჭიქამ სულ მოუღო ბოლო: ჯერ დორბლებად და ცრემლებად დაიღვარა, მერე რაღაც ჩამივარდაო, პირის გაუღებლად თქვა და მაგიდის ქვემოთ ჩაყვინთა. სუნთქვაზე ეტყობოდა, დილამდე ვერ ამოვიდოდა იქიდან!

- სად იპოვე? - ვიკითხე. რაც უნდა იყოს, მასპინძლის ამბავში გავდიოდი, სახლის გასაღები ხო ჩემ ჯიბეში ინახებოდა.

- სადგურში ვნახე, - მითხრა ზურიკომ, - ფული მთხოვა, ბილეთზე მაკლდებაო. პროფესორი ტყეშელაშვილი ვარ, მთელი მსოფლიო მიცნობს და შენ რა გეტაკა, რა ხარ ასეთი უბირი, რატომ არაფერს გეუბნება ჩემი გვარიო. როგორ ხდება ხო იცი, რეები არ მოთხარა: ფულს ვაგროვებ, რადაც უნდა დამიჯდეს, ისლანდიაში თუ ირლანდიაში უნდა წავიდე და ვიღაც მათემატიკოსს უნდა შევხვდეო... ვეკითხები, თუ მსოფლიო სახელის მათემატიკოსი ხარ, ასე უკაპიკოდ რატომ ხარ-მეთქი? რომ აღარ მომეშვა, რამდენი გინდა-მეთქი, ვკითხე. ხუთი ლარიო, არ დაფიქრებულა, ისე მიპასუხა... გაიგე, ხუთ ლარად აპირებს ნორვეგიაში, თუ შოტლანდიაში წასვლას! ვიყიდე, დალევა რომ უნდოდა! შემეცოდა. ხო იცი, მოხუცი, აჩკარიკი ბომჟები განსაკუთრებულად საცოდავად გამოიყურებიან, თან ნოემბრის ბოლოა და ეს კიდევ ხომ ხედავ, კასტუმსა და ბასანორჩკებშია ჩარჩენილი... ისე, დილიდან არც მე დამილევია. ჰოდა წამოდიმეთქი, ვუთხარი და აქ მოვიყვანე!

მოიყვანა და მას მერე ჩვენთან დარჩა. ეს ჩვენი ქვეშაფსია პროფესორი მზის ამოსვლამდე გადის სახლიდან. ამბობს, თქვენი ცქერით არაფერი გამოვა, ფული თუ არ მოვაგროვე, ჩემს მეორე აღმოჩენასაც სხვა მიითვისებსო.

უზარმაზარ ტყავის ჩანთას დაათრევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასოდეს იშორებს - მაგიდას რომ მივუსხდებით, ტრაკქვეშ ამოიდებს ხოლმე; ორასი გრამი და მაგიდის ქვემოთ მიძვრება, ბალიშად კი ისევ ამ ტყავის ჩანთას ხმარობს. მოკლედ, უცნაური ვინმეა ეს ჩვენი ქვეშფსია პროფესორი...

ლადოს ბიძაშვილმა ნახა თუ არა მაშინვე იცნო.

- ამას აქ რა უნდა! - იკითხა გაოცებულმა. მოხუცს ყურადღება არ მიუქცევია. ლადოს ბიძაშვილმა კი სკამს დაავლო ხელი და შემდგომი დაკვირვებების საწარმოებლად, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ახლოს დაუჯდა წინ. ხუთი წუთი მაინც მისჩერებოდა სახეში, ბოლოს კი მრავალსართულიანი რევერსული გინებების თანხლებით დაასკვნა: ნამდვილად ის არ არისო!

ვინ ისო, ერთდროულად ვიკითხეთ მე და ზურიკომ. ვინ და ქვეშაფსია პროფესორიო. გეშლება-მეთქი, ვუთხარი. თვეზე მეტია ჩვენთან ცხოვრობს და რაღაც არ მახსოვს მისი შარვლიდან რომ ენვიმოს!

- ქვეშაფსია სტუდენტებმა შეარქვეს, - დაიწყო ლადოს ბიძაშვილმა, - მეორე კურსზე მათანალიზში ლექციას გვიკითხავდა. მათანალიზი კი რა არის: დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა!.. მოკლედ, მაგრა აკაკუნა დაფაზე, ინტეგრალის კლაკნილებით გადაჭრილა იქაურობა, მიიღო უზარმაზარი გამოსახულება და გამოთვლების გასამარტივებლად რაღაც ნაწილი ბერძნული ასო "ფსი"-თი აღნიშნა. ეს "ფსი" გეცოდინება როგორიც არის - ჩანგალია რა, მოკლეტარიანი სამკაპა, მულტფილმებში ნეპტუნს რომ უჭირავს ხოლმე ეგეთი... აი, "ფსი"-თი რომ მონიშნა, ამის მერე დაიწყო რაც დაიწყო: თუ ამას და ამას აღვნიშნავთ ასო "ფსით", მაშინ ინტეგრალიდან გავა-ფსი, ინტეგრალში შევა-ფსი, ინტეგრალიდან გამოვა-ფსი და ასე შემდეგ. მოკლედ, მთელი ორმოცდახუთი წუთი იძახდა: გავაფსი, ჩავაფსი, შევაფსი, ჩამოვაფსი...

წასვლისას ლადოს ბიძაშვილი კარში დაყოვნდა. ეტყობოდა ოსტეოხონდროზი რომ არ აწუხებდა: თავი მთელი ასოთხმოცი გრადუსით მოატრიალა, ჯერ საკუთარი საჯდომი შეათვალიერა, გაკრული ხელით დაწერილ "ვრანგლერს" გააყოლა თვალი, მერე კი ჩვენს ქვეშაფსია პროფესორს მიაშტერდა.

- ეს რა მოსვლია! - ხმაში სინანული იგრძნობოდა, - მთლად დალაგებული არც მაშინ იყო, მაგრამ ასე თუ გარეკავდა, რა ვიცოდი!..

ლადოს ბიძაშვილს ლადოსავით ჩვენი გული ჰქონდა. ჩვენი ლადო კი ცნობილი სულელი იყო: სხვისი გაჭირვება გულთან ძალიან ახლოს მიჰქონდა! მეოთხე კურსზე იყო, გეპეის მეექვსე კორპუსთან რომ მოკლეს. უდღეური მანქანათმშენებლების მაგივრად, სულ მცირე გასამრჯელოს ფასად, ზოგად ფიზიკასა და ანალიზურ გეომეტრიაში კურსიდან კურსზე გადასასვლელ გამოცდებს აბარებდა... ისეთი კეთილი იყო, ნისიაზეც მუშაობდა, მაგრამ, ცხადია, ქველმოქმედებასაც აქვს საზღვარი. ერთხელაც მაგარმა მთვრალმა უარი ვერ თქვა და სხვის მაგივრად ორგანული ქიმიის გამოცდაზეც გავიდა. გასვლით კი გავიდა, მაგრამ პახმელიაზე გამოსვლა აღარ აცალეს: უუანგაკი ლიფონის სიშავეშეპარული შტანგენფფარგალი - ღილაკიანი დანის შორეული წინაპარი - შეთხარეს მარჯვენა ფერდში! უცბათ არ მომკვდარა, ბნეგმოთორარქი განუვითარდა და ორი კვირის თავზე სეფსისის ცენტრში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ექთანთან თავი იმართლა, ქიმია და ჩემოდნების მკერავი მენდელეევი ბავშვობიდან არ მიყვარდაო... ბოლო სიტყვები ლუღლუღით წარმოთქვა: ცხვირში შერჭობილი ჟანგბადის მილებიც უშლიდა ხელს და ბლანტი სითხით სავსე ფილტვებიც. ასე რომ, მედპერსონალი მთელი დღის განმავლობაში კამათობდა, ლადომ მართლა მენდელეევი ახსენა, თუ ექთანს სმენამ უღალატა და იმ ქვეყნად მიმავალმა სინამდვილეში აუგად თანამედროვე გენეტიკის ფუძემდებელი გრეგორ მენდელი მოიხსენიაო.

- კი მაგრამ მენდელი ბიოლოგი არ იყო? - იკითხა სანიტარმა გოგონამ, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტში ჩასაბარებლად ერთდროულად ქიმიაშიც ემზადებოდა, ბიოლოგიაშიც, ფიზიკაშიც, ქართულშიც და საავადმყოფოში სტაჟის დასაგროვებლად სანიტრადაც მუშაობდა.

- მენდელი... მენდელეევი... რა მნიშვნელობა აქვს! - იყვირა მორიგე ქირურგმა, - შენ რა მიქელ-გაბრიელი სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი ხომ არ გგონია? საკუთარ დაწესებულებაში ყველას იღებს, არც მისაღები გამოცდების ჩაბარებას ითხოვს, არც ქრთამს და არც გვამად ყოფნის სტაჟს! საიქიოში ადამიანები კონკურსის გარეშე ხვდებიან!

* * *

ტყეშელაშვილს ლამის ყელი გამოჭრეს ბიჭებმა. რა მტრედი, რის მტრედი, შენი დედაო. ძლივს დავაკავეთ ზურიკო, კაი ბიჭებს რეებსა ჰკადრებო!..

მაშინ გიორგას დატოვებულ ბინაში ვცხოვრობდით და ძალიან ბევრს ვსვამდით. თვითონ გიორგა რუსეთში გადაიხვეწა. არ ვიცი, ტიუმენში, არ ვიცი, ურენგოიში დედამიწის გაყინული

წიაღიდან ნედლ ნავთობს მოიპოვებდა. ფულს ბევრს აკეთებდა, მაგრამ, როგორც თვითონ მითხრა მერე, ინვალიდის ეტლით უკან რომ დაბრუნდა, ამ პროფესიას მისთვის სიხარული არ მოჰქონდა. ყოველი წლის სექტემბრის პირველ კვირას, მენავთობეთა საკავშირო დღესასწაულზე თუ გაილაღებდა კაციო. მაგრამ ეს დღე წელიწადში ერთხელ იყო და ერთი კი, კარგად მოგეხსენებათ, სიკვდილის გარდა ყველაფერი ცოტაა. ასე რომ, ჩემმა მეგობარმა, სწორედ იმ წელს, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ოლქის საბჭოების დელეგატად არჩევას რომ უპირებდნენ, პროფესია შეიცვალა, თუმცა ბურღვისთვის თავი არ დაუნებებია: "სოვგრანსექსპედიტორის" ტრაილერზე დაიწყო მძღოლად მუშაობა. ახალი "ვოლვო" ითრია, კაბინა კი არა, ექვსას ცხენზე ამხედრებული ნამდვილი მქროლავი სახლი იყო, თავისი მაცივრით, ორსართულიანი საწოლითა და კონდიციონერით... ბურღვით კი გზად აყვანილ ქერა გოგონებს ბურღავდა, განურჩევლად ასაკის, ეროვნებისა და საჯდომის ფორმისა... თქმა არ უნდა, გაყინული მინისაგან განსხვავებით, ფუმფულა სხეულებში შესვლა გაცილებით მეტ სიხარულს ანიჭებდა. თუმცა, მალე სხვა განსხვავებაც აღმოაჩინა: დედამიწა ზედაპირის უშუალო სიახლოვეშია გაყინული, მერეღა რბილდება და გულისკენ ტემპერატურაც საგრძნობლად მატულობს, ქალებთან კი პირიქით არის: კანი ცხელი და გლუვი აქვთ, გული კი, როგორც წესი, ყინულივით ცივი და ხორკლიანი. ალბათ, ამიტომაა ყველა "მბურღავი" ამოღების ნაცვლად იქით რომ ასხამს ყველაზე უფრო სასარგებლოსა და ცხელ წიაღისეულს...

მოკლედ, ის ბევრს შრომობდა, მე კი, მის ერთოთახიანში გამოკეტილი, კიდევ უფრო მეტს ვსვამდი. მეო, ისე წამომცდა, თორემ მარტო იშვიათად მიწევდა დალევა. ლუდს იაშიკებით ვიღებდით - მაშინდელი მამები ათობით სისტემას წყალობდნენ და ამ ამბავს უბნის ლოთებიც ვუწევდით ანგარიშს - დუჟინს, ან ნახევარ დუჟინს არავინ იტყოდა - ათი ბოთლი მომე, ოცი ბოთლი მომე... ხის იაშიკებით იყიდებოდა ლუდი. იაშიკები, გემახსოვრებათ, ჟანგიანი ლურსმნებით (შიგადაშიგ მავთულებითაც) იყო შეკრული და შიგ ოცი ბოთლი (ოთხი მწკრივი, მწკრივში ხუთი ცალი) ეტეოდა. კიდევ ათს, თუკი მოინდომებდი, თავდაყირა, ბოთლებს შორისაც გაჩხირავდი. ასე რომ, ერთ ცდაზე სულ ცოტა ოცდაათ ნახევარლიტრიანს წაიღებდა კაცი... იაშიკი მაცივრიდან უნდა გამოგეტანა. მაცივარი კი არა, სინამდვილეში მოზრდილი ოთახის ოდენა კამერა იყო, მთელი წლის სამყოფ ლუდს იტევდა. რა გიკვირთ, ქვეყანაც დიდი იყო მაშინ და მაცივრებსაც შესაბამისი ზომებისას უშვებდნენ. მერე ის დიდი ქვეყანა ლუდის იაშიკივით მოირყა და დაიშალა...

* * *

პროფესორი ტყეშელაშვილი კი ნამდვილი წურბელა აღმოჩნდა: არ მახსოვს, რამე მოეტანოს, ან რამეზე უარი ეთქვას. მოვიდოდა, სალამსაც არ იტყოდა ისე, თუ რამე დასალევი გვქონდა, დალევდა და მაგიდის ქვემოთ ჩაძვრებოდა. იშვიათად ლაპარაკობდა და თუ რამეს იტყოდა, ისიც ძირითადად თავისი აღმოჩენების, ცოცხალი და თუ გარდაცვლილი მათემატიკოსების შესახებ. განსაკუთრებულად მწკრივთა თეორიაზე ჰქონდა გართულება. ამბობდა, ჩემი აღმოჩენა, რომელიც ნორვეგიაში თუ ისლანდიაში ფოსტით გავგზავნე, სხვებმა მიითვისესო. მწკრივს ტყეშელაშვილის მწკრივი უნდა ერქვას, რიცხვებს - ტყეშელაშვილის რიცხვებიო. ფიბონაჩი ჩემთან შედარებით ნამდვილი ფინაჩობა�ო, გვარწმუნებდა.

ამ მბრძედებზე ყველაზე მეტი ზურიკომ გაახურა. ბიძამაც, რომ არ მოველოდით, თავი გაიგიჟა. ან ბიბლია არ წაგიკითხავთ, ან ნოე არ გაგაგიათ, ან მოსეო? ტყავის ჩანთიდან სქელი წიგნი გააძრო და ხმამაღლა წაგვიკითხა:

"...ორმოცი დღის შემდეგ გააღო ნოემ სარკმელი, კიდობნისათვის რომ ჰქონდა დატანებული. გამოუშვა ყორანი; მიფრინავდა იგი და უკანვე ბრუნდებოდა, ვიდრე დაშრებოდა წყალი დედამიწაზე. აუშვა მტრედი, რომ გაეგო - თუ დაიკლო წყალმა მიწის პირზე. ვერ იპოვა მტრედმა ბრჭყალის მოსაჭიდი და უკანვე მიუბრუნდა კიდობანში, რადგან ჯერ კიდევ იდგა წყალი მთელს მიწის პირზე... გაიწოდა ხელი ნოემ, აიყვანა იგი და შეიყვანა კიდობანში. შვიდ დღეს კიდევ იცადა და ხელახლა გაუშვა მტრედი კიდობნიდან. დაბრუნდა მტრედი საღამოჟამს და, აჰა, ზეთისხილის ნედლი რტო ეჭირა ნისკარტით. მიხვდა ნოე, რომ დამწყდარიყო წყალი დედამიწაზე..."

- გაიგეთ? - წიგნი დახურა ქვეშაფსია პროფესორმა, - ვერ იპოვა მტრედმა ბრჭყალის მოსაჭიდი და უკანვე მიუბრუნდა კიდობანში, რადგან ჯერ კიდევ იდგა წყალი მთელს მიწის პირზეო, გესმით?

- გვესმის, მაგრამ ვითომ რა მერე, რისი თქმა გინდა მაგით!

ბიძამ ხელი ჩაიქნია. აზრი არა აქვსო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა და წავიდა. დიდი, გადმოვარდნილი მუცელი და პატარა ტრაკი ჰქონდა. წონასწორობა რომ დაეცვა, წელში არანორმალურად გაზნექილი დადიოდა...

- რომ დაფიქრდე, მართლა ნოეს კიდობანიდან აფრენილი მტრედებივით ვართ, - მეუბნება ერთხელ გიორგა. ღამის განმავლობაში ორ-სამ ჯერ მაინც უნდა გადავაბრუნო. თავისით არაფერი გამოსდის, არადა ნაწილი წყლულები თუ გაუჩნდა, ყველანი გავწამდებით: ის ტკივილებით, ჩვენ სიმყრალით...

- განა, ცხოვრებაში მთავარი რა არის? - აგრძელებს ლაპარაკს. ენა ეფხანება, თორემ რა უნდა ვუპასუხო: რა ვიცი, ცხოვრებაში მთავარი რა არის!

- ასე მოხერხებულად ხარ? - ბალიშს ვუსწორებ.

- მიწის პატარა ნაგლეჯის პოვნა!

- ხოო?

- სულ პატარა ნაგლეჯის! ალალად მხოლოდ შენი რომ იქნება ისეთის, სადაც ზეთისხილის რტოში არავინ შეგეცილება!..

გულში ვფიქრობ, რა ზეთისხილი, რა რტო, რომელი მიწის ნაგლეჯი, რეებს უბერავს ეს ჩემისა-მეთქი! ფსლის სუნად ყარს. წელქვემოთ მოწყვეტილია, სადღაც ნეკნების დაბოლოებებიდან ვერაფერს გრძნობს და ხშირად ეპარება. შარვლის უბე რომ დაუსველდება, მაშინლა თუ მიხვდება ხოლმე.

- მი-წის თა-ვი-სუ-ფა-ლი ნა-გლე-ჯი! - დამარცვლით ამბობს, - მაგრამ სად არის ეს მიწის ნაგლეჯი, სად?!

- სოფელში მაქვს ეგეთი ნაკვეთი, - ვეუბნები მე, - 2500 კვადრატული მეტრი იქნება. ზეთისხილი არა, მაგრამ, სანამ სანყალი ბებიაჩემი ცოცხალი იყო, ღვინისხილი თავზესაყრელად გვქონდა...

- ვინ თქვა, წარღვნა დასრულდაო? - არ მისმენს, მაგარი მთვრალია და თავისას ერეკება, - ეგ ჩვენ, ნოეს მტრედებს გვკითხეთ, ვინ იცის, რამდენი ათასი წელია რომ ვეძებთ და ვერაფრით რომ ვერ გვიპოვნია ჩვენი ადგილი, სადაც ფეხის მოკიდება შეიძლება, სადაც სხვა თუ არაფერი, სულ მცირე სულის მოთქმის საშუალება მაინც გვექნება, მაგრამ განა რომელიმემ შეძლო ეს?! შენ, მე, ზურიკომ, ამ ქვეშაფსია პროფესორმა თუ უბედურმა ლადომ?

ვგრძნობ, ცოტაც და დაიწყებს, ვეღარ გავაჩერებ.

- გეყო რა, მოთქმა, - ვეუბნები, - არ გეძინება? რა მიწა აგიტყდა ამ შუა ღამით, რომელი სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი ან სწავლული აგრონომი შენა მყავხარ... გითხარი, ეგეთი მიწის ნაგლეჯი კახეთში მაქვს-მეთქი, მაგრამ რა ხეირი - იქაც და აქაც ყველას სირზე ვკიდივარ, შენც კარგად ხედავ!.. მოდი რა, დავიძინოთ, ან დავლიოთ, ოღონდ მიწაზე, თიხაზე და ნეშომპალაზე მოვრჩეთ რა!..

* * *

ყველა ლოთის ამბავი არყის ბოთლივით ჰგავს ერთმანეთს, მხოლოდ საფირმო ეტიკეტებით - სიფათებით განსხვავდებიან. ერთი საყვარელმა ადამიანმა მიატოვა, მეორემ ბავშვი გატანა უნებლიედ, მესამეს სიკვდილის ანგელოზებმა, უფრო უსახსრობის, ვიდრე უკურნებელი სენის გამო, ერთადერთი ქალიშვილი გამოსტაცეს ხელიდან, მეხუთეს კი უბრალოდ ვერავინ ამჩნევს, თითქოს არც დაბადებულა... და კიდევ: რა თქმა უნდა, ლოთები რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშეც სვამენ! თუმცა ამას არავინ აღიარებს, ამბობენ, რომ არ გაუმართლათ, რომ ცხოვრებისაგან მეტს ელოდნენ და, რაც მთავარია, მათი აზრით, უკეთეს ხვედრს იმსახურებდნენ! თუ მიტოვებაზე მიდგებოდა საქმე, მათ უნდა მიეტოვებინათ და არა პირიქით; თუ უბედურ ბავშვს ნაადრევი სიკვდილი ეწერა, სხვისი მანქანის ბორბლები უნდა ამოეჩჩინა და არა მათი; უსახსრობასა და ავადმყოფობას კი, ცხადია, ბევრი ფული და რკინისებური ჯანმრთელობა ერჩივნათ, ჩრდილში დგომას კი - სამაგალითო საზოგადოების შუაგულში ტრიალი და მზის ქვეშ ნებივრობა... სმას რომ იწყებენ, მაშინ მხოლოდ ის იციან, რომ მზე დიდია, მაგრამ არ იციან, რომ მზის ქვეშ ადგილია პატარა და რომ იქ ყველა ვერ დაეტევა. ამას მოგვიანებით, წლების მერე მიხვდებიან, მაგრამ რა ხეირი აქედან - ამ წვრილმანის გამო სმას ხომ არ დაანებებენ თავს?

მეც მიღალატეს! შეუმჩნეველიც დავრჩი! თუმცა, ახლა, ამდენი წლის მერე ძნელი გასარჩევია, ჯერ მიღალატეს და მერე დავიწყე სმა, თუ პირიქით - ჯერ გავლოთდი და მერე მიმატოვეს...

დიდხანს ვაკაკუნე. როდის-როდის, რომ არ მოვეშვი, კარი ვიღაც მელოტმა ტიპმა გამიღო - ოფიცრის მაღალყელიანი ბათინკები და ჩემი ხალათი ეცვა - პირსახოცის ნაჭრისგან შეკერილი და ეროვნულ ფერებში გადაწყვეტილი. ემჩნეოდა მეზღვაური რომ არ იყო - ქამარი ისე უხეიროდ შეეკრა, რომ კარის გაღებისას კვანძი თავისით გაიხსნა, კალთებს შორის, დავარდნილ სირზე კი პრეზერვატივი ქანაობდა. მალე სადარბაზო მარწყვის სურნელით აივსო. მაშინ არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომატული განდონები უცხო ხილი იყო და ვერაფრით მოვტვინე, ასეთ ჩამძღერებულ სიტუაციაში რატომ დატრიალდა ასე სასიამოვნო სუნი.

- რაო, სულ შემიჭამეთ მურაბა, არაფერი დამიტოვეთ? - ვიკითხე და სართულებიანი გინებაც მივაყოლე.

არ განძრეულა, თითქოს არც არაფერი მეთქვას. პოლიციისბათინკებიანი ტიპი მრისხანე სახით მიყურებდა, ზურგს უკან კი იარაღს მალავდა. კიდევ დავაპირე რაღაცის თქმა, მაგრამ მივხვდი, აზრი არ ჰქონდა: ძაღლი იყო და ჩემი კაიბიჭობაც, პრეზერვატივის არ იყოს, სირზე ეკიდა! არადა, როგორ მინდოდა საძინებელში შესვლა და ძვირფასი მეუღლის ნახვა... ის იყო უნდა გავბრუნებულიყავი, რომ რაღაც დამემართა, თავი ვერ შევიკავე და ვეკვეთე. ის მირტყამდა, მე კი ნეკნების სიმტკიცის ხარჯზე საძინებლისკენ მივიწევდი, თუმცა მალევე შემბოჭა და სადღაც ტუალეტის სიახლოვეში დამამიწა. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, უბრალოდ, ვერც იმ დღეს გავიტანე ლელო!.. მოკლედ, ჩემი მცდელობიდან, შევსულიყავი საძინებელში, არაფერი გამოვიდა. ბევრი ვინერვიულე, ბევრი სისხლი და სისხლზე ბევრი დორბლი ვანთხიე. მეგონა, იმ ძუკნას თუ არ ჩავხედავდი თვალებში, გული გამისკდებოდა, მაგრამ გონზე რომ მოვედი, საძინებლიდან ძალიან შორის ვიყავი (იმდენად შორს, რომ უკან დასაბრუნებლად დარჩენილი ცხოვრება არ მეყო) და ახლა რომ ვფიქრობ, ვერაფრით ვიხსენებ, რისი ნახვა მინდოდა, ასე ჯიუტად რომ ვიქაჩებოდი საძინებლისკენ? განა, რას ვნახავდი ისეთს? გადამიშლიდა ფეხებს, როგორც ეს ადრეც არაერთხელ გაუკეთებია და ერთი ადგილიდან ენას გამომიყოფდა. რასაკვირველია, თავისას არა, ამჯერად, ამ მელოტი პოლიციელისას - გეოგრაფიულს, გვალვაში დამსკდარი მიწის ზედაპირის მსგავსს...

პირველი სამი წელიწადი იმის გამო ვსვამდი, ჩემი რომ მეგონა იმ ადგილიდან გამოყოფილი ეს ენა დამევიწყებინა, კიდევ სამი წელიწადი იმის გამო, ეს ენა საიდანაც იყო გამოყოფილი, იმ ადგილზე რომ აღარ მეფიქრა. ორივე მიზანს მივაღწიე: რაც დრო გადის, სულ უფრო იშვიათად მახსენდება რის გამო ვსვამ!

გონზე მოსული ბოზი, ბოზი-მეთქი, მთელ ხმაზე ვყვიროდი და მინდოდა ამ ქვეყნად არსებული ყველა ცოლი (პოტენციური ბოზი) მომეკლა, არადა მანამდე ბოზების სიძულვილში შემჩნეული არ ვყოფილვარ! ან რატომ უნდა მძულებოდა? მანამდე ხომ მიზეზიც არ მქონდა. უმიზეზოდ კი, მოგეხსენებათ, ბოზები მხოლოდ ბოზებს ეზიზღებათ!

* * *

პირველ ქალს, რომელსაც ჩემი თანდასწრებით ბოზი უწოდეს, ნორა (ელეონორა) ერქვა და იგი, როცა ორივე გზობაზე ერევანი-თბილისი-მოსკოვის მატარებელს არ აცილებდა, ჩვენს კორპუსში მე-9 სართულზე 24 საათის განმავლობაში მუშტარს იღებდა. რომ გაივლიდა, უფროსი კაცები მრავლისმეტყველი დუმილით გააყოლებდნენ ხოლმე მზერას. საკმაო მანძილით რომ დაგვშორდებოდა, მხოლოდ მაშინღა იტყოდნენ, კარგი რამეა ეს ბოზი ნორაო. სულ თავიდან "ბოზინორა" ამ ვითომქერათმიანი ქალბატონის სახელი მეგონა და კიდევ კარგი, საჭირო 25 მანეთი ვერასოდეს მოვაგროვე, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებოდი, მის იატაკქვეშა დაწესებულებაში მისული რომ ვიყვირებდი: აი, 25 მანეთი, სად არის ბოზინორა-მეთქი! სამწუხაროდ, ჩემი ყულაბა, რომელიც მამიდამ დაბადების დღეზე მაჩუქა, ბოზი ნორას ბუნებრივი ჭრილის მსგავსად უძირო აღმოჩნდა: ვერაფრით გავავსე - არადა დედა მქონდა დაფიცებული, ვიდრე არ გაივსებოდა, არ გამეტეხა. ჩემდა სასახელოდ, ყულაბა და, შესაბამისად, ფიცი არ გამიტეხავს. ეს იყო ყველაზე ღირსეული საქციელი, რაც კი ცხოვრებაში ჩამიდენია, მაგრამ, საკითხავია, რის ფასად... მფრინავები ჰაერში გატარებულ საათებს ითვლიან, მძღოლები გათეკლილ კილომეტრებს, მე კი თავს, თქვენი ნებართვით, ტუალეტში გატარებული საათებითა და რხევების მაღალი ამპლიტუდით მოვიწონებ...

* * *

იყო დრო, რომელიც ქრისტეშობის ნაცვლად, ზარბაზნის დაქუხებიდან აითვლებოდა; იყო ქვეყანა, რომელიც დედამიწის წითელ მეექვსედს, რომ არ გახუნებულიყო, პერიოდულად სისხლით ღებავდა. ამ ქვეყანაში, გინდოდა არ გინდოდა, ვიღაცას უნდა შეჯიბრებოდი - ჩაის კრეფაში, ფოლადის დნობაში, ქვანახშირის მონგრევაში და თქვენ წარმოიდგინეთ, შვილების გაჩენაშიც. ამ ქვეყანაში ათეიზმი ოფიციალურ რელიგიად იყო გამოცხადებული და უმანკო ჩასახვაზე დიდ სასწაულად რაც შეიძლება მეტი საშუალო სტატისტიკური საბჭოთა ბავშვის გაკეთება ითვლებოდა. ასეც რომ არ ყოფილიყო, იმ ფიზიკურ მდგომარეობაში, როგორშიც საბჭოთა ბელადები იმყოფებოდნენ, ხორციელ ჩასახვაზე მეტი სასწაულის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. არის ასაკი, როცა მამაკაცს სირი ორი რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის სჭირდება: მოსაფსმელად და დასაკიდებლად! საბჭოთა ბელადებიც მაქსიმალურად ტვირთავდენ საკუთარ ინსტრუმენტებს: აკი, ქვეყანა შარდის სუნად ყარდა, აკი მთელი დედამიწა და შესაბამისად მთელი კაცობრიობაც სირზე ეკიდათ! გადამწიფებული, ხრწნაში გადასული ბელადები მრავალშვილიან ქალბატონებს სწორედ იმის გამო, რომ ნაყოფს უხვად ისხამდნენ, გმირი დედის წოდებას ანიჭებდნენ, თუმცა, როგორც ჩანს, გმირობისთვის მარტო შვილების გაჩენა არ კმაროდა. ნორას ექვსი თუ რვა შვილი ჰყავდა, მაგრამ გმირი არ ყოფილა, რიგითი ბოზი იყო! ამ ექვსი თუ რვა შვილიდან ბავშვები ერთმანეთს

წყება-წყება ჰგავდნენ. პირველი ორი არ ჰგავდა მომდევნო სამს და მეხუთე არ ჰგავდა დანარჩენებს. გმირი დედა რომ ყოფილიყო, მეცხრე სართულზეც არ იცხოვრებდა. მეცხრე სართული კომერციის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, კატასტროფაა, მაგრამ მაშინ საბაზრო ეკონომიკა და შესაბამისად მაღალი კონკურენციაც არ არსებობდა და საბჭოთა მოქალაქეებიც, რაც იყო, იმით კმაყოფილდებოდნენ. არადა, როგორ უნდა გიჭირდეს, რომ არც ცხრა სართულის ავლა დაგეზაროს და არც ის დაგავიწყდეს, თუ რისთვის შეეჭიდე მსოფლიო მიზიდულობას (ლიფტი აღარ მუშაობდა - ვერცხლის კონტაქტებს უკვე იპარავდნენ). და კიდევ, რატომ ასე შორს ამ ცოდვილი მიწიდან? იქ ცაში, ანგელოზების სამეზობლოში ცოტა უხერხული ხომ არ იყო? თუმცა, ღვთაებრივ არსებებს ბოზნირარას მეზობლობის გამო საყვედური არ დასცდენიათ, სამაგიეროდ თავი ომის ვეტერანმა ვალიკო ძიამ გამოიდო. დიდი ოღრაში ვინმე იყო: მარჯვენა ხელზე იმდენი თითი აკლდა, რამდენი ორდენიც თაგვისფერი კიტელის უზარმაზარ ჯიბეზე ებნია. მეზობლები ჭორაობდნენ, ვალიკომ აკოფიდან ხელი ამოჰყო და ბავარიელი სნაიპერის სამაგალითო ჩუბინობის წყალობით სახელოვანმა წითელმა არმიამ მის გარეშე გაარღვია კურსკის რკალიო. ამ ვალიკომ უჩასტკოისთან იჩივლა, ქალბატონი ბოზნირარა ბინათსარგებლობის წესებს არღვევს (ზამთარში ფეჩს ანთებს) და სათანადო ზომები მიიღეთო.

ვეტერანს ლაკონურად წერა უყვარდა - სათქმელს ორ-სამ წინადადებაში ასრულებდა, სამაგიეროდ პოსტსკრიპტუმები იტაცებდა ნამეტნავად. მისი ბიოგრაფიაც, სქემატურად, საკუთარი ხელით დაწერილ ანონიმკას ჰგავდა: ძირითადი ტექსტი უბადრუკად მცირე ჰქონდა, პოსტსკრიპტუმი კი - უსაშველოდ გაწელილი. აკი, ფრონტზეც ხუთი თუ ექვსი თვე დაჰყო, ვეტერანისა და ინვალიდის პენსიას კი ოთხი თუ ხუთი ათეული წლის განმავლობაში იღებდა...

ბოზნირარა ბინათსარგებლობის წესების დარღვევაში კალმის ერთი მოსმით ამხილა; მიუთითა კოდექსის შესაბამისი მუხლი და მოიტანა ამონარიდი ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ინსტრუქციიდან; დასვა მსუყე წერტილი და პოსტსკრიპტუმის წერას შეუდგა: "სხვათაშორის, ჩვენს კორპუსს, მოქალაქე ელეონორა მ-ს სახით, ერთი ზნედაცემული მანდილოსანი გაუჩნდა. ამ ქალბატონმა თავის გარყვნილობით ბევრს ააღებინა ხელი ოჯახსა და პატიოსნებაზე, ბევრს დაათმობინა საკუთარი ცოლ-შვილი და ამიტომ ბევრ ოჯახში დაარღვია მყუდროება. ეს მანდილოსანი ხშირად მოგზაურობს სხვადასხვა ქალაქებში, შემდეგ ბრუნდება თავის ბუნაგში და ავრცელებს საბჭოთა მოქალაქეების ჯანმრთელობისა და ღირსებისათვის შეურაცხმყოფელ ათასგვარ ავადმყოფობას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გარემოებას მიექცევა შესაბამისი ყურადღება, ვისაც ჯერ არს და მოქალაქე ელეონორას, რომელიც არცხვენს საბჭოთა დედის სახელს, აეკრძალება ავისმომასნავებელი პარპაში."

ვალიკომ სახლმმართველის სახელზე კიდევ არაერთი წერილი გაგზავნა, ყველა მათგანში ბოზნირარას ავისმომასნავებელი პარპაშის აკრძალვასა და ფეჩის აღებას ითხოვდა. ვერაფერს იტყვი, სამართლიანი (კანონიერი) მოთხოვნა იყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ომის ვეტერანი, ჰაერის ტემპერატურა იოდის თერმომეტრის სინდიყის მიხედვით 10 გრადუსს რომ ჩამოცდებოდა, ფეჩს თვითონაც ანთებდა. მასაც უჩივლეს, ოღონდ ნორას არ გაუკეთებია ეს. ცნობილი ამბავია: ბოზი ქალები ანონიმკებს არ წერდნენ. ამ საქმეს, როგორც წესი, პატიოსანი, სამაგალითო საბჭოთა მოქალაქეები აკეთებდნენ. ვის მხარეს იყო რიცხობრივი უპირატესობა? სამწუხაროდ, საბჭოთა სტატისტიკოსები ამგვარ მონაცემებს არ აგროვებდნენ და რომც შეეგროვებინათ, დიდი ხეირი ამ საქმიდან მაინც არ გამოდნებოდა: ყველაფერს აყალბებდნენ და რაღა მაინცდამაინც ამ საქმეში გამოიდებდნენ თავს?!

ნორას წინააღმდეგობა არ გაუწევია, არც საყვედური უთქვამს. ერთი ეგ იყო, კიბეებზე რომ ჩადიოდა, შედედებული სისხლის ფერი პომადით ყველა შინაბერას ოცნება (რასაკვირველია, გიგანტურ ზომებში) თითნაკლული ვეტერანის კარს ხელის ერთი მოსმით მიახატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუნს ვერ უპოვნიდით, კარგი გამოვიდა: ემჩნეოდა საგანი საფუძვლიანად რომ ჰქონდა შესწავლილი!

ძირითადი ნივთები - რკინის დასაშლელი საწოლები, ლეიბები, საბნები, ბალიშები და დახვეული ხალიჩები ერთ წაღებაზე, დაქირავებული (ამ ქალაქში მარტო ბოზებს რიდი ჰქონდათ გასაქირავებელი) გაზ-53-ით წაიღო. წვრილ-წვრილ ნივთებს კი მთელი კვირა ეზიდებოდა. ერთხელ (არ ვიცი რომელ მოსვლაზე) ქარმა კაბა აუფრიალა და, რუკაებზე ზღვებს რომ ხატავენ, იმ ფერის ტრუსიკი გამოუჩნდა... ორიოდე წუთში სადარბაზოსთან ყულაბით ხელში ვიდექი, მაგრამ ნორა აღარსად ჩანდა. ჯერ მარცხნივ გავიქეცი, მერე - მარჯვნივ, სულ ბოლოს კი გულმოკლულმა საჩივლელად ზევით ავიხედე და... იეღოვას მოწმეებს თუ დავესესხები, ნამდვილი სასწაული ვიხილე: ცაც ნორას ტრუსიკის ფერი იყო!.. პოეტები არ მიწყენენ და ამის მერე, ბოზინორას წყალობით, გინდა ცაში ამიხედავს და გინდა ცისფერთვალება მზეთუნახავისთვის ჩამიხედავს თვალებში, ერთნაირი რეაქცია თუ ერექცია მაქვს! ამიტომ დავდივარ თავჩაღუნული და მზერასაც ვერავის ვუსწორებ. რა იცი, ვის როგორი თვალები აღმოაჩნდება...

ნორამ ცხოვრების ბოლო წლები ქალაქგარეთ, დაუმთავრებელ დეფსკას ბინაში გაატარა, თუმცა მასთან აღარავინ დაიარებოდა. რომ გარდაიცვალა, არც პანაშვიდზე მისულა ვინმე, არადა პირველ სართულზე ესვენა! სხვების გასაგონად ვამბობ, თორემ განა არ ვიცი, ადამიანების ურთიერთობაში გრავიტაცია და მსოფლიო მიზიდულობა რომ არაფერ შუაშია?!

* * *

გიორგა, რომლის ბინაშიც ვცხოვრობთ, არც მეფეიტონეა და, მით უმეტეს, არც რომაელი დიდებული, მაგრამ ეტლის გარეშე ვერ გადაადგილდება. [illegible] მზით განათებულ იატაკზე ზის და ცდილობს რაღაც-რაღაცეები დაიგიწყოს, თუმცა, როგორც წესი, მეხსიერების დაფორმატირების (ქვეშაფსიია პროფესორის სიტყვებია) ყველა სეანსი ძველი ჭრილობების გახსნით, თავის საშინელი ტკივილითა და უძილობით სრულდება. ერთხელ ასეთი უძილობა თითქმის თვემდე გაგრძელდა. კიდევ კარგად ხარო, ნაცნობმა ექიმმა უთხრა, სხვა დიდი ხნის გაგიჟებული იქნებოდაო. გასინჯა, მხრები აიჩეჩა: ტრავმირებული ხერხემლის და აშკარად ამ ჭრილობის ბრალიაო, მარცხენა თვალზე მიუთითა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებიო, უთხრა.

ცხადია, ხერხემლის ამბავია, მაგრამ, მე ვფიქრობ, უფრო ამ ნივთების ბრალი უნდა იყოს... ახლავე გაჩვენებთ. თან ჩამოიტანა - ძველმოდური ლაკის ხელჩანთა და ორი თუ სამი ფოტოსურათი - აი, სულ ეს არის მისი ალაფი და დავლა, რომელიც ჩრდილოეთის ქვეყნებში ათწლიანი წანწალის შემდეგ დარჩა. როგორც კი თვალებს დახუჭავს, მაშინვე პატარა ბიჭი ეცხადება. ის, მეთამაშეო, თხოვს, ამას კი გული უსკდება. გავრბივარ, მაგრამ ფეხები არ მემორჩილებიო, - დილამდე, ბიჭების ამოსვლამდე მიყვება მოჩვენებების ამბებს...

- თუ სასწაული მოხდა და ბავშვი არ მესტუმრა, ეს გოგო გამომეცხადება, - ნითელყდიან პასპორტს მაჩვენებს, - ხმას არ იღებს, ტირის და ტირის, სანამ მეც არ ამიყოლიებს... - ხმა უკანკალებს, ისევ საცრილად ემზადება.

- რით ვერ დაივიწყე, - ნერვები მეშლება მე, - ძალით ხომ არ გინდოდა, თანაც შენც ხომ დაისაჯე: რა ტრაილერი გყავდა და როგორ ორთვალაში გაგიცვალეს!.. - ვცდილობ ვიხუმრო, მაგრამ ყურს არ მიგდებს. - დალევ? - არ ვეშვები.

თუ არ დალია, მაშინ მთელი დღე იზლუქუნებს თავისთვის. ჩანთაც აქვს-მეთქი, გითხარით. ჩანთაში იაფფასიანი სუნამოსა და ჩითის ცხვირსახოცის გარდა, ქალის პასპორტი და იმ პატარა ბიჭის სურათი დევს, რომელიც ღამის კოშმარებში ცოცხლდება. სხვა ალბათ თავიდან მოიშორებდა, გადაყრიდა, მაგრამ გიო ამ ნივთებს დღემდე ინახავს. განსაკუთრებით ბოლო წლებია, რაც დასჩემდა: ჩამოცურდება მზით გამთბარ იატაკზე, ერთ ხელში ბიჭის სურათს დაიჭერს, მეორეში - გადაშლილ პასპორტს, ხან ერთ სურათს მისჩერებია, ხან მეორეს; ხან ერთს, ხან მეორეს... პატარა ბიჭუნას ალბათ არაფერი მოუვიდოდა მამამისის კალთაში, საჭესთან რომ არ მჯდარიყო; ის გოგონაც გადარჩებოდა, ისიც საჭესა და გიორგას შორის რომ არ გაჩხერილიყო...

ერთი ხანობა ეკლესიაში იარა, მაგრამ ვერ გაბედა დიდი ხნით დარჩენა. მივიდოდა, სანთელს დაანთებდა და ერთი სული ჰქონდა როდის გამოგორდებოდა გარეთ. კიდევ უფრო აფორიაქებული ბრუნდებოდა შინ, სადაც იატაკზე გადაშლილი პასპორტი და პატარა ბიჭუნას სურათი ელოდა. ვერ მოერია თავს, ვერ გამოელაპარაკა მღვდელს. არ იცოდა, რითი დაეწყო, არც ის იცოდა, რა ეთქვა, არაფერში იყო დარწმუნებული, მაგრამ ეკლესიაში ტყუილად მაინც არ უვლია. პატარა, ყავის-

ფერყდიანი საგალობლების წიგნი იყიდა. აქ, სახლში რომ დაბრუნდება, კარს რომ გადარაზავს, მზით გამთბარ იატაკზე რომ ჩამოცურდება, რომ გადაშლის ამ პატარა წიგნს, კითხვას რომ დაიწყებს, მანამ არ გაჩერდება, ვიდრე ხმამაღალი ქვითინი არ აუტყდება. იტირებს, იტირებს და დაწყნარდება! საყვარელი, ამოჩემებული ადგილები აქვს ჩანიშნული, რა უნდა მოხდეს, რომ დღეში რამდენჯერმე არ ჩაიკითხოს: "ქვეყნად ცოდვილი მე დავიბადე ბრმა, ყრუდ დავრძწოდი მე უვალ გზაზე, რას დავეძებდი, თვით არ ვიცოდი, დამონებული ქვეყნის ზრუნვაზე. დიდხანს ვიდოდი მე ქვეყანაზე გზიდან შემცდარი, მთლად არარაზე, მაგრამ უფალო, შენ მე მიპოვე და მომაქციე ჭეშმარიტ გზაზე. როდესაც მოვრჩე ამა ცხოვრებას და მივიცვალო ციურ ნათელზე, მაშინ, უფალო, გამომაცოცხლე, შენი ბეჭედი დამასვი შუბლზე..." - სულ ესეთი რაღაცეები წერია! როგორ გინდა ბოლომდე გაუძლო და არ იტირო? ამიტომ არის კარს რომ არავის ვუღებთ. დაგიწყებენ, რაგომ გაქვს თვალები დაწითლებული? დალიე? ისევ დალიე? უჩვეწოდ დალიე? რა გჭირს? რა გემართება?..

თავი დაგვანებონ!

"ეს ქვეყანა არ არის ჩემი, ვერ ისვენებს გული, ზეცაშია ჩემი სახლი, იქ ისწრაფვის სული..." - რომ ვკითხულობო, მიყვება, ჯერ ეს ბავშვის სურათი ცოცხლდება, ოთახიდან ოთახში დარბის და წრიპინა ხმით მიყვირის, ადექი და თუ ბიჭი ხარ მეთამაშეო. მერე ეს პასპორტის სურათი იწყებს ტირილს, რატომ მიმატოვეო. მანამდე კითხულობს, ვიდრე მზით გამთბარ იატაკზე, სადაც მას უყვარს ჯდომა, ცრემლის გუბეები არ დადგება...

აი, ასე ვცხოვრობთ. თუ სასმელი ბლომად გვაქვს, მტრედების გარდა კარს არავის ვუღებთ...

* * *

- გიო, გაიღვიძე, გესმის, გაიღვიძე! უნდა გადავბრუნდეთ! გაიღვიძე, გესმის?

- არ მძინავს, - ნამძინარევი ხმით მეუბნება, - გურამამ ძველი გაზეთები მოიტანა, მანდ იქნება სადმე...

გურამა ჩვენი მეზობელია, რედაქციაში მუშაობს და გაუსაღებელი, უკან დაბრუნებული გაზეთებით გვამარაგებს. ძველ გაზეთებს საფენებად ვიყენებთ, საშრობის მაგივრობას უწევს გიორგას ზურგსა და ჯდომისაგან გაბრტყელებულ ტრაკს.

ისევ შარდის სუნი ასდის...

* * *

გურამა ბეჭდვითი სიტყვის ნამდვილი რაინდია - არასტაბილური შემოსავლით, 18 ლარიანი მუხლებდაბერილი ჯინსებით, სეკენდ-ჰენდში ნაყიდი ტვიდის პიჯაკითა და, სალაპარაკოდაც არ ღირს, ალკოჰოლისადმი ქრონიკული მიდრეკილებით. იშვიათი გამონაკლისის გარდა, რედაქციაში სვამს და რედაქციაშივე ფხიზლდება. როცა ზაპოი აქვს, ცოტას წერს და ბევრს ლაპარაკობს, განსაკუთრებით სამსახურებრივი სპეციფიკის შესახებ უყვარს ყბედობა. სულ ზეპირად ვიცით მისი "საფირმო სიტყვის" ტექსტი. ჩვენ ვეღარ გვიბედავს, მაგრამ თუ მაგიდასთან ვინმე უცხო დაიმარტოხელა, წასულია მისი საქმე - "სამსახურებრივი სპეციფიკით" გამოუჭედავს ყურებს. ჯერ თავს გააცნობს მოკრძალებულად: ალბათ, გეცნობით, პრესის თანამშრომელი გახლავართ, ჟურნალისტი, ასე ვთქვათ."

არ აქვს მნიშვნელობა, მართლა "გეცნობათ" თუ არა, მთავარია არ უთხრათ, ხმა გაიკმინდეო, დანარჩენს, "სამსახურებრივი სპეციფიკის" შესახებ მისგან შეიტყობთ. ოღონდ ხანდახან, როცა პაუზას დაიჭერს, არ უნდა დაიბნეთ და სახის კუნთებით ყურადღებიანი მსმენელის გრიმასა უნდა შეკეროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურებრივი სპეციფიკის დეტალებზე საუბარს თავს ვერაფრით დააღწევთ. იმედი არ გქონდეთ, არ დაიზარებს და მეათასედ გაგიმეორებთ:

"...სამსახურებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, წერა მიწევს ხოლმე. ვნერ ყველაფერზე, რაზედაც ხელი მიმიწვდება. ხელი კი, სამწუხაროდ, ბევრ ვერაფერზე მიმიწვდება. ძნელი გასარკვევია, რისი ბრალია ეს: ხელი მაქვს მოკლე, თუ საწერს მიმალავენ საგულდაგულოდ..."

გურამა თავის დროზე ნიჩბოსნობაში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო. რვაკაციან ნავში "რულევოიდან" მესამე ეჯდა. სანამ წყალში იყო, სანამ პერსპექტიულ სპორტსმენად ითვლებოდა, ნიჩბები დღეღამეში 24 საათი სველი, ყელი კი დღენიადაგ მშრალი ჰქონდა. ახლა პირიქით არის: ოღონდ ყელი ნუ გაუშრება და ჭირსაც წაუღია ნიჩბების თავი!..

* * *

გიორგა ცრემლებში იხრჩობა, ჩემი სხეულიდან კი ნვეთი სითხე არ გადმოდის. სამ დღეში ერთხელ თუ შევალ ტუალეტში და სიმწრით თუ გამოვწურავ ორიოდე წვეთს, არადა და იყო დრო, ღამით გაღვიძებული უნიტაზის თავზე რომ გავიჩაჩხებოდი, მეზობლები გულის ხეთქვით იღვიძებდნენ - არიქა წყლის მილი გასკდა და წყალკანალში დარეკეთო. სამედიცინო ენციკ-

ლოპედიის ტომი ვითრიე, ლამის ზედ დავაკვდი, მაგრამ სულ ტყუილად: ჩემი უცნაური დაავადების საიდუმლო ვერ ამოვხსენი! ნაცნობი ექიმი მოვძებნე, გიორგას კლასელი, ერთი-ორჯერ ჩვენთანაც იყო ნამყოფი, იმან დამისვა დიაგნოზი: ჰიდროფილიის რაღაც უცნაური ფორმა გაქვსო. ბევრი სითხე უნდა მიიღოო, დამარიგა და სანამ გამომიშვებდა, ხუთის მილილიტრიანი მეწზურა სანახევროდ გამიავსო. აქაც, მზით განათებულ იატაკზე, სადაც გიორგას უყვარს ჯდომა, ბანკით სულ მიდგას 40 გრადუსიანი სითხე. როგორც კი გამახსენდება ჩემი უცნაური ავადმყოფობის ამბავი, მოვიდგამ და მანამ არ მოვიხსნი, ვიდრე შადრევანით უკან არ ამომასხამს. მაინც არაფერმა მიშველა - მიტოვებულ ჭას დავემსგავსე. თუ ასე გაგრძელდა, ობობას ქსელში გაბმული ბუზივით გამოვიფიტები, მერე კი ან ქარი წამიღებს, ანდა კუდიანი დედაბერი - ჰაერზე მსუბუქი რომაა და ცოცხზე გადამჯდარი რომ დაქრის... ჰო, ეს დედაბერი... გუშინაც იყო მოსული, დღესაც აქ არის! აბა, საიდან ეს ცოცხი? რატომ აქამდე ვერ შევამჩნიე! არა, კარგად მახსოვს, ასეთი ჩვენ არ გვქონია! მე არ მომიტანია, გიორგას კი რისი თავი აქვს! თანაც რამხელაა! კუდიანი დედაბრები რომ დაქრიან, ზუსტად ეგეთია! თვითონაც სადღაც აქ უნდა იყოს! როდის მოვიდა, რატომ ვერ დავინახე?.. მემალება, ჩემ დაძინებას ელოდება! ვერა, ვერ მოგართვი! არ დავიძინებ და რა ფეხებს მომჭამს? ცოცხსაც დავწვავ, სანამ გამოჩნდება, ცოცხის გარეშე განა რა შეუძლია, ხელში ამიტატებს? ეგრეც არ არის საქმე, ჯერ კიდევ მძიმე ვარ, ჯერ ბოლომდე არ გამოვმშრალვარ! მთავარია, მოვასწრო: დროზე დავწვა ცოცხი! აი, ასე, აი, ასე! ხო-ხო-ხო, აი ასე! უუუ, რა ჭიაკოკონაა!.. ბაბაიაგებო, ყველა ქვეყნისა დამახტით!

* * *

სახანძრო მანქანა რომ არ მოსულიყო, ცეცხლი მეზობელ ბინებსაც გადაედებოდა, თუმცა ჩვენ ქვეშფსია პროფესორმა გადაგვარჩინა. მაგიდის ქვემოთ ძინება. სახლი დაიწვა, გიორგას ეტლის გარდა ვერაფერი გამოიტანეს. ჰიდროფილია მარტო მე კი არა, ჩვენს აბაზანასაც სჭირებია: ნაკლული სამლიტრიანის გარდა, სახლში გრამ სითხეს ვერ მიაკვლიეს!

- იცი, შენ ავადმყოფობას რა ჰქვია? - შორიდან მესმის ნაცნობი ხმა.

უზარმაზარ შენობაში ვართ, თუმცა გარშემო რატომღაც ოქროსფერი ბარხანები გვარტყია... რა უნდა იყოს? თუ უდაბნოში ვართ, ეს ამდენი მტრედი საიდან?

- მაგრად იყავი აი, - მეუბნება გიორგა, - სულ რძისფერი გქონდა თვალები...

შუბლზე სველ ტილოს მადებს. სამი დღე გასულა, მე კი არაფერი მახსოვს. თავი, კისერი, ზურგი, მკლავები, ფეხები - ყველაფერი მტკივა. ტუჩები დამსკდარი მაქვს, თუ თვალები არ მოვწკურე, ვერაფერს ვხედავ. გული მერევა. თავთან ვედრო

მიდგას. მუცელში ცეცხლი მინთია...

- სად ვარ, - ვხრიალებ და დამფრთხალ მტრედებს მივჩერებივარ.

- იმედი ნუ გექნება, სამოთხეში ამ დიაგნოზით არ ხვდებიან! წისქვილკომბინატში ვართ, - მიხსნის გიორგა, - ზურიკოს ბიძასთან. დარაჯიც ეგ არის, მუშაც და დირექტორიც.

- სადღაა წისქვილი! - სინანულით ამბობს ჭაღარა, თმებგაბურძგნული ბიძა, - წიქვილი კი არა, თაგვებით სავსე ბეღელია!

- ...

- ჰო, ბეღელი, ადრე ელევატორი ერქვა! ფერმერები, სანამ გაყიდიან, მარცვალი რომ არ გაუფუჭდეთ, აქ ინახავენ... ეჰ, არადა იყო დრო, დღეში 100 ტონა ხორბალს ვფქვავდით, ხუმრობა ხომ არ გგონია, სულ "ბიულერის" ფირმის აგრეგატები გვქონდა...

- ამით ირჩენ თავს? - ეკითხება გიორგა.

- ჰო, და კიდევ აი იმით... - ხელს "ბარხანების" მწვერვალებისკენ იშვერს. იქ კი მტრედები დაღლულნებენ.

- მტრედებით?

- ჰო...

- როგორ?

- საღამოს ნახავთ! - ზურიკოს ბიძა ეშმაკურად იღიმება.

საღამოს ქვეშფსია პროფესორის ღრიალმა გამაღვიძა. ვერ გავჩერდი ლოგინში, წამოვდექი და წისქვილიდან გავედი. ტყეშელაშვილს ძლივს აკავებდნენ, პირზე ცოფიანი ძაღლივით ქაფი ედგა და არაადამიანური ხმით ყვიროდა: რას აკეთებთ, თქვე ულმერთოებო, რას აკეთებთ!..

ზურიკოს ბიძა და ბიცოლა (ბიძა იყოს და ბიცოლები, იცოცხლე, მოიძებნებიან) ჭკუიდან გადასულ მოხუცს მისჩერებოდნენ. იმის გამო, რომ არ იცოდენ რა გაეკეთებინათ, ხელებს ისრესდნენ და შედედებულ სისხლთან ერთად ხელისგულებზე აკრული ბუმბულის მოცილებას ცდილობდნენ. იქვე თავებდაგლეჯილი მტრედების მოზრდილი ბორცვი იდგა, შორიახლო კი უზარმაზარი ტომარა ეგდო, რომელშიც ჯერ კიდევ ცოცხალი მტრედები ფუთფუთებდნენ.

- ეს რა გააკეთეთ, სისხლისმსმელებო, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააკეთეთ!

- რა გავაკეთეთ?! - მხრებს იჩეჩავს ზურიკოს ბიძა, - რა გავაკეთეთ, წავინადირეთ პატარა!

პროფესორი კი არ ცხრებოდა:

- რას აკეთებთ! ეს ხომ ჩვენი ძმების, ჩვენი მშობლების, ბებიების, ბაბუების, მეზობლების, ნაცნობების... ადამიანების გადარჩენილი სულებია! გესმით? გადარჩენილი სულები!..

მერე მიყვებოდა ზურიკო, რაც თავი მახსოვს, მტრედებს აქ სულ ხოცავდნენო. რა მეგონა, ეს ჩემისა გულთან ასე ახლოს თუ მიიტანდა, თორემ გავაფრთხილებდი ბიძაჩემს და ხორბალს მოვახარშინებდიო.

საწყობში, სადაც ხორბალია დახვავებული, ფრინველები სავენტილაციო მილებიდან აღწევენ. "როცა აფრთხობ, ეს თქვენი "გადარჩენილი სულები" თავის გადარჩენასაც ამავე გზით ცდილობენ", მიხსნის ზურიკო. მაგრამ გადარჩენის ნაცვლად, სინამდვილეში მილის ბოლოზე წამოცმული უზარმაზარ ტომარაში ხვდებიან! მერე მტრედებს სათითაოდ იღებენ ტომრიდან და თავს ციცას უგდებენ, ტანს კი ტაფაზე აშიშხინებენ.

ტყეშელაშვილი რომ ვეღარ გააჩერეს, ზურიკოს ბიძამ დაავლო მტრედებით სავსე ტომარას ხელი და ცარიელივით დაფერთხა: აჰა, თქვენი სკლინტიანი სულები, აჰა, აჰაო!

- ვირო მადლიო, ჩემზეა ნათქვამი!.. - ყვიროდა ბიძა, - არ გინდოდათ პატივისცემა და მტრედის ხორცი, არა? არ გინდოდათ ხო? - წინ გაშვერილი ხელები საზარდულებზე დაირტყა და მთელ ხმაზე იღრიალა, - აჰა და აი ეს ჭამეთ! - ცოტა ხნის შემდეგ კი დამშვიდებულმა დაამატა, - როგორ მოგართვათ, ბატონო პროფესორო, ცივად მოგიხარშოთ თუ თხლად დაგიჭრათ სათალივით!

მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: გადარჩენილი მტრედები ცაში აფრინდნენ, ნოეს მტრედები კი ჩვეულ საქმიანობას დავუბრუნდით: მიწის ნაგლეჯის მოსაძებნად ავიბარგეთ!

* * *

ზურიკომ თქვა, მტრედები და გადარჩენილი სულები არაფერ შუაშია, ტყეშელაშვილს ტყავის ჩანთის დაკარგვა ვერ მოუნელებია და მაგის გამო ატრაკეებსო.

- შეხედე რას ჰგავს, - თვალით მანიშნებს პროფესორზე, - ვეღარც ჯდება და ვეღარც წვება, ადგილს ვერ პოულობს, არც საჭმელი უნდა და არც სასმელი, ნახე, მალე თუ არ დავარდეს...

აკი, დავარდა კიდეც!

- იცი, ნოე მოკვდა... - პროფესორი უაზრო, მტრედივით დაჭყეტილი თვალებით მომჩერებია და ალბათ, მეათედ მიმეორებს, - აუზში უპოვნიათ დამხრჩვალი!

- ვინ უპოვნიათ?

- ნოე, - ტყეშელაშვილი ცრემლებსა და შუბლზე მომსკდარ ოფლს ინშენდს, - დამშრალი აუზის ფსკერზე დაძინებია...

- ვინ ნოე, კაცო, რას ამბობ! - ვერაფერს ვხვდები.

- ხო გახსოვს, როგორი იყო, - ცრემლები სდის პროფესორს, - დათვრებოდა, გაილეშებოდა, შემოიხევდა ტანზე ყველაფერს და რას აკეთებდა აღარ იცოდა, ფეხებზე ეკიდა ყველა: ცოლი, შვილი - ყველაზე იწევდა... უნდა ჩაგესხა და ჩაგესხა, სანამ არ გასკდებოდა! - გულამომჯდარი ქვითინებს, - მთელი ღამე ივსებოდა აუზი. დილით დარაჯმა ნახა დამხრჩვალი. ზღვაში გადაგდებული ჩემოდანივით ტივტივებდაო...

- აბა, რას გეუბნებოდი, - ხელებს ისრესს ზურიკო, - ხედავ რა დღეშია? საერთოდ აღარ სვამს! არა, შანსი არ არის, ვერ გადაიტანს იმ ტყავის ჩანთის დაკარგვას!

ზურიკო მცირე ხნით დუმდება, მერე კი ტვინის ხერხვას აგრძელებს:

- ნეტა, რას დაატარებდა ეს ჩემისა იმხელა პორტფელით?

- მეცნიერულ ნაშრომს წერდა, რაღაც დიდ აღმოჩენაზე მუშაობდა...

- რაზე წერდა?

- ქაღალდზე! რაზე უნდა ეწერა, თიხაზე?

- არა, კაცო, რის შესახებ წერდა-მეთქი, ამის თქმა მინდოდა!

- რავი, აბა, მგონი მწკრივების შესახებ...

- მწკრივების?

- ჰო, მწკრივების!

- მწკრივები რა არის?

- ეეე, რიცხვებია რა, ჯარისკაცებივით გამწკრივებული!

- ااا!!!

ვითომ რამე გაიგო, ისეთი სახე მიიღო. კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ არ ვაცალე. ქვეშფსია პროფესორის მწკრივებისაგან განსხვავებით, ჩემი მოთმინება უსასრულო როდი იყო. ტყუილი, მართალი, გაგონილი, მოგონილი... რაც ვიცოდი და რაც არ ვიცოდი - ყველაფერი მოვუყევი. ვაგინე ნობელს, ვაგინე მიტაგ-ლეფლერს - ცინგლიანი ქალის გულისთვის მათემატიკოსები მშრალზე როგორ დატოვეს-მეთქი? სამართალი სად არის: ტყლიპიანმა გორბაჩოვმა მილიონი დოლარი ჩაიდოს ჯიბეში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პითაგორას ჯიშმა კი ჯიბეცარიელმა იაროს? ფილდსის პრემია სათვალავში მისაღები არ არის (ეს ტყეშელაშვილისგან მქონდა გაგონილი): ჯერ ერთი, ოთხ წელიწადში ერთხელ იძლევიან და იმასაც იცი რამდენს? 1500 დოლარს! თანაც აშშ-ის დოლარს კი არა, კანადისას! ვის რად უნდა კანადური დოლარი - ტრაკში ამოისვან თავის ნეკერჩხლისფოთლებიანად (ესეც ქვეშაფსია პროფესორის სიტყვებია)! ამის გამოა მათემატიკოსები ცოტა დაქნეულები რომ არიან - როგორ გინდა ასეთ უსამართლობას გაუძლო?

ზურიკო პირდაღებული მისმენდა, ბოლოს კი უფრო თავის თავს ჰკითხა, ვიდრე მე.

- ტყეშელაშვილი რა შუაშია?

- ტყეშელაშვილს, რომ გასკდეს, აღმოჩენაში 1500-ზე მეტს არ გადაუხდიან, მაშინ როცა სხვები - ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ლირიკოსები და მშვიდობის დამცველებიც კი მილიონებს მიიღებენ...

- 1500 დოლარი, განა, ეს ცოტაა? - აღმოხდა ზურიკოს.

- კანადური დოლარი! - არ დავზარდი და კიდევ ერთხელ დავუზუსტე, მაგრამ ზურიკო აღარ მისმენდა.

- 1500 დოლარი! 1500 დოლარი!.. - ლოცვასავით ბუტბუტებდა.

* * *

ტყეშელაშვილი კი მართლა დაეცა! ვაზიანის სატვირთო სადგურში იპოვეს მკვდარი - ჩანთის მაგივრად რელსი ამოედო თავქვეშ. ბურთივით მრგვალი ჭაღარა თავი სისხლში დასველებული კულულებით მსხვილად დაფქული შებენს დაკვროდა, პირიდან კი თითქმის მტკაველზე გადმოვარდნოდა გაშავებული ენა. ტანი თხრილის პირთან ჩამოგორებულიყო, თავი კი იქვე რელსებს შორის ეგდო.

თვითმკვლელობის შესახებ სტატია გურამამ დაწერა. ბევრი არაფერი, ნეკროლოგივით დასასრული გამოუვიდა, მაგრამ ისეთი რამ შეიტყო, რომელიც არცერთ სხვა გაზეთს არ დაუბეჭდავს. ცხადია, არც თვითონ გაახმაურა, არადა, ნაცნობმა პათოლოგოანატომმა გაუმხილა: გარდაცვლილს მარცხენა ხელის გულზე ქიმიური ფანქრით რვა თუ ცხრანიშნა რიცხვი აწერიაო.

- მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე, - უთხრა ზურიკოს. გურამას გულის გადასაშლელად ერთი ჭიქა ჰყოფნიდა, ენის გასახსნელად კიდევ უფრო ცოტა. - აღმოჩენა უნდა იყოს!..

- ჩუ! - ზურიკომ ხელი მიაფარა გაუპარსავ პირზე. მ "ჩუ"-მ გურამაზე კი იმოქმედა, მაგრამ მორგის თანამშრომელზე ჯეროვანი ეფექტი ვერ მოახდინა. პათოლოგოანატომი ბორია შეუვალი იყო: ის ფულს ითხოვდა!

ზურიკომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს რიცხვების ამბავი სულ ფეხებზე ეკიდა. მაგარი ძმები ვიყავითო, სლუკუნებდა, აშკარად ბორიას გულის მოლბობას ცდილობდა. არადა, ნებისმიერ თქვენგანს პარსვისას კინა არ ექნება იმდენჯერ გაჭრილი, რაც ბორიას გვამები ჰქონდა ნაფატრი. უფრო ადრე ცხედარს აუჩუყებდი გულს, ვიდრე მას...

- ძმა გყავს? - ჰკითხა ზურიკომ.

- ია დედდომოვეც!

- ძმაკაცები?

- ვ ცინკოვიხ გრაბახ!

ზურიკომ შშობლიური ლიტერატურა მოიშველია, მაგრამ ბორია რუსი იყო და ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის საარაკო ძმობის შესახებ არაფერი სმენოდა. ზურიკომ დახმარებისათვის მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებს მიმართა. ყურადღება ფიდელ კასტროსა და ჩე გევარას ძმადნაფიცობაზე შეაჩერა. მე და ეს ცხონებულიც ძმებივით ვიყავით: მე ფიდელი, ტყეშელაშვილი კი - ჩე!

- მერე?

ზურიკომ ცრემლის დასაფარად სახეზე ხელები აიფარა.

- სამახსოვროდ... ეეე... მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად... ისარაქვია... მტევნები მინდა!

- ჩემი ფეხები არ გინდა?

- სპირტში შევინახავ!

- წადი შენი!

- ფორმალინში!

- წადი-მეთქი!

სამ თუმანზე შეთანხმდნენ, მაგრამ ოცი გადაუხადა: ზურიკომ ბოლო მომენტში მარჯვენა მტევანზე უარი თქვა.

- საიქიოში დასჭირდება, - თქვა მან, - ცოდოა, ხელების დაუხმარებლად თავის მხრებზე შეკავება გაუჭირდება. მე შენ გეტყვი და ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდება და დაეხმარება თუ რა?

დიდი აღმოჩენა, ფირმას დიდი თეორემა, ტყეშელაშვილის მწკრივი... - სინამდვილეში ნდობის ტელეფონის ნომერი აღმოჩნდა, წუთი 1 ლარი და 20 თეთრი რომ ღირს...

ბორიამ ფული, რა თქმა უნდა, დააბრუნა. მხოლოდ ნაწილი დაიტოვა. თავი იმართლა, მეტი აღარ მაქვს და თუ გინდათ, წამკუზეთო! და კიდევ, ბორიამ, რომელმაც შრომის ფასი კარგად იცოდა (ბევრი მშრომელი ჰყავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოშიგნული და ნანახი ჰქონდა რა დღეში ჰქონდათ ღვიძლი, ხერხემალი და თირკმელები...) მოჭრილი მტევნის უკან დაბრუნებაშიც გასამრჯელო მოითხოვა! ზურიკო მტევანს გადააგდებდა (რაზეა ლაპარაკი), მაგრამ ბავშვობაში ბიძაშვილმა "შავი ხელით" შეაშინა და ათი ლარი (რომელიც 1500 დოლართან, თუნდაც კანდურთან, რა მოსატანი იყო) არ ულირდა იმად, დარჩენილი წლები ნძრევისგან გამოშტერებული პროფესორის ამპუტირებული ხელის ტერორის ქვეშ რომ გაეტარებინა. ბორიამაც არ დაალალატა: ჯერ მტევანი მიაკერა და მხოლოდ ამის მერე შეფუთა გვამი ორად გაკეცილ პოლიეთილენის პარკში, ისე როგორც აჭარის სანაპიროზე მცხოვრები გლეხები ზამთრისპირზე მანდარინის ნერგებს ფუთავენ...

- კიდევ კარგი, თორემ ეშმაკმა იცის რვა საუკუნის მერე ამ გამოსირებული პროფესორის მარჯვენაზე, რა ლეგენდებს დაწერდნენო, - თქვა ზურიკომ, მაგრამ ბორია ნათქვამის აზრს ვერაფრით ჩაწვდა.

* * *

ზურიკო ახლოს აღარ გვეკარება. ხელს გაუწოდებ? გულდასმით შეათვალიერებს, მაგრამ არ ჩამოგართმევს.

- გაწი, ძმაო! - გეტყვის დაფეთებული, - არავისი მინდა. ჩემი სად წავიღო, ის არ ვიცი!

ბევრი ვერ ხვდება, მაგრამ მე კი ვიცი, რაც ეტაკა?.. სულ იმ ბავშვობისდროინდელი "შავი ხელისა" და პროფესორის მარცხენა მტევნის ამბავია. თავის დასაცავად პატარა ნაჯახიც კი ითრია. კეჩუას ტომის ბელადივით სულ თან დაჰქონდა, ხელიდან არ უშვებდა. შემოტევის მოლოდინში იყო და მტრის მოსაგერიებლად ემზადებოდა, თუმცა, არ ვიცი, მოჭრილ ხელს მოჭრაზე მეტი რაღა უნდა ავნო? ხელს ვერაფერი, მაგრამ ჩვენ კი ფეჩისთვის დახერხილ შეშასავით დაგვიპო თავები. არადა, როგორი იმედიანი დღეები გვქონდა - ცარიელ ჭიქას ვერსად ნახავდი. საათაც არ უნდა წაგეღო ხელი, ყველგან არაყი ლივლივებდა...

იმ დღესაც არაფერი განსაკუთრებული არ მოხდებოდა, რომ არ ამოეჩემებინა, გინდა თუ არა ჩვენი ფანჯრიდან რომ მოჩანს, ის "ნატეროს ხე" უნდა მოვჭრაო. მთელი საათი ლესავდა ნაჯახს. ვერაფრით გადავაფიქრებინეთ.

- ეგ ტრიაპკები ნერვებს მიშლის, მაცოფებს! - ისე თქვა, თითქოს იმ დღეს პირველად ნახა.

- ტრიაპკა ნერვებს რატომ გიშლის, კორიდაზე გამოყვანილი ხარი ხარ? - ვკითხე მე, გიორგამ კი, კარგი რა, ვითომ შენ არასოდეს შეგიბაამს ეგეთი ჭინჭებიო.

- რომ შემიბაამს, მაგიტომაც მოვჭრი, - თქვა ზურიკომ, - ფეჩის გასახურებლად მაინც გამომადგება!

ფეჩი რად გინდა, ისედაც მაგრა ახურებ-მეთქი, ვუთხარი. არ შემიმჩნევია, მაგრამ ეტყობა, ეწყინა. მერე გიორგა შედგა. თითქოს ინვალიდის კი არა, იმპერატორის სავარძელში იჯდა, ისე დაამთავრა ნახეგარსაათიანი სიტყვა: ხეს რას ერჩი, თუ ეგეთი მაგარი ხარ, აქედან (მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი შუბლზე მიიკაკუნა) ამოჩეხე ეგ შენი ოცნებებიო... მეგონა ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ თითოთითო ბოთლიც კი გვექნებოდა ჩაფენილი, რომ ამ ჩემისამ ნატვრის ხემდე ჩვენ აგვჩეხა. არადა, განა რა ვუთხარი ისეთი? მოჭრი და ხელებს დაგაჭრი-მეთქი!

- რატომ გამაღიზიანე, ძმაო! - შეშლილივით ყვიროდა და სამართებელივით ალესილ ნაჯახს ქარის წისქვილის ფრთებივით ატრიალებდა, - რატომ გამაღიზიანე, ძმაო!

გიორგა ალუმინის დაჭეჭყილი მათარით იცავდა თავს, მე კი არყის ცარიელი ბოთლით!

უცნაურია, მაგრამ სიკვდილის ანგელოზი ყოველთვის ცელით ხელში წარმომედგინა, ჩვენ კი რატომღაც ცულით გვესტუმრა!..

* * *

"მორჩა, თავი დაანებეთ!" - სანამ ამას იტყოდნენ, მომეჩვენა, რომ ახალშობილი ვიყავი და აბრეშუმის ჭუპრივითი თეთრ ზეწარში გახვეული ცივ, გაყინულ ოთახში დამდეს. ვარდისფერმა ხელმა პატარა, მოწკუპულ წითელ პირში, საიდანაც სულ ახლახან ჩადგმული სულის სანაცვლოდ ორთქლად ქცეული ჰაერი ბოლქვა-ბოლქვა ამომდიოდა, საწოვარა ჩამჩარა. კარის გაჯახუნებაზე შეკვეთი. წამით გატრუნულმა ისეთი ამოვასლოკინე, რომ პირიდან საწოვარა გადმომივარდა. ტირილზე ვარდისფერი ხელი არ დაბრუნებულა, არადა მთელ ხმაზე ვღნაოდი. ისედაც ჭარხლისფერი, ჭინთვებისგან ლამის გავშავდი. მშრალი, უცრემლო თვალები გადმოცვენაზე მჭონდა, უკბილო, გათეთრებულ ღრძილებს შორის ხორცის ნაჭერივით პატარა ენა მიფართხალებდა.

სხვა ბავშვებმაც გაიღვიძეს, ჩემზე უფროსებმა, ჩემზე გამოცდილებმა და, შესაბამისად, ჩემზე თვინიერებმა. მხარი არავინ ამიბა. ტირილი კი უნდოდათ, ალბათ სულ მალე პირსაც მოალებდნენ, მაგრამ რაღაცის შიშით თავს იკავებდნენ. სულ მალე გაირკვა, რომ ეს "რაღაცა" წითელი ხელი იყო. "რა დღეში ხარ!" - დამიცაცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა ხელმა, - შენი ხმა არ გავიგო!“ - დამიყვირა და ყელთან ჩაცურებული სოსკით ცარიელი პირი ამომივსო.

არაფერმა მიშველა, მაინც ვტიროდი, მაინც ვიჭაჭებოდი, წითელ ხელს მოსვენების, ბავშვებს კი დაძინების საშუალებას არ ვაძლევდი, სანამ ცალკე, დერეფნის ბოლოში მინებჩამსხვრეულ ცარიელ ოთახში არ გადამიყვანეს. შიშველ, მაკე ძაღლივით მუცელჩამოფლაშული საწოლზე დამდეს, პირში კვლავ საწოვარა ჩამჩარეს.

ოთახში მარტო დარჩენილი იდუმალ ხმებსა და საკუთარი ტუჩების წკლაპუნს მიყურადებული, ფართოდ დაჭყეტილი, მაგრამ ჯერ კიდევ უსინათლო თვალებით სიცარიელეს ვსწავლობდი (როგორც საშვილოსნოდან ახლადგამომძვრალი ჩვილი დედის სხეულს).

როგორც კი ფეხი ავიდგი, გაქცევა ვცადე. სიცარიელე, რომელიც ჩემ ოთახს ავსებდა, აღარ მაკმაყოფილებდა, სულს მიხუთავდა, სულ უფრო და უფრო მეტი მინდოდა, როგორც ნარკომანს წამალი, ვაჭარს - მოგება... მაგრამ არ მანებებდნენ. ისევ ის ვარდისფერი, ქერცლით მოჭირხლული, ოფლისგან დასველებული ხელი მაბრუნებდა უკან, მის წილ სიცარიელეში, რომელშიც ვეღარ ვეტეოდი, როგორც წამოჩიტული ბარტყი ბუდეში, აფუებული ცომი გობში, ადუღებული მაჭარი ქვევრში...

არადა, სიცარიელეს, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა, საოცარი მიზიდულობის ძალა ჰქონდა, ჩემდაუნებურად წამომაგდებდა ლოგინიდან და უვარსკვლავო, უმთვარო (ცარიელ) ცას მიშტერებულს, მეტი სიცარიელისკენ მიმაქანებდა.

ბოლოს, როგორც ჩანს, ვარდისფერ ხელსაც მობეზრდა წყლის ნაყვა, ბუნების წინააღმდეგ სიარული და ხელი ჩაიქნია. ჩემი უკან დაბრუნება აღარავის უცდია - დამნებდნენ... უფრო ზუსტად, მე კი არა, სიცარიელეს დანებდნენ. სიცარიელეს, რომელიც ყველაფერს თავისკენ ექაჩებოდა, თავისკენ ითრევდა, როგორც მდუღარე მორევი დაღლილ, გამოუცდელ მოცურავეს, ერთი ხანობა დაღმავალი სვლით სპირალზე რომ ატრიალებს, ვიდრე ფსკერზე დააკრავს, გულში ჩაიხუტებს, ოღონდ არა როგორც დედა, არამედ როგორც დედნინაცვალი, მცირე ხნით, სხვის დასანახად, მერე კი სულისგან დაცლილსა და ცარიელს უკან ამოისვრის, ნაპირზე გამორიყავს, უაზრო ნივთებით გადავსებულ სამყაროში დაბრუნებს. სიცარიელის ბუნებაა ასეთი: თან გიზიდავს, თან გებრძვის, ცდილობს არარაობად გაქციოს, სიცარიელით აგავსოს!..

- მკვდარია! - ისევ უცხო ხმა ჩამესმის. ვილაცამ დაუდასტურა. თვალებს ვახელ. მინდა ეს ხმები დავინახო. თეთრი კედლები. თეთრი ფარდები. ფარდებს შორის თეთრი ღრუბლები. თეთრი ხალათები...

- ვინ ხარ? - მეკითხება უცხო ხმა.

ჩემს მაგივრად სხვა პასუხობს: “ნოეს მტრედი!“

უცნაურია, მაგრამ ეს “სხვა“ ჩემ შიგნით ზის და, როგორც ჩანს, მოხერხებულადაც.

- სად ვარ? - კითხულობს იგი.

- მიწაში!

- მიწა... მიწა... - იმეორებს ის ვილაცა ჩემ შიგნით. - გიო სად არის? - ჩემს მაგივრად ისევ ის “ვილაც“ კითხულობს, სადღაც შიგნით, ფილტვებსა და დიაფრაგმას შორის რომ ჩამალულა.

- აქ არის!

- სად აქ?

- მიწაში!

- ზურიკო?

- ეგეც!

- სხვები?

- ყველანი! - ეს ხმა შორიდან ჩამესმის. ოთახში მარტო ვარ. მხოლოდ ფარდების შრიალი არღვევს სიჩუმეს. მალე ღრუბელი იფანტება და ფარდებს შორის რუკებზე ზღვებს რომ ხატავენ, იმ ფერის ცა ჩნდება. სასიამოვნო ჟრუანტელი მივლის. თითქოს ბავშვობაში დავბრუნდი. დარწმუნებული ვარ, ბოზინორაც სადღაც აქვე, ჩემ სამეზობლოში უნდა სახლობდეს...

- მიწა... მიწა... - უწყვეტად იმეორებს ის ვილაცა ჩემ შიგნით და არ მაცდის ვიკითხო: ესე იგი, წარღვნა ჩვენთვისაც დამთავრდა?..



ᲞᲠᲘᲚᲘ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲩᲘᲜᲐᲠᲘ

ᲤᲔᲠᲤᲚᲘ

ახლა თუ რამე იწერება,
იწერება ცეცხლმოდებულ ქაღალდზე
და განწირულობის ნიშანი აზის
ყველა სტრიქონს,
თითოეულ სიტყვას.

ცეცხლისთვის ხომ სულ ერთი არის
რა სწერია
ან რომელ ენაზე;
ფერფლიდან კი ვერც ვერავინ ამოიკითხავს
ვერც ასოებს,
ვერც იეროგლიფებს...

ახლა თუ რამე იწერება,
იწერება ცეცხლმოდებულ ქაღალდზე
და ყველაფერი მოსწრებაზეა.

თითქოს მართლაც ახლოვდება
ვიღაც თუ რაღაც,
მაგრამ ვ ი ნ?
მაგრამ რ ა?!.

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ

"მე იაპონელი ვარ".
დავით ჩიხლაძე, "ზაკე".

მე არა ვარ იაპონელი,
არც არასოდეს გამისინჯავს
ბრინჯის არაყი;
მე არ მიხეტიალია ბროდვეიზე,
და ჩემთვის არასოდეს მოუმართავთ
"თემოს" ნაცვლად
სახელით "თომას".

მე ქართველი ვარ.
მე ვცხოვრობ
XXI საუკუნის დასაწყისის
ღარიბ და აწეწილ ქვეყანაში.
თვითონაც ღარიბი ვარ,
ვარ ღარიბი პროვინციელი -
მოწყვეტილი
ცივილიზაციის მრავალ სიკეთეს
და ვერმოწყვეტილი
ფესვებს.

მე, ასე ვთქვათ, გოიმი გახლავართ
("გოიმი", უბრალოდ, არაებრაელს ნიშნავს)
და ვერ ვერკვევი ბევრ რამეში.
მაგრამ მე ვიცი, ვინ ვარ,
მე ვიცი, რა მტკივა,
მე ვიცი, რას ვამბობ,
მე ვიცი, რას ვსვამ!..

მე ვსვამ
საკუთარი ვენახის ყურძნისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწურულ ღვინოს -
მელგსა და ტანინიანს.
ღვინოს, რომელიც არ იყიდება,
და მას, ცხადია, არ სჭირდება
არც რეკლამა,
არც ბრჭყვიალა ეტიკეტები,..
ღვინოს, რომელიც
არ არის საექსპორტო,
მაგრამ სრულიად საკმარისია
ოჯახისთვის და
ოჯახში მომსვლელთათვის...

მე მიხარია,
როცა ჩემთან მოდიან მეგობრები
დედა-ქალაქიდან.
ჩვენ გვიხარია ერთმანეთი,
და ჩვენ გვახალისებს
სახლის ღვინო -
ქარვისფერი და მშრალი:

ჩვენ ვიცით, ვინ ვართ,
ჩვენ ვიცით, ვინ გვიყვარს,
ჩვენ ვიცით, რას ვნატრობთ,
ჩვენ ვიცით, რას ვსვამთ...

ჩვენ
სასოებით გვიპყრია ხელთ
ძველი სასმისები,
და ქარვისფერი ღვინის ზედაპირზე
უფრო მკაფიოდ ირეკლება
ჩვენი ფიქრიანი სახეები,
როდესაც
სამშობლოს
სადღეგრძელოს
ვამბობთ.

ქალთევზა

მე ჩავიძირე ფიქრში,
და დიდზანს დავცურავდი საშიშ დინებებში.

წყალი საკმაოდ ცივი იყო,
ცივი და მლაშე...
ვცურავდი - თავიდან ძალიან მიჭირდა,
რადგან ბნელ სტიქიას ვიყავ ბრმად მინდობილი;
მერე თანდათან შევძელი გარჩევა
რაღაც-რაღაცისა, ბოლოს კი ვხედავდი,
ლამის გარკვევით ვხედავდი ყველაფერს,
რაც იყო მანამდე უცნობ ფიქრ-სივრცეში.

ხელცარიელი ვერ დავბრუნდებოდი.
და მე მოვინდომე - მიეტრიალ-მოეტრიალდი,
თვალი ვკიდე და დაველევნე ერთ შხვართ ლექსს,
რომელიც გამომწვევად დაცურავდა.
მოვიხელთე და ხმელეთისკენ გამოვცურე -
მას წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ნაპირზე გამოვედით და სული მოვითქვით.
ლექსს ქალთევზას ფორმა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, დიახ ქალთევზა იყო -
ქალიც იყო, თევზიც იყო და... ლექსი იყო!..
მოვეფერე,
და ხელიც კი მოვუთათუნე
ქერცლიან გავაზე.
მერე ვუთხარი: "იცი რა, ძვირფასო,
კარგი კი ხარ, მაგრამ ძალზე უცნაური ხარ;
ასე ხომ არ იქნები? თანაც,
ვინმემ რომ გნახოს,
რას იფიქრებს და რას იტყვის?"-მეთქი.

და მე ჩემი ხელით ჩავაცვი
ჩემს ქალთევზას საღამოს კაბა -
შავი კაბა, გრძელი კაბა,
უსახელო და გულამოღებული.
მას უხაროდა,
მეც სიამით ვიღიმებოდი...
და ეს ყველაფერი აქ ხდებოდა:
ამ ოთახში,
ამ საწერ მაგიდასთან.

. . . . . .

მერე ერთბაშად მოვიწყინე -
გამახსენდა, სადღაც უნდა წავსულიყავი.
წყნარად ვუთხარი. "მეც წამოვალო".
"არა"-მეთქი, "გეხვეწებიო".
გავღიზიანდი და უხეშად მივახალე:
"რა ვქნა, ძვირფასო,
შენ არაფერში გამოდგები,
ის კი არა და,
იქნებ სულაც შემარცხვინო - სად წაგიყვანო?!"
ქალთევზამ ტუჩი ჩაიკვნიტა
და ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა:
"იქნებ უკანვე, ჩემს ტალღებში დამაბრუნოო".
"არა-მეთქი, შენ აქ ხარ და აქ უნდა იყო".
თავი დახარა, დამმორჩილდა
და ის საჩქაროდ მოვათავსე
საქაღალდეში.

. . . . . .

მე კი წავედი...
შეხვედრა იყო, ხალხი იყო, მუსიკა იყო;
სიცილიც იყო და სანთლები კრთოდნენ სიცილზე.
მეც იქ ვიყავი,
მაგრამ მთელი დრო
მე ვფიქრობდი ჩემს ქალთევზაზე,
და თვალწინ მედგა ცრემლიანი მისი თვალები.

მე შინ ვბრუნდები,
და მე ვფიქრობ ჩემს ქალთევზაზე,
საქაღალდეში რომ დავტოვე
და მივატოვე.
მელოდება? ისევ იქ არის?..
თუ მის ნაცვლად თეთრ ფურცელზე
დამხვდება მხოლოდ მოშავო ლაქა,
უფორმო ლაქა - ჯერ კიდევ სველი,
მაგრამ უკვე
ზღვისსურნელდაკარგული?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ ებანოიძე

ციკლიდან "ბალახის რვეული"

* * *

კვალში მიყვები ჩიტის გოდებას,
ქარი რომ ფანტავს სოფლის სერებზე;
სად იწყება და სად ბოლოვდება
ვერ გრძნობ და უფრო გაინტერესებს.

ზოგჯერ საკუთარ ლანდს ეყუდები,
ჩრდილს ეყუდები, როგორც შენიანს,
თუ დავიწყებულ თავთან ბრუნდები, -
გზაში დაღლილი რომ დაგრჩენია.

გვიან დარწმუნდი - ჩიტის ხმაშია,
გვიან დავრწმუნდი - მინდვრის ფერშია;
ბოლოს თავადაც გამოგვარჩია
და სხვაზე მეტად შემოგვეჩვია.

ვეღარ იტყვიან, ზურგის შექცევით:
"წყალში ხნავენ და წყალში თესავენ", -
სიტყვას რო ასე მჩატედ ექცევი
და წუთი-წუთზე მინათესავებ.

ხელის ცეცებით სურათს ვამთავრებ,
შენ რომ გრძნობ, მაგრამ ჯერ სხვამ არ იცის;
როცა უეცრად იხსნი სათვალეს -
სამყაროს უფრო ცხადად განვიცდი.

გულმოწყალეგის ათინათი

აჰა, სახმილი იდუმალი
და ციცაბოთი ატანილი ცასთან ბალახი...

ნაპრალთან ვდგავარ
და გეკითხები:

ორწოზებია ჯოჯოხეთის თუ ღრუბლის ნაბდით
შესუდრული დგას სინამდვილე?!

დუმილი მზარავს, მეუფეო,
დუმილი მზარავს.

მოგვეც სალბუნი ცის უეცარი ციაგიდან,
რომ ცოდვის ჩალას
გულმოწყალების ათინათი გადაეფაროს.

ახალი ახსნა

დევს სასთუმალი - ყინულის ლოდი
და საფეთქელის ხმაური ბზარავს;
დამდგარა ფეხზე და შენსკენ მოდის
კაცი კი არა - დეკემბრის ჩალა.

ცეცხლზე შემდგარი ქვაბივით ისვრის
ჰეპლების შხეფებს ბალახის ტბორი,
და როგორც კარავს ახურავს ისლი -
შენ ახლა ჩრდილი გახურავს ქორის.

და მიდის თვალწინ მდინარე, - ლიბერ
ტალღას მიყვება სილადა ხრეში;
რა უნებურად აწუხებ ჯიბეს -
კვლავ სიღარიბე ამოდის ყელში.

მაინც გიხმობენ? - პასუხი გმართებს
და გულის სითბოს გაყოფა სხვისთვის;
ხანდახან დუმილს აუნთებ სანთელს
და ბაგის ნაცვლად ხმაურობს სისხლი.

არის წუთები, როდესაც შიშველ
განცდას გაცრეცილ ნიღაბით მალავ,
და ხელს ხავსისკენ იმიტომ იშვერ
რომ თავის რწმენა შესძინოს ბალახს.

ფრაგმენტი დასაწერი ბარათიდან

მომენატრება ერთფეროვან დღეებით დაღლილს,
ქარის ბილიკი, იასამნის მოლურჯო თაღი.

მწვანე სავანე - ტყეები შენი,
გზადაგზა ჭალა - ჭვავის ყანებით;
დაცურავს გედი სიჩუმეში თუ სტრიქონს შვენის,
თუ ამ ლექსს შვენის გახსენება იმ შეღამების.

* * *

ნეტარი განცდა! -
უპირველესი ჯილდო მოკვდავთა.

სად, სად დაირწა მისი აკვანი,
წვეთწვეთობით რა გზით შეგროვდა?
ან ვისმა ხელმა გამოკვალა
ერდომშვენიერ შენს საუფლომდე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგულების ლახვარი

თითქოს ყოველი ის არის, რაც გსურს,
თითქოს არც არის და მაინც კმარობ;
ხმამაღლა დასმულ კითხვაზე პასუხს
საიდან საით წაიღებ ქარო.

სხვა-ჟამად მოხველ, ხატ-ყოფას ახალს,
სხვა სურნელებით შემფრვილი ელოდა მთები;
მაინც ატარებ ერთგულების მტკივნეულ ლახვარს
და შენდა ბედად გამეტებულ ფიალით თვრები.

ოდა დედამიწას

ცა-მყარი - სვედის დიდი გალია,
მარადიული ერთგულების
ღირსი ქალია.

ვაშა ამ წუთებს! - ცნობადის ძაფი
საცაა უკვე ღრიანკალს უწევს
და შენ ხარ მაინც
ჩემეული სამყაროს ფუძე.

ოდეს მომთვარობს
ხმელსა ზედა შუქი მომკრთალო, -
მიწიდან მიაქვს
თეთრი ვარდების გვირგვინები
პლანეტების გამტკვერილ ჭრიალს.

შენ იცი...

შენ იცი ეს დღე რას მღერის ახლა
(ხომ შეიძლება მეტიც იცოდე?),
დადიხარ, მკერდქვეშ ტკივილი გახლავს
და პერანგივით დაგაქვს სიცოცხლე.

შენამულ თვალით სანახებს ზვერავ
და აყურადებ ქარის მოტირილს,
სად ფრთაგაშლილი ფარფატებს ძერა, -
საკუთარ ჭანგთა მოთვალთვალე და კმაყოფილი.

* * *

ერთხელ ხილულის მონატრება
მოითხოვს სახელს,
უცხო არილით განათებულს,
რომ გაგვინელდეს სიმძიმილი...

ამოდ ნაქარგი მოლი ახლავს ამ მონატრებას,
დამშვენებული მზის სხივების
ლილო-ჭრილოთი.

ხელის მოცარვის გააზრებაც საკმარისია,
რომ ტანზე ეკლის ბუსუსებმა გამოგვაფინოს.

ჩქაშს ვაყურადებთ,
ქარის ფრთაში ვახვევთ იმედებს
და სიჯიუტით ვეშურებით, საითაც იგი გვეგულება.

რაღა თქმა უნდა, ჩალუსკუმებულ,
ორწოხებს გაღმა გასვლას მოითხოვს
ყველა ამგვარი აღტკინება.

მზადა ვართ?! - მაშინ ორწოხებს იქით,
მიზნამდე კიდევ სვედის ბაღია,
დაუმწიფებლად დარჩენილი ვაზის მტევნებით.

არის საშველი! - ჩვენმა მზერამ უნდა შეთვალოს,
ის უმწიფარი ვენახები სვედის ბაღისა,
რომ გზა გაიხსნას - ერთხელ ხილულის
ხელმეორედ დასანახავად
და გაგვინელდეს სიმძიმილი...

* * *

ძაფიწვერ-ძაფიბალახა,
მოლზე ნიავის ფართქალი;
ნეტავი კაცი მანახა
მე ბალახივით მართალი.

ნეტავი ამომაკითხა
ბალახის ლურჯი რვეული,
საფლავზეც ამომაკითხავს -
ამიმჩატდება სხეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲓᲔᲚᲔᲐ ᲥᲐᲮᲘᲫᲔ

* * *

ზოგჯერ ვიზრდები ვით სავსე მთვარე,
ხან კი, მილეულ მთვარესავით ვპატარავდები
სასოწარკვეთა ვინათესავე
არსად მშველელი, არსად თავდები.
დგმანულია გულის კარები
და საკლეტური ვერ გამიხსნია
დამფარფატებენ შავი ყვავები
როგორც ნაომარ ციხეს სისხლიანს
შენი თვალები ვედარ მაგნებენ
აღარც არავის ველოდინები,
და სამუდამოდ შემრჩა ბაგეზე
ჯერაც უმღერი მელოდიები.

* * *

ფიქრი ვისთვის ვაგუმანო,
უშენობით გავძალლდი,
ვეღარ ვაგნებ სამკურნალოდ
ცხენისტერფას, ცხრაძარღვას,
გადაშენდა კალოთანი
კვირიწმინდა, დილიკა,
გადაიქცა ჭიუხ-მთანი
ტურა-მგლების ბილიკად.
დრო დამოკლდა შესამჩნევად
ვერ ვპოულობ გასაქცევს,
რას ვაქნევდი ჩემს გაჩენას
ანდა სიკვდილს რას ვაქნევ!

* * *

აბლაბუდების ხლართი
გულები გრილზე გრილი,
დამარხულია ხათრი
მხოლოდ გრიმასი, გრიმი,
შური, შარი, და შმორი.
მზე მივარდნილი ძილად,
ალერსი შორზე შორი
გამეტებული ძვირად,
სიტყვა ნასროლი წაღმა
აფეთქებული ნაღმად,
და უკვე ვიცი აღარ
მივეცე რომელ წყალ-ღვარს.

* * *

ჩიტები ფრენას ზეცაში სწავლობენ,
ცისფერ ლაჟვარდში ცურავენ,
ბულბულებს ღმერთები წყალობენ
მაინც ემტერებათ ცრუ-მავნე.
ბულბული გალობით იცნობა
ცნობას არ ჭირდება მისნობა.
მაგრამ, სტვენაში გაწვრთნილ-ნაჩვევ
უსულოს, სხვისგან ვერ გამოარჩევ,
ბულბული დაღვრილი გრძნეულ ცრემლად
კვდება უბრალოდ და შეუმჩნევლად.

* * *

ცხოვრება ნაფურცლი წიგნია
სამყაროს მბრძანებლის ნაკურთხი,
ათასჯერ ნასწავლს და წაკითხულს
ვფურცლავთ და ვკითხულობთ საკუთრივ.
წიგნია ამხელი თვალგულის
და ნაცვლად გონებას ვწაფავდეთ,
მაცთურის ხაფანგში გაბმულებს
სიბრძნე გვავიწყდება მსწრაფლადვე.
საწუთრო გვაწბილებს, გვაწვალებს,
შვებას არ იმეტებს ვისთვისმე,
ცხოვრება წიგნია სასწავლო
ვფურცლავთ და ვერაფერს ვითვისებთ!

* * *

ბუერაც ისხამს ფრთებს
ჰაერში ქრის და ფრენს,
მაგრამ, არ ქვია ქინქლა
არცა ფრინველად ითქმის
ზეცისკენ გზას ვერ კვალავს,
ბუერად რჩება კვლავაც!

* * *



სიშორე უფსკრულს ზრდის,
მხდის ნაავეიი ქსუვს,
ჩემი ვაზის და ბზის
გვერდშიმყოფობა მსურს.
ვგვევარ ნახშირის ქურას
ვეღარ ვეღწევი წვას,
ჩემეულ ველზე ქროლა
შენთან შეხვედრა მწადს
მამყოფე შენი ფრთის ქვეშ,
თუნდაც, ყრუი და ბლუ,
არაფერს შეგთხოვ ისეთს -
გამაარაფრებ ნუ!

* * *

იმედი ნატვრის თვალია
თვალებს მაცდურად აცეცებს,
ხან უშვებს შხამის საცეცებს
ხან გვჩუქნის შუქის ნამცეცებს,
იმედი ნატვრის წიგნია,
მთელი სიცოცხლე დავეძებთ,
და მაინც ვერ მიგვიგნია.

* * *

ოდესღაც, გზა სადღაც დასრულდება
უამურად თუ სასურველად,
ოდესღაც, საგაისოდ ანდა ხვალზეგ
მგზავრი არ ჩაივლის ნაცნობ გზაზე
დაყრუე-დამუნჯდება გზა-მეტყველი
წაწარღვნის, წაშლის წყალ-მეწყერი
გადულის შამბი და სარეველა
გამველელ-გამომველელი დაელევა,
უამურად თუ სასურველად,
ოდესღაც, გზა სადღაც დასრულდება.

ინტერვიუ ელექტრო-ფოსტით

ინტერვიუ ელექტრო-ფოსტით

ნათია ხორნაული - იტალია
ვახუშტი კოტეტიშვილი - საქართველო

კითხვა: - ერთხელ ბორხესს ჰკითხეს თურმე: - თქვენ ბრძანდებით ცნობილი მწერალი ბორხესი? - წამით დაფიქრებულა და უთქვამს: - ზოგჯერ ვარო. თქვენ რას იტყოდით საკუთარ თავზე?

პასუხი: - ბორხესი დიდი მწერალი ბრძანდებოდა, სულ სხვა ქვეყნისა და გარემოს შვილი და მას ჰქონდა უფლება ამგვარი იუმორნარევი, ბრძნული და ფრთიანი პასუხის გაცემისა. მე კი ცხოვრება მომიხდა საყოველთაო "გაჭანჭიკების" ეპოქაში და ჩემი სულის გადასარჩენად სინდისი მავალდებულებდა, რომ ყოველთვის ვახუშტი კოტეტიშვილი ვყოფილიყავ, რათა სახეზე არ მომერგო ის ნიღაბი, რომელსაც ჩვენი ცხოვრების ყალბი მასკარადის რეჟისორები მოითხოვდნენ. როგორ შევძელი დღევანდლამდე ამ "ზნეობრივი სიჯიუტის" დაცვა, ეს უწყის მაღალმა ღმერთმა და იმ ადამიანებმა, რომლებმაც ჩემი ყოველი ნაბიჯი იციან.

კითხვა: - ამბობენ, ადამიანი მაშინ ცხოვრობს წარსულის მოგონებებით, როდესაც აწმყო არა აქვს. თქვენ რამდენად ახერხებთ, იცხოვროთ დღევანდელი დღით?

პასუხი: - უნდა ვალიარო, რომ მე, ასე ვთქვათ, ანაქრონისტული ყაიდის კაცი გახლავართ. ჩემთვის წარსული, აწმყო და მყოფადი ერთ სიბრტყეზეა განლაგებული, ყოველსავე ამას ჩემს არსებაში ერთდროულად ვითავსებ და ცივნიავმიუკარებლად დავატარებ ჩვენს ცოდვაბრალიან წუთისოფელში. მე არ ვიცი თქვენ რას გულისხმობთ დღევანდელობაში, ჩემთვის კი ყველაფერი დღეს ხდება: დიდგორის გამარჯვება თუ კრწანისის მარცხი, წინამურის ტრაგედია თუ "ვარდების რევოლუცია". აი, ასე ვცხოვრობ დღევანდელი დღით.

კითხვა: - რა არის თქვენი ბავშვობის ყველაზე ტკბილი მოგონება?

პასუხი: - ტკბილისა რა მოგახსენოთ: ჩემი ამ ქვეყნად მოვლინება დედის სიცოცხლის სანაცვლოდ მოხდა, ორი წლისას მამა დამიხვრიტეს, რასაც შემდეგ მთელი ჩვენი დიდი ოჯახის თანდათანობითი კლება მოჰყვა. ერთადერთი, ვინც თავისი არსებობით ყველას მაგივრობა იტვირთა, ლეილა იყო, ჩემზე ცამეტი წლით უფროსი და, რომლის მსგავსი პიროვნება არა თუ ცხოვრებაში, წიგნებშიც არ შეხვედრია. ჩემი ბავშვობის ყველა მოგონება, უმწარესიც კი, ლეილას გამო მაინც ტკბილია.

კითხვა: შეუძლებელია განმარტო - რა არის ბედნიერება. ის კი შესაძლებელია ითქვას, რომ ბედნიერი მაშინ ხარ, როცა თავს გრძნობ ბედნიერად. ზოგჯერ საკმარისია, მზიანი დღე გათენდეს, რომ ბედნიერად იგრძნო თავი. რამდენად ხშირად გიგრძნიათ თავი ბედნიერად?

პასუხი: - რაინერ მარია რილკეს თავის მეცხრე ელეგიაში აქვს მოცემული ბედნიერების ორიგინალური განმარტება: ეს არისო: "ნაადრევი და მცირე უპირატესობა დაკარგვისწინა".

ჩემი აზრით, ბედნიერება ჰორიზონტივით არის: შორიდან ხედავ, ესწრაფვი, თითქოს უახლოვდები კიდეც, მაგრამ იქამდე მაინც ვერასოდეს აღწევ.

ბედნიერება მიზანია და არა შედეგი.

ბედნიერების აღქმა, ამასთანავე, უაღრესად სუბიექტურია. ზოგისთვის იგი მატერიალური უზრუნველყოფაა, სხვისთვის კი - სულიერი სიმსივნე.

რაც შეეხება ჩემს პირად განცდებს, მე ნამდვილად ბედნიერი ვიყავ შვილებისა და შვილიშვილის დაბადებისას.

კითხვა: - მიუხედავად იმისა, რომ მშობლების სითბო ყოველთვის გაკლდათ, ამან სული არ გაგიუხეშათ. ცხოვრების ყველაზე მძიმე მომენტებში, როცა განსაკუთრებით გინდოდათ დედის ალერსი, რით ივსებდით ამ სიცარიელეს?

პასუხი: - ლეილას შესახებ მე უკვე მოგახსენეთ. მის გარდა, გარს მეხვია უაღრესად მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულე, კეთილშობილი ხალხი: დიდედა და მამიდა, ბიძეები და ძალოები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები... ერთადერთი ბიჭი ვიყავი, თუ ჩემს უფროს მამიდაშვილს, ცოტნე მაკალათიას არ ჩავთვლით, რომელიც ჩემზე ცამეტი წლით იყო უფროსი და უკვე კაცად აღიქმებოდა. ასე, რომ სიყვარული და აღერსი ჩემიანების მხრიდან საკმარისზე მეტი მქონდა.

კითხვა: - შესაძლებლობა რომ მოეცათ, რაიმე გეთქვათ თქვენი მშობლებისთვის, რას ეტყოდით?

პასუხი: - მადლობას იმისთვის, რომ ასეთი კეთილშობილები, სულიერად და ხორციელად სრულყოფილნი ბრძანდებოდნენ. მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვამაყობ მათით და ვცდილობ ჩემი უნებლიე დაუდევრობით არ შევბღალო მათი შარავანდედი.

კითხვა: - ყველაზე დიდ სინაზეს რა იწვევს თქვენში?

პასუხი: - ბავშვი.

კითხვა: - რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებაში, რასაც ვერაფრით დათმობდით?

პასუხი: - თავისუფლება! ისე მოვახერხე ცხოვრება, რომ არავითარი თანამდებობა არ მქონია. დისერტაციებს ვიცავდი, თანამდებობებს კი ვირიდებდი, რათა საბჭოთა ბიუროკრატიის ყმად არ ვქცეულიყავ. სრულიად ყმაწვილმა, წვრილშვილიანმა კაცმა ფაკულტეტის დეკანობაზეც უარი ვთქვი, კათედრის გამგეობაზეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაზეც. ეს ასე მოხდა: მაშინ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი სოლიკო ხაბეიშვილი იყო, ჩემი სკოლის მეგობარი, ლიტერატურის დიდად მოყვარული და თავადაც შესანიშნავი პოეტი. ცხონებული ნოდარ დუმბაძე რომ გარდაიცვალა, სოლიკომ თავის კაბინეტში დამიბარა და მითხრა: არის ასეთი აზრი, რომ შენ გახდე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ოღონდ ამისთვის საჭიროა, რომ სასწრაფოდ შემოხვიდე პარტიაში.

სოლიკოს კაბინეტში ორი ჩემთვის უცნობი პიროვნება იჯდა, ამიტომ ჩვენი საუბარი მეტნაკლებად ოფიციალურ ტონალობაში მიმდინარეობდა. მე თავაზიანი უარი ვუთხარ და მაქსიმალურად ვცადე ნომენკლატურული ეტიკეტი პარტიისადმი ჩემი ცინიკური დამოკიდებულებით არ დამერღვია. ბოლოს მაინც კატეგორიულად განვაცხადე: - პარტიაში ვერ შემოვალ- მეთქი.

- რატომ? - გაოცებულმა მკითხა სოლიკომ.

- ღირსი არა ვარ. - ვცადე საუბრის იუმორის კალაპოტში გადაგდება.

ამ დროს კარი შემოაღო ასევე ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გურამ ენუქიძემ ორიოდ მწერლის თანხლებით. რაზე დავობთ? - იკითხა გაღიმებულმა გურამმა. სოლიკომ აუხსნა საქმის ვითარება და თან მეგობრული ტონით დაამატა: - ასეთ საპატიო თანამდებობას ვთავაზობთ და ეს "ვირი" კი უარზეა: პარტიაში ვერ შემოვალო. მწერლებმა ყურები ცქვიტეს, იფიქრეს ვაი თუ ამ ყურუმსაღმა ის თანამდებობა დაირტყას, რის გასაჩალიჩებლადაც ჩვენ აქა ვართ მოსულნიო. გურამს ჩაეღიმა და მშვიდად თქვა: - ვახუშტის შეეშვით. მაგას ისეთი თანამდებობა აქვს, ვერც ვერავინ დანიშნავს და ვერც ვერავინ მოხსნის.

- რა თანამდებობა? - ერთხმად იკითხეს ელდანაცემმა მწერლებმა.

- რა და, ვახუშტია კოტეტიშვილი. - ბრძანა გურამმა და თვალი ჩამიკრა. მე ვისარგებლე საერთო სიცილით, ვიშვირე ფეხი კაბინეტიდან და ისეთი კისრისტეხით დავეშვი კიბეებზე, რომ ლიფტს აღარც დავლოდებივარ.

ჩემი ეს პასუხი ისე არ გამიგოთ, თითქოს თანამდებობაზე მყოფი ღირსეული პიროვნებების წინააღმდეგი ვიყო. უბრალოდ ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი. ეს არის და ეს.

კითხვა: - კომუნისტური პარტიისადმი თქვენი ასეთი დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, თქვენ სხვა პარტიების მიმართაც არ ამჟღავნებთ დიდ ინტერესს. რა არის ამის მიზეზი?

პასუხი: - ჯონათან სვიფტს ჯერ კიდევ როდის აქვს ნათქვამი ასეთი მარტივი და გენიალური განსაზღვრება: "პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულთა სასარგებლოდ." მე, როგორც შემოქმედ კაცს, იმდენი ჩემი პიროვნული სიგიჟე მჭირს, რომ ჯგუფური სიგიჟეებისთვის სად მცალია?!

კითხვა: - რამ დაგაჩნიათ სულზე ყველაზე წარუშლელი კვალი?

პასუხი: - რა ვიცი, როგორ გითხრათ? ალბათ ერთ-ერთი უძლიერესი განცდა იყო თბილისის სავალალო არეულობის დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992 წლის 2 იანვარს ჩემი სახლის აფეთქება და ყველაფრის ნაცრად ქცევა, რაც რამ გამაჩნდა: ჩემთვის განსაკუთრებით ფასეული, მამაჩემის საარქივო მასალები, რაც კომუნისტებს 1937 წელს სასწაულებრივ გადაურჩა. მე ეს განცდა აღწერილი მაქვს "ჩემი წუთისოფლის" შესავალში და აღარ გავიმეორებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თურმე, როცა ყველაფერს კარგავ, სწორედ მაშინ პოულობ საკუთარ თავს. ჩემს მტრებს რომ სცოდნოდათ, ამ შემზარავი ტრაგედიით რაოდენ დიდ სიღრმეებს აღმომაჩენინებდნენ საკუთარ სულში, ალბათ გადაიფიქრებდნენ ამ ვანდალურ ქმედებას.

კითხვა: - რა განცდა გეუფლება ადამიანს, როცა იცი, რომ მთელ ქვეყანას უყვარხარ? ამ შემთხვევაში საქართველოს ვგულისხმობ. იმიტომ გეკითხებით, რომ ვიცი, გამოცდილი გაქვთ ეს საყოველთაო სიყვარული.

პასუხი: - მართალი ბრძანდებით. ბევრი ადამიანის გულწრფელ სიყვარულს ნამდვილად ვგრძნობ, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ ჩემს თანამემამულეებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთებიც გამოერევიან ხოლმე, რომლებიც ვერ მპატიობენ ჩემს ლაღ ხასიათს. თვითონ მონური ბუნებისანი არიან და სხვებისგანაც ამას მოითხოვენ. ვინც მათ ფეტიშიზმს არ იზიარებს, მის წინააღმდეგ მხედრდებიან არა ინდივიდუალურად, არამედ ჯგუფურად.

ამგვარი აგრესიული მონობა სულიერი სიღატაკისა და გონებრივი პრივიტივიზმის შედეგია. ამიტომ ამიფეთქეს სახლი, დამიწეს და გამინადგურეს ყველაფერი, მიყრიან ათასგვარ ყოვლად წარმოუდგენელ ჭორს და დღევანდლამდე არ ისვენებენ. იმდენად უნიჭოები არიან, რომ ოდნავ დამაჯერებელი, სიმართლეს მიმგვანებული ჭორის მოგონებაც არ შეუძლიათ. მათთან კამათი მათ დონეზე დადგომას ნიშნავს, რაც ღირსეულ პიროვნებას არ შეშვენის.

სიყვარულს რაც შეეხება, 25 წლის წინ მომხდარი ერთი ამბავი მიმდა გავიხსენო: 1979 წლის 14 აპრილს მე და ჩემმა მეგობრებმა ფოლკლორული საღამოები რომ წამოვიწყეთ, ბუნებრივია, ყოველი საღამო ცენტრალური ტელევიზიით გადაიცემოდა, თანაც, უმეტესად, საუკეთესო დროს: საღამოს 7-დან 9 საათამდე. ერომა ახმეტელმა დედაკაცმა შემოთვალა ტელევიზიაში: - იმ ხმაჩახლეჩილ კაცს უთხარით, ის ხალხური საღამოები "ვრემიას" მერე გაუშვას, თორემ ძროხები მოსაწველი გვრჩებაო. მე ამის ბადალი ქება, კაცი დაბერდი და, ცხოვრებაში არ მიმიღია. ისეთ რაღაცას რომ მოიმოქმედებ, სოფლელ დედაკაცს ძროხის მოწველას აგულმავიწყებ, მეტი რაღა მოგეთხოვება კაცს წუთისოფელში.

ჩემო ნათია, რომ აგიჩემებია, ხალხს უყვარხარო, რატომ იმას აღარ კითხულობ, რატომ ან რისთვის ვუყვარვარ? ამას მხოლოდ ერთადერთი პასუხი აქვს. ეს არის თვით ჩემი დიდი, უსაზღვრო და უანგარო სიყვარული ალალი, მშრომელი და პატიოსანი ხალხისა. ნათქვამია: - სიყვარული მსხვერპლს მოითხოვსო. ოღონდ ეს მსხვერპლი ტანჯვით კი არ უნდა გაიღო, არამედ ისევ და ისევ სიყვარულით, ლაღად, დაუნანებლად და უსაყვედუროდ.

კითხვა: - დიდ წარმატებას შემოქმედისთვის რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს? რა შეგმატათ სახელმა და წარმატებამ? ხელი თუ შეგიშალათ რამეში?

პასუხი: - ზოგს წარმატება, მართლაც, თავბრუს ახვევს და ისეთ რამეს ჩაადენინებს, რომ, შესაძლოა, სულ მცირე, გარშემო მყოფთა ღიმილი გამოიწვიოს. პირადად მე, ყოველგვარ წარმატებას, რაც ჩემს შემოქმედებით მუშაობას მოჰყოლია, ჩემს გამარჯვებად კი არ ვთვლი, არამედ იმ საქმის გამარჯვებად, რომელსაც მე სიყვარულით ვაკეთებ. ჩემი დამსახურება სწორედ ეს სიყვარულია: სიტყვის, ლექსის, მშვენიერების სიყვარული.

კითხვა: - რა არის თქვენთვის ემოცია? რა იწვევს თქვენში ყველაზე დიდ ემოციას?

პასუხი: - ემოციას ქართულად განცდა ჰქვია. უნდა კი განცდას განმარტება? თუ განცდის უნარი არ გაქვს, არ შეიძლება ადამიანი გერქვას. ცხოველი რომ ცხოველია, ემოცია მასაც კი აქვს: ძაღლს რაღაც რომ სიამოვნებს, კუდს აქიცინებს, კატა - კრუტუნებს და ა.შ... მართალია, ზოგ ადამიანსაც სჩვევია კუდის ქიცინი, მაგრამ ამას ემოციასთან არა აქვს კავშირი.

ჩემში ყველაზე დიდ ემოციას იწვევს ღირსეული, კეთილშობილური, რაინდული საქციელი. ავიღოთ თუნდაც ასეთი მაგალითი:

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ფაშისტები შეცვივდნენ დანიაში, გამოსცეს ასეთი ბრძანება: დანიაში მცხოვრები ყველა ებრაელი ვალდებულია, ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან 12 საათის შემდეგ მკლავზე ეკეთოს ებრაული ნი-

შანი - ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ამით ფაშისტები საქმეს იიოლებდნენ, ყველა ებრაელს უცებ მოხვეტავდნენ და საკონცენტრაციო ბანაკებში უკრავდნენ თავს. ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან 6 საათის გასვლისთანავე კოპენჰაგენის მთავარ პროსპექტზე გამობრძანდნენ დანიის მეფე და დედოფალი ებრაული ნიშნებით მკლავზე, ხოლო კიდევ 6 საათის შემდეგ დანიის მთელი მოსახლეობა ამ ნიშნებით აღკაზმული დადიოდა.

ფაშისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მათ რამდენიმე თვე დასჭირდათ, ებრაელთა სიების დასადგენად. როდესაც საქმეს მორჩნენ და მეორე დღეს აპირებდნენ თავიანთი ვანდალური ოპერაციის ჩატარებას, დანიელებმა ეს გაიგეს და ერთ ღამეში ყველა ებრაელი გემებითა თუ ნავებით შვედეთში გადასხეს. მეორე დილით ფაშისტებმა დანიაში ვერცერთი ებრაელი ვეღარ იპოვეს.

ეს გახლდათ პატარა ერის დიდი გმირობა, რომლის მსგავსს ბევრს ვერ იპოვით მსოფლიო ისტორიაში.

კითხვა: - სიყვარული ყოველთვის აკეთილშობილებს ადამიანს?

პასუხი: - ადამიანს გააჩნია. ზოგს აღამაღლებს და აკეთილშობილებს, ზოგში კი ცხოველურ ინსტინქტებს ამძაფრებს.

არავითარი სურვილი არ მაქვს, ისე ვუყვარდე ვინმეს, რომ თავისი აკეიატებული ეჭვიანობის გამო, ყელი გამომღადროს. ან პირიქით, მე მოვექცე ამგვარად ველური ჟინითა და ვნებით შეპყრობილი. მე პირობას ვაძლევ ყველა მშვენიერ არსებას, რომ მათდამი სიყვარულს სხვაგვარად, უფრო საამო ფორმით გამოვხატავ. ამიტომ შეუძლიათ მშვიდად იყვნენ.

კითხვა: - გამორჩეულ ადამიანებს საზოგადოება ხშირად იდეალად აქცევს, შემდეგ კი ჩვეულებრივ, ადამიანურ სისუსტეებს ვეღარ ჰპატიობს. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ იდეალის მსხვრევას ვერ ეგუება. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენც ასეთ გამორჩეულ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნებით. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია იდეალების არსებობა ცხოვრებაში? იქნებ ადამიანების უმრავლესობას სურს, სხვაში დაინახოს ის სრულყოფილება, რასაც საკუთარ თავში ვერ ხედავს? თქვენ თუ გყავთ ან გყოლიათ იდეალი?

პასუხი: - დიდ მადლობას მოგახსენებ, ჩემი ნათია, იმისთვის, იდეალურ ადამიანთა სიაში რომ მომახვედრე, თუმცა, ვაი, რომ ჩემდაუნებურად უნდა გაგაწბილო. მე იმდენი ადამიანური სისუსტე მჩვევია, რომ მათ აღსანუსხავად თითები არც გეყოფა. ამიტომ შევთანხმდეთ: მე ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ, რომელსაც, მადლობა ღმერთს, ალბათ ზოგიერთი კარგი თვისებაც მახასიათებს.

ახლა, რაც შეეხება იდეალებს: ჩემი ღრმა რწმენით, ამ ქვეყნად იდეალური მხოლოდ ღმერთის იდეა შეიძლება იყოს. სხვა არაფერი. ამა თუ იმ ადამიანის გაფეტიშება და იდეალად ქცევა, ბოდიშს მოვითხოვ, დაბალი ინტელექტის მანიშნებლად მეჩვენება. ყოველგვარი ფეტიშიზმი მონურ ფსიქოლოგიას ააშკარავებს და პირადად ჩემთვის ყოვლად მიუღებელია.

კითხვა: - ცხოვრების გზაზე თქვენს მიერ განცდილი არაერთი ტრაგიკული მომენტის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებთ არაჩვეულებრივად ხალისიანი განწყობა შეუქმნათ გარშემომყოფთ, საკუთარი სიმძიმე თავს არ მოახვიოთ. რა არის ასეთი დაუშრეტელი ოპტიმიზმის მიზეზი?

პასუხი: - მე მგონი, ეს არის ელემენტარული კულტურის გამოვლინება. შენი განცდები პირადულია, რომელიც არ შეიძლება თავს მოახვიო სხვა ადამიანს. ბოდიშს ვიხდი უხეში შედარებისთვის, მაგრამ გასარეცხ თეთრეულს საჯაროდ ხომ არ გამოჰფენს ნორმალური ადამიანი?! ამგვარია, ასე ვთქვათ, ზოგადი წესი, როგორც უნდა იქცეოდეს ყოველი ნორმალური, მეტ-ნაკლებად აღზრდილი ადამიანი. ანუ ეს გახლავთ შეგნებული აქტი.

ახლა, რაც შეეხება, კონკრეტულ პიროვნულ თვისებებს, რაც ადამიანს უკანა პლანზე აწევინებს თავის უგუნებობას და ალალი სიხალისით აკავშირებს ირგვლივ მყოფ ადამიანებთან. ეს არის შინაგანი სულიერი პოტენცია, სიცოცხლის ნიჭი, რასაც ბრძენი ინდოელები "პრანას" ეძახიან. მე როდესაც ადამიანებთან მიხდება ურთიერთობა, კი არ ვთამაშობ, მართლაც მავიწყდება ჩემი პირადული ჭირ-ვარამი და მათთან ვარ მთელი არსებით. ეს თავისთავად, იმპულსურად, ასე ვთქვათ, შეუგნებლად ხდება. ეს ალბათ ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც შეუგნებელი საქციელი შეგნებულზე უკეთესია.

კითხვა: - რა დამოკიდებულება გაქვთ სიმარტოვესთან? როცა მარტო რჩებით, ყველაზე ხშირად რაზე ფიქრობთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი: - მე კარგად არ მესმის, რას ნიშნავს მარტოობა? როგორ შეიძლება მარტო იყო მოაზროვნე ადამიანი? შენ ხომ მხოლოდ შენ არ ხარ, ვიღაც მარტოსული ბაიყუში, რომელსაც გარს თუ ჭრელი ხალხი არ გახვევია, დაღუპული გგონია თავი. მე მარტო მე კი არ ვარ, არამედ მე და მრავალი სხვა, ჩემში არსებული: ახლობელნი თუ შორეულნი, ცოცხალნი თუ გარდაცვლილნი, ნაცნობნი თუ უცნობნი, მაგრამ ჩემში და ჩემით არსებულნი. ჩემეული სამყარო ხომ გაცილებით უფრო ღრმაა, უფრო ვრცელი და უკიდეგანო, დროისა და სივრცის კატეგორიებს აღმატებული, ვიდრე ის, რაც ჩემს გარეთ არის, ჩემი თვალსაწიერის არეალში მოქცეული. ამიტომ, ძალიანაც რომ მოვინდომო, მარტოობას ჩემს სულიერ სამყაროში ვერ მოვახერხებ. მაშასადამე, მე მარტო რომ ვარ, სწორედ მაშინ არა ვარ მარტო. და პირიქით, როდესაც ირგვლივ ხალხმრავლობაა, ეს ხელს მიშლის, არ მაძლევს ჩემს სულში ჩაღრმავების საშუალებას. არ ვიცი, რამდენად ნათლად გამოვთქვამ ჩემს, ერთი შეხედვით, პარადოქსულ აზრს: მე სწორედ მაშინ არა ვარ მარტო, როდესაც სრულიად მარტო ვარ.

ყველაზე ხშირად რაზე ვფიქრობ? - რა ვიცი, საფიქრალს რა დალევს ჩვენს წუთისოფელში?!

კითხვა: - ბევრი ადამიანია, რომელსაც მარტოობის განცდა ტანჯავს. ასაკის მომატებასთან ერთად კი ეს განცდა საშინელ დეპრესიად იქცევა. რით ანუგეშებდით და გაამხნევებდით ასეთ ადამიანებს? თქვენნაირი ადამიანის რჩევას ხშირად მეტი ძალა აქვს, ვიდრე ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტს.

პასუხი: - რახან ექიმი ახსენეთ, ვცდი, მედიცინის სამყაროში გავაკეთო მცირე ექსკურსი, რათა უფრო თვალნათლივ გამოიკვეთოს ამ საკითხის "ანი და ჰიე". მე ჩემს "პაციენტს" ასე ვეტყოდი: როდესაც შენ ჩაისახე, იქ ატყდა ისეთი ბრძოლა, რომელთანაც ყოველგვარი "ვატერლოო" მოგონილი იყო. შენს მილიონობით შესაძლო და-ძმებს შორის მხოლოდ შენ, ერთადერთს მოგენიჭა სიცოცხლე. განა ეს სასწაული არ არის?! აქ შენი დამსახურება არაფერია. ეს იყო ღვთის ნება. ამიტომ შენ ვალდებული ხარ, ეს ღვთის ნება პატიოსნად და ღირსეულად აღასრულო: იყო ცოცხალი არსება, ადამიანი.

გარდა ამისა: შენ, მარად დაუკმაყოფილებელს, უფრო და უფრო მეტი ბედნიერების მოსურნეს გეკითხები: რატომ გლრღნის ხარბი უკმარობის ჟინი, განა ამ ქვეყნად მოვლინებისას ვინმე დაგპირდა, რომ აუცილებლად ბედნიერი იქნებიო? მაშ რატომღა გაქვს ეს გაუგებარი პრეტენზიები? ვისგან რას ითხოვ? შენ ღმერთმა კიდევ ერთი უდიდესი ბედნიერება მოგანიჭა: სიყვარულის უნარი. მიდი და გიყვარდეს, დალოცვილო, მეტი რაღა გინდა?! მაგრამ არა, შენ მაინც ჯიუტობ: იმას რომ არ ვუყვარვარო? ერთ რამეს გეტყვი და დამიჯერე: ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული ხხოლოდ ცალმხრივი, გაუზიარებელი სიყვარულია, ამაღლებული და არა, უკაცრავი პასუხია, აწეწილ ლოგინში ნაბუღრავები, ყოველდღიურობის პრობლემებში გათქვეფილი და გაუფასურებული. ახარე შენი სულიერების ქოთანში ეს უცხო ყვავილი და დრო და დრო მორწყვა არ დაგავიწყდეს, ოღონდ კამკამა, აუმღვრეველი ცრემლებით.

სხვა რა გითხრა, ჩემს კარაბადინში ამ სნეულებისთვის სხვა წამალი არ წერია.

კითხვა: - ღმერთმა სხვა, მრავალ ნიჭთან ერთად იუმორის უდიდესი გრძნობითაც დაგაჯილდოვათ. ცნობილია, რომ სიცილი აჯანსაღებს ადამიანს, დღეს მას "სიცილით თერაპიასაც" უწოდებენ. რამდენად გეხმარებათ ცხოვრებაში იუმორი, გარდა იმისა, რომ ამ მხრივ უამრავი ადამიანის "განკურნვაში" მიგიძღვნით წვლილი.

პასუხი: - მართალი რომ გითხრათ, როდესაც მე ვხუმრობ, რასაკვირველია, იუმორის სამკურნალო თვისებებზე არ ვფიქრობ. იუმორი ჩემი ყოველდღიური არსებობის ჩვეულებრივი ფორმაა. ესეც გენეტიკით მომდგომს. ცხონებული პაპაჩემი, მიუხედავად მისი სასულიერო ცენზისა (დეკანოზი ბრძანდებოდა), განთქმული იყო თავისი განსაკუთრებული მახვილსიტყვაობით. ასევე დიდედა, ფოფოდია ეკატერინე, რომლის უთქმელი და გაუკეთნწლავი არაფერი დარჩენილა დუნიაზე. ეს ნიჭი კვლავ გრძელდება ჩვენს გვაროში და ღმერთმა ნურც მოგვიშალოს, თორემ ძალიან გაგვიჭირდებოდა ცხოვრება ამ ტიალ წუთისოფელში.

სხვათა მკურნალობას რაც შეეხება, ჩვენთან კონსულტაციები უფასოა. ვისაც სურვილი ექნება, მობრძანდეს და სიამოვნებით მოვემსახურებით.

კითხვა: - ზოგჯერ სიცილი. ერთგვარი პროტესტი ხომ არ არის ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ მიმართული?

პასუხი: - რასაკვირველია! ზოგჯერ ეს ბევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უფრო ეფექტურია, ვიდრე ხალხმრავალი მიტინგები.

კითხვა: - რამდენად მნიშვნელოვანია თვითირონია?

პასუხი: - არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელიც. სხვისი გაკეწწვლის უფლება რომ მოიპოვო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ უნდა იყო დაუნდობელი. მე ჩემს მიმართ იმდენი კაფია მაქვს გამოთქმული, რამდენიც თვით "კაფიების მეფეს" ალექსი ჭინჭარაულსაც არ გამოუთქვამს ჩემზე. ამიტომაც არ მახსენდება ისეთი შემთხვევა, რომ ჩემგან ამგვარი პაექრობისას ვინმეს რაიმე სწყენოდეს.

კითხვა: - თქვენს განვლილ ცხოვრებას რომ გადახედოთ, რას იტყოდით სიამაყით და რას გულისტკივილით?

პასუხი: - სიამაყით მხოლოდ იმის თქმა შეძიძლია, რომ, საბედნიეროდ, ფუყე სიამაყის განცდა არ მახასიათებს. მე რა უფლება მაქვს რაიმე ვიამაყო, როდესაც თვით ვახტანგ კოტეტიშვილი "ქართული ლიტერატურის ისტორიის" შესავალში წერდა: "მე ერთი მორიგი მუშა ვარ ჩვენი განათლების მომცდარ ყანაში". ამის მერე მე რაღა მეთქმის?!

გულისტკივილით კი იმას ვიტყოდი: თვალი დაუდგეს ჩემს ქართულ, ბოჰემურ ბუნებას და ხასიათს. ეს რომ არა, კიდევ რამდენი რამის გაკეთებას მოვასწრებდი! მაგრამ აქვე შინაგანი ხმა ნიშნისმოგებით მეკითხება: უამბუნებოდ გაკეთებული საქმე ივარგებდა კი? რა ვუპასუხო? მართალია!

კითხვა: - თქვენ იმდენი რამ გაქვთ გაკეთებული ქართული თუ სპარსული ლიტერატურის საკითხთა კვლევის საქმეში, ფოლკლორისა თუ თარგმანის სფეროში, პედაგოგიურ სარბიელზე თუ საქართველოს ტელევიზიის ხალხურ გადაცემათა რედაქციაში, რომ ნუთუ მართლაც გინნდებათ უკმარობის განცდა, იმის გამო რომ მეტის გაკეთება გინდოდათ, მაგრამ რაღაცამ, ანუ ხშირმა თამადობამ შეგიშალათ ხელი?

პასუხი: - ეჰ, ჩემო ნათია, ხომ გაგიგონია: "კაცის თვალი ხარბია"-ო. გულიც "ხარბია." მეტადრე ქართველი კაცისა. "ჩიჩიაც გინდა, ბაბაცა." თან დიდი საქმეები გინდა აკეთო, თან დარბაისლურ, ლაზათიან ლხინსაც არ გინდა, რომ გამოაკლდე. ჩემთვის ნაღდი ქართული სუფრა ღრეობა და დროსტარება ანუ დროის ფლანგვა კი არ არის, არამედ თავისებური ხელოვნებაა, აზრიანი სიცოცხლის ხელოვნება, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება. მე სოსო ასლანიშვილის და პეტია ბოკერიას, სიმონიკა სხირტლაძის და სხვა დიდებული თამადების სკოლა მაქვს გამოვლილი, "ასპირანტურაშიც" მტოვებდნენ, მაგრამ უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ არ გამიშვა: - სადღეგრძელოს ფორმით დაწერილ დისერტაციებს არ მივიღებთო. მეტი რაღა გზა მქონდა, თამადობა ჩემს აღზრდილ თამაზ ტყემალაძეს გადავულოცე და მე ისევ ჩემს დისერტაციებს დავუბრუნდი.

კითხვა: - თქვენი თარგმნის სტილსა და მეთოდზე რას იტყოდით?

პასუხი: - ეს იმდენად ვრცელ და რთულ პასუხს მოითხოვს, რომ ალბათ სპეციალური ინტერვიუ დასჭირდება. მე საკუთარი მთარგმნელობითი კრედო მოკლედ გადმოვეცი ჩემი რჩეული თარგმანების კრებულის, "აღმოსავლურ-დასავლური დივანის" წინათქმაში, რომელსაც დავარქვი: "მთარგმნელის აღსარება ანუ მხატვრული თარგმანის პარადოქსები." ამ შეკითხვის მეტ-ნაკლებად სრულ პასუხს დაინტერესებული მკითხველი იქ იპოვის.:

კითხვა: - რას ისურვებდით თქვენს შემდეგ?

პასუხი: - ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, მათ შვილთაშვილებს ისეთ საქართველოში ეცხოვროთ, რომელზედაც აქამდე მხოლოდ გვიოცნებია.

ამინ! გვისმინოს ღმერთმა!

თეიმურ ქოჯახიძე

სამეგის გამოცხადება და ბ-ნ ელიოტის "მეტაფიზიკური" ეჭვები

"...ერთია ლოგოსი, რომელიც ღელრს ყველა წმიდა მწერლისა პირით, და რომელიც, დაბადებიდანვე ღმერთი და ღვთისა თანა მყოფი, არ სცნობს დანაწევრებას, რადგან ყამთასლის მიღმაა."

ნეტარი ავგუსტინე,
Ennaratio in Psalmos, 103,4,1

ლექსში "ბ-ნ ელიოტის საკვირაო წირვა" (1918) ტომას ელიოტის ერთ-ერთი "ტრადიციული" პერსონაჟი, "მაიმუნისმაგვარი" სუინი მხოლოდ ბოლო სტროფში გამოჩნდება. აქ ის, აბაზანაში ჩამდგარი, ლაჯიდან ლაჯზე ბაჯბაჯებს და წყალს ამღვრევს:

Sweeney shifts from ham to ham
Stirring the water in his bath.

ელიოტის ზოგი სხვა ნაწარმოების მსგავსად, სუინის სახე აქაც ძირითადია, მაგრამ თვით ლექსი, თეოფილ გოტიეგან ნასესხები სტროფული ლექსთწყობის გარდა, ყველა სხვა პარამეტრით განსხვავდება როგორც "სუინი და ბულსულების"(1918), ისე "სუინი ერექტუსისგანაც" (1919). მთავარი თემა აქაც სული და ხორცია, ღვთისაგან განდგომილ სამყაროში სულიერი რეალობის წვდომის უუნარობაა მათ მიერ, ვინც ამ სამყაროს განასახიერებს, მაგრამ ხატოვანება და შესაბამისად, ლექსის განწყობილებაც, წინა პლანზე გამოტანილ "თეოლოგიურ" დისკურსს არის "მორგებული" და მისი გამომხატველია. სუინისადმი მიძღვნილ სხვა ლექსებისაგან განსხვავებით, პოეტი აქ არ უხმობს დიონისურ თემატიკას და დიონისესთან ასოცირებული სახეებიც აქ არ გვხვდება (გარდა თვით სუინისა, რომელიც ტრადიციულად, ინსტინქტთა მოზვავებასა და ხორცის წარმართულ, დიონისურ აპოთეოზს განასახიერებს). ელიოტის ამ ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური და ირონიული ლექსის სირთულე მის თეოლოგიურ კონცეფციაში, უფრო სწორად, ამ კონცეფციის უქონლობაშია ძევს, რაც პოეტის იმყამინდელ რელიგიურ მისწრაფებებსა და მათთან დაკავშირებულ ეჭვებს ასახავს.

"საკვირაო წირვის" შექმნის დროს (1918-19) ელიოტი სერიოზულად იყო დაინტერესებული ეკლესიის მამათა მოძღვრებებით, ბევრს ფიქრობდა ქრისტიანული რელიგიის არსზე, თანამედროვე სამყაროში მის დანიშნულებაზე. ის ეძიებდა, გაორებული იყო და ამ გაორებას ამერიკელად დაბადებულსა და რწმენით უნიტარ პოეტს, უმძაფრებდა მისი ახალი გარემო - ანგლიკანური ინგლისის უნიკალური კულტურული ატმოსფერო და მხურვალე სურვილი ბუნებრივად შერწყმოდა ინგლისურ გარემოცვას, ევროპული კულტურული ტრადიციის შემადგენელ ნაწილად გარდაექმნა თავისი პოეზია. ელიოტის იმ-

ჟამინდელი რელიგიური მსოფლაღქმა უნიტარული აღზრდის, აშკარა კათოლიკური სიმპათიებისა და ანგლიკანური გარემოცვის ზეგავლენით ყალიბდებოდა. თანაც ანგლიკანიზმი მის ცნობიერებაში მისთვის ესოდენ ძვირფასი ინგლისის დიად კულტურულ წარსულთან ასოცირდებოდაო, წერს ელიოტის ბიოგრაფი ლინდალ გორდონი. ყოველივე ეს, ცხადია, რელიგიურსა და ზნეობრივ არჩევანს ურთულებდა სულიერი ძიების გზაზე დამდგარ პოეტს. ამიტომ არის, რომ "საკვირაო წირვაში" ყურადღება გამახვილებულია არა რომელიმე კონკრეტულ კონფესიაზე, არამედ უმთავრეს, ზოგადქრისტიანულ ფასეულობებზე. უაღრესად სერიოზული რელიგიური მედიტაცია უშუალოდ ეხება ქრისტიანულ საიდუმლოებებს, შეიცავს ღვთაებრივი არსის წვდომისა და დასავლური საეკლესიო დოგმატიკის გააზრების ცდას, პოეტურ მსჯელობას ორიგენეს მოძღვრებასა და ნათლისღების მისტიკურ არსზე.

ცხადია, ელიოტი ელიოტად არ დარჩებოდა, მთელი ეს უაღრესად სერიოზული, "მეტაფიზიკური"

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი მისთვის ჩვეული გროტესკულ-ირონიული, თამაშებრივი ფორმით რომ არ გადმოეცა. "Wit and high seriousness", - მახვილგონივრული თამაში და ამაღლებული სერიოზულობა; ეს განსაზღვრება, რომელსაც ქლეანთ ბრუქსი მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისური "მეტაფიზიკური" სკოლის პოეზიას უყენებს, სავსებით შეესაბამება ჯონ დონისა და ენდრუ მარუელის პოეტური ხელოვნების მემკვიდრის, ტომას ელიოტის ამ ლექსს, ისევე როგორც მთელ მის ადრეულ პოეზიას. ლექსის პოეტიკა "თამაშებრივია", განწყობილება - ხან თითქოს სახუმარო, ხან ირონიული, ხან გროტესკული ინტონაციით და ხანაც სარკაზმით აღსავსე. მისი კითხვისას წარმოიქმნება პოეტური ენის "სიმიტატისა" და არაადეკვატურობის ილუზია, რომელიც არსებითად სხვა არაფერია, თუ არა უსასრულოდ სერიოზული განცდითი შინაარსის გამოხატვის ძალზე სპეციფიკური საშუალება. "საკვირაო წირვაში" საგრძნობია მეტად მნიშვნელოვანი ქვეტექსტი, რომელიც იმას მოწმობს, რომ აქ ელიოტი შეეჭიდა ქრისტიანული ტრადიციის ჭეშმარიტობის, მისი სიცოცხლისუნარიანობის გააზრების პრობლემასო, - წერს ფ. უ. დილი-სტოუნი. თუ ადრეული ელიოტის უსაზღვროდ ირონიულსა და ხშირად, სარკასტულ ინტონაციას "ქრისტიანული ტრადიციის ჭეშმარიტობის" წვდომის საშუალებად გავიაზრებთ, შესაძლოა ეს აზრი საფუძველს მოკლებული არც იყოს.

ნაწარმოების პოეტიკურ ბირთვს ნათლისღების სცენის აღწერილობა შეადგენს, რომელიც, როგორც პოეტი გვამცნობს, უმბრიელი ფერმწერის მიერაა წარმოსახული, ანუ სახვითი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს:

A painter of the Umbrian school
Designed upon a gesso ground
The nimbus of the Baptized God.
The wilderness is cracked and browned

საერთოდ, ელიოტი ხშირად მიმართავს ფერწერულ ანალოგიებს. ცალკეულ მხატვართა ან ფერწერულ ტილოთა ხსენება და მათი პოეტური კომენტირება, მისი პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა. ეს უსაზღვროდ საინტერესო თემა აშკარად ცალკე შესწავლის ღირსია, მაგრამ ზოგადად აქაც შეიძლება ითქვას, რომ ფერწერულ ანალოგიას ელიოტი უმთავრესად ორი მიზნით იყენებს: ესაა ტექსტში ფერწერული ასოციაციის შემოტანა, როდესაც პოეტს სჭირდება რომელიმე ექსტრატექსტუალური, ჩვეულებრივ - ირონიული მოტივის წინ წამოწევა (როგორც, ვთქვათ, მიქელანჯელოს ხსენება "ჯ. ელფრედ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერაში"), ან ვიზუალური ანალოგიის პოეტიკურ ბირთვად გამოყენება, როგორც "ბერბანჯში", სადაც კანალეტოს ტილოს ფერწერული პოეტიკა თვით ლექსის ფერწერულ "სივრცობრიობას" და ამ სივრცის მყისიერებას უდევს საფუძვლად.

ტრადიციულად, კუატრიჩენტოს ეპოქის უმბრიული ფერწერა სიენის დიდებულ მხატვრობასთან ერთიან კონტექსტში განიხილება, როგორც ამ დიდი სკოლის განშტოება და მას რამდენიმე მნიშვნელოვან მხატვარს მიაკუთვნებენ. თანამედროვე ელიოტისტიკაში აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე სუფევს, თუ საკუთრივ რომელი უმბრიელი ფერმწერის, რომელ ტილოს აღწერს ელიოტი თავის "საკვირაო წირვაში". მაგალითად, ელიოტის ადრეული შემოქმედების ავტორიტეტული მკვლევარი, პეტ სლოუნი ვარაუდობს, რომ ლექსში აღწერილი ტილო სულაც არ ეკუთვნის ფერმწერს, რომ ასეთი ტილო შესაძლოა საერთოდ არც არსებობდა და რომ ელიოტი გულისხმობს არა ფერმწერს, არამედ დანტეს თანამედროვე მინიატიურისტსა და მანუსკრიპტების დამსურათებელს, ოდერიზი დელ გუბიოს. ის უმბრიის დაბა გუბიოდან იყო წარმოშობით და მხატვრული აზროვნების ისტორიას იმით შემორჩა, რომ მას დანტე "ხალხინებლის" XI ქებაში მოიხსენიებს. ოდერიზის ცოდვილი სული, პირქვედამხობილი და მატლივით მხოსავი, ზურგზე გადებული უშველებელი ლოდით, სწორედ მას შემდეგ გამოჩნდება "ხალხინებლის" სცენაზე, როდესაც მეათე ქებაში (123-125) ვერგილიუსი იტყვის: "ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ჩვენ ვართ მხოლოდ მატლები, /ანგელოზისებრ პეპლებად ქცევისთვის დაბადებულნი, / რომლებიც უმანკოდ აფრინდებიან ღვთის სამსჯავროზე". აზრობრივად და თემატურად, დანტეს ეს ასოციაცია ელიოტის ლექსის ეპიგრაფეს ეხმაურება, თუმცა აღწერის კონკრეტულობა ცხადყოფს, რომ ელიოტი აქ აშკარად ფერწერას გულისხმობს. დანტესეული ასოციაცია მკვლევარს მართებულად აქვს მიგნებული, მაგრამ ოდერიზი დელ გუბიოს კავშირი ელიოტის ლექსთან ტექსტუალურად არ მტკიცდება.

ელიოტის პოეზიის რემინისცენციათა დაწვრილებით ცნობარში ბ.ს.საუთამი ლექსში აღწერილ სურათს უმბრიელი ფერმწერის, პიერო დელა ფრანჩესკას "ნათლისღებასთან" აიგივებს; მისი ნახვა პოეტს ლონდონის ნაციონალურ გალერეაში შეეძლო, რომელსაც ახალგაზრდობისას ხშირად სტუმრობდა. შემონახულია კიდევ ელიოტის მიერ ნიუ იორკში ნაყიდი ლონდონის სამხატვრო გალერეათა გზამკვლევი ("ბედეკერი"), რომლის ყდაზეც პოეტს საკუთარი ხელით დეტალურად აქვს აღნუსხული ის სურათები, რომელთა წინაშეც ხანგრძლივად შეჩერებულა. მათ შორის ერთ-ერთი პიერო დელა ფრანჩესკას "ნათლისღებაა". მაგრამ ნაზი, ლირიული განწყობილებით, ღია ფერების ოპტიმისტური ყღეერადონით ეს ტილო არ შეესაბამება არც ლექსის პირქუშსა და ერთობ მკვახე ირონიას და არც მის "შინაგან" თეოლოგიურ განზოგადებათა დონეს. რაც მთავარია, ლექსში აღწერილი ფიგურათა გაწლაგება ამ ტილოზე არ გვხვდება. ზოგ მკვლევარს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ ელიოტის პოეტური სურათი იმეორებს იმავე ^ნაციონალურ გალერეაში განთავსებულ სხვა დიდი მხატვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

- პიეტრო პერუჯინოს "ნათლისღებას", მაგრამ ჯერ ერთი, ლონდონში გამოფენილია პერუჯინოს ამ ტილოს მე-19 საუკუნის საკმაოდ დაბალხარისხოვანი ასლი, რომელიც ელიოტის დონის ესთეტს თვალს ნამდვილად ვერ მოსჭერიდა და მეორეც, "საკვირაო წირვის" აღწერილობას იკონოგრაფიულად არც ეს სურათი შეესაბამება.

უცნაურია, რომ "უმბრიელი ფერმწერის" ვინაობის დადგენისას "საკვირაო წირვის" კომენტატორები ძირითადად ელიოტის ლონდონურ შთაბეჭდილებებს იკვლევენ, თუმცა ცნობილია, რომ 1911-1916 წლებში პიეტრი ინტენსიურად მოგზაურობდა იტალიაში, სწავლობდა რომის, ვენეციისა და ფლორენციის მუზეუმებს და ილრმავებდა ჯერ კიდევ ჰარვარდში, ხელოვნების ისტორიის მეტად საფუძვლიანი კურსის მოსმენისას შეძენილ ცოდნას. იტალიაში მოგზაურობისას ელიოტს, იმ დროისათვის უკვე საკმაოდ განსწავლულ ესთეტს, ნაკლებად იზიდავდა საქვეყნოდ ცნობილ შედევრთა დიდებულება და როგორც პოეტს, ძალიან სპეციფიკური ტილოები აინტერესებდა თავის საკუთარ, პოეტურ მიზანთა მისაღწევად. ელიოტის ღრმა ხელოვნებათმცოდნეობით განსწავლულობას მისი წერილებიც ცხადყოფს, სადაც ის აღნიშნავს, რომ მასზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს, ვთქვათ, ვენეციელი ანდრეა მანტენიას ფერწერა მაშინ, როდესაც იტალიაში პირველად ჩასული ახალგაზრდა ამერიკელი ტურისტისაგან, წესით, უფრო თვალშისაცემი შედევრებით აღტაცებაა მოსალოდნელი.

ელიოტის ფერწერული სიმპათია-ანტიპათიები, ჩვეულებრივ, მისივე პოეტური ხელოვნების საუკეთესო კომენტარს წარმოადგენენ. მას იზიდავს ის, რაც მის პოეტურ ალღოს შეესაბამება და რაც მას საკუთარ "ტილოთა" შექმნისას გამოადგება. ალბათ ამით აიხსნება ისიც, რომ "საკვირაო წირვაში" პოეტი პერუჯინოს სულ სხვა ნამუშევარს აღწერს - სიქსტის კაპელაში ნანახ ფრესკას "ნათლისღება", რომელსაც იქ პირველად შესული დამთვალიერებელი მიქელანჯელოს "განკითხვის დღის", მისივე ჭერის მოხატულობისა და სანდრო ბოტიჩელის დიდებული ფერწერის ფონზე ძნელად თუ დააკვირდება. ის, რომ ლექსში სწორედ ფრესკა იგულისხმება, იქიდან ჩანს, რომ ელიოტის "უმბრიელი მხატვარი" სწორედ ფრესკისათვის განკუთვნილ სპეციფიკურ ზედაპირზე, კედლის სველ ბათქაშზე (gesso ground) ქმნის თავის ნამუშევარს და არა ტილოზე. ლექსი სიტყვასიტყვით გადმოსცემს პერუჯინოს ფრესკის სიმბოლიკას, მაცხოვრის "უმანკო ტერფებს, გამჭვირვალე, მეჩხერ [მდინარის] წყალში რომ ბრწყინავენ". ელიოტის ტექსტს ზუსტად შეესატყვისება ფრესკის იკონოგრაფია: ქრისტე სურათის ცენტრშია გამოსახული, მის თავზე სულიწმიდა, ხოლო ზეცაში - მამა ღმერთი, რაც სამების დოგმატზე ლექსის შინაგან, უმნიშვნელოვანეს აქცენტს გამოხატავს:

But through the water pale and thin
Still shine the unoffending feet
And there above the painter set
The Father and the Paraclete.

ერთადერთი "გადახვევა" პერუჯინოს ფრესკიდან ისაა, რომ ელიოტს თავისი სურათის ფონად "ყავისფრად დასერილი უდაბნო" შემოაქვს, ფრესკაში კი ფონი ციხე-დარბაზითა და გალავნით დამშვენებული, აყვავებული გარემოს წარმოადგენს. როგორც პეთ სლოუნი აღნიშნავს, შესაძლოა უდაბნოს ფონი ანდრეა დელ ვეროკიოს "ნათლისღებიდან" იყოს ნასესხები, მით უმეტეს, რომ ვეროკიო დიდ რენესანსულ მხატვართაგან ერთადერთია, ვინც ნათლისღების ფონად უდაბნოს სახავს. მაგრამ ვეროკიოს ფერწერა "უმბრიულ სკოლას" არ განეკუთვნება და მის ტილოზე არც მამა ღმერთის სახება ჩანს, გარდა ზეციდან გამოწვდილი ხელებისა, რომლებიც ნათლისღებას აკურთხებენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ელიოტი სწორედ ამიტომ არ ახსენებს ლექსში პერუჯინოს. ნათლისღების თემაზე მრავალი რენესანსული ტილო იყო შექმნილი და ელიოტის აღწერილობა მათ კრებით ასოციაციასაც შეიცავს. "საკვირაო წირვა" უმთავრესად პერუჯინოს ფრესკას აღწერს, მაგრამ ამავე დროს ის ამ თემაზე შექმნილი რენესანსული ტილოების განზოგადებულ სურათსაც წარმოაჩენს. მთელ ამ თემატურ ფერწერაში პოეტს ძირითადი მომენტი - სამების ერთდროული წარმოსახვა - იმდენად იზიდავს, რომ ის არც კი ახსენებს ამ ტრადიციული კომპოზიციის კიდევ ერთ კანონიკურ ფიგურას, იოანე ნათლისმცემელს, რომელიც ნათლისღებისას თავზე ასხამს მაცხოვარს იორდანის წყალს.

ნათლისღების მისტიკური არსი ელიოტს წარმოდგენილი აქვს, როგორც ღმერთის სამივე იპოსტასის ერთდროული, მყისიერი გამოცხადება. ის დროისმიერია ფორმით, რადგან წამი დროში არსებობს, მაგრამ ზედროულია შინაარსით, რადგან ეს წამი დრო კი არ არის, არამედ მყისიერების სახით ცნობიერებაში აღბეჭდილი მარადისობაა. მრავალი წლის შემდეგ, "ითხ კვარტეტში" ელიოტი იტყვის, რომ ესაა "ზედროულობისა და დროის გადაკვეთის წერტილი... წამი, რომელიც დროშია, მაგრამ დრო კი არ არის" (The moment in and out of time) და ამ "მარადიულ წამს" ინკარნაციის სიმბოლოდ წარმისახავს. მეოთხედი საუკუნით ადრე, "საკვირაო წირვაში", ინკარნაციის პოეტიკური რეალიზაცია ფერწერული ანალოგიის მოხმობით ხდება და წმინდა პოეტიკური თვალსაზრისით, დროისა და ზედროულობის დიქოტომიაც უკვე ამ ადრეულ ლექსში, სწორედ ფერწერული ასოციაციით დაიძლევა.

საქმე ისაა, რომ პოეზიისაგან განსხვავებით, რომელიც დროისმიერ, პროცესუალურ, თანმიმდევრობაში აღიქმება, სახვითი ხელოვნების ელემენტები "ერთდროულ" აღქმას ითხოვს. ფერწერულ ტილოში დროის პროცესუალობას სივრცის მყისიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლის. პოეტი თითქოს "ყვება" ფრესკას, მაგრამ მისი "მოყოლის" შედეგად მიღებული ხატი იმდენადვეა პოეტური (პროცესუალური, დროისმიერი), რამდენადაც ფერწერული (მყისიერი, "ზედროული"). ასე იქმნება მარადისობასთან წილნაყარი დროის პოეტიკური მოდელი. პოეტური აღწერის აღქმას დროის გარკვეულ მონაკვეთში მისი წაკითხვა სჭირდება, მაგრამ ის, რაც აღიქმება - ლექსის პოეტიკის ბირთვი, მისი აზრობრივ-ემოციური სათქმელი - მყისიერია და "ზედროული". ამგვარი აღქმისას დრო თითქოს ქრება. ელიოტისათვის "ნათლისღების ფრესკა" გაყინულ ნამს შეიცავს, ხოლო ეს აწმყო ნამი ის "წმინდა პროცესუალობაა", რომელიც ყველაზე მიახლოებულად გამოხატავს ღვთაებრივი არსის წარმოსახვით შექმნილ შთაბეჭდილებას, რადგან

... all time is eternally present.

... ყველა დრო მარადიულად აწმყოა.

("ოთხი კვარტეტი")

მთლიანად ლექსი, ერთი მხრივ, უსაზღვროდ სეზიფოზულსა და ღრმა თეოლოგიურ ქვეტექსტს შეიცავს, ხოლო მეორე მხრივ, ამავე ქვეტექსტს დახვეწილი ირონიის, პაროდიისა და იდეებით თამაშის ფორმით გამოხატავს. კიდევ ერთი, ამჯერად განსხვავებული ფერწერული ანალოგია რომ მოვიხმოთ, ღრმად რელიგიური და იმავდროულად ირონიულ-პაროდიული სულისკვეთებით, "საკვირაო წირვა", ისევე, როგორც ელიოტის სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ლექსი, იერონიმუს ბოსხის დიდებულ ხატგრძნობას მოგვგონებს და მის მხატვრულ მსოფლაღქმას ენათესავება. უშუალოდ ბოსხის ტიტოთა რემინისცენცი-ები ელიოტს "უნაყოფო მიწაში" აქვს მოყვანილი, სადაც ის თანადროული ურბანიზებული ყოფის "ჯოჯოხეთს" აღწერს.

საინტერესოა, რომ თავისი ისტორიის მანძილზე, მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება თითქმის არასოდეს ესწრაფვოდა ირაციონალური ზეარსის რაციონალურ წვდომას. მისგან განსხვავებით, კათოლიკურ თეოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღმერთთან ერთგვარ"რაციონალურ" დამოკიდებულებას, ყოველ შემთხვევაში - მისი არსებობის რაციონალური დამტკიცების ცდას. "წმინდა ეკლესია, ჩვენი დედა, მიიჩნევს და ასწავლის, რომ ღმერთი, ყოველივე შექმნილის დასაბამი და მიზანი, შეაძლოა გარკვეულწილად იქნას შეცნობილი კაცობრივი გონების ბუნებრივი ნათელის მიერ, შექმნილ ნივთებზე დაყრდნობით". ამას გვამცნობს თანამედროვე კათოლიკური კატეხიზმო. დასავლური რელიგიური ცნობიერების ეს თავისებურება ჯერ კიდევ ანსელმ კენტერბერიელისა და თომა აქვინელის ღმერთის არსებობის შესახებ ცნობილ მტკიცებულებებში აისახა, რაც დღესაც კათოლიკური დოგმატიკის ერთ-ერთ საფუძველს შეადგენს. პოპულარული ლეგენდა იმანუელ კანტსაც მიაწერს ღმერთის არსებობის მტკიცებულებათა შექმნას, თუმცა რეალურად კანტი ამგვარი მტკიცებულების არასოდეს ყოფილა დაკავებული. ეს განსხვავება დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანობას შორის, ხატოვნად არის მინიშნებული დოსტოევსკის დიდებულ პროზაშიც, "ძმები კარამაზოვებში": როდესაც ხუცესი ზოსიმა გარდაიცვლება, ბერები დიდი ცნობისმოყვარეობით ელიან, აუვა თუ არა სუნი მის ცხედარს, ანუ განმტკიცდება თუ არა ღვთისადაგი ზოსიმას "ნეტარობა", რომელიც, როგორც მათ მიაჩნდათ, სხეულის უხრწნელობაში უნდა გამოხატულიყო. ეს უგუნურნი, ამბობს დოსტოევსკი მთხრობელის პირით, იდეალური ზეარსის მატერიალურ მტკიცებულებებს მოელოდნენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ დასავლური რელიგიური ცნობიერების ეს "რაციონალური" სპეციფიკა იმ თავისებური ყოფითი მერკანტილიზმითა და მსოფლმხედველობრივი პრაგმატიზმით არის ნაკარნახევი, რომელიც დასავლურ მენტალიტეტს ოდითგანვე ახასიათებს. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, თვით ყველაზე ამაღლებული სულიერებაც კი დასავლურ ცნობიერებაში ხშირად რაციონალურად გაცნობიერებულ საფუძველს ითხოვს, ან ამ საფუძველს გულისხმობს. "Credo quia absurdum est" (მწამს, რამეთუ აბსურდია!) - ტერტულიანეს ეს ცნობილი სენტენციაც, შეიძლება აღვიქვათ, როგორც რწმენისადმი რაციონალური მიდგომის სასურველობის, მაგრამ მისი შეუძლებლობის დამწუხრებული აღიარება. მეორე მხრივ, ცხადია, დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა მხოლოდ ამ კუთხით კათოლიკური მსოფლმხედველობის, ან მთლიანად დასავლური მენტალიტეტის განსჯა, თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარ "რაციონალიზმსა" თუ "პრაგმატიზმს" კოლოსალური კულტურული მემკვიდრეობა, სულიერების უდიდესი ტრადიცია ეყრდნობა. ჩვენთვის უპირველესად ისაა საინტერესო, რომ "საკვირაო წირვაში" ასახული სამების დოგმატი, რომელიც დასავლურ თეოლოგიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ინკარნაციის მისტიკურ არსთან, ხშირად გულისხმობს რაციონალურ საშუალებათა მოხმობით ირაციონალურის წვდომას. სათაურში მოხსენიებული საკმაოდ პირობით "ბ-ნ ელიოტის" ნეოფიტურ ეჭვებასაც, სწორედ ამგვარი მიდგომის შესაძლებლობა იწვევს. მისი ფიქრები სამების დოგმატს დასტრიალებს და ლექსის მთელი თემატური სტრუქტურაც სხვა არაფერია, თუ არა სამებისა და უპირველესი ქრისტიანული საიდუმლოს - ნათლისღების თემაზე ინტელექტუალურად დახვეწილი, ირონიული მედიტაცია.

დასავლური თეოლოგიის თანამედროვე წარმომადგენლებიც და ადრეული ქრისტიანობის წმინდა მამებიც ელიოტს ირონიულად ჰყავს გამოყვანილი, როგორც "უფლის სწავლული მომწოდებლები" - ბრძენი თეოლოგები და თეორეტიკოსები, რომელთაგან ყოველი თავის ყაიდაზე ხსნის და კომენტარს უკეთებს სამების დოგმატს, ნათლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებას და ღვთის გამოცხადებას. სამების ერთარსება ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ისეთივე ძირითადი წარმოდგენაა, როგორც ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების რწმენა, ანუ რწმენა მამა ღმერთთან და სულიწმიდასთან ქრისტეს ერთარსებისა (consubstantiality) და თანამარადიულობისა (co-eternality). როგორც კათოლიკური კატეხიზმი გვამცნობს, "...ეკლესიამ 325 წელს, ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე აღიარა, რომ ძე მამის ერთარსია, ანუ მამასთან ერთად ერთი და იგივე ღმერთია." ამასთან ერთად, ცხადია, რომ არა მხოლოდ კათოლიკური, არამედ საერთოდ, ქრისტიანული რწმენის უმთავრესი ნაწილია ქრისტეს განსხეულება, ანუ სიტყვის ხორცად ქმნა:

"და სიტყუაი იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაი მისი, დიდებაი ვითარცა მხოლოდ შობილისაი მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა"

(იოანე, 1:14).

ელიოტის მხატვრულ მსოფლაღქმაში ქრისტეს ორგვარი ბუნება რამდენიმე სერიოზულ ეჭვსა და ლეგიკურად გადაუჭრელ კითხვას წარმოშობს. ის, რომ იოანე მახარებელი ქრისტეს ლოგოსად, ანუ ხორცად ქმნილ სიტყვად წარმოსახავს, მისთვის აშკარად ართულებს მაცხოვრის ქვეყნად მოვლინების აღქმა-გააზრებას. ერთი მხრივ, სამების ერთარსება სივრცეზე, დროსა და სიკვდილზე მეუფებას გულისხმობს, ხოლო მეორე მხრივ, ქრისტეს ხორცად ქმნისას მისი ღვთაებრივი ბუნება დროში, სივრცეში და სიკვდილში ხორციელდება, ანუ მატერიალური სამყაროთი იფარგლება და გარკვეულწილად, ამ სამყაროთი დეტერმინირდება. ის, რომ ქრისტე მკვდრეთით აღდგება და რომ ის "სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველია", ელიოტისათვის პრობლემის სრულიად სხვა მხარეა - მას უპირველესად საგნობრივ რეალობაში ღმერთის მოვლინების, მისი განკაცების მხატვრული ანალიზი აინტერესებს. თავის ეჭვების ობიექტივაციას პოეტი სათაურის "ბ-ნ ელიოტში" ახდენს, რომელიც ერთდროულად არის კიდეც და არც არის ავტორი. ბ-ნი ელიოტი "ზედაპირ" თეოლოგიურ სამყაროზე პროეცირე-ბულ, ელიოტ-პოეტის "გაობიექტურებულ" ეჭვებს და მას ეს ეჭვები ისე ესახება, როგორც ნათლისღებაში გამოცხადებული ღვთის ერთარსებისა და ქრისტიანთეოლოგია მოძღვრებების ლამის კომიკური შეუთავსებლობა:

Polyphiloprogenitive
The sapient sutlers of the Lord
Drift across the window-panes.
In the beginning was the Word.

ლექსის პირველი სტროფები გადატვირთულია ჩასახვის, ნაყოფიერებისა და წრეგადასული "ეთმოყვარეობის" გამომხატველი ირონიული სახეებით. ელიოტის გამოგონილი ხელოვნური კომპოზიტი, სიტყვა, რომელიც კურიოზად ჟღერს - Polyphiloprogenitive ("მრავალეთგაამჩენი"), უკავშირდება "უფლის სწავლულ მომწოდებლებს" (Sapient sutlers of the Lord), როგორც მათი დახასიათება, ხოლო თვით ეს "მომწოდებლები" ფანჯრის რაფების გასწვრივ ისე "მიცურავენ", როგორც ლექსის მეშვიდე სტროფში მიფრინავენ ფუტკრები კედლის გასწვრივ. უნდა ვივარაუდოთ, რომ სათაურის იმპერსონალური "ბ-ნი ელიოტი" წირვისას თვალს ავლებს ფერადი მინის სარკმელებზე გამოსახულ წმინდა მამებს და სწავლულ თეოლოგებს (sapient sutlers), რომლებიც მის თვალწინ ერთი ვიტრაჟიდან მეორეზე მონაცვლეობენ. "მომწოდებლებში" თეოლოგიურ თეორიათა მომწოდებლები იგულისხმება; "sutler" ერთდროულად "საქონლის მომწოდებელსაც" ნიშნავს და ამ "საქონლით" მოვაჭრესაც; "საქონელი" ამ პაროდიულ კონტექსტში "სულიერი საზრდო", ანუ თეოლოგიური კონცეფციაა. ასე რომ, "Polyphiloprogenitive / The sapient sutlers of the Lord" სიტყვასიტყვით "უფლის მრავალძეთმოყვარე, სწავლულსა და სულიერი საზრდოს მომწოდებელ ვაჭრუკანებს" ნიშნავს. ამ გროტესკულ-ირონიული ეპითეტით, ლექსში როგორც თანადროული, ისე წარსულის კლერიკალური სამყარო შეიმჯობა. მისი ნონსენსამდე ჩახლართული აზრი და საგანგებოდ აბსურდული ფორმა სქოლასტიკური ტექსტებისა და თეოლოგიური კაზუისტიკის სტილურ პაროდიად არის ჩაფიქრებული. სწორედ ამგვარი შარადების მოყვარულები განასახიერებენ საზოგადოების იმ "სწავლულ" ნაწილს, რომელიც ზეარსის ჭეშმარიტ ბუნების ინტერპრეტაციას იბრალებს, არსებითად კი მისგან ძალზე შორს დგას.

"შავით მოსილი მღვდლები" (sable presbyters) ღმერთის სადიდებლად უამრავ "სიტყვას" იხმობენ, მაგრამ საკუთრივ სიტყვისა არა გაეგებათ რა. ლექსის ასოციაციურ პლანში პაროდიულად არის გათამაშებული "სიტყვის" ორმაგი, თეოლოგიური და საერო მნიშვნელობა: უმანკოდ ჩაისახა და შემდეგ იშვა სიტყვა, ლოგოსი, ღვთისმეტყველები კი "მრავალეთმოყვარეობით" (მრავალსიტყვაობით) ყალბ "სიტყვებს" ქმნიან, ანუ უკვე ჩასახულის, "τo–εν"-ის (ღვთის ერთარსებას, "ერთარსს" ნიშნავს ძველბერძნულად) "სუპერფეტაციას" ახდენენ. სამედიცინო ტერმინი "სუპერფეტაცია" ნიშნავს უკვე ჩასახულ ნაყოფზე თავიდან ჩასახვას და ამგვარი "ზეჩასახვიდან" მრავალი ნაყოფთა განვითარებას. "სულიერი საზრდოს მომწოდებლებს," ნათლისღების მისტიკური არსის წვდომის სანაცვლოდ, მრავალ "ჩანასახთა ჩასახვა" გამოსდით, სიტყვას ისინი "სიტყვებით" ცვლიან, რაც ღვთაებრივ არსთან დაპირისპირება უფროა, ვიდე მისი ინტერპრეტაცია. თვით სიტყვა "Service", ლექსის სათაურში აშკარად ორმაგ, ირონიულ კონოტაციას შეიცავს: ერთი მხრივ, ესაა წირვა, საეკლესიო ღვთისმსახურება ყველა ქრისტიანისათვის უმნიშვნელოვანეს უამს - კვირა დღის დილას; მეორე მხრივ - ესაა "სერვისი", რომელსაც

"მოძწოდებელი ვაჭრები" თავიანთ "მუშტრებს" - საეკლესიო კონგრეგაციის წევრებს, მრევლს და ყველა ჩვენგანს სთავაზობენ.

თეოლოგიურ უუნარობას, ფიზიკური უუნაროობაც ერთვის და სიმბოლურად მასვე გამოხატავს. ის, რომ ეკლესიის მამათა შორის უდიდესმა - "დაღლილმა და გამოფიტულმა" ორიგენემ ავტოკასტრაციის გზით ზეარსის წვდომა განიზრახა (ყმაწვილკაცობაში მას სიტყვასიტყვით გაუგია მათეს სახარება: "არიან საჭურისნი, რომლებმაც თვითონ დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფევლისათვის" 19:12), ელიოტისათვის ხორცის გვემისა და სულის ამაღლების ნიშანს კი არ წარმოადგენს, არამედ ღვთის წვდომის უუნრობის, სულიერი კასტრაციისა და უნაყოფობის სიმბოლოს:

In the beginning was the Word.
Superfetation of το–εν,
And at the mensual turn of time
Produced enervate Origen.

"სიტყვათსიმრავლის" თვალსაზრისით, ორიგენე სწორედ რომ ყველაზე "ნაყოფიერი" მოღვაწე და თეოლოგი იყო. მისი თანამედროვისა და ადეპტის, "ორიგენეს აპოლოგიის" ავტორის, ევსებიუსის ცნობით, ორიგენეს ეგზეგეტიკური ნაშრომები 6000 ტომს (გრაგნილს) ითვლიდა. ლექსის ასოციაციურ პლანში ეს გარემოებაც ოსტატურად გამოიყენება როგორც "კასტრაციისა" და "ნაყოფიერების" ირონიულ-პაროდიული შეუთავსებლობა, როგორც ორიგენეს "სიტყვიერი" ნაყოფიერებისა და მისი რეალური, სულიერი (ფიზიკური) უნაყოფობის კონტრასტი. ორიგენე თავისი მოძღვრებით სწორედ "სუპერფეტაციის" ნაყოფია და ის "მენსუალურ" დროს იშვა. ლექსიკონებში არდაფიქსირებული ტერმინი "mensual", ელიოტის მიერ შეთხზული ევფემიზმს წარმოადგენს სიტყვისათვის "menstrual" (მენსტრუალური) და გულისხმობს როგორც დროის "ყოველთვიურობას", მის თვეებად დაყოფას (ასე ხსნის ამ სიტყვას ტორონტოს უნივერსიტეტის კომენტარებული გამოცემა), ასევე, ცხადია, მენსტრუალურ ციკლს. ის, რომ ორიგენი "მენსტრუალურ დროში" იშვა, მისი სულიერი უნაყოფობის კიდევ ერთი სიმბოლური მინიშნებაა, რადგან როგორც ცნობილია, მენსტრუაციის დროს განაყოფიერება შეუძლებელია. როგორც ვხედავთ, საგანგებოდ ნატურალისტურსა და პოეტური ტექნიტისათვის ერთონ ოდიოზურ სახეებს ელიოტი ხშირად სულიერ და ინტელექტუალურ მოვლენათა მეტაფორად იყენებს, რაც მის იმჟამინდელ ავანგარდისტულ შეხედულებებს შეესაბამება. ელიოტს მიაჩნდა, რომ "არაპოეტური" თემა ბუნებაში არ არსებობს და თვით ყველაზე "ბინძური და ალმაშფოთებელი რეალობაც" კი (sordid reality) შესაძლოა და უნდა იქცეს კიდეც პოეტური ასახვის საგნად.

ორიგენეს სახე ლექსში მხოლოდ მწვავე ირონიის ობიექტად არ მოიხმობა, მას სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვაც გააჩნია. პოეტი აქაც არ ლალავს ტობს ჩვეულ ორაზროვნებასა და ირონიულ, ინტელექტუალურ თამაშს. საქმე ისაა, რომ ორიგენეს ეგზეგეტიკას უუსალო კავშირი აქვს თვით ელიოტის რელიგიურ ეჭვებთან და რომ საღვთო წერილის ამ კომენტატორს განსაკუთრებით ვრცლად, სწორედ იოანეს სახარების პირველი თავი ჰქონდა კომენტირებული. შემთხვევითი როდია, რომ იოანეს სახარების ცნობილი დასაწყისი - "პირველითგან იყო სიტყვა", - ლექსში ორჯერ არის ციტირებული. თუ სიტყვა "პირველითგან იყო", მაშინ როგორღა "იქმნა" იგი? მაშასადამე, ქრისტეს "დასაბამი" ჰქონია და რადგან მამა ღმერთმა შვა იგი დროსა და სივრცეში, აქედან გამომდინარე, ის არც მარადიული ყოფილა. მაგრამ პავლე მოციქული ცხადად და არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ ქრისტე თვით ქრისტესშობამდე მარადიული იყო: ღმერთმა "გვიხსნა ჩვენ... თვისი ნებითა და მადლით, რომელიც მოგვცა ჩვენ ქრისტე იესოში, საუკუნეთა უწინარეს" (ტიმოთე, 1:9). იმავეს ღაღადებენ სხვა მოციქულნიც და ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად, წმინდა წერილის ორივე აღთქმაც. იქნებ მართალი იყო ორიგენე, რომელიც ქადაგებდა ("De Principiis") თვით შესაქმემდე ყველა სულის არსებობას, მათ მარადიულობასა და უკვდავებას არა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, არამედ ფიზიკურ დაბადებამდეც? იქნებ მართებული იყო მისი წარმოდგენა სულის "წინაარსებობის" შესახებ, ანუ ადამიანის შექმნამდე მისი სულის "უკვე" მარადიულობის შესახებ, რომელიც, ცოდვათა გამო დასჯის მიზნით, ღმერთმა დროებით სხეულში დაატყვევა? იქნებ არ ტყუოდა ორიგენე თვით ქრისტეს ადამიანური სულის წინაარსებობის შესახებაც, რომელიც თითქოს განხორციელებამდე არსებობდა ღვთაებრივი არსის ნაწილად? განა ორიგენე არა თვლიდა, რომ ქრისტეს უსასრულო სიკეთისა და მადლის წყალობით, თვით ჯოჯოხეთიც და მასში მოვლენილი ტანჯვაც სასრულია, რომ ქრისტეს თანადგომითა და შუამავლობით, ყველა ცოდვილ სულსა და ანგელოზს, თვით ეშმაკსაც კი,(!) დაუბრუნდება პირველადი, უმანკო არსებების ეთეროვანი მდგომარეობა და რომ ყველაფერი საყოველთაო ხსნით დამთავრდება? "საკვირაო წირვის" მეექვსე და მეშვიდე სტროფები, სწორედ "ორიგენისტულად" გაგებულ სალხინებლურ თემატიკასა და ხსნის მომლოდინე სულთა ხსენებას ეთმობა. მაგრამ სწორედ "მრავალძეთმოყვარე" საძმომ გადასცა ანათემას ორიგენეს სახელი კონსტანტინეპოლის მეორე საეკლესიო კრებაზე მაშინ, როდესაც თვით ორიგენე, უკვე სამასი წლის გარდაცვლილი იყო...

ორიგენეს მსგავსად, ორმაგ კონოტაციას - პოზიტიურსა და ნეგატიურს, "საკვირაო წირვის" რამდენიმე სხვა სახეც შეიცავს. მთლიანად ლექსის სულისკვეთება, ერთდროულად ანტიკერიკალურიც არის და ღრმად რელიგიურიც; მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განნყობილება უაღრესად სერიოზულიცაა და სარკასტულ-ირონიულიც, ხოლო პოეტიკა - "პროცესუალურიც" და "ზედროულიც". მრავალნიშნად აზრობრივ-ემოციურ დატვირთვას შეიცავს ეპიგრაფი, რომელიც ქრისტოფერ მარლოს (1564-1593) "მალტელი ებრაელის" ციტატს წარმოადგენს (მოქმ.IV, სურ. I): "შეხედე, შეხედე ბატონო, აი, ორი რელიგიური მატლი (caterpillars) მოხოხავს!" ამ სიტყვებს მსახური იტამორი ეუბნება მდიდარ ებრაელ ბარაბას, კათოლიკე ბერების დანახვისას. ეპიგრაფი ნასესხებია იმ სცენიდან, სადაც ბარაბა და მისი მსახური, რომლებმაც ცოტა ხნით ადრე მთელი დედათა მონასტერი მოწამლეს, უღირსი ბერების მდაბალ მორალს ააშკარავებენ. ბარაბა, რომელსაც დანაშაულის გამოაშკარავების ეშინია, თვალთმაქცურად ჰპირდება ბერებს - ჯაკომოსა და ბერნარდინს, რომ ქრისტიანად მოექცევა და ამ მოქცევის აღსანიშნავად, მათ მთელი თავისი ქონებით დაასაჩუქრებს. ბერები ამ შემოთავაზებას ენთუზიაზმით ხვდებიან და დაპირებული ქონების დაყოფის გამო, ერთმანეთში კამათიც კი მოსდით. მალოოს დრამაში საუბარია ღვთისმსახურთა სიმსუნაგეზე, ელიოტის ლექსში კი, ისინი სიმბოლურად დანტეს "საღხინებლის" მეათე ქების ასოციაციას უკავშირდებიან. "Caterpillar", რომელიც მატლის გარდა, "გამომძალველის" მნიშვნელობითაც გვხვდება მარლოსთან, სიტყვასიტყვით იმ აბრეშუმის ჭიას ნიშნავს, რომლისგანაც შემდეგ პეპელა ვითარდება, ანუ, სწორედ იმ მეტამორფოზის შესაძლებლობას შეიცავს, რომელზედაც ლექსშია ყურადღება გამახვილებული. ერთი მხრივ, ბერები ის "მატლები" არიან, რომლებიც, "ანგელოზისებრ პეპლებად ქცევისთვის დაბადებულნი, უმანკოდ აფრინდებიან ღვთის სამსჯავროზე" ("საღხინებელი", ქება X), ხოლო მეორე მხრივ, - ისინი უბრალოდ, ანაფორაში ჩაცმული გამომძალველები არიან ("caterpillar" მარლოს ეპოქის მეტყველებაში ხშირად იხმარებოდა, როგორც გაუმაძღარი, მსუნაგი ადამიანის სინონიმი). ელიოტის ლექსში ყველა ეს ასოციაცია ერთდროულად "მუშაობს", კონტრასტი ირონიულ ეფექტს ქმნის; ბერები სულიერი ამაღლებისაკენ არიან მოწოდებულნი, მაგრამ ისინი საგნობრივი რეალობის ტრფიალისა და მომხვეჭელობის მორევში არიან ჩაფლული. უფრო მეტიც, ამ რეალობას თავად განასახიერებენ.

შავად მოსილი მღვდლების ირონიულ სახეებს ლექსის მეხუთე სტროფშიც ვხვდებით. ისინი უკვე "მონანიების გზაზე შემდგარან" და მათ შორის ყველაზე ახალგაზრდებს, აკნეთი გადასასვლელი წითელი სახეებით, ხარბად აქვთ მუშტებში მომწყვდეული მრეველის შემონაწირი პენსები. აკნე - მოზაზდთა ჰიპერსექსუალობისა და სქესობრივი დაუკმაყოფილებლობის სიმბოლო - განუხორციელებელ სქესობრივ ფანტაზიებს, არშემდგარ სექსსა და უნაყოფობას განასახიერებს. პირფერული თავშეკავება, ისევე, როგორც უაზრო ასკეზა (ორიგენეს ავტოკასტრაცია), ლექსში ფუჭი თეოლოგიური ეგზერსისებისა და თეორიული სიტყვათმრწამების ირონიულ სიმბოლოს წარმოადგენს. ახალგაზრდა მღვდლებს აკნეკი მათ თეოლოგიურ უუნარობაზე მიანიშნებს - "მრავალძეთმოყვარეთა" ახალი თაობა წინამორბედთაგან არაფრით განსხვავდება. ასკეტიზმთან დაკავშირებული ირონია, მარლოს ასოციაციათა პლანშიც იღებს დასაბამს: ბერებთან შეხვედრამდე, "მალტელ ებრაელში" იტამორი ეკითხება თავის ბატონს, ბარემ მამათა მონასტერიც ხომ არ მოგვეწალმალო, ხოლო ბარაბა პასუხობს, რომ ბერები თვითონ მოიკლავენ თავს, როცა გაიგებენ, რომ მონაზონთა დახოცვით, სიამოვნების ასეთი წყარო მოვუსპეთო. აქ წინ წამოიწევს ბერმონაზონთა პირფერობის, მოჩვენებითი სათნოებისა და მრუშობის მოტივი. ელიოტის ეს საკმაოდ პესიმისტური, პირქუში ირონიითა და სარკაზმით აღსავსე ლექსი, ისევე შეიძლება წავიკითხოთ, რომ ამაღლებული ზნეობრივი იდეალი სადღაც, ტაძარში, განყენებულ ფრესკაზეა წარმოსახული, ხოლო უკუღმართ რეალობაში კი მას აღმაშფოთებლად ვულგარული სუინი ცვლის. ხსნა აძქვეყნად არ ჩანს - ფასეულობები თავდაყირაა დაყენებული, ბოროტება ზნედაცემულობას ებრძვის.

ლექსის ბოლოს, ელიოტის პაროდიული ინსექტარიუმი (მატლები, ჭუპრები, პეპლები, აბრეშუმის ჭიები) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახით ივსება: ტაძარი ბაღად გადაიქცევა, სნავლული თეოლოგები - ფუტკრებად, რომლებიც ისევე დაფრინავენ ღობის გასწვრივ, როგორც "მომწოდებლები" - ტაძრის ვიტრაჟებზე. თეოლოგების "მწერებად" წარმოდგენა ლექსის ასოციაციურ სახეთა კონტექსტში, უცილობლად იწვევს ირონიმუს ბოსხის ცნობილი სურათის, "განკითხვის დღის" ასოციაციას, სადაც ჯოჯოხეთურ ქმნილებებად და სულთა მტანჯველ დემონებად, სწორედ მწერები არიან წარმოსახული. სალხინებლური სიმბოლიკის პაროდიას ლექსის მეექვსე სტროფში ვხვდებით:

Under the penitential gates
Sustained by staring Seraphim,
Where souls of the devout
Burn invisible and dim.

"მომნანიებელთათვის განკუთვნილ" ბაღის კარიბჭეს ელიოტის ლექსში "თვალებდაჭყეტილი" სერაფიმი დარაჯობს, ხოლო შიგ ბაღში, ცოდვილთა "მორჩილი სულები, ნელ ცეცხლზე უჩირრად ინვიან", ფუტკრები კი ისე დაფრინავენ წარმოსახვით ყვავილებს შორის, რომ "მამრობითი" მტვერი, "მდედრობით" ბუტკოებზე არ დადაქცთ, რითაც თავიანთ "მომწოდებლურ" (გამანაყოფიერებელ) ფუნქციას ვერ ასრულებენ და, ფაქტობრივად, ფუჭად ცდებიან, ანუ - "ნეტარკურთხეულ სამსახურს" აღასრულებენ...

Along the garden-wall the bees
With hairy bellies pass between

ეროვნული ბიბლიოთეკა

The staminate and pistilate,
Blest office of the epicene.

ფინალი, სადაც სუინის ბანაობის სცენაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ლექსის სიმბოლური კონტექსტის მრავალნიშნადობა ამ სახეში კულმინაციას აღწევს, რადგან ის პრაქტიკულად ყველა სიმბოლურსა და ასოციაციურ მოტივს აერთიანებს. სუინის უშნო ტლინკაობა წყალში, ნათლისღების პაროდიად არის წარმოსახული. მდინარე იორდანეს აქ აბაზანის აქაფებული წყალი ცვლის, მაცხოვრის "უმანკო ტერფებს" - ძონძროხა სუინის ლაჯები, ხოლო ფრესკაზე გამოსახულ მაცხოვარს, თვით ხაზგასმულად ხორციელი და მკაფიო ფერებში დახატული სუინი განასახიერებს. მაცხოვარი ფრესკაზეა გამოსახული, მისი "უმანკო ტერფები" მარადიულ "ახლაში" ბრწყინავენ, სუინის "ახლა" კი, ღღვევანდელ საგანთა სინამდვილეა, ის ფიზიკური დროისა და გრძნობად-აღქმადი რეალობის მკვიდრია. ვულგარულსა და ზნეობრივად გარყვნილ სამყაროში პრესვიტერებმა "ზორცად ჰქმნეს" ქრისტეს გროტესკული ანალოგია: მათი წყალობით, მრეველს სწორედ ის "ღმერთი" ჰყავს, რომელსაც იმსახურებს. "დახვეწილ სკოლათა მაგისტრები"-ო, მომაკვდინებელი ირონიით დასძენს ელიოტი, "წინააღმდეგობრივნი არიან და მრავალმხრივ განსწავლულნი":

The masters of the subtle schools
Are controversial, polymath.

კომპოზიციური თვალსაზრისით, ლექსის ფინალი პაროდიულად იმეორებს პერუჯინოს ფრესკის აღწერილობას, ხოლო მისი დამაგვირგვინებელი სიტყვა - პირველ, გროტესკულ სახეს. თუ "polyphiloprogenitive"-ს ირონიულ მეტაფორიკასა და საგანგებოდ ჩახლართულ ასოციაციებს ჩამოვაცილებთ, აზრობრივად ის სწორედ "მრავალმხრივ განსწავლულს" ("polymath"-ს) გულისხმობს. მაგრამ "საკვირაო წირვის" სპეციფიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი "ოპერაციის" ჩატარება შეუძლებელია. თუ ლექსს მეტაფორიკასა და ასოციაციურ სირთულეს ჩამოვაშორებთ, წასაკითხი ან აღსაქმელი აღარაფერი დაგვრჩება. სწორედ აქ ვლინდება მეტაფიზიკოსთა "მახვილგონივრული" ტრადიცია, რომელიც ელიოტს აზრის უკიდურესი კონცენტრაციითა და ასოციაციურ ხატოვანებაში მისი "გაჯერებით", თვისებრივად ახალ საფეხურზე აჰყავს. ეს "გაჯერება" ელიოტის პოეზიაში ზუსტად იქ ეტაპზეა შეჩერებული, სადაც აზრი მთლიანად ხატოვანებაში "იხსნება", მაგრამ ჭურჭლის ფსკერზე ნალექად არ გამოიყოფა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლექსის სათქმელი მთლიანად მის ასოციაციურ ხატოვანებად ხორციელდება, ურომლისოდაც ამ სათქმელის ადეკვატური აღქმა შეუძლებელია: "ცალკე აღებული", არახატოვანი სახით, ის არც არსებობს რეალურად. თვალსაჩინოების მიზნით, სავსებით შესაძლებელია იმ მასალის, რომელსაც პოეტი იყენებს (ასოციაციური წყარო, ნასესხები სახე, აზრი თუ "იდეა"), ცალკე კომენტირება, მაგრამ ლექსის პერიფერაზი, მთლიანობაში შეუძლებელია; ელიოტი არაფერს "გულისხმობს" - თვით ლექსი, მთელი თავისი ხატოვანებითა და ასოციაციური სირთულით, არის ის, რასაც პოეტი "ამბობს".

"რომანში რომანის შესახებ" თომას მანი წერდა, რომ "მწერლისათვის აზრს თავისთავადი ღირებულება არ გააჩნია; მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ აზრის ქმედითობა ნაწარმოების ინტელექტუალურ მექანიზმში". ეს დებულება ძალზე ახლოს დგას ელიოტის პოეტურ ესთეტიკასთან: "მოაზროვნე პოეტი, - აღნიშნავს ის "შეექსპირსა და სენეკას სტოიციზმში" - უბრალოდ, აზრის ემოციური ეკვივალენტის გამომხატველი პოეტია". ის, რაც ელიოტს დონისა და ენდრუ მარუელის პოეზიაში იტაცებს, - "მსუბუქი ირონიისა (levity) და სერიოზულობის სინთეზი, სადაც სერიოზულობა უკიდურეს სიმძაფეს იძენს" (ესეი "Andrew Marvell"), იმ უნიკალური ესთეტიკური ხედვის ნაწილს შეადგენს, რომელიც ცნობილია, როგორც "მეტაფიზიკური მახვილგონიერება" (Metaphysical wit). სწორედ მახვილგონიერება, ანუ ლექსის ასოციაციურ სახეებთან ირონიული, თამაშისებური დამოკიდებულებაა წარმოსახვის იმ რთული მეთოდის არსი, ურომლისოდაც "საკვირაო წირვის" აზრობრივი საფუძველი (რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მისი "თავისთავადი" თეოლოგიური ფასეულობა), პოეზიისაგან ძალზე შორს მდგარი ფაქტების მარტივ კონსტატაციად აღიქმება.



"ყველა ხე მუხაა..."

სიტყვა მწერლობაზე

ამ მწერალმა, ქირის ფულის დასაზოგად კოლეჯის საცხოვრებელში რომ დაუდვია ბინა, კარგად უწყის, რომ სწორედ მას ევალება სხვა მწერლების გადმოპატიჟება თავის კოლეჯში; სტუმარს შესაფერისი მასპინძლობაც უნდა გაუწიოს, აუდიტორიასაც წარუდგინოს და სტუდენტებთან ერთად მოთმინებით უნდა იჯდეს არაფორმალურ სემინარებზე, რომლითაც გვირგვინდება ხოლმე საპატიო სტუმრის მორიგი ვიზიტი. ამდაგვარი შეხვედრები, ჩემი აზრით, კოლეჯების ლიტერატურული პროგრამის უდავოდ სასარგებლო ნაწილია: სტუმრისთვის აშკარად მომგებიანი, რადგან მას ან ფულს უხდიან, ან სხვა რაიმე ფორმით მიაგებენ საზღაურს და თანაც რამდენიმე დამატებითი მკითხველის შოვნის შანსიც ეძლევა; მსმენელები კი სულიერ საზრდოს იღებენ (ისინიც კი, ვისაც ლიტერატურულზე უფრო მეტად სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური თუ კლინიკური ინტერესი აიძულებს აუდიტორიაში ჯდომას); და ბოლოს, კვ ყველაფრისგან მცირედ სარგებელს მასპინძელი მწერალიც ნახულობს. ახლა შევეცდები თქვენც დაგარწმუნოთ ამაში:

ორმოციანი წლების დასასრულს და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჩემი, ჯერ როგორც ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის უფროსკურსელის, შემდგომ კი დამწყები მწერლის ლიტერატურული გემოვნება თუ აღმაფრენა უ. ჰ. ოდენის, ი. ი. ქამინგსის, ჯონ დოს პასოსის და დილან თომასისნაირი კაშკაშა ვარსკვლავების ლექციებზე იხვეწებოდა. მახსოვს, ერთხელ თომასს საჯარო ლექციის დაწყებამდე პირდაპირ აუდიტორიის სანაგვე კალათში აღებინა და ჩვენი ფაკულტეტის დეკანმა გონზე მოსასვლელად კოლეჯის ეზოში გაიყვანა, ერთხანს იქ ასეირნებდა, მერე კი ქიმიის აუდიტორიაში შემოუძღვა, რადგან სწორედ იქ უნდა შემდგარიყო მისი ლექცია. სცენას კედლების გასწვრივ ლაბორატორიის ონკანები ამშვენებდა, უკანა კედელზე კი ძველი, 92-ელემენტიანი პერიოდული სისტემის ცხრილი ეკიდა და თომასიც თავდავიწყებით შეუდგა ისეთი სრულქმნილი, მგზნებარე და... ტოქსიკური პოეზიის დეკლამირებას, რომლის მაგვარიც იქამდე არაფერი მსმენოდა; ახლაც ჩამესმის ყურში უმანკო, ანგელოზისსახიანი უელსელის ომახიანი სიტყვა, ჩვენ, იანკი უფროსკურსელებს რომ მოგვიწოდებდა, მშვიდად არ შეხვდეთ ღამის დადგომას, წინ აღუდგექით ნათლის გაქრობას-ო.

შემდგომ, საუნივერსიტეტო ცხოვრების კვალდაკვალ - პენსილვანიის კოლეჯებში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ბუფალოში, ბოსტონის უნივერსიტეტში, მერე კი ისევ ჰოპკინსის უნივერსიტეტში - ხშირად მიწევდა ლიტერატურულ ვარსკვლავთა მასპინძლობა და აუდიტორიის წინაშე მათი წარდგენა: უმეტესწილად ეს სამუშაო ჩემთვის სასიამოვნოც იყო და სასარგებლოც, რადგან, ჯერ ერთი, საშუალება მეძლეოდა თვალნათლივ დამენახა, თუ რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ჩვენგანაც ეს პატივცემული თანამოკალმეები, მეორეც, უნდა შემედგინა წარსადგენი ტექსტი და მკაფიოდ ჩამომეყალიბებინა ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ რა გამოარჩევდა მათ შემოქმედებას და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, სწორედ ამ საუნივერსიტეტო სემინარებზე ვისმენდი, თუ შიგადაშიგ როგორ მოძღვრავდნენ აღფრთოვანებულ მწერლებს ჩვენი გამოჩენილი სტუმრები.

მინდა გავაფრთხილო ეს აღტაცებული ახალგაზრდები: ზოგიერთ მათგანს მომავალში შეიძლება მოუწიოს ამ არცთუ უსიამოვნო მოვალეობის შესრულება და მჯერა, ისინიც, ჩემი არ იყოს, მიხვდებიან, რომ უმჯობესი იქნებოდა მეტი სიფრთხილით მოკიდებოდნენ ნებისმიერ განზოგადებულ რეკომენდაციას იმაზე, თუ როგორ უნდა დაეწეროს მოთხრობა ან ლექსი და როგორი ცხოვრებით უნდა იცხოვროს თავად შემოქმედმა; რადგან ის, რაც ერთი მწერლისთვის იქნება კარგი რჩევაც იყოს, მეორისთვის შეიძლება ნაკლებგამოსადეგი ან სულაც დამღუპველი აღმოჩნდეს (ეს განზოგადებული რჩევა თამამად შეუძლიაჯ ირწმუნონ). გარდა ამისა, იმედს ვიტოვებ, რომ ამ რჩევას რჩევის შესახებ სამომავლოდ ის იღბლიანებიც გაითვალისწინებენ, ვისაც ერთ მშვენიერ დღეს თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარადგენენ აუდიტორიის წინაშე (მათ, ვინც ადრე მხოლოდ სხვებს წარადგენდა): ის, რაც ემილი დიკინსონს რგებდა, ლორდ ბაირონს ვერაფერ სამსახურს გაუწევდა; ნაკლებსავარაუდოა, რომ პრუსტის, კაფკას, ჰენერი ჯეიმსისა თუ ჰემინგუეის შემოქმედება ერთიმეორის მსგავს გარემოში გაფურჩქნილიყო.

ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, შესაძლებლობა რომ მეძლეოდა ორ ამპლუაში გამოვსულიყავი, ზოგჯერ მე წარვადგენდი სხვას და ზოგჯერაც - მე წარმადგენდნენ. ამ პირველი საქმის კეთება ისე ზშირად მიწევდა, რომ ისიც მიფიქრია - თითქმის სერიოზულად - ხომ არ დამეწერა წიგნი სათაურით "წარმოგიდგენთ თანამედროვე ლიტერატურას", სადაც შევიდოდა ჩემი "შესავალი სიტყვები" ისეთ ავტორებზე, როგორებიცაა (ანბანური რიგით) ედუარდ ოლი, პოლ ოსტერი, ძმები ბართელმები (დონალდი, ფრედერიკი და სტივენი), ენ ბიტი, ხორხე ლუის ბორხესი, რიჩარდ ბროუტიგანი, იტალო კალვინო, რეიმონდ კარვერი, რობერტ ქუვერი, ხოსე დონოსო, უმბერტო ეკო, სტენლი ელკინი, რალფ ელისონი, ლუის ერდრიჰი, ჯონ გარდნერი, უილიამ გასი, ჯონ ჰოკსი, ჯოზეფ ჰელერი, ლარი მაკმერთრი, ჯეიმს მიჩენერი, ჯოის კეროლ ოუტსი, გრეის პელი, რიჩარდ პაუერსი, მერი რობისონი, ენ სექსტონი, ი. ბ. ზინგერი, რობერტ სტოუნი, უილიამ სტაირონი, ენ ტაილერი, ჯონ ადდაიკი, მარიო ვარგას ლიოსა და კურტ ვონეგუტი. მეორე ამპლუაში გამოსვლისას - როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხან აქ და ხან იქ, აუდიტორიის წინაშე თავს ვიწონებდი მახვილსიტყვაობით ან ლიტერატურულ სემინარებს ვუძღვებოდი - ჩემი თავი ზშირად დამიჭერია იმაზე, რომ მომყავდა ოდესღაც ჩემ მიერ წარდგენილი ამა თუ იმ მწერლის გამონათქვამები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით; და როგორც წესი (მაგრამ არა ყოველთვის), ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ მათ სიტყვებს ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დაეტოვებინა; ზოგჯერ კი იმიტომ, რომ, მართალია, მათი აზრები თავისთავად მეტად ღირსსახსოვარი იყო, მაგრამ მაინც მოითხოვდა გარკვეულ დაზუსტებას ან კომენტარს მაინც; ხანდახან კი მხოლოდ იმის გამო, რომ ავტორთა მიმართ ჩემი უღრმესი პატივისცემის მიუხედავად, კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი მათ და არ ვისურვებდი, რომ ეს მათი გამონათქვამები ვინმეს უფლის სიტყვად მიეღო.

ცალ-ცალკე შევჩერდები მწერლების ამ სამივე კატეგორიაზე და ბოლო, მესამე კატეგორიით დავიწყებ: მახსოვს, კურტ ვონეგუტმა როგორ გაანცხადა ღიმილით და მხრების აჩეჩვით, მაგრამ თითქმის სერიოზულად, რომ "ყველა სხვა მწერლის მსგავსად", ის თავის ნაწარმოებებს "იმ ფარული და უტოპიური იმედით წერს, რომ შეძლებს სამყაროს შეცვლას". ამას მოჰყვა ჩემი თავაზიანი რეპლიკა: "არა ყველა ჩვენგანის მსგავსად, კურტ; ზოგ ჩვენგანს მხოლოდ ამბის გადმოცემა სურს". მაგრამ, ვინ იცის, ვონეგუტი ერთ ერთ ვერმახტის ტყვე რომ ვყოფილიყავი და მოკავშირეთა ავიაციისგან დრეზდენის დაბომბვებს სასწაულით გადავრჩენოდი, მეც ალბათ ასეთივე ფარული იმედით დავიწყებდი წერას.

დონალდ ბართელმმა იმავე სტილში აუწყა აუდიტორიას თავისი სანუკვარი ოცნების შესახებ: სურდა დაეწერა "წიგნი, რომელიც ლიტერატურას ერთხელ და სამუდამოდ შეცვლიდა". რა უნდა მქონოდა ამის საწინააღმდეგო, მით უმეტეს, რომ ბართელმს არც განზოგადება უცდია და არც ვინმესთვის რჩევის მიცემა; მხოლოდ ის ვთქვი, რომ ამ ტიპის მისწრაფება დამახასიათებელია რომანტიზმის ზოგადი ესთეტიკისთვის, რომელსაც კი აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ერთადერთ სიცოცხლისუნარიან მიდგომად ნამდვილად ვერ ჩაითვლება: ვეჭვობ, ვირგილიუსს თავისი ენეიდა ლიტერატურის ან სამყაროს გარდაქმნის მიზნით დაეწერა; მას ალბათ მხოლოდ იმის ჩვენება სურდა, რომ თავად ის, რომი და ლათინური ენა არ აპირებდნენ ქედის მოდრეკას ჰომეროსის, ელადის და კლასიკური ბერძნული წინაშე, თუმც, თავისთავად არც ესაა მაინცდამაინც მოკრძალებული სურვილი. რაც შეეხება "ლიტერატურის შეცვლის" თემას, როცა ჩემმა მაშინდელმა გამოჩენილმა კოლეგამ ჰიუ კენერმა განგვიცხადა, ლიტერატურა მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც უკლებლივ ყველა მწერალმა დაიწყო თავისი ნაწარმოებების მანქანაზე ბეჭდვა იმის ნაცვლად, რომ კალმითა და ფანქრით წეროსო, თავი ვერ შევიკავე და შევეპასუხე, რამდენიმე ჩემნაირ ტროგლოდიტს მანქანაზე დაბეჭდილ გამოცალკეევებულ ასოებს, მეტროს ფრთხილი მგზავრებივით ერთმანეთისგან დისტანცირებას რომ ცდილობენ, ჯერაც ურჩევნია ავტოკალმით ნაწერი ტექსტი - უკიდურეს შემთხვევაში, თავდაპირველ ვარიანტს მაინც ხელით წერს, იქამდე, ვიდრე დღის ნაჯაფს საღამოს კომპიუტერზე აკრეფდეს-მეთქი.

მოგვიანებით ეს ეპიზოდი მოვუყევი ენ ტაილერს, როცა ის ჩვენ კოლეჯს სტუმრობდა, და დიდად მეამა, როცა გავიგე, რომ თავისი ნაწერების პირველი პირის შექმნა მასაც "კურსივით" ერჩივნა. ამ გამოთქმის ციტირება შემდგომ ხშირად მიწევდა (პირველწყაროს მითითებით). სხვათა შორის, კენერმა ჩემი რეპლიკის პასუხად ბრძანა, რომ ჩვენც კი, მისი წესის იმ ეშვიათი გამონაკლისები, ლიტერატურას იმ მწერლების ნაწერებით ვეცნობოდით, რომლებიც თავის ნაწარმოებებს მანქანაზე კრეფდნენ: ძლიერი არგუმენტია, ვერაფერს იტყვი, ოღონდ მხოლოდ ნაწილობრივ გვეხება იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ, რომლებიც, სულ ცოტა, ისეთივე გულმოდგინებით ვღრღნიდით ოდისეას, სატირიკონს, ათას ერთ ღამეს, დეკამერონს და დონ კიხოტს, როგორითაც ულისეს და მოდერნისტულ ლიტერატურას.

არც გრეის პელის მგზნებარე კრედო დამავიწყდება ოდესმე: როცა ჩემმა ერთ-ერთმა აღსაზრდელმა ჰკითხა, მაშინ, ვიეტნამის ომის დროს, როგორ ახერხებდით ერთდროულად გეწერათ და ომისსაწინააღმდეგო საპროტესტო აქციებშიც მიგეღოთ დაფლავაი მონაწილეობა, რის შემდეგაც არაერთხელ დაუპატიმრებიხართო, მან მიუგო: "ხელოვნება კი არ არის მთავარი, მთავარი ხალხია, მთავარი პოლიტიკაა". კი ეტყოდა კაცი, "ეგ რა თქმა უნდა ეგრეა, გრეის, მაგრამ...", მაგრამ მისი მაღალზნეობრივი, თავგანწირული შემართების შემყურემ ენას კბილი დავაჭირე. ასევე მოვიქეცი, როცა რეიმონდ კარვერმა ჭოპკინსის ლიტერატურული განყოფილების სტუდენტებთან შეხვედრისას თავისი ესთეტიკური კრედო ასე ჩამოაყალიბა: "არანაირი ეფექტები". კი ვიცოდი, რასაც გულისხმობდა ეს ბრწყინვალე რეალისტ-მინიმალისტი: არანაირი ო'ჰენრისეული ეფექტური დაბოლოებები ან მსგავსი ჯოკერები დრამატურგიული ბანქოს დასტაში. მაგრამ როგორი აღტაცებულიც არ უნდა ვიყო კარვერის მიწიერი უბრალოებით, ბოლოს და ბოლოს, არანაკლებ მიტაცებს ფრანსუა რაბლეს სტილისა თუ წარმოსახვის სილაღე და ლორენს სტერნის, ამ საოცარი ილუზიონისტის, ტრისტრამ შანდი; უმთავრესი, ვუთხარი მოგვიანებით ჩემ სტუდენტებს, ამ სამნერული "ეფექტების" ხარისხი და მათი რელევანტურობაა და არა ის, საერთოდ იყენებს თუ არა მათ ესა თუ ის ავტორი. ასე რომ არ იყოს და თუკი ამ "ეფექტურობის უარყოფას" "ოსტატობის უარყოფად" გავიგებთ, განა ეჭვის ქვეშ არ დადგება ის ფაქტი, რომ კარვერის საგულდაგულოდ დამუშავებული პროზის სიმარტივე, ჰემინგუეის ენის მსგავსად, ოსტატობის ისეთივე ნიმუშია, როგორიც ფოლკნერის მაგიური ან ჰენრი ჯეიმსის სინტაქსური მაღალფარდოვნება? განა სწორედ დამწყებ მწერლებს (მინდოდა შევკამათებოდი, მაგრამ იმჯერად თავი შევიკავე) არ მართებთ ყოველგვარი წინასწარგანწყობის გარეშე გაეცნონ ლიტერატურული ეფექტების სრულ არსენალს (რასაც უმბერტო ეკომ "ის, რაც უკვე თქმულა" უწოდა) ვიდრე საკუთარი ესთეტიკის შემუშავებას შეუდგებოდნენ?

ან მაშინ როგორ უნდა გაჩუმებულიყო კაცი, როცა საომრად შემართუმა ჯონ გარდნერმა, რომელიც ჯერაც მორალური ლიტერატურის შესახებ თავისი ახლადდაწერილი მომაკვდინებელი ტრაქტატის შთაბეჭდილების ქვეშ იყო, ჩემს სემინარზე გაიმეორა მხატვრული ლიტერატურის თავისებური კლასიფიკაცია? ის გულმოდგინედ განარჩევდა ე. წ. პირველად ლიტერატურას ("მხატვრულ ნაწარმოებს ცხოვრების შესახებ") და მეორად ლიტერატურას ("მხატვრულ ნაწარმოებს მხატვრული ნაწარმოების შესახებ") და პირდაპირ განაცხადა, რომ ეს უბრალო ტაქსონომია კი არა, სუბიექტური შეფასებაა.. - ჰეკტორის სისხლიან ცხედართან მოქვითინე მეფე პრიამოსი! - გრგვინავდა გარდნერი და მაგიდას მუშტს უბრახუნებდა, - აი, დასწყევლოს ეშმაკმა, ნამდვილი ლიტერატურა! დანარჩენი ყველაფერი ნაგავია! - ნუთუ, ჯონ? - ვერ ვმალავდი ჩემს გაოცებას. - აბა იმავე პოეტის იმავე ეპოსის მეთვრამეტე წიგნში იმ საოცარი სცენების ცნობილ აღწერაზე რაღას იტყოდი, რომლითაც ჰეფესტოსმა აქილევსის ფარი შეამკო, სცენებისა, რომლებიც მახვილგონივრულად უკავშირდება ეპოსის მოქმედებას და სხვა არაფერია, თუ არა კლასიკური ნიმუში ხელოვნებისა ხელოვნების შესახებ? ან რად ღირს თუნდაც იმავე მოტივის ოსტატური გადამღერება ვირგილიუსის ენეიდას პირველ წიგნში, სადაც ლტოლვილი ენეასი კართაგენში დედოფალ დიდონას დაუშთავრებელ ფრესკებზე მხოლოდ ტროას ომისა და მის მომდევნო, ასევე დაუსრულებელ მოვლენათა სცენებს კი არ ამოიცნობს, არამედ თავის დაღუპულ მეგობრებს და საკუთარ თავსაც? სწორედ რომ ხელოვნებაა ხელოვნების შესახებ, ამას ხომ წყალი არ გაუვა; ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ, ჰომეროსის ეპოსის ჩათვლით, რომელსაც მიზანმიმართულად ეხმიანება ვირგილიუსის ეპოსის შესაბამისი ეპიზოდი; მაგრამ ეს ე. წ. მეორადი ლიტერატურაც კი ხომ აშკარად "ცხოვრების შესახებაცაა" - როცა ენეასი (რომლის ეპოპეაც ასევე ჯერაც არ დასრულებულიყო) აქვითინდება ამ სცენის დანახვაზე, და ავტორს ცნობილ ფრაზას ათქმევინებს - Sunt lacrimae rerum: "საგნებშიც ცრემლებს იპოვით". თუკი მთელი სამყარო სცენაა და ჩვენ თავად კი, შეიძლება ითქვას, ვართ ის, რასაც საკუთარ თავს და სხვებს ვუყვებით იმაზე, თუ თავად რანი ვართ (ჩვენი ამბის სიმძიმის ცენტრი, როგორც ბრძანებს "ნეიროფილოსოფოსი" დანიელ დენეტი), მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ დიდი ლიტერატურა (მინდოდა ეს იქვე მეთქვა აწ განსვენებული გარდნერისთვის, მაგრამ როგორც მასპინძელმა თავი შევიკავე და მხოლოდ მოგვიანებით ვუთხარი) ზოგჯერ არის ლიტერატურა მხოლოდ თავისი თავის შესახებ, ზოგჯერ - არამარტო თავისი თავის შესახებ, მაგრამ რაღაც ფორმით მაინც დიდი ლიტერატურა ყოველთვის არის ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები მეორადი ლიტერატურაა და ნებისმიერი "ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ", მათ შორის ყველაზე გამიზნულად და მომაბეზრებლად "მეტალიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატურულიც“ კი - ლიტერატურა ცხოვრების შესახებ.

განა ასე არაა, ჯონ? (და დავამატებდი, რომ მართალია, ყველა ნეირომეცნიერი არ დაეთანხმება პროფესორ დენეტს იმაში, ადამიანის ცნობიერება სცენარების მთხზველ მანქანად რომ იქნეს მიჩნეული, მაგრამ ჩვენ, მწერლებმა, უნდა გავიზიაროთ ეს ვარაუდი. კარგად მოგვეხსენება, რა ღრმადპატივცემული გამონაგონით გვიმასპინძლდებიან ეს არასაიმედო მთხრობელები).

ამ პირველი კატეგორიის მწერალთა მარგალიტებზე საუბარს დავასრულებ რიჩარდ ბროტიგანის ღირსშესანიშნავი განაცხადით, რომელიც მან გააკეთა 60-იანი წლების მიწურულს სტუდენტებთან თავისი შეხვედრის დასასრულს ბუფალოში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში. ავტორი რომანებისა - “ალმახებზე თევზაობა ამერიკაში“, “მინდვრის შურისძიება“, “საზამთროს სიტკბოება“, იმ დროს თავიანი დიდების ზენიტში იყო და ჰიპების ამ კუმირს მეტად თბილად შეხვდნენ ჩვენ უნივერსიტეტში, რომელიც, იმ ანტისაომარი შეკრებებისა და ცრემლმდენი გაზით შეიარაღებული პოლიციის თავაშვებულობის დღეებში ამაყად უწოდებდა თავის თავს “აღმოსავლეთის ბერკლის“. ეს ის დრო იყო, როცა ნიაგარას გაღმა მხრიდან, ტორონტოდან, მარშალი მაკლუჰანი გვაფრთხილებდა ჩვენ, “მანქანაზე ბეჭდვის მოყვარულ ნაბიჭვრებს“, რომ ჩვენი საარსებო გარემო სულს ლაფავდა ამ ელექტრონულ-გლობალურ დასახლებაში. მოკლედ, ჩემი შესავალი სიტყვის შემდეგ ბროტიგანი მიესალმა გადაჭედილ აუდიტორიას, თითი დააჭირა ძველი, ბაბინებიანი მაგნიტოფონის ჩამრთველ ღილაკს და გაუჩინარდა აუდიტორიის კინოსაპროექციო უკანა ოთახში, საიდანაც - ვიდრე ჩვენ მთელი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ვისმენდით ჩვენი სტუმრის ხმის ჩანაწერს - ეს უჩინარი ავტორი გვიჩვენებდა სლაიდებს, რომელზეც ჰუნქტუაციის უზარმაზარი ნიშნები გამოესახათ: თითოეული მძიმე, წერტილმძიმე და წერტილი ხუთი თუ ათი წუთით ჩნდებოდა ეკრანზე და დღემდე ვერ გამიგია, რა კავშირი უნდა ჰქონოდა მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილ ტექსტთან. ბროტიგანის ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, არა მგონია, აუდიტორიაში ვინმე გაჩერებულიყო, მაგრამ ჩვენ მაინც მოთმინებით ვისხედით, იმ უსაზღვროდ გაჭიანურებული ერთი საათის შემდეგ კი საპროექციო ოთახიდან გამობრძანდა თმაგაბურძგნული და სახეგაბრწყინებული ავტორი, ხელი მაგნიტოფონისკენ გაიშვირა და საზეიმოდ განაცხადა: “აი, ძმებო, ესეც თქვენი მეოცე საუკუნე!“ ამის გაგონებაზე მომიბრუნდა ერთი ჩემი ავანგარდისტი კურსდამთავრებული და ჩაიბურტყუნა, “კი - ასე, 1913 წელი“.

ახლა რაც შეეხება მეორე კატეგორიას, ანუ იმ

ეფრემ ბოლოდინი

მწერალთა შენიშვნებს, რომლებსაც ხალისით ვეთანხმები და ზშირადაც ვახდენ ჩემ გამოსვლებში მათ ციტირებას - ოღონდ გარკვეული კომენტარით და დაზუსტებებით. მაგალითად, მომწონს დილან თომასის ნათქვამი, “ყველა ხე, თუ ფიჭვი არაა, ესე იგი მუხააო“: ამით დამწყებ მწერლებს შეახსენებენ, რომ ფრაზები “პეტსი ხის ქვეშ შეჩერდა“ ან “სნორედ იმ დროს ფრედის მანქანამ ჩაიქროლა“ გაცილებით ნაკლებეფექტურია იმ ფრაზებთან შედარებით, სადაც დაზუსტებულია ხის ჯიში ან მანქანის მარკა; დაკონკრეტება ხომ ემოციური დამაჯერებლობის ერთ-ერთი პირობაა, ემოციური დამაჯერებლობა კი, როგორც წესი, ნაწარმოების ღირსებად ითვლება (მაგრამ ყოველთვის არა, ვახსენებ მე მათ, არ დაივიწყოთ ბეკეტი). ამასთან დაკავშირებით ვეუბნები (მათ განსახილველად შევთავაზე ვარიანტები “პეტსი ნორვეგიული ნეკერჩხლის ქვეშ შეჩერდა“ და “ჩაიქროლა ფრედის რძისფერმა კამარომ“), რომ უმჯობესია, ასეთი დაკონკრეტება არა მარტო კონკრეტული, არამედ რელევანტურიც იყოს. რატომ მაინცდამაინც ნორვეგიული ნეკერჩხალი და არა, ვთქვათ, არყის ხე? რატომ რძისფერი კამარო (მერი რობინსონი) და არა თეთრი კადილაკი ან “დიდი, ვირთხისფერი მანქანა“ (ფლანერი ო'კონორი, ამერიკულ ლიტერატურაში თვითმიზნური დაკონკრეტების მატრიარქი)?

ამ შუალედურ კატეგორიაში განვიხილავ ჯოზეფ ჰელერის და დოქტოროუს ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევებს მოქმედების განვითარების წინასწარი დაგეგმვის თაობაზე. ჩვენ სემინარზე ჰელერმა განაცხადა, რომ თავდაპირველად ის ყოველთვის წერდა თავისი რომანის ბოლო თავებს: - აბა, საიდან უნდა ვიცოდე, ბოლოს რა მოხდება, სიუჟეტი წინასწარ რომ არ მქონდეს მოფიქრებული? - იკითხა რიტორიკულად. - ოღონდ გაითვალისწინეთ, - განაგრძო მან, - რომ ბოლო თავების ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველადი მონახაზი მხოლოდ ვარიანტია და არა ბეჭედდასმული საბუთი. მოგვიანებით, როცა მათ დავუბრუნდები, შესაძლოა შევიტანო კიდეც რაღაც ცვლილებები. მაგრამ ისევე ვერ დავინყებ რომანის წერას ისე, რომ არ ვიცოდე, როგორ ვაპირებ მის დასრულებას, როგორც ვერ დავინყებ იმ ანეკდოტის მოყოლას, რომლის დასასრულიც არ ვიცი.

დოქტოროოს კი უთქვამს (არა ჩემ სემინარზე, არამედ თავის ერთ-ერთ დეკადაზე სარა ლოურენსის კოლეჯში. შემდეგ მისი ნათქვამი გადმომცა ერთმა მისმა სტუდენტმა, როცა მე, ჩემის მხრივ, მოვუყეკი ჰელერის გამოსვლის შესახებ), რომ რომანისტი "არც უნდა ეცადოს დაინახოს ის, რასაც ვერ სწვდება მისი მანქანის ფარების შუქი," - რაც, როგორც ჩანს, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სიუჟეტის განვითარების შემდგომი მიმართულება უკვე სანავიგაციო მონაცემებია და სხვა არაფერი; ხიდზე, რომელიც მოშორებით შეიძლება შეგეხვდეს, მაშინ გადავალთ, როცა მას პირდაპირ მივადგებით. შეიძლება ასეცაა დოქტოროოსნაირი ვეტერანისთვის (ვაფრთხილებ ჩემ მსმენელებს), რომელიც არც პროფესიული ჩვევების ნაკლებობას უჩივის და წლების მანძილზე გამომუშავებული ინტუიციითაც შეუძლია იამაყოს, მაგრამ ეს საკმაოდ სახიფათო რჩეული მინახავს, გამოუვალ ჩიხში რომ მოუმწყვდევია თავი ასეთი უგზო-უკვლო ჯიქრითით. ჩვენთვის, მთხზველებისთვის, ალბათ ყველაზე კეთილგონივრული ის იქნებოდა, რომ დოქტოროუს იმპროვიზატორულ უდარდელობასა და ჰელერის წინასწარ დაგეგმვას (ჩემთვის წარმოუდგენელად დეტალურს) შორის რაღაც შუალედური აგვერჩია: ზემოთ გაკრიტიკებული ჯვრ გარდნერი, რომელიც, თავისი ახირებების მიუხედავად, უდავოდ უმაღლესი კლასის ლექტორია, სწორად შენიშნავს თავის ტრაქტატში როგორ გავხდეთ რომანისტი, რომ რომანების უმრავლესობა სრულდება რაღაც "ყველანი გემშბაზე!"-ს მაგვარი დიდი სცენით და ავტორისთვის უმჯობესი იქნებოდა, დაახლოებით მაინც ჰქონდეს მოფიქრებული ამ სცენის ზოგადი მონახაზი. რა თქმა უნდა, იქნებ არც ღირდეს ხიდის გადასვლაზე თავის მტვრევა იქამდე, ვიდრე არ მივადგებით ამ ხიდს, მაგრამ სჯობს წინასწარ ვიცოდეთ, ერთი ხიდია გადასასვლელი თუ ორი და ბეწვის ხიდი უნდა გავიაროთ თუ სამოთხის კარი.

მაშ ასე, მივადექით ბოლოსთვის შემონახულ პირველ კატეგორიას, ანუ ცნობილ სტუმართა ინ (ის მაშინ იქვე ახლოს ცხოვრობდა და, ისედაც დაქვრივებული, კიდევ უფრო დამწუხრებული ჩანდა ინ აღშფოთების გამო, არაერთ ლიბერალში რომ იწვევდა მისი, მათი აზრით, რენეგატ-მემარჯვენეობა მაკარტიზმის ეპოქაში). ის გვაფრთხილებდა ჩვენ, გულუბრყვილო ახალგამოჩეკილ ლიტერატორებს, მწერლობა "ძაღლთუმადური სამუშაოაო". როცა ეს მისი სევდიანი სიტყვები ვახსენე ნორმან მეილერთან, მისი რეპლიკა უფრო გამამხნევებლად ჟღერდა: "თუ, რა თქმა უნდა, კარგად არ გიხდიან, მაგრამ დრო თავისას შვრება". სხვათა შორის, მეილერმა საჭიროდ არ ჩათვალა წარმედგინა აუდიტორიის წინაშე, როცა ბუფალოში გვესტუმრა (ის-ის იყო გამოქვეყნდა მისი "რა დაგვრჩენია ვიეტნამში?"); მისივე თხოვნით ჰოლში რაღაც კრივის მოკლე მატჩისმაგვარი გავმართეთ - ჩემ ცხოვრებაში ეს იყო პირველი და უკანასკნელი მსგავსი შერკინება - და შემდეგ სცენაზე აიჭრა და თავად წარუდგინა თავი აუდიტორიას.

ხშირად ვიმეორებ ხოლმე ჯოის კეროლ ოუტსის გაფრთხილებას რეგიონალიზმის შესახებ ლიტერატურაში (ისევ და ისევ ჰოპკინსის კოლეჯში გამოსვლისას რომ გააკეთა). ადგილის ძლიერი გრძნობა, ბრძანებდა ის, მწერლის უდავო ღირსებაა; მაგრამ მეორე მხრივ, ასე ადვილად შეიძლება იქცეთ სესკაჩვანის ბულბულად, თქვენი აუდიტორია კი მხოლოდ იმ უუჭველად არაჩვეულებრივი რაიონის მაცხოვრებლებით შემოიფარგლოს. ლერი მაკმართრიც ასე თუ ისე ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას, როცა გულმხიარულად ჩიოდა, კრიტიკოსები ისე ხშირად მომიხსენიებენ "პროვინციული მასშტაბის კარგ მწერლად", რომ ალბათ დროა ჩემთვის ასეთი წარწერით დამშვენებული მაისური შევუკვეთოო. დიდი ხნის წინ მაკმართრიმ ისიც გვითხრა, ჰოლივუდში მუშაობისას ინიტომაც ვგრძნობდი თავს შესანიშნავად, რომ სულ ცალ ფეხზე მეკიდა, ჩემი სცენარით გადაიღებდნენ თუ არა ფილმს; მთავარი ის იყო, რომ მიხდიდნენ, სცენარები კი ძირითადად იმისთვის იწერება, რომ პროდიუსერს მიახლოებით წარმოდგენა მაინც შეექმნას, თუ რამდენ ადგილას მოუწევთ გადაღებების წარმოება, რათა სწორად დაგეგმოს ბიუჯეტი და უზრუნველყოს მომარაგებაო. სტენლი ელკინიც, ლალალენდში შესრულებული სამუშაოს შემდეგ, შეუჩერებლივ იმეორებდა, თუ მხატვრულ პროზასთან შედარებით რა დამცრობილ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სიტყვები ფილმებში: ჩვენ, მწერლები, მივეჩვიეთ, რომ ამბავი ისე უნდა გადმოიცეს, როგორც ამას პრუსტი ("წესად გვქონდა, ადრე დაგნოლილიყავით დასაძინებლად") ან ჯოისი ("წარმოსადეგი, ჩასუქებული ბაკ მალიგანი...") აკეთებდნენ; ფილმებში კი, გვიამბობდა ელკინი, ეს ასე ხდება... - და იწყებოდა დაუსრულებელი, უსიტყვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონ ეშბერი

ხმოვანი ეფექტების მთელი კასკადი: ავტომანქანების მუხრუჭების ღრჭიალი, კარებების ჯახაჯუხი, მოახლეობული ფეხის ხმა და სხვა გაურკვეველი, მაგრამ ავისმომასწავებელი ხმები... მოკლედ, სიტყვის ოსტატისთვის არც ისე ადვილად მოსახელებელი ბგერითი რიგი.

აქვე მოვიყვან უილიამ ჰ. გასის ღირსსახსოვარ პასუხს სტუდენტის შეკითხვაზე - რისკენ უნდა ისწრაფოდეს მწერალი პირველ რიგში, მკითხველს უნდა ასიამოვნოს თუ საკუთარ თავსო. არც ერთი უნდა გააკეთოს და არც მეორეო, ბრძანა გასმა: მკითხველის სიამოვნებას ყველაფერზე წინ თუ დააყენებს, ეს ხომ მაამებლობა იქნება, თუ თავისას - ნებივრობაო. ავტორის უპირველესი საზრუნავი, განაცხადა მან, სიტყვიერი ოსტატობის ის ნიმუში უნდა იყოს, რომელიც თავად გამოითქმება მწერლის დახმარებითო. ავტორი ბებიაქალის ამპლუაში: ეს კი მართლაც მომწონს.

არც ის საუბარი დამავიწყდება, ჩემსა და პოეტ ჯონ ეშბერის შორის რომ შედგა მრავალი წლის წინ ბალტიმორში, როცა მიმყავდა სტუდენტებთან "სემინარსა და კითხვა-პასუხის საღამოზე". ჩემდა გასაოცრად, მას შეხვედრის ბოლო ნაწილი უფრო აღელვებდა. - ჯეკ, მაინც რა გგონია, რა კითხვებს დამისვამენ? - ჩვეულებრივს, ჯონ, მაგალითად, "თქვენ ნაწარმოებებს კალმით წერთ თუ მანქანაზე ბეჭდავთ?" და ამის მსგავსს, იყო ჩემი პასუხი. ამით საკმაოდ გამხნევებულმა მითხრა: - ო, როგორი იმედი მაქვს, რომ სწორედ ამას მკითხავენ! მომწონს ეს კითხვა! სამწუხაროდ, ასეთი კითხვა არავის დაუსვამს, თორემ აუცილებლად ეშბერის სიტყვებით ვუპასუხებდი.

სიამოვნებით ვიხსენებ ჯონ აპდაიკის, ამ საოცრად ნაყოფიერი მწერლის პასუხს ერთი ჩემი სტუდენტის შეკითხვაზე, რომელმაც მას... არც კი მახსოვს, ზუსტად რა ჰკითხა, შესაძლოა: "ჰქონია შემთხვევა, რომ დაწყებული რომანი მიეტოვებინა?", რადგან აპდაიკმა თქვა, რომ არც თუ იშვიათად გვერდზე გადაუდვია დაწყებული სამუშაო, რადგან "ავტორის მახვილგონიერება" (მისი სიტყვებია), მისდა გასაოცრად, სადღაც გამქრალიყო. დიახაც "მახვილგონიერება", მისი თვითშეფასება იმდენადვე მოკრძალებულია, რამდენადაც - ზუსტი. ან აიღოთ თუნდაც ჯეიმს მიჩენერის პასუხი კითხვაზე, რაში ხედავს ის თავისი შემოქმედების უმთავრეს ღირსებას და რაში - თავისი, როგორც რომანისტის სისუსტეს; პირველს რაც შეეხება, არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა, ინფორმაციაშიო. რაზეც არ უნდა ეწერა - იბერიაზე, ტეხასზე, პოლონეთსა თუ კოსმოსზე, ის ყოველთვის ამაყობდა თავისი ნამუშევრით. მისი თავაური სისუსტე? "ადამიანის ფსიქოლოგია", აღიარა ჩვენმა სტუმარმა ღიმილითა და მხრების აჩეჩვით. "ამის არაფერი გამეგება".

მსგავს ავტორისეულ თვითშეფასებებს ბუნებრივად მივყავართ მა მცირე ანთოლოგიის უკანასკნელ მონაწილესთან. იმ ერთადერთ შეხვედრაზე, რომელიც ორმოციოდე წლის წინ, გაზაფხულის ერთ ავდრიან დღეს შედგა რობერტ ფროსტთან პენსილვანიის უნივერსიტეტში, მოხუცმა პოეტმა შემოგვთავაზა, დაგვესვა ნებისმიერი შეკითხვა ჩვენთვის საინტერესო თემაზე: მას, როგორც თავად ბრძანა, იმდენად აკლდა ყურს, რომ ჩვენ შეკითხვას მაინც ვერ გაიგებდა, მაგრამ რამეს მაინც გვეტყოდა. ახლა ვერც ვიხსენებ, რა ვკითხე, მაგრამ არ დამავიწყდება ფროსტის პასუხი: - რაც თავი მახსოვს, ყოველ გაზაფხულს მუხებს წარსული შემოდგომიდან შერჩენილი აქვთ რამდენიმე გამხმარი ყავისფერი ფოთოლი; ამ ქარნაცემ ნარჩენებს რომ ვუყურებ, ყოველთვის მახსენდება შტორმის შემდეგ ნავსადგურში შემოსული გემის დაფლეთილი აფრები, პროფესიონალური ინტუიცია კი ყოველთვის მკარნახობს, რომ ეს მეტაფორა უბრალოდ ლექსი კი არა, რობერტ ფროსტის ლექსია - რობერტ ფროსტის ლექსი, რომელიც, ამ სახელისა და გვარის პოეტს, ვაგლახ, ჯერაც არ დაუწერია.

რამდენადაც ვიცი, ასეთი რამ მას არც არასდროს დაუწერია, თუმცა მის პოეზიაში აქა-იქ მაინც გაიელვებს ხოლმე მუხის ფოთოლი. ან კი რაა ამაში გასაკვირი - ყველა ხე ხომ მუხაა (ფიჭვის გარდა).

ინგლისურიდან თარგმნა
ასლანი ლეკიაშვილმა

ლუის დე ბერნიერსი

დასვენების ერთი დღე მეჰმედ ერბილისათვის



მეჰმედ ერბილმა თავისი თეთრი ცელოფნის ტომარა, რომელიც დახეული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ერთგულად ემსახურებოდა, მხარზე გადაიკიდა და ბორნით კილიტბაჰირისკენ გაემართა. ჩანაკალედან ეს ყველაზე მოკლე და იოლი გადასასვლელი იყო. ბორნით მგზავრობა ყოველთვის ეხალისებოდა: მჩქეფარე ტალღებს გაჰყურებდა, ლამაზ გოგონებს უმზერდა და სულთან მეჰმედ II-ის სასახლის ცქერითაც ტკბებოდა. რაც უფრო უახლოვდებოდა ამ სასახლეს, მით უფრო მკაფიოდ ეშლებოდა თვალწინ. ის წარსულს ახსენებდა ხოლმე, საუკუნეების წინანდელ მძიმე და სასტიკ დროს, როცა სულთნებს ისეთი წოდებები ენიჭებოდათ, როგორიცაა "სისხლისმღვრელი", "პირქუში", ან "შეუნყალებელი". თავხედი რუსების, პირატებისა და დამპყრობლების მოსაგერიებლად კი დარდანელების გადაღმა ვეებერთელა ქვემეხი გრიალებდა. მეჰმედს მხოლოდ ერთადერთი რამ უფუჭებდა ხასიათს: ეს მგზავრობა ფულს მოითხოვდა, მის მცირე შემოსავალს მუსრს ავლებდა და სასოწარკვეთილ, უიმედო მდგომარეობაში აგდებდა. "ის დღეც დადგება, როცა ფული მექნება. ძაღლივით ცხოვრება და ამ ბინძური საქმის კეთება აღარ მომიწევს. თუმცა შესაძლოა კვლავ ასე გაგრძელდეს, სიკვდილის ბოლომდე გაჭირვებით და სამარცხვინოდ ვიცხოვრო" - ფიქრობდა თავისთვის. მეჰმედს სურდა, რომ იმაზე ცოტა მეტი ფული ეშოვა, ვიდრე ყოველდღიური ხარჯი მოითხოვდა. ეს არა მხოლოდ თვითგადარჩენის საკითხი იყო, არამედ პირადი ღირსებისაც.

საკუთარ ღირსებას კი მეჰმედი თავის მოვლაში ავლენდა. მას გულმოდგინედ გაუთოებული, თხელი, ცისფერი შარვალი ეცვა. ქუსლთან გახეხილი და მთლად გაცვეთილი ფეხსაცმელი საგულდაგულოდ გაეპრიალებინა. პერანგიც სუფთა ეცვა, თუმცა ეტყობოდა, რომ საყელო მეორე პირზე გადმოეტრიალებინათ და ხელმეორედ შეეკერათ, რათა გაცვეთილი მხარე დაეფარათ. შალის ჟილეტი კი თითქმის იმავე ფერის შალის ქაფითვე ფაქიზად დაეკემსათ. ქამარზე დამაგრებულ თითბრის ბალთასაც სულ ლაპლაპი გაჰქონდა. მას მხრები გაემართა და გაჭიმული მიდიოდა, როგორც ეროვნულ არმიაში რამდენიმე წელი მსახურობის დროს. შავი, ახალი დაბანილი თმაც კოხტად შეეკრიჭა და დასაყენებლად ოდნავ გაეპოხა. ვერავინ იტყოდა, რომ მეჰმედ ერბილი გაჭირვებული იყო, თუ ტკივილით სავსე, მუქ ყავისფერ თვალებში არ ჩახედავდა, რომლებიც უცხო ადამიანის მზერას გაურბოდნენ: თუკი ვერ შეამჩნევდა, რომ სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა ინ ადამიანის მსგავსად, რომელიც გაჭირვებისას ძალაუნებურად ისეთ საშუალებებს მიმართავს, დრომ და გამოცდილებამ უვარგისად რომ ცნო. მეჰმედს ცოტათი ლუდის სუნიც ასდიოდა. მოწყენილობის დროს ეს ერთადერთი წამალი იყო, რომლის ყიდვის უფლებასაც საკუთარ თავს აძლევდა. ის ორმოცდაერთი წლის, გამხდარი მამაკაცი გახლდათ და საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა. ამდენი ხეტიალისგან სახის კანი გამუქებოდა და მის თეთრ ტომარასთან შედარებით კიდევ უფრო მუქი ჩანდა. ამ საქმიანობამ იაფფასიან, თუმცა კარგად მომუშავე თავის შავ პლასტმასის საათზე ხშირად დახედვას დააჩვია.

19 მაისი იყო - ახალგაზრდობისა და სპორტის ეროვნული დღესასწაული. მეჰმედი მშვენიერ სარგებელს ელოდა. მოვალეობის მოხდის მიზნით ადგილობრივ სკოლაში წავიდა, სადაც მზეზე დგომა მოუხდა. ქალებმა მამაკაცებზე მეტი მოხერხება გამოიჩინეს და ჩრდილს მათზე ადრე შეაფარეს თავი. ყველა იდგა და ყმაწვილებს შესცქეროდა, რომლებიც ერთმანეთს სირბილში ეპაექრებოდნენ. ახალგაზრდობაში მეჰმედიც კარგი მორბენალი იყო და ახლა სარბენ ბილიკზე ბიჭების მზერისას, რომლებიც ხელების ქნევით მიჰქროდნენ, ცოტათი დანაღვლიანდა. გოგონების შეჯიბრი კი უფრო სახალისო აღმოჩნდა, ვინაიდან მათი შემხედვარე მაშინვე მიხვდებოდით, რომ ამ საქმეში გამოწრთობა აკლდათ. სხვების მსგავსად მასაც დამცინავი "შეძახილი აღმოხდა, როცა ორმა გოგონამ ხუთასმეტრიანი მანძილიც ვერ დასძლია, ასი მეტრის გარბენის შემდეგ დაიღალა, შეშინებულმა უკან დაიხია და ხალხში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრინველივით.

მეამბოხეები წინასწარ მომზადებული მანევრების გარეშეცვალნი იდგა და სიტყვით გამომსვლელებს უსმენდა, რომლებიც ყოველ წინადადებაში მუსტაფა კემალის მოხსენიებას ცდილობდნენ. თეთრ მაისურებსა და შავ შარვლებში გამოწყობილი ასამდე ბიჭი ერთ ხაზზე ჩამწკრივებულიყო და მხაგვრული ტანვარჯიშის ილეთებს გუნდურად ასრულებდა. მეამბოხე ბიჭების ყოჩაღობით იმდენად არ მოხიბლულა, რამდენადაც მოძრაობების დამახსოვრების უნარით. შემდეგ გოგონები გამოვიდნენ. ისინიც ერთ ხაზზე ჩამწკრივდნენ და მაყურებელს რთული ილეთები აჩვენეს. თითოეული გოგონა უზარმაზარ, წითელ მარაოს ჩასჭიდებოდა, რომელზეც ნამგალა თეირი მთვარე და ვარსკვლავი მკაფიოდ გამოესახათ. ხოლო ჯერეჯერობით საუკეთესო სანახაობა ალისფერ მანტიებში გამოწყობილი გოგონების მცირე ჯგუფმა წარმოადგინა. შუბლზე ოქროსფერი მონეტები მიემაგრებინათ, ხელში კი ვერცხლისფერი დიდი ლანგრები დაეჭირათ და მოსდენილად ცეკვავდნენ. კლარნეტით, ვიოლინოთი და დოლით შეხრეულებული გრძელი, სევდიანი მელოდიის ფონზე ლამაზად დანარნარებდნენ. [illegible]დესაც სკოლაში ჩატარებულ ახალგაზრდობისა და სპორტის ნაციონალური დღისადმი მიძღვნილი ზეიმზე თავისი მოვალეობა მოიხადა, მეამბოხე მაშნივეე გაიპარა და ბორნით კილიტბაჰირისკენ გაემართა.

მეამბოხმა იცოდა, რომ გალიპოლის ნახევარკუნძულის ღირსშესანიშნაობებისა და მონუმენტების დასათვალიერებლად პატრიოტული სულისკვეთების მქონე მოსწავლეების ჯგუფები მოიყრიდნენ თავს. ფიქრებში გართულმა მეამბოხმა სიამოვნებით წარმოიდგინა თინეიჯერები, რომლებიც უძველეს ქვემეხებზე აცოცდებოდნენ, ფეხით ველურ კუებს გაეთამაშებოდნენ, სასახლის ქონგურებთან ფოტოებს გადაიღებდნენ და წყურვილის დაკმაყოფილების შემდეგ კოკა-კოლას ქილებს აქეთ-იქით მოისროდნენ. ჯერ მხოლოდ 19 მაისი იყო, ზაფხულის ულმობელი სიცხეები რამდენიმე დღეში დაიწყებოდა, მაგრამ უკვე ისე ცხელოდა, რომ მოსწავლეები უამრავ გამაგრილებელ სასმელს ყიდულობდნენ. მეამბოხეც სამუშაოს შეუდგა.

დაახლოებით შუადღისას კაცი მიხვდა, რომ ბევრი სამუშაო ჯერ არ ექნებოდა და გადაწყვიტა ჰისარლიკის მთაზე მდებარე მონუმენტამდე რამეს გაჰყოლოდა. სანაპიროს დაკლაკნილ გზას იმ რწმენით გაუყვა, რომ ამხელა გზაზე ვინმე წამოეწეოდა და მანქანას გაუჩერებდა. მის ქვეყანაში ადამიანების უმრავლესობას ავტომობილი არ ჰყავდა და როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ხალხს თავისუფლად, უნდობლობის გარეშე შეეძლო გზად მიმავალ ნებისმიერ მანქანას გაჰყოლოდა. დიდი გზა არ ჰქონდა გავლილი, რომ უცებ თეთრი ფერის ავტომობილმა ჩაუარა გვერდით. მეამბოხემაც ხელი სწრაფად დაუქნია და გააჩერა. მერე თავის თეთრ ტომარას სწვდა და მისკენ გაიქცა.

მანქანის უკანა კარს რომ მიუახლოვდა, მეამბოხედ დაიხარა, რათა მძღოლისთვის შეეხედა და მაშნივე მიხვდა, რომ უცხოელი იყო. კაცს შორტები და თეთრი წინდები ეცვა, თავზე კი ჩალის ქუდი ეხურა. სახე, მკლავები და ფეხები მზისგან დასწვოდა და აგურისფრად უვარვარებდა. ისეთი ძლიერი და ღონიერი ჩანდა, ბარაქიან მიწაზე გაფურჩქნილ ხეს მოგაგონებდათ. ყველა უცხოელის მსგავსად, ისიც ცოტათი სასაცილოდ გამოიყურებოდა. ამან მეამბოდი დაადიქრა, მასთან მგზავრობა სახიფათო ხომ არ იქნებოდა. უცხოელები, როგორც წესი, საკმაოდ შეძლებულები იყვნენ და მათთან ურთიერთობას თან არასასიამოვნო, შეურაცხმყოფელი შეგრძნება ახლდა.

"Gunaydin" - თქვა უცხოელმა.

"არა უშავს, თურქული მაინც სცოდნია"-ო, გაიფიქრა მეამბედმაც.

სინამდვილეში კი ამ უცხოელ მძღოლს განგებ მხოლოდ ის გამოთქმები დაეზუთხა, რომლებსაც ხალხთან ურთიერთობისას გამოიყენებდა და იმის ახსნას მოახერხებდა, რომ თურქული ენა არ იცოდა და მათი საუბარიც არ ესმოდა. სწამდა, ასე უხერხული სიტუაციიდან გამოძვრებოდა. მხოლოდ ერთი რამ ევალებოდა - თურქებისთვის ჭკვიანური გამომეტყველებით ესმინა და შესაფერის მომენტში თავი დაეკრა. ისინი ინგლისელებს ჰგავდნენ, თუკი ხმამაღლა ისაუბრებდნენ და საკუთარ ნათქვამს ხშირად გაიმეორებდნენ, ეგონათ უცხოელს ყველაფერს გააგებინებდნენ. მძღოლი ფრაზეოლოგიური ლექსიკონისთვის ჩვეულ სირთულეს წააწყდა. თურქულად კითხვებს დასმა ადვილი იყო, თანამოსაუბრის ნათქვამის გაგება კი რთული. მაგალითად, როცა მეამბედს ჰკითხა "Nerede"? იცოდა, მის პასუხს ვერ გაიგებდა.

"იცი, უბრალოდ დავყიალობ, აქეთ-იქით სკოლის მოსწავლეებს დავყვები, მაგრამ უეწარა არ გეგონო. მონუმენტების დასათვალიერებლად თუ მიდიხარ, შეგიძლია იქვე ჩამომსვა" - უთხრა მეამბედმა.

უცხოელმა გულგრილად შეხედა და აუხსნა: "Anlamam. Turkce bilmiyorum".

მეამბედმა წარბი შეიკრა და მძღოლს ფანჯრიდან გახედა. "ძალიან უცნაურია, თურქულად მეუბნები, თურქული არ ვიცი და არ ვლაპარაკობო. ალბათ თვითონვე ხვდები, რომ უცნაურია".

უცხოელმა მხრები აიჩეჩა და ხელები უსასოდ აღაპყრო. "Anlamam" - გაიმეორა და კვლავ ჰკითხა "Nerede"?

"ხომ გითხარი, სადაც მივდივარ" - აუსხნა მეამბედმა, თან ერთმა აზრმა გაუელვა - ეს უცხოელი ცოტათი ხომ არ აფრენს, უკეთესი ხომ არ არის სხვა მანქანას მოვუცადოო. "შეხედე. ამ მიმართულებით მხოლოდ ეს გზა მიდის" და ხელი სედიულ-ბაჰირისკენ გაიშვირა.

"Anlamam. Turkce bilmiyorum" - კვლავ ცივი გამომეტყველებით გაიმეორა უცხოელმა. მეამბედმა ამოიოხრა - მიხვდა, რა რთული მგზავრობაც ელოდა

მასთან. თუმცა კარი მაინც გამოაღო, ცელოფნის ტომარა იქვე დაგდო და მანქანაშიც ჩახტა. ეტყობოდა, იმ აზრს შეეგუა, რომ თუკი უცხოელი რაიმეს ახსნას მოისურვებდა, მასაც ერთი და იგივე უამრავჯერ უნდა გაემეორებინა. "No Problem" - საერთაშორისო ენაზე წარმოთქვა უცხოელმა. "No Problem" - თვალებგაბრწყინებულმა მეჰმედმაც თავის ქნევით გაიმეორა და მანქანაც დაიძრა.

მათგან მხარმარცხნივ მარმარილოს ზღვა გადაშლილიყო - პაწაწინა პლაჟებით გარშემორტყმული მზის სხივებისგან სულ მთლად ბრწყინავდა. მარჯვნივ კი ხმელთაშუა ზღვის ხშირი ბუჩქნარით დაფარული მაღლობი ამართულიყო. მეჰმედი თავისუფლად ივჯდა. მიუხედავად იმისა, რომ მძღოლი უცნაური ტიპი იყო, მანქანას ფრთხილად მართავდა. თურქმა პერანგის ჯიბეში ხელი ჩაიყო და სიგარეტის დაჭმუჭნილი შეკვრა დაიძრო. ერთ ღერს რომ მოუკიდა, მაშინ გაახსენდა, რომ უცნაური უცხოელების უმრავლესობა სიგარეტის სუნს ვერ იტანდა. აღელვებულმა მეჰმედმა წარბები აქაჩა, სიგარეტზე მიუთითა და მძღოლს ჰკითხა "OK?"

"No Problem" - იყო პასუხი. ეს ფრაზა მეჰმედმაც სიხარულით გაიმეორა და მძღოლს სიგარეტის კოლოფი გაუწოდა. მან კი ხელის მოძრაობით აჩვენა "არ ვეწევი"-ო. თურქმა გულისხმიერება გამოიჩინა და სიგარეტი ფანჯრიდან გადაჰყო, რათა ბოლს უცხოელი არ შეეწუხებინა. როცა მძღოლმა ეს შენიშნა, შეწუხდა, რადგან ყოფილი მნეველი გახლდათ და იცოდა სწრაფად მიმავალი მანქანის გამონაბოლქვი სიგარეტს მალე ჩაწვავდა. ხელსაწყოთა ყუთიდან საფერფლე ამოიღო და მეჰმედს გაუწოდა. "OK. No Problem" - ბოლოს დაამყოლა.

მეჰმედს გაეღიმა. სიგარეტის მალე ჩაწვა მასაც ადარდებდა. "როგორც ვხედავი, ტურისტი უნდა იყოთ" - შენიშნა მეჰმედმა. "ალბათ ყველგან ფოტოების გადაღებას აპირებთ. აქ ბევრი ტურისტი მოდის: ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, გერმანიიდან. თქვენ საიდან ხართ?"

"Evet" - უპასუხა უცხოელმა, რომელიც იმის თქმით უკვე დაიღალა, რომ არაფერი ესმოდა და თურქულად არ ლაპარაკობდა. ამიტომ ერთი სიტყვით შემოიფარგლა, რაც ნიშნავდა"დიახ" და გაიფიქრა - ამით თავს დავიძვრენო. მეჰმედმა ალმაცერად გადახედა. მისი აზრით, ეს უცხოელი მთლად დალაგებული ტვინის პატრონი არ უნდა ყოფილიყო. უცებ გვერდით ერთ გლეხის ქალს ჩაუარეს, რომელსაც შეშამოკიდებული ვირი მიჰყავდა. "Fotograf?" უცხოელს შესთავაზა მეჰმედმა - ეგონა ნახვევარკუნძულის კოლორიტული სურათების გადაღება ენდომებოდა. მაგრამ როდესაც უცხოელმა უარის ნიშნად თავი გაიქნია, ცოტათი შეურცხყოფილი დარჩა. "თქვენ ალბათ მონუმენტების სურათები უფრო გაინტერესებთ. ერთ-ერთ საფლავში კი შესაძლოა ბაბუათქვენიც განისვენებდეს" - ბოლოს დასძინა.

უცხოელმა გადაწყვიტა ყველაფერზე თანხმობით ეპასუხა, იმის მიუხედავად, ესმოდა თუ არა შეკითხვის არსი. "Evet" - თქვა და დაუფიქრებლად იმ აზრს დაეთანხმა, რომ რომელიღაცა გმირის საფლავში ბაბუამისი განისვენებდა.

"ჰო" - უთხრა მეჰმედმა. "ბაბუაჩემიც იმ ლაშქარში იბრძოდა. რა თქმა უნდა, თურქების მხარეს. ბაბუა ალბათ გიამბობდა თავის ისტორიებს. მართლაც გასაოცარია. ბაბუაჩემი თურმე ერთ დღეში სამჯერ დაიჭრა, მერე გველმა უკბინა, მაგრამ მაინც არ დაცხრა, ბერძნების წინააღმდეგ გამართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ოთხმოცდაჩვიდმეტ წლამდე იცოცხლა". უცებ მეჰმედმა სერიოზული სახე მიიღო. "იცი, მართალია, რაც ათათურქმა ბრძანა - ომში ბრძოლამ ერთმანეთის პატივისცემა გვასწავლაო. ამ სისხლისღვრამ მეგობრებად გვაქციო. ინგლისელი, ავსტრიელი, ახალზელანდიელი, ამერიკელი, ფრანგი, თურქი - ყველა მეგობრები ვართო". მერე უცხოელს შეხედა და ჰკითხა "არ მეთანხმებით?" უცხოელმა კი ისევ იგივე გაიმეორა "Anlamam. Turkce bilmiyorum". მეჰმედმა თავი გაიქნია. ეს უცხოელი ნამდვილად სულელია, ხან მეთანხმება, ხან კი მეუბნება, არაფერი მესმისო. ალბათ ეს რაღაც საინტერესო ფსიქოლოგიური ან ინტელექტუალური მდგომარეობის ბრალია, როცა უცხო ენა მომენტალურად გავიწყდება, რამდენიმე წუთის შემდეგ კი კვლავ გახსენდება.

მეჰმედმა უცხოელი უზარმაზარი მონუმენტისკენ წაიყვანა, სადაც აგრეთვე მეომართა ჰისარლიკის სასაფლაოც მდებარეობდა. მონუმენტის სიმაღლე ორმოცდაორ მეტრს უდრიდა და რამდენიმე მილის სიშორიდანაც ჩანდა. მეჰმედს ეგონა, რომ უცხოელს, როგორც წესი, მისთვის ფოტოს გადაღება მოუნდებოდა, აგრეთვე იმ გმირების ქანდაკებებითაც დაინტერესდებოდა, მის გარშემო რომ იყო აღმართული. გადაწყვიტა, გიდის ფუნქცია ეკისრა. იღბალს უნდა უმადლოდეს, რომ აქ ტურისტს გამოჰყვა, რადგან იმ ადგილებში მისვლის საშუალება ეძლეოდა, სადაც სკოლის მოსწავლეები შეეგებუფებულიყვნენ.

თავისი თეთრი ტომარა მეჰმედმა მანქანაში დატოვა. მონუმენტს, სასაფლაოს და თურქ მასპინძელს, რომელიც ქანდაკებების წინ მეომრის იერით დადგა, უცხოელმა გულგრილად გადაუღო სურათები. თურქეთში ერთი ფირის მეტი არ ჰქონდა წამოღებული. მეჰმედისთვის კი ვერაფრად აეცხნა, რომ პროფესიით ბოტანიკოსი იყო და ნახვევარკუნძულზე ველური ყვავილების შესასწავლად ჩამოვიდა, რომელნიც მინდვრებსა და ბალახოვან სანაპიროებზე წლის ამ დროს უხვად ყვაოდნენ. თურქი ფერმერები მცენარეების შესანაშლავ ნივთიერებას არ იყენებდნენ და ამიტომაც ხორბლის ყანები ალისფერი ყაყაჩოებით მოპენტილიყო. ბოტანიკოსზე დამორგუნვველად მოქმედებდა ის ფაქტი, რომ მისი ქვეყანა უწინდებურად ლამაზი აღარ იყო. მეჰმედს ვერ აგებინებდა, რომ თურქეთის მძვინვარე წარსული კი არ აინტერესებდა, არამედ მისი ყვავილები. თუმცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ აღელდა, როცა სასაფლაოს ქვებზე ჯარისკაცების სახელების კითხვისას მეპმედს თვალის უპეებთან ცრემლი შენიშნა. ხოლო ორი ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა დაინახა, რომლებიც ხელკავით დასეირნობდნენ და სასაფლაოზე ზიზილების თაიგულებს მოკრძალებით ანყობდნენ, სურვილი აღეძრა თურქების მსგავსად, მასაც ძლიერ შეყვარებოდა თავისი სამშობლო.

მეპმედმა გადაგდებულ კოკა-კოლას ქილას დაავლო ხელი. ბოტანიკოსმა გაიფიქრა - "რა კარგი კაცია, გარემოზე ზრუნავს და სხვის მიერ დაგდებულ ნაგავს იღებს"-ო. მტკიცედ სწამდა, რომ ყოველი ადამიანი ვალდებული იყო გარემოს დაცვაზე ეზრუნა. თავის ქვეყანაში ხშირად მოსცლია ახალგაზრდებთან უსიამოვნება, შეჰკამთებია კიდეც მათ და ძირს დაგდებული კაპიტების ქაღალდებისა თუ სიგარეტის კოლოფების აღება დაუძალებია. მეპმედს კი თუნუქის ქილისთვის ხელი მაგრად მოეჭირა და ნაგვის ყუთებთან ჩავლისას მისი გადაგდება არც უცდია. ამან ბოტანიკოსი გააოცა. ხოლო როცა თურქმა ანიშნა, გზა განაგრძეო, თვითონ კი ნაგავში ქექვას შეუდგა, მთლად გაოგნდა.

მეპმედს ამ დონემდე დაშვების რცხვენოდა და არ სურდა უცხოელს დაენახა, რასაც აკეთებდა. ბოტანიკოსი დაიბნა და თავისთვის გაიფიქრა: "ახირებული კაცი ჩანს, ალბათ ერთ-ერთი იმათგანია, ნაგვის მანიით რომ არიან შეპყრობილნი"-ო. შემდეგ კი შენიშნა, სამ თუ ოთხ ქილას მეპმედი ზურგს უკან მალავდა და სირცხვილით იწვოდა. უცხოელმა არ შეიმჩნია, კაცს მანქანის უკანა საგარძელზე დაჯდომა შესთავაზა და როცა მეპმედმა თავის თეთრ ტომარაში ქილების ჩატენვა დაიწყო, სხვა მხარეს გაიხედა.

მანქანაში ჩაჯდომისას ერთი ქილა მძღოლის მხარეს გადავარდა. უცხოელმა აიღო და მგზავრს გაუწოდა. მეპმედმა მადლიერებით სავსე თვალებით შეხედა, ქილა გამოართვა და იგრძნო, რომ სახესა და ყურებზე ალმური მოეკიდა. გასაცოდავებული ჩანდა, რადგან ასეთი დამამცირებელი სამუშაოს შესრულებისას წაასწრეს. ახსნა-განმარტება სცადა.

"ამას ფულის გამო ვაკეთებ" - თქვა - "კარგი სამსახური კი მაქვს, მაგრამ ყველაფერი ინფლაციის ბრალია. ამბობენ, ოთხმოცდაათ პროცენტს შეადგენსო, მე კი სამასი პროცენტი მგონია. ყველაფერი ძვირდება და ცხოვრებაც რთულდება. ვეღარაფერს ვყიდულობ. ფასები იზრდება და იზრდება, ხელფასი კი არ მეპატება". უკანა ჯიბეში ხელი ჩაიყო და საფულე ამოიღო. უცხოელს თავისი ლირების პატარა დასტა აჩვენა. "თურქული ლირა" - ზიზღით წარმოთქვა. "არაფრად ვარგა. ვისი ბრალია ვერ გეტყვი, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, სიკვდილის ღირსია. თავი როგორ გავიტანო? სხვების მსგავად ისეთი ნათესავი არ მყავს, რომ დოიჩმარკები გამომიგზავნოს. რა საზიზღარი ცხოვრებაა!"

უცხოელმა თავი დაუქნია. თურქულის ცოდნა საჭირო არ იყო, რომ ამ ჟესტებისა და საჩივრების არსი გაეგო. თურქულ ბანკნოტზე იმდენი ნული ეწერა, ძაღლიც კი მულტიმილიონერი გეგონებოდათ.

მეპმედმა ტომარაში ხელი ჩაყო და უცხოელს თუნუქის ქილის ძირი დაანახა. "სერიულ ნომრებს ვამოწმებ და ამის მიხედვით ვარჩევ, თუ რომელი ვარგა. ზოგი კარგი მეტალისგანაა დამზადებული, გადასამუშავებლად ვარგისია, ზოგი კი არა. მე მხოლოდ საუკეთესოებს ვაგროვებ" - აუსსნა.

უცხოელი ერთხანს დაფიქრდა. მხოლოდ ორი დღე ჰქონდა დარჩენილი, რაც საველე სამუშაობისთვის ალბათ საკმარისი იყო. როგორც ჩანს, ბოლო დღეს პლაჟზე გატარების ჩანაფიქრს ვეღარ განახორციელებდა. ერთი მხრივ, საწყენი იყო, რომ მეპმედმა მთელი დღე წაართვა, მაგრამ მეორე მხრივ სიამოვნებდა, რომ ეხმარებოდა - მანქანაც ჰყავდა და დროც საკმარისი ჰქონდა. საკუთარ თავს კიცხავდა, მეპმედის ცდუნებას რომ აჰყვა და მანქანით სადღაც წაიყვანა, მაგრამ განა ხშირად ეძლევა ადამიანს შესაძლებლობა, სხვას ცოტა ფულის შოვნაში დაეხმაროს? თითქოს იგრძნო, რომ კეთილმოწყობილი ცხოვრება და სოლიდური შემოსავალი განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებდა. თან გაზაფხულის ასეთ მშვენიერ დღეს ქილების შესაგროვებლად რამდენიმე საათი ხეტიალი, რა თქმა უნდა, თავისებურად სასიამოვნოც იყო. "Seddulbahir?" შესთავაზა მეპმედს და ისიც დაეთანხმა. პირველ წამებულთა და სერჟანტს აიას მემორიალთან მართლაც ბევრი მოსწავლე შეიკრიბებოდა. გამაგრილებელ სასმელს კი ალბათ ყველა წრუპავდა და ქილებს აქეთ-იქით ისროდა.

როცა სანაპიროსკენ მიმავალ გზას გაუყვნენ, უცხოელი კვლავ დაფიქრდა - ნუთუ ასეთ იდილიურ მხარეში ამდენი სისხლისმღვრელი ბრძოლა იმართებოდაო. მეპმედმა ყვავილებით მოფენილი მინდვრებისკენ გაიშვირა ხელი. "მიყვარს ეს მხარე" - თქვა და განაგრძო - "აქაურობას ახლოს ვიცნობ. როცა სტამბოლის უნივერსიტეტში აგრონომიის განხრით დისერტაცია დავიცავი, აქ საველე სამუშაოსთვის ჩამოვედი. ყველა ყვავილის სახელი და მათთვის დამახასიათებელი თვისება შევისწავლე, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ეს აღარ აინტერესებთ, არ აფასებენ და ფულსაც არავინ იხდის. ბევრი ჩემი მეგობრის მსგავსად, მეც კვალიფიციური სპეციალისტი ვარ, მაგრამ ვერაფერში ვიყენებ და ცხოვრებას ქუჩის მაწანწალა ძაღლივით ჩავჭიდებივარ. დრო თუ გაქვთ, ცოტა ფეხით გავიხეირნოთ და ძველი დროის გასახსენებლად ყვავილები დავთვალეიროთ. ზოგი მათგანი ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს. ერთ დროს სელექციური სანაშაოების გამოყენებაზე ვმუშაობდი, რათა მთლიანად გამენადგურებინა ისინი, მაგრამ გლეხებს სანაშაოების საყიდლად ფულს ვერ დაახარჯინებთ. ახლა კი კმაყოფილი ვარ, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა". მერე უცხოელს მოუბრუნდა და თქვა "მიუხედავად იმისა, რომ უწინ ყვავილები ჩემი მტრები იყვნენ, ახლა მიყვარს ისინი".

"Anlamam" - უმწეოდ წარმოთქვა უცხოელმა ბოტანიკოსმა, თან განაწყენებული და გაბრაზებული ჩანდა, რადგან მეპმედი საუბარს განაგრძობდა, იმაზე კი არ დაფიქრებულა, რომ მათ შორის დიალოგის გამართვა შეუძლებელი იყო.

თავისებურად მეპმედიც განიცდიდდა, რომ საუბარი არ გამოსდიოდათ. ბოლოს უთხრა "კარგი, წავიდეთ. სჯობს მონუმენტები დავათვალიეროთ. მე დიდად არ მაინტერესებს, მაგრამ თქვენ ნახეთ. იმედია, ბავშვებიც იქნებიან და ქალებს გადაყრიან"-ო.

კეიპ ჰელეს მონუმენტთან მეპმედმა გაიფიქრა, ამ უცხოელის გარდაცვლილი ბაბუის სახელი აქვე კედელზე ან ობელისკზე ხომ არ არის წარწერილიო. უცხოელს კი ეტყობოდა, იქ არც ახლოს მისვლა და არც ნახვა სურდა. მეპმედს, ფაქტობრივად, ქალების შეგროვება უკვე დაეწყო. გამაგრილებელი სასმელებით მოვაჭრეს მიუახლოვდა, დახლთან დადგა, თავი რაც შეეძლო ღირსეულად დაიჭირა და უთხრა: "ძირითადი სამუშაოს პარალელურად ქალების გადამუშავებით ვარ დაკავებული. შეიძლება თქვენს ნაგვის ყუთში მოვძებნო? გპირდებით, არაფერს გადმოვყრი".

დახლიდარმა მისი თხოვნა შეისმინა და თავი მორჩილად დაუკრა. ასეთ დროში ერთი საქმიანობით თავის რჩენა ძნელი იყო. "ეს უცხოელი ვინ არის?" - ჰკითხა ბოლოს.

- წარმოდგენა არ მაქვს - დასძინა მეპმედმა - საიდუმლოებით მოცულია. როცა ხელი დავუქნიე, მანქანა გამიჩერა, წამომიყვანა და ახლა ქალების შესაგროვებლად აქეთ-იქით დამყვება. არც კი ვიცი, აქ რას აკეთებს ან სად მიდის.

- ყველა უცხოელი ერთნაირად უვარგისი კი არის - შენიშნა შუახნის, კოსტალიპიანმა დახლიდარმა - შესაძლოა ხელი იღბალსაც გამოჰკრა.

- მაინც ცოტა უცნაურად მეჩვენება, აქეთ-იქით მანქანით რომ დამატარებს და ქალების შეგროვებაში მეხმარება. სულაც არ არის ვალდებული, ასე მომექცეს - თქვა მეპმედმა.

- ღმერთის ჩანაფიქრს რას მიხვდები - ბრძნულად უპასუხა საკუთარი ღვთისმოშიშობის უეცარი გამოვლინებით კმაყოფილმა დახლიდარმა - შესაძლოა ეს კაცი დღეს მფარველ ანგელოზად მოგევლინა.

- კარგი აზრია, - თქვა მეპმედმა. დახლიდარმა კი საქმის მცოდნე კაცივით თავი დაუკრა და დაამატა - ღმერთი ჩვენი მბრძანებელია.

- ცელოფნის პარკს ხომ ვერ მათხოვებდი - ჩემი ტომარა ნელ-ნელა მძიმდება - სთხოვა ბოლოს.

და ნაგვის ყუთებში ქექვას შეუდგა. შემდეგ კი უცხოელთან ერთად სკოლის მოსწავლეებს გაჰყვა უკან, რომლებიც ქვემეხების პლატფორმებთან და სერჟანტ აიას მემორიალთან ფოტოებს იღებდნენ. როცა უცხოელმა შენიშნა, რომ გადასამუშავებლად უვარგის ქალებს მეპმედი გულგრილად აგდებდა, ცოტა იმედგაცრუებული დარჩა. მაგრამ თავის პირველ აზრს იმის თაობაზე, რომ მეპმედი გარემოს დამცველი იყო, ჯერ მთლად ვერ უარყოფდა. "მაინც არ არის ცუდი კაცი. რაც არ უნდა იყოს, ქალების ნახევარი ხომ აკრიფა" - თავისთვის გაიფიქრა.

დილის საუზმის შემდეგ მეპმედს არაფერი ეჭამა. საერთოდ, ეს რამდენიმე დღე ძალიან ცუდად იკვებებოდა. ახლა კი მუცელი უბუბუბუყებდა, თავს ოდნავ სუსტად გრძნობდა და თავბრუ ესხმოდა. შუადღეს გადაცილებული იყო, გვიანი გაზაფხულის სიცხეც თავში აუვარდა და ერთი ტოლჩა ლუდის დალევა მოუნდა. ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად კი ერთი გარემოება უშლიდა ხელს - უცხოელს "pastahane-ში თუ დაპატიჟებდა, სასმელებისა და საჭმლის საფასური თავად უნდა გადაეხადა. ამ აზრმა ცოტა შეაშინა. ხელგაშლილი და ღირსეული მამაკაცი გახლდათ, მაგრამ ამ თვისებების გამოსამჟღავნებლად უფულობა აფერხებდა. "ხომ არ მოგშივდათ?" - მაინც სცადა და ცალყბად ჰკითხა უცხოელს.

ფრაზეოლოგიური ლექსიკონიდან უცხოელმა მხოლოდ ერთადერთი სიტყვა იცოდა "acikmak" და ამიტომ უარის ნიშნად თავი გააქნია. სამხარზე განზრახ ამბობდა უარს, რადგან ნონის დაკლებას ცდილობდა. ულრან ადგილებში ყვავილების საძებრად ხეტიალისას, ამას, ჩვეულებრივ, ადვილად ახერხებდა ხოლმე. თანაც ზომიერი ჰავის წყალობით უფრო იშვიათად შივდებოდა, ვიდრე საერთოდ და შუადღისას მხოლოდ ერთი ლიტრი წყლის დალევით კმაყოფილდებოდა. იმან, რომ მეპმედი მის შიმშილზე წუხდა, უცხოელი საგონებელში ჩააგდო. მისი ყურადღებით რატომღაც ნასიამოვნებიც იყო და იმედგაცრუებულიც. იფიქრა, თურქი უფასოდ ჭამას ხომ არ გეგმავსო. ამ აზრმა ჯერ გაანაწყენა, ხოლო შემდეგ სიბრალულით აავსო.

მეპმედმა საათზე დაიხედა და გაახსენდა, რომ ნავმისადგომთან მალე უნდა დაბრუნებულიყო, რათა ბორანზე ასვლა მოესწრო. ის ფაქტი აღარ ადარდებდა, რომ ნახევარკუნძულზე უამრავ შესაგროვებელ ქალას ტოვებდა. უცხოელს მიუბრუნდა და ჰკითხა "kilitbahir?"

"OK" - მხიარულად უპასუხა კაცმა, თან ცოტა განაწყენებული ჩანდა, რადგან ვიღაცასთან უაზრო ნაწნწალში ამდენი დრო დაკარგა.

უკანა გზაზე კი ულრანი ფიჭვნარი გაიარეს, სადაც ერთ დროს კრეტას მეორე ბრძოლა გაიმართა. მეპმედმა და უცხოელმა ერთდროულად შენიშნეს გზისპირას აღმართული ნაგვის გროვა. ერთმანეთს გადახედეს. უცხოელმა მანქანა უკან დააბრუნა. "ახლა უკვე ცოტათი გვესმის ერთმანეთის" - გაიფიქრა ორივემ. შვიდი ქალა იპოვეს. "შვიდი" - კმაყოფილებით წარმოთქვა მეპმედმა. "Yedi" - კმაყოფილებით გაიმეორა უცხოელმაც.

ჰავუსლარის სასაფლაოსთან, გზის პირას მდებარე ღია კაფესთან ბოტანიკოსმა მანქანა შეაჩერა. მეპმედისთვის საჭმლისა და სასმელის ყიდვა დააპირა, მაგრამ თურქმა დაასწრო - თავისთვის ლუდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მძღოლისთვის ფორთოხლის წვენი შეუკვეთა: "შეიძლება თქვენი კაფედან გადაყრილი თუნუქის ქილები წავიღო?" - კაფეს მეპატრონეს ჰკითხა მეპმედმა. "იცით, გადასამუშავებლად ვიბარებ და ოჯახისთვის დამატებით ფულს ვშოულობ. გპირდებით, არაფერს გადმოვყრი".

ამ თხოვნამ კაფეს მეპატრონე დააფიქრა, მაგრამ შემდეგ მხრები აიჩეჩა და ნება დართო. ახლა ისეთი დროა, რომ ყველა რაღაცას ცდილობს, წვალობს. მთავრობა იცვლება, პრობლემები კი იგივე რჩება. "ეს უცხოელი ვინ არის?" - ცოტა გაოცებით იკითხა, რადგან ქილების შემგროვებელი ლამაზი, ახალი მანქანით მძღოლს აქეთ-იქით დაჰყავდა.

- არ ვიცი, ვინ არის. მთელი დღე ასე დამატარებს, ქილების შეგროვებაში მეხმარება. წელან ვიღაცამ მითხრა, რომ ჩემი მფარველი ანგელოზია - თქვა მეპმედმა და ჩუმად ჩაიხითხითა. "მის შესახებ არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ თურქულად ლაპარაკობს. ჩემს ლაპარაკს კი ვერ იგებს. უცნაურია, არა?

- შეიძლება ყრუ არის - დაასკვნა კაფეს მეპატრონემ.

- არა, დარწმუნებული ვარ, რომ ყრუ არ არის - უპასუხა მეპმედმა, - მაგრამ ასეა თუ ისე, დღეს ასობით ქილა მოვაგროვეთ.

- აი, რას გეტყვი, - უპასუხა კაფეს მეპატრონემ, - რადგანაც თურქს ასე კარგად ექცევი, მისი სასმელის ფულს აღარ გადაგახდევინებ. რას იტყვი? მის ფულს უკან დაგიბრუნებ.

- ნამდვილად წმინდანი ხარ, - წამოიყვირა მეპმედმა, - ღმერთმა დაგლოცოს.

- არაფერია, - მხრები აიჩეჩა მეპატრონემ, - თუკი უცხოელი ასე კარგად გექცევა, არც მე ჩამოვრჩები პატიოსანცემაში.

მოგვიანებით კილიტბაჰირში ჩასვლისას მეპმედმა აღმოაჩინა, რომ ბორნის წასვლამდე ოცი წუთი დრო ჰქონდა. პატრიოტული სულისკვეთების მქონე ბაგშვები კი უძველესი სასახლის მიდამოებში შეიკრიბებოდნენ და ირგვლივ გამაგრილებელი სასმელების ქილებს მიმოაბნევდნენ. ამის გაფიქრებისას მხნეობა მოემატა და ხელგაშლილობის ინსტინქტმა სძლია. უცხოელისთვის კაფეში ყველიანი, დაბრაწული პური შეუკვეთა, სხვისთვის საჭმლის შეთავაზებით თითქოს საკუთარ შიშლის დაიკმაყოფილება. ეს შეკვეთა ოფიციანტს მაინცდამაინც არ ეამა, რადგან სამზარეულო ჯერ დაკეტილი იყო. მეპმედმა საჭიროდ ჩათვალა, მისთვის აეხსნა, რომ უცხოელს ჯერეგნად უნდა გამასპინძლებოდნენ, მითუმეტეს, როცა ძალიან მშიერი იყო. ოფიციანტმა ჩასუქებული უცხოელი სკეპტიკურად შეთვალიერა, მაგრამ მის საპატივცემლოდ ნათქვამი ეს მოწოდება მთლიანად ვერ უგულებელყო და ყველიანი, დაბრაწული პურის მოსაგანად წავიდა.

მეპმედმა უცხოელს ანიშნა, რომ სანამ საჭმელს მოიტანდნენ, ისევ ქილების შესაგროვებლად გავიდოდა. თვითონ ისეთი მშიერი იყო, რომ სხვისი ჭამის ცქერა გაუძნელდებოდა, ამიტომ ჯობდა გასულიყო და თავი შორს დაეჭირა, რაც შეიძლებოდა რესტორანს მოშორებოდა.

უცხოელს ნერვიულობა დაეტყო, მეპმედის წასვლის გამო ეჭვმა შეიპყრო. მანქანასთან რომ მივიდეს? პასპორტიც იქ ჰქონდა. სად ჯანდაბაში წავიდა? ყველიანი პურის ნაჭერი შუაზე გაყო და უფრო ზრდილობის გამო, ვიდრე შიმშილის, ნახევარი უგემურად შეჭამა. მეპმედს შეატყო, რომ ძალიან შეიოდა, ამიტომ ნახევარი მას დაუტოვა. ახლა ეს ულუფა მაგიდაზე იდო და პატრონის მოლოდინში ცივდებოდა. უცხოელი წუხდა, რომ მეპმედი გემრიელად ვეღარ შეჭამდა.

როცა მისი ნახვის იმედი საბოლოოდ გადაეწურა და ანგარიში გაასწორა, უცებ მეპმედი გამოეცხადა - "ოცდათორმეტი ქილა" - გამარჯვებულის ღიმილით წამოიძახა.

"Otuziki" - აღფრთოვანებით გაიმეორა უცხოელმაც. როცა დაჯდომა დაეპირა, მეპმედმა ხელებზე დაიხედა და შენიშნა, რომ ძალიან ჭუჭყიანი ჰქონდა. მერე ზიზღნარევი სახით უცხოელს დაანახა, უკმაყოფილოდ ჩაიწუწუნა და მამაკაცების საპირფარეშოსკენ გასწია. ჯერ ხელები დაიბანა, მერე სახე. თმაზეც შეისხა წყალი და სარკის წინ კოხტად გადაივარცხნა, ლამაზად დაიყენა. უკან სუფთა და მოწესრიგებული, მხრებში გამართული დაბრუნდა.

როცა მაგიდასთან დაჯდა, უცხოელმა ყველიან პურზე ანიშნა და შესთავაზა "Yemek".

"არ მშია" - უთხრა მეპმედმა. "შენ ჭამე, შენთვის ვიყიდე".

მაგრამ ჭამის სურვილი უცხოელმა მას თვალებში შეატყო. მეტად დელიკატური სიტუაცია შეიქნა. მან თითები ერთად შეატყაპუნა და ხელი მუცელზე გადაისვა, მეპმედს აჩვენა სრულიად მაძღარი ვარო. მერე ყველიანი პური ქაღალდის ხელსახოცში გაახვია და გაუწოდა. საათზე დაიხედა - ანიშნა, უკვე გვიანაო. თავიდან მეპმედი დაიბნა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, შემდეგ კი მიხვდა, რომ უცხოელი მის მოგვიანებით შეჭმის სთავაზობდა. მშვენიერი კომპრომისი იყო. ყველიანი პური მეპმედმა უდარდელი და გულგრილი გამომეტყველებით აიღო, პერანგის ჯიბეში ფრთხილად ჩაიდო და ლუდი მხარულად დალია. როცა წასასვლელად გაემზადნენ, ქილა მაგიდაზე განზრახ დატოვა.

მეპმედს თავზარი დაეცა და გაბრაზდა, როდესაც მიხვდა, რომ უცხოელს ანგარიში უკვე გაესწორებინა. ხოლო იმან უფრო გააბრაზა, რომ ეს რატომღაც შვებას ჰგვრიდა. უცხოელს საყვედურის სათქმელად მოუბრუნდა, მაგრამ მის ფართო ღიმილს რომ წააწყდა, მაშინვე დაცხრა. ხელი ჩაიქნია და სიცილით უთხრა: "ძალიან ცუდი კაცი ხარ, ასე რომ გამაცურე".

მეპმედმა ოფიციანტს ჰკითხა, თანამშრომლებიდან რომელიმეს თუ შეეძლო მისთვის ზუნოელთან თარჯიმნობა გაეწია და როცა ასეთი პირი აღმოაჩინეს, კმაყოფილი დარჩა. ოფიციანტს ცოტა ხნით დაელა-

პარაკა, რომელიც შემდეგ უცხოელს მიუახლოვდა და უთხრა: "ბაგონი მეჰმედი ამბობს, რომ მთელი დღე ერთად გაატარეთ, ძალიან მოსწონხართ და სურს გაიგოს თქვენც თუ მოგწონთ".

უცხოელმა ცოტათი უხერხულად იგრძნო თავი. "უთხარი, რომ ძალიან კარგი კაცია და ძალიან მომწონს". მეგობარს მხარზე ხელი დაადო და ძმურად მოესიყვარულა.

როცა მეჰმედმა თარგმანი მოისმინა, ემოციები ვერ დამალა, უცხოელს ჩაეხუტა და საოცრად ძლიერი ხელები მხრებზე მოუჭირა. სენტიმენტალობის გამო თვალზე მომდგარი ცრემლის დასაფარავად კი სხვა მხარეს გაიხედა. საერთოდ მას ორი რამ სურდა: პატიოსანი ცხოვრება და ცოტაოდენი პატივისცემა. ამ უკანასკნელს კი არც ისე ხშირად იღებდა.

უცხოელმა თავისი სავიზიტო ბარათი გაუწოდა, რომელზეც ქვეყნის კოდიც იყო მითითებული. ეს უბრალოდ ლამაზი ყუსტი იყო, თორემ იცოდა, მეჰმედს რომ დაერეკა, ერთმანეთის საუბარს მაინც ვერ გაიგებდნენ. თურქმა ჯიბეები მოისინჯა, ქალალდის ნაგლეჯი ამოიღო და ტელეფონის ნომერთან ერთად მისამართიც მიაწერა. ბოლოს კი თავისი პროფესია მიუთითა "Ogretmen".

მანქანით მიმავალ უცხოელს მეჰმედი უკან დაედევნა. უცხოელი დაფიქრდა, თურქს მასთან ერთად ეჩაბატში ხომ არ სურდა წამოსვლა, მაგრამ მეჰმედს მხოლოდ მისი გაცილება უნდოდა. განუწყვეტლივ ხელს უქნევდა და კბილებდაკრეჭილი ეუბნებოდა: "კარგი იქნებოდა მანქანით ჩანაკალეში თუ ჩამოხვიდოდი. ჩემი მისამართი ხომ გაქვს. შენი ნახვა ძალიან გამეხარდებოდა. ჯერ არ დაბნელებულა, თან უამრავი ქილაა შესაგროვებელი, მაგრამ ხვალ ოთხი გაკვეთილი უნდა ჩავატარო და ბავშვებისთვის ასახსენი მასალა მოვამზადო, ხომ იცი, როგორც ხდება. რვეულების მთელი გროვაც გასასწორებელი მაქვს. ეს რა სამსახურია, რა ცხოვრებაა".

მეჰმედის საუბარმა, ისევე როგორც მისმა წინანდელმა შენიშვნებმა, უცხოელი დააბნია. აღარ იძახდა "Anlamam", "Turkce bilmiyorum" და აღარც "Evet", რომელსაც წამდაუწუმ იმეორებდა ხოლმე. მეჰმედი კი თავისას განაგრძობდა. უცხოელის დაბნეულობა რომ შეამჩნია, უთხრა: "ალბათ გიკვირთ, ქილების შესაგროვებლად ბორნით აქ რომ ჩამოვედი, როცა შემეძლო შინ - ჩანაკალეში შემეგროვებინა" - კეფა მოიფხანა, შემდეგ ნიკაპზე მოისვა ხელი და განაგრძო - "არ მინდოდა ჩემი რომელიმე მოსწავლე ამის კეთებისას წამესწრებოდა". გაბერილი თეთრი ტომარა ასნი და თქვა: "თავმოყვარეობის გამო კი არა, უბრალოდ მსურს, რომ ცოდნა დაფასონ. იმ სულისკვეთებით გაიზარდონ, რომ სწამდეთ და პატივი სცენ მასწავლებლის პროფესიას. რა საჭიროა მათ იცოდნენ, რომ გადაყრილ ქილებს ვაგროვებთ".

უცხოელმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ გრძნობდა - მეჰმედი მძიმე საკითხზე საუბრობდა და თავი დაუკრა. თურქმაც კმაყოფილებით დაუქნია თავი - უნაროდ, რაღაცა გავაგებინეო.

შემდეგ ერთმანეთი გადაკოცნეს. მის ქვეყანაში მამაკაცები ერთმანეთს არასდროს კოცნიდნენ. აქ თურქეთში კი სავსებით ბუნებრივი და ჩვეულებრივი ამბავი იყო, თუმცა სხვა კაცის გაუუპარსავ ლოყაზე შეხება მისთვის აშკარად სიასლეს წარმოადგენდა და ცოტა დაიბნა.

თავისი თეთრი ტომარა მეჰმედმა რახა-რუხით ასნა, მხარზე გადაიკიდა, უცხოელს გასძახა "კარგად იყავი"-ო და გზას გაუყვა.

"Gule, gule" - ლექსიკონიდან შესაფერისი ფორმულით დაემშვიდობა უცხოელიც. მანქანაში ჩავდდა და უკან მოუხედავად წაავიდა. იცოდა, სანამ თვალს არ მიეფარებოდა, მეჰმედი ყველიანი პურის მჭამელი არ იყო, ამიტომ სურდა, რაც შეიძლებოდა მალე მიეცა მისთვის ამის საშუალება.

ოტელში დაბრუნებისას უცხოელმა მეჰმედის კოორდინატები ბლოკნოტში გადაიტანა. ხოლო თურქული ენის ლექსიკონში სიტყვა "Ogretmen" მოძებნა და მის გასწვრივ წაიკითხა "სკოლის მასწავლებელი". მთელი არსებით შეძრწუნდა. ნელ-ნელა იმასაც მიხვდა, რომ მიუხედავად წესიერი სამსახურისა, მეჰმედი სასოწარკვეთილი იყო და ამიტომაც აგროვებდა ქილებს. ზოგჯერ, სხვა ადამიანების დუხჭირი ცხოვრება, დამთრგუნველად მოქმედებს შენზე. უცხოელმა თავი გაიქნია. საღამოს კი მეუღლეს დაურეკა და უთხრა: "უჩვეულო დღე მქონდა. ერთდროულად უცნაურიც და მტკივნეულიც".

"მართლა? მომიყევი" - სთხოვა ცოლმა.

როცა მეჰმედი ჩანაკალეში ჩავიდა, სახლის კარებთან ქილების გროვა დაყარა და სამზარეულოში მეუღლესთან მისასალმებლად გავიდა. "უჩვეულო დღე მქონდა" - უთხრა მას. "უცნაური, მაგრამ საკმაოდ მტკივნეული".

ცოლი ხის კოვზით ქვაბში რაღაცას ურევდა. ხელები ტილოზე შეიწმინდა, ქმარს მიუბრუნდა და სთხოვა:

- მიდი, მომიყევი.

ინგლისურიდან თარგმნა
ნანა პირველმა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

არილი

http://www.opentext.ge/arili

წაკითხვა HERE

40188/1